

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო სამეცნიერო  
ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა:  
ფილოლოგია (ქართული ლიტერატურის ისტორია)

ანა ახობაძე

„ეპისტოლური კომუნიკაციის სპეციფიკა ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქის მიხედვით“

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი თამარ შარაბიძე

თბილისი

2023

## აბსტრაქტი

სადისერტაციო კვლევაში მეცნიერულად შესწავლილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქის ეპისტოლური კომუნიკაციის სპეციფიკა. კვლევა ემყარება თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად და სამსახურებრივ ბარათებსა და ამ წერილებთან სხვადასხვა ნიუანსით დაკავშირებულ გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლეებს. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი იმ წერილებს, რომლებიც ბარათაშვილის პირად ცხოვრებასა და ეპოქის მსოფლმხედველობას უკავშირდება. ცალკე თავად გამოვყოფთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებს. ისინი დაყოფილია დანიშნულების მიხედვით, აღნიშნული და გამოყოფილია ეპოქის ეპისტოლური მემკვიდრეობისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ამ მასალამ ერთგვარად შეავსო მწერლის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევა და მოგვცა შედარებით სრული სურათი ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურებრივი საქმიანობის, მე-19 საუკუნის პოლიტიკურ-ისტორიული სურათისა და ამ ეპოქის ეპისტოლური კომუნიკაციის სპეციფიკის შესახებ. ამიტომ თითოეული წერილის სხვადასხვა რაკურსით დანახვა და გამოკვლევა არასოდეს სრულდება.

ყველა ეპოქას ეპისტოლური კომუნიკაციის განსხვავებული ნიუანსები ახასიათებს. ბარათაშვილის ეპოქის ეპისტოლური ნიმუშების სპეციფიკა წარმოაჩენს მრავალმხრივ და საინტერესო მასალას ამ ეპოქის ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული და მსოფლმხედველობრივი კვლევისთვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადმა წერილებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწია. ამის მიუხედავად, ისინი მაინც ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობას პოეტის პიროვნების, მისი ცხოვრებისა და განსაკუთრებით შემოქმედების შესასწავლად. ეს ნაწერები რომანტიკოსი პოეტისთვის იყო ურთიერთობისა და პრობლემების გაზიარების საშუალება. წერილებში ნიკოლოზ ბარათაშვილი განსაკუთრებით გულღია და უშუალოა. იგი არ არის შეზღუდული არანაირი ჩარჩოთი და გულწრფელად გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებებს ახლობელი ადამიანების, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და საკუთარი შემოქმედების შესახებ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქის ეპისტოლური მემკვიდრეობის სპეციფიკის გამოვლენა. ჩვენი მიზანი იყო აღნიშნულიყო, რა გხვდება

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ეპოქის ეპისტოლური კომუნიკაციისათვის დამახასიათებელ ნიშნებად და რა არის სახელდობრ პოეტის ეპისტოლური მეტყველების სპეციფიკა.

კვლევის მეთოდოლოგია შემუშავდა როგორც მსგავსება-განსხვავებების კავშირი ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლეებსა და ამ ეპოქის სხვა ეპისტოლეებში გამოვლენილ სპეციფიკას შორის. თემის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა ჰერმენევტიკის, კომპარატივისტიკისა და ფენომენოლოგიური კვლევის მეთოდები.

კვლევის შედეგად დადგინდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგი ნასაზრდოებია მე-19 საუკუნის ქართული ეპისტოლური დიალოგის ზოგადი მახასიათებლებით, თუმცა მასში ვლინდება სახელდობრ პოეტისეული ნიუანსებიც. პირად წერილებში ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლეებისა და გრიგოლ ორბელიანის წერილების შედარების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ეპოქაში ახლობელთა მოსაკითხად გულდია, ვრცელი წერილებია დამახასიათებელი. წერილის ავტორები ხშირად ხუმრობენ, მოიკითხავენ ახლობლებს და საკომუნიკაციო თემები გრძელდება ერთი წერილიდან მეორეში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოფიციალურ-საქმიანი წერილები გვიქმნის წარმოდგენას მისი სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ. ვიგებთ, რის კეთება ევალებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილს სამსახურში და რატომ იყო ეს საქმე მისთვის ესოდენ მოსაწყენი და არასასურველი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაო მისთვის, როგორც შემოქმედი პიროვნებისათვის, სრულიად უინტერესო და სულის შემხუთველი საქმეა, ირგვლივ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მაინც მუდმივად ცდილობს სამსახურში დაწინაურდეს.

ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მეტწილად ჭარბობს იუმორისა და მსუბუქი სატირის ნიმუშები. ობიექტის აღწერა-დახასიათებისას იგი განსაკუთრებულად დინჯი და აუღელვებელია. აქ არ იგრძნობა ის ზიზღი და აღშფოთება, რომელიც სატირისთვისაა დამახასიათებელი. პოეტი მიზნად არ ისახავს გამოხატოს აგრესია და უარყოფითად განაწყოს მკითხველი საკუთარი სატირის ობიექტებისადმი.

ეპისტოლური ჟანრი ძალიან ახლოს დგას ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, ამიტომ, ბუნებრივია, მასში ნათლად აისახება ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ხალხშია

გავრცელებული. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები გვაძლევს ძალიან საინტერესო ცნობებს ძველი ქართული ტრადიციული ქორწილის, სტუმარმასპინძლობისა და წმინდა ადგილების მოლოცვის რიტუალების შესახებ.

ასეთია ზოგადად მე-19 საუკუნის ეპისტოლური დიალოგის სპეციფიკა და ის ძირითადი თემატიკა, რომელიც ამ ეპოქის ადამიანთა კომუნიკაციის დროს ვლინდება.

**საკვანძო სიტყვები:** ნიკოლოზ ბარათაშვილი, ეპისტოლური მემკვიდრეობა, მე-19 საუკუნე.

## **Abstract**

The dissertation study examines of epistolary communication of the Nikoloz Baratashvili era. The study is based on the personal and official letters of Nikoloz Baratashvili himself and the epistles of Grigol Orbeliani related to various peculiarities associated with these letters. The paper pays special attention to the letters about Baratashvili's personal life and the worldview of the era. Separately, we will separate the official letters of Nikoloz Baratashvili. They are divided by purpose, noted, and identified by signs characteristic of the epistolary heredity of the era.

This material complemented the study of the writer's epistolary heritage and gave us a relatively complete picture of Nikoloz Baratashvili's work activities, the political and historical landscape of the 19th century, and the specifics of epistolary communication of this era. Therefore, the sight and examination of each letter from a different angle is never complete.

Each era is characterized by different peculiarities of epistolary communication. The specifics of the epistolary patterns of the Baratashvili era reveal versatile and interesting materials for examining historical, political, cultural, and worldview aspects of this era.

The personal letters of Nikoloz Baratashvili have reached us in small quantities. Nevertheless, they still retain great importance in the study of the poet's personality, his life, and especially creation. These writings were a way for a romantic poet to share relationships and problems. In the letters, Nikoloz Baratashvili is especially open and outright. It is not limited to any framework and frankly conveys its attitudes about loved ones, events in the country, and his own creations.

**The purpose of the study** was to identify the specifics of the epistolary heritage of the Nikoloz Baratashvili era. Our goal was to mention what is found in Nikoloz Baratashvili's epistolary heritage as characteristic of epistolary communication of the era and what are the specifics of the poet's epistolary speech.

**The methodology of the study** was developed as a link of similarities and differences between Nikoloz Baratashvili's epistles and the specifics identified in other epistles of this era. When processing of the topic, the methods of hermeneutics, comparatives, and phenomenological study were used.

**As a result of the study**, the following has been established: that Nikoloz Baratashvili's epistolary dialogue is fed by the general characteristics of the Georgian epistolary dialogue of the 19th century, although it also reveals the specific poetic peculiarities. Based on the comparison of Nikoloz Baratashvili's epistles and Grigol Orbeliani's personal letters, we can conclude that in this era there were open, extensive letters to convey greetings to loved ones. The authors of the letter often joke, send greetings to loved ones, and communication topics continue from letter to letter.

Nikoloz Baratashvili's official-business letters give us an idea of his work activities. We learn what Nikoloz Baratashvili was responsible for at work and why this work was so boring and undesirable for him. However, although this work is completely uninteresting and unbearable for him as for a Creator, he is still constantly trying to get promoted to work given the current situation.

Baratashvili's epistolary legacy largely prevails in the patterns of humor and light satire. When describing and characterizing the object, he is especially level-headed and imperturbable. There is no feeling of the disgust and indignation characteristic of satire. The poet does not aim at expressing aggression and negatively discouraging the reader with his objects of satire.

The epistolary genre is very close to everyday life, therefore, naturally, it clearly reflects the customs that are common among the people. Nikoloz Baratashvili's letters give us very interesting information about the rituals of ancient Georgian traditional weddings, hospitality, and pilgrimage to sacred places.

Such are the specifics of the epistolary dialogue of the 19th century and the main theme that manifests itself in human communication of this era.

Key words: Nikoloz Baratashvili, epistolary heritage, 19<sup>th</sup> century

## სარჩევი

შესავალი.....	1
თავი 1. კომუნიკაციის ფორმები და სახეები .....	3
თავი 2. დიალოგის როლი და ფუნქცია ეფექტურ კომუნიკაციაში .....	8
თავი 3. ეპისტოლური ჟანრი .....	21
თავი 4. ქართული დიალოგური მეტყველება .....	25
თავი 5. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები .....	28
5.1. ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების სტრუქტურა .....	28
5.2. ნ. ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური დიალოგი .....	35
5.3. ნ. ბარათაშვილისა და მაიკო ორბელიანის ეპისტოლური დიალოგი .....	72
5.4. ნ. ბარათაშვილისა და ზაქარია ორბელიანის ეპისტოლური დიალოგი .....	87
5.5. ნ. ბარათაშვილისა და მიხეილ თუმანიშვილის ეპისტოლური დიალოგი .....	104
5.6. ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგი ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებთან .....	109
თავი 6. ნიკოლოზ ბარათაშვილის ოფიციალური წერილები .....	116
თავი 7. გრიგოლ ორბელიანის წერილების სპეციფიკა .....	132
თავი 8. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ეტიკეტის სპეციფიკა .....	143
თავი 9. ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში გამოყენებული სატირა და იუმორი .....	146
თავი 10. ეპისტოლურ ბარათებში არეკლილი მე-19 საუკუნის საქართველოს მდგომარეობა .....	159
თავი 12. ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ასახული წეს-ჩვეულებები .....	168
დასკვნა .....	173
გამოყენებული ლიტერატურა: .....	177

## შესავალი

კომუნიკაციის დამყარების სურვილი ყველა სულიერი არსების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კომუნიკაციის ისტორია იწყება იმ დღიდანვე, როცა სამყაროში ორი ადამიანი ერთმანეთს პირველად შეხვდა.

კომუნიკაცია არ არსებობს ადამიანების აქტიურობის რაღაც ფორმის გარეშე. იგი ყოველნაირად დაკავშირებულია ადამიანებს შორის ურთიერთობასთან. კომუნიკაცია შეიძლება იყოს რთული, მარტივი, ოფიციალური ან არაოფიციალური. ყველაფერი დამოკიდებულია გადასაცემი ინფორმაციის ბუნებასა და გადამცემსა და მიმღებს შორის ურთიერთობაზე.

ჩვენამდე შემონახული პირველი კომუნიკაციის ნიმუშებად ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანის გამოქვაბულის მხატვრობა შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან აქაც იკვეთება კომუნიკაციისათვის აუცილებელი სამი კომპონენტი: ადრესანტი, გადასაცემი ინფორმაცია და ადრესატი.

კომუნიკაციის დამყარების მრავალი გზა არსებობს. კომუნიკაციის სხვა ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებული ენობრივი კომუნიკაციაა. დამწერლობის შექმნასთან ერთად ადამიანები ერთმანეთთან ეპისტოლების, წერილების მეშვეობით ამყარებენ ურთიერთობას.

ეპისტოლური კომუნიკაციის ნიმუშები საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ ადამიანების შინაგან სამყაროში, შევაფასოთ მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, გავიგოთ კონკრეტული პიროვნებების სიხარული და ტკივილი. ეპისტოლური მემკვიდრეობა ფასდაუდებელი მასალაა ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების გასააზრებლადაც. მათში ყველაზე კარგად ჩანს ისტორიული და პოლიტიკური მოვლენების ის სიღრმისეული ნიუანსები, რომლებზეც, როგორც წესი, ისტორიული მატიანე ყურადღებას არ ამახვილებს.

XIX საუკუნის საქართველოს ისტორია პოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პერიოდია. ამ პერიოდის საქართველო სულ უფრო მეტად ექცევა რუსეთის მმართველობის ქვეშ, რაც იმდროინდელ საზოგადოებაში დამოკიდებულებების მრავალფეროვნებას ქმნის, დღევანდელ მკვლევრებს კი ერთგვარ თავსატებს უჩენს ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის პოლიტიკური მსოფლმხედველობის დასადგენად.

ეპისტოლური ბარათები მხატვრულ თხზულებებზე არანაკლებ საინტერესოდ და სიღრმისეულად წარმოგვიდგენს ავტორის შინაგან სამყაროს, მისი ცხოვრების ეტაპებს, სიხარულსა და სევდას.

ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო მასალას გვაძლევს ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ეპისტოლეები, რომელთა მეშვეობით პოეტი ადრესატებს უზიარებს საკუთარ განცდებსა და ფიქრებს. თანამედროვე მკვლევრებს კი ბარათაშვილის ეპოქის ეპისტოლური კომუნიკაციის სპეციფიკის უფრო სიღრმისეულად კვლევის საშუალებას აძლევს, ამიტომ ამ წერილების კიდევ ერთხელ განსხვავებული რაკურსით დანახვა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

## თავი 1. კომუნიკაციის ფორმები და სახეები

კომუნიკაცია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „კომუნიკარე“ და ითარგმნება როგორც „საერთოს ვხდი“, „გავხადოთ ყველასთვის გასაგები“.

კომუნიკაცია ფართო აზრით ადამიანური ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთი საფუძველია. იგი წარმოადგენს ინტელექტუალურ პროცესს, რომელსაც აქვს მტკიცე იდეურ-შინაარსობრივი გეგმა და დაკავშირებულია სოციალური მოქმედების განსაზღვრულ სიტუაციებთან. გამოყოფენ ეგზისტენციალური კომუნიკაციის სახეს, რომელშიც მოიაზრება „მე“-ს – სელფის (Self) – სხვაში, მეორე ადამიანში, აღმოჩენის აქტი (კოდუა 2001: 351).

გ. პოჩენცოვი თავის წიგნში „კომუნიკაციის თეორია“ აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია გულისხმობს ვერბალური სფეროების არავერბალურში, ხოლო არავერბალურის – ვერბალურში კოდირებას (Почепцов 2001: 7).

ვერბალური კომუნიკაცია დომინირებს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. მეტყველების ცოდნა მრავალი პროფესიის წარმატების მნიშვნელოვანი კომპონენტი ხდება. ჩვენ ვსაუბრობთ ვერბალურ და არა ტექსტურ კომუნიკაციაზე, რადგან დღეს ტექსტი ითვლება როგორც ვერბალური, ისე არავერბალური სფეროების ერთეულად.

არავერბალური კომუნიკაცია (პოზა, მიმიკა, ჟესტიკულაცია, პაუზები, ხმის ინტონაცია და სიმაღლის ცვლილება, სქემა, დიაგრამა, სხვადასხვა შრიფტი) კი მოიცავს მოსაუბრის დამოკიდებულებას, რომელიც თან ახლავს და ავსებს სიტყვიერ ინფორმაციას. არავერბალური სიგნალები მიგვითითებენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სიტყვების მნიშვნელობის გაგება. როგორც გ. პოჩენცოვი აღნიშნავს, კომუნიკაცია სწორედ იმისათვის ხორციელდება, რომ მოხდეს ღირებულებების გადატანა ორ განსხვავებულ ავტონომიურ სისტემას შორის, რომლებიც ორ ადამიანს წარმოადგენს (Почепцов 2001: 7).

გ. პოჩენცოვი საინტერესო მოსაზრებას აყალიბებს კომუნიკაციისა და წერის ურთიერთკავშირზე. მისი აზრით, თუ ჩვენ ვსაუბრობთ კომუნიკაციაზე, როგორც ვერბალურის არავერბალურში გადასვლაზე, მაშინ წერა წარმოიშობა საპირისპირო მოქმედებიდან და ეს არის არავერბალური მახასიათებლების ვერბალურში გადაწერა. მაგალითად, ძველ ჩინეთში წერა წარმოიშვა სწორედ ეკონომიკური სიტუაციების

სოციალური მართვის პროცესებისთვის. სამყარო ითვლიდა და ანგარიშობდა, წერა კი პროცესს ამარტივებდა. ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირად ავსახოთ მრავალმხრივი კოდირების ეს ორი პროცესი: ვერბალური კომუნიკაცია – არავერბალური წერა – ვერბალიზაცია (Почепцов 2001: 7).

ეფექტური კომუნიკაციის დროს ჩვენ უნდა გავიგოთ არა მხოლოდ ტექსტის პირდაპირი შინაარსი, არამედ ქვეტექსტიც, ანუ ისიც, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე. განასხვავებენ კომუნიკაციის განხორციელების მექანიკურ და შემოქმედებით მიღების. კომუნიკაცია მექანიკური მიღებით არის ცალმხრივ მიმართული პროცესი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის კოდირებასა და გადაცემას ინფორმაციის წყაროდან ინფორმაციის მიმღებამდე. კომუნიკაცია შემოქმედებითი მიღებით არის კომუნიკაციის მონაწილეთა ერთობლივი მოღვაწეობა, რომლის დროსაც გამომუშავდება საგნებსა და მოქმედებებზე საერთო (გარკვეულ ზღვრამდე) შეხედულებები.

მარტივი კომუნიკაციის სისტემა, როგორც მინიმუმ, მოიცავს:

1. კომუნიკაციის ორ მონაწილეს;
2. სიტუაციას ან სიტუაციებს, რომელთა გაზრებასა და გაგებას ესწრაფვიან კომუნიკაციის მონაწილეები;
3. ტექსტებს, რომლებიც სიტუაციის საზრისს გამოთქვამენ ენის ან რომელიმე მოცემული სემიოტიკური სისტემის ელემენტებში;
4. ტექსტების მიმართულების მიმცემ მოტივებსა და მიზნებს.

კომუნიკაციის პროცესში მიმართულებისა და მონაწილეების რაოდენობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ:

კომუნიკაციის ფორმები მიმართულების მიხედვით:

1. ერთი ერთთან: საუბარი, შეტყობინება;
2. ერთი მრავალთან: ლექცია, ჟურნალისტიკა (გაზეთი, ჟურნალი), ტექნიკური მედია (კომპიუტერი, ტელევიზია);
3. მრავალი ერთთან: კონფერენცია, ფორუმი, დებატები.

კომუნიკაციის ფორმები მონაწილეების მიხედვით:

1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
2. სიტყვიერი კომუნიკაცია (აგიტაცია, პროპაგანდა, დიალოგი);

3. ტექნიკური კომუნიკაცია (ტელეკომუნიკაცია).
4. ინტრაპერსონალური კომუნიკაცია;
5. ჯგუფური კომუნიკაცია (მარკეტინგი, კულტურათაშორისი კომუნიკაცია).

კომუნიკაციის საშუალებები და ფორმები ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ადამიანთა ისტორიულ გამოცდილებას. იგი უზრუნველყოფს სოციალური გამოცდილების დაგროვებასა და გადაცემას, შრომის განაწილებასა და ერთობლივი მოღვაწეობის ორგანიზაციას, კულტურის ტრადიციის გადაცემასა და ა.შ.

კომუნიკაციის საშუალებები განსაკუთრებით განვითარდა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან. ეს დაკავშირებულია ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციის გადაცემის ორგანიზაციული პირობების გაერთიანებასთან, რამაც გამოიწვია მოკავშირე მხარეების უშუალო ურთიერთმოქმედების შემცირება. პრესის, ელექტრონული კავშირის (ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიის) მეშვეობით ძალზე შემცირდა მანძილი და დრო მხარეებს შორის.

კომუნიკაციის თეორიის განვითარებამ განაპირობა კიბერნეტიკის, ინფორმატიკის, სემიოტიკის ჩამოყალიბება. კომუნიკაციის ცნება დღეს ცენტრალურ კატეგორიად ყალიბდება სოციალურ თეორიაში. კომუნიკაციის თეორიის პრობლემების კვლევაში წამყვან როლს ასრულებს მასობრივი კომუნიკაციების სოციოლოგია. გამოყოფენ მასობრივ, პიროვნებათა შორის, მეცნიერულ და სხვ. კომუნიკაციებს. ჩვენი დისერტაციის კვლევის საგანი სწორედ პიროვნებათა შორის კომუნიკაციის კვლევაა. პიროვნებათა შორის დიალოგის შესწავლის გზით ვეცდებით დავადგინოთ მე-19 საუკუნის საქართველოში მასობრივი კომუნიკაციის ძირითადი ნიუანსები და სპეციფიკა.

ადამიანური კომუნიკაცია ძირითადად ორი ძირითადი არხის – ვერბალურსა და ვიზუალურ ჩარჩოებში მიმდინარეობს. ვერბალური კომუნიკაცია ემყარება ლექსიკურად გამორჩეულ ერთეულებს, რომლებიც შეესაბამება მსოფლიოს რეალობებს. ეს ქმნის ლექსიკური ერთეულების დიდ რაოდენობას, საიდანაც უსასრულო რაოდენობის შეტყობინებები გამოიყოფა. ვიზუალურ კომუნიკაციას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული ერთეულების ასეთი ნაკრები. ეს ვიზუალური კომუნიკაციის პროცესს უფრო უნივერსალურ ხასიათს სძენს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიზუალურ კომუნიკაციას არ აქვს თავისი ნიშნები. ვიზუალურ დონეზე

არსებობს წინასწარი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საჭირო კომუნიკაციის ფორმას.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ დეტალურად შეისწავლა ვიზუალურ კომუნიკაციაში ნორმების საკითხი და იგი წერს: "ამ საკითხის დასამტკიცებლად მე ჩავატარე მთელი რიგი ექსპერიმენტები ლამაზი და მახინჯი გარემო პირობების მაგალითზე. მაგალითად, მე წარვუდგინე სუბიექტებს ჩვეულებრივი ადამიანების ფოტომასალა, რომლებიც არაკეთილგანწყობილ გარემოშია გადაღებული და სუბიექტები აღწერენ ამ ადამიანებს, როგორც პარანოიდებს ან კრიმინალებს. დადასტურდა ის ფაქტი, რომ მახინჯ გარემოში ადამიანები გვეჩვენება ცუდი, მახინჯი და არაკეთილსინდისიერი. რამდენად იმოქმედებს თქვენზე მახინჯი გარემო, დამოკიდებულია თქვენს მგრძნობელობაზე და იმაზე, თუ რამდენად შეგიძლიათ გადაიტანოთ თქვენი ყურადღება უსიამოვნო სტიმულიდან სხვა რამეზე, ნაკლებად უსიამოვნო ფაქტზე". მასლოუ გვირჩევს, კომუნიკაციისთვის შევარჩიოთ ლამაზი და ღირსეული ადამიანები და ვნახავთ, თუ როგორ ვითარდება ჩვენი კეთილგანწყობა (Почепцов 2001: 30). ეპისტოლური ჟანრი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე მოკლებულია ვიზუალური კომუნიკაციის ნიშნების გამოყენების შესაძლებლობას, ამიტომ ამ საკითხზე მეტ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

ანთროპოლოგ გ. ბეიტსონის მოდელის მიხედვით საკომუნიკაციო პროცესები ორ დონეზე მიმდინარეობს: კომუნიკაციურ და მეტა კომუნიკაციურ. კომუნიკაციური დონე გაგებულია სტანდარტული გზით, ხოლო მეტა კომუნიკაციური დონე განსაზღვრავს გადაცემული შეტყობინების რეჟიმს.

გ. ბეიტსონი თავის თეორიას აყალიბებდა მაიმუნების თამაშებზე დაკვირვებით. მას აინტერესებდა, თუ როგორ ესმით მაიმუნებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კბენა არა ჩხუბი, არამედ თამაშია. პასუხი იყო, რომ მაიმუნი გადასცემს მეტა კომუნიკაციურ შეტყობინებას, რომელიც იძლევა გადაცემული შინაარსის სასურველ ინტერპრეტაციას. როგორც ასკვნიან, შიზოფრენიკი არ ფლობს მეტა კომუნიკაციურ საშუალებებს, ამიტომ მას არ შეუძლია მის მიერ მიღებული შეტყობინებების ადეკვატურად ინტერპრეტაცია. მაგალითად, მას არ შეუძლია გაიგოს ხუმრობები და ამით ვარდება ჩვეულებრივი კომუნიკაციის პროცესი (Почепцов 2001: 33).

არსებობს მეტა კომუნიკაციური წესები, რომლებიც მოითხოვს ერთ შემთხვევაში ინფორმაციის წარმოქმნას, მეორე შემთხვევაში – მხოლოდ მის მიღებას. გარკვეული მეტყველების რიტუალები სერიოზულად განსაზღვრავს ჩვენს ქცევას. კომუნიკაცია შეიძლება იყოს იერარქიული და დემოკრატიული. იერარქიული სქემისთვის მნიშვნელოვანია წესრიგი, დემოკრატიულისათვის – მრწამსი. იერარქიული კომუნიკაციის ფარგლებში ჩვენ გვაქვს კავშირი ”ბოსი – დაქვემდებარებული”. დაქვემდებარებულს, მორჩილების გარდა, სხვა გზა არ აქვს. დემოკრატიულ სქემაში კი საქმე გვაქვს თავისუფალ პიროვნებასთან (Почепцов 2001: 33). ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ანალიზი მოგვცემს საშუალებას თვალი მივადევნოთ თითოეულ ადრესატთან პოეტის დამოკიდებულებას. განვსაზღვროთ კომუნიკაციის რომელ ფორმას განეკუთვნება ეს დიალოგები: იერარქიულს თუ დემოკრატიულს და ამის მიხედვით დავადგინოთ ადრესატებთან ბარათაშვილის ურთიერთობა.

იტალიელი სემიოტიკოსი უმბერტო ეკო დიდ ყურადღებას აქცევს ვიზუალურ კომუნიკაციას. იგი განმარტავს ხატოვან ნიშანს, როგორც უწყვეტობას, რომელშიც შეუძლებელია განცალკევებული, აზრიანი, ელემენტების გამოყოფა. ამ ცნობილ დაკვირვებას იყენებს ეკო ვიზუალური კომუნიკაციის განსხვავების ახსნისთვის: „სურათის ნიშნები არ არის დაყოფის ერთეულები, რომლებიც დაკავშირებულია ენის ფონემებთან, რადგან მათ მოკლებული აქვთ წინასწარ განსაზღვრული პოზიციური და ოპოზიციური მნიშვნელობები. ბუნებრივ ენაში მნიშვნელობა წინასწარ განსაზღვრული აღმოჩნდა, ვიზუალურ ენაში კი იგი წარმოიქმნება შეტყობინების მიღებისთანავე (Почепцов 2001: 63).

ხატოვანი ნიშანი, რომელიც გამოსახულ ობიექტს წააგავს, არ იღებს მის ყველა მახასიათებელს. ეკო ხაზს უსვამს ამ ტიპის გამოსახულების პირობითობას. მაგალითად, მეცამეტე საუკუნის მხატვარი ხატავს ლომს მაშინდელი ხატოვანი კოდების მოთხოვნების შესაბამისად და ეს ნახატი არ ემყარება რეალობას. ვიზუალურ ნიშანს უნდა ჰქონდეს შემდეგი ტიპის მახასიათებლები: а) ოპტიკური (ხილული), ბ) ონტოლოგიური (ვარაუდი), გ) ჩვეულებრივი. უ. ეკომ ხაზი გაუსვა, რომ კომუნიკაციის პროცესში ზეგავლენის მოხდენისთვის საჭიროა სიმბოლოების გამოგონება. მასობრივი კულტურის ტექსტები ერთდროულად იწერება როგორც ავტორის, ისე მკითხველის მიერ (Почепцов 2001: 63).

## თავი 2. დიალოგის როლი და ფუნქცია ეფექტურ კომუნიკაციაში

დიალოგს ადამიანის ვერბალურ კომუნიკაციაში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია და მისი უძველესი ფორმაა. იგი თითქმის 2000 წლის წინ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა შექმნეს. მათი მიზანი იყო ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში იოლად მოეძებნათ სიმართლის მიღწევის საუკეთესო გზა. შექმნის დღიდანვე დიალოგი ათენის საზოგადოებისათვის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმა გახდა. მან ხელი შეუწყო პირველი დემოკრატიის განვითარებას, რაც იმაში გამოიხატა, რომ მთავრობა პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრისას დიალოგის გზით მიღწეული შედეგებით ხელმძღვანელობდა.

დიალოგის საშუალებით გადაწყვეტილების მიღება ბევრი კულტურისთვისაა დამახასიათებელი. საქართველოში ამის მაგალითს ხევისბერი და მისი გადაწყვეტილებები წარმოადგენდა: „ხევისბერი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს თემის წინაშე წარადგენდა, იმართებოდა დიალოგი და ამის შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას“ (ბესელია, მეიფარიანი, მიქიაშვილი, ჯალაღანია; 2004).

დიალოგს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების, არამედ ლიტერატურული ურთიერთობის საკითხშიც. მისი გამოყენების მასშტაბები ძალიან ფართოა. იგი შეიძლება შეგვხვდეს ყველა ლიტერატურული ჟანრისა და მიმდინარეობის ნაწარმოებში. მწერალმა დიალოგს შეიძლება მიმართოს არა მხოლოდ პერსონაჟთა ურთიერთობის, არამედ ავტორის მკითხველთან კომუნიკაციისთვისაც. გიორგი გაჩეჩილაძე ჟურნალ „ცისკარზე“ მსჯელობისას აღნიშნავს: „ლიტერატურა, ისევე როგორც დიდი ხელოვნება საერთოდ, ეროვნულ და მსოფლიო აუდიტორიასთან მწერლის, ხელოვნის თავისებური დიალოგის ფორმაა“ (გაჩეჩილაძე 1986: 260). მაშასადამე, დიალოგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ლიტერატურულ პერსონაჟთა კომუნიკაციის, ასევე ავტორისა და მკითხველის ურთიერთობის საშუალებაც.

დიალოგი არის მეტყველების ფორმა, რომლითაც გადმოცემულია ორი ადამიანის მონაცვლეობითი საუბარი. თითოეულის გამონათქვამი, რომელსაც რეპლიკას ვუწოდებთ, მოსაუბრისადმი არის მიმართული. დიალოგური მეტყველებისათვის

დამახასიათებელია რეპლიკების მჭიდრო შინაარსობრივი კავშირი, რაც ყველაზე ხშირად კითხვა-პასუხის ფორმით გადმოიცემა. მოუბარი პირისა და მსმენელის რეპლიკები საუბრის სუპერ სეგმენტებია, რომელთა ერთობლიობა ქმნის დიალოგურ მეტყველებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების კვლევისას ხშირად შევხვდებით კითხვა-პასუხის ფორმით აგებულ დიალოგს, რომელზედაც საგანგებო ყურადღებას გავამახვილებთ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეპისტოლურ დიალოგში კითხვა-პასუხი ისეთი აქტიური არ არის, როგორც ზეპირი დიალოგის დროს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან წერილებს ადრესატამდე მისასვლელად დიდი დრო სჭირდება, შესაბამისად, იგვიანებს კითხვაზე პასუხიც, რაც წერილის ავტორს კითხვის დასასმელად მოტივაციას უკარგავს.

ზეპირმეტყველების ორი ფორმის – მონოლოგისა და დიალოგის – გარდა, გამოყოფენ პოლილოგსაც, როგორც დიალოგის ერთ-ერთ გართულებულ სახეობას. წინადადებაზე დიდ ერთეულებს სწავლობს სამეტყველო აქტთა თეორია, ხოლო რეპლიკების ერთობას ანუ მთელ საუბარს – საუბრის (დიალოგური მეტყველების) ანალიზი.

დიალოგის მონაწილეები არიან კომუნიკანტები: მოუბარი პირი – ადრესანტი და მსმენელი – ადრესატი. დიალოგის ძირითადი ერთეულებია: რეპლიკები (კითხვა, პასუხი და სხვ.), ჯერი (თითოეული მონაწილის რეპლიკის რიგი), ჯერობა (კომუნიკანტთა როლების ცვლა ანუ რიგითობა), დიალოგის სიგნალები, მიმართვები. დიალოგის სპეციფიკას განაპირობებს საუბრის მონაწილეთა (მოუბრისა და მსმენელის) როლების მონაცვლეობა.

დიალოგის წარმართვისათვის აუცილებელია რიგითობის დაცვა, ამიტომ საუბრის უმნიშვნელოვანესი თვისებაა მოუბართა ცვლა ანუ ჯერობა. ჯერის მიღება (საუბარში ჩაბმა) შეიძლება მოხდეს თვითარჩევნით ან მოთხოვნით (ან თხოვნით), რასაც უწოდებენ სხვის არჩევანს: მოუბარი პირი ან დიალოგის წამყვანი გადასცემს სიტყვას მომდევნო მოსაუბრეს. შეიძლება ჯერის თვითნებური მოპოვებაც (ხელში ჩაგდება).

ჯერობის ფორმები და წესები, ჩვეულებრივ, უნივერსალურია. დროში მიმდინარეობის თვალსაზრისით არსებობს:

1. უწყვეტი ცვლა;
2. ჯერის გადაფარვა;
3. დუმილის მონაკვეთის წარმოშობა (ე. წ. „საუბრის ხვრელები“);
4. მოუბარი პირის შეწყვეტინება მომდევნო კომუნიკანტის მიერ და ცრუ დასასრულიც.

დიალოგის შინაარსისა და ენობრივი გამოხატულების მიხედვით ყველაზე გავრცელებულია კითხვა-პასუხის ფორმა, ხოლო კითხვის სახეები განსხვავდება შინაარსის, სტრუქტურისა და მიზნის მიხედვით. დიალოგური მეტყველების ენობრივი ფორმებიდან აღსანიშნავია დისკუსია, საკუთარი მოსაზრების დასაბუთება არგუმენტების მოშველიებით.

დიალოგის მნიშვნელოვანი სეგმენტია თხრობა, როგორც დიალოგში ჩართული მოზრდილი მონოლოგური მონაკვეთი. მოზრდილი მონაკვეთების თხრობა განსაკუთრებით გავრცელებული იყო იმ ეპოქებში, როცა წერილი ადრესატამდე მისასვლელად დიდ გზას გადიოდა და კარგა ხანი აგვიანდებოდა. წერილის მისამართზე ჩასვლა საკმაოდ რთული იყო, ამიტომ ადრესანტს სურდა ერთიანად მოეთხრო ყველა ამბავი. ამ პრინციპითაა შედგენილი ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მის თანამედროვეთა ეპისტოლური მემკვიდრეობაც. ამ ეპოქაში წერილის ერთ-ერთ ღირსებად მისი ამომწურავი შინაარსი მიიჩნევა.

ლინგვისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით, ცნობილი გახდა, რომ დიალოგური მეტყველებისთვის დამახასიათებელია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია:

1. სწრაფვა ჭარბი ენობრივი საშუალებების გამოყენებისაკენ.
2. სწრაფვა ენობრივი საშუალებების შეზღუდული რაოდენობით გამოყენებისაკენ.

დიალოგური მეტყველება ხშირად არ არის სრული, რადგან მოსაუბრისათვის სიტუაცია ნაცნობია და ცოდნაც საერთოა. ეს უსრულობა ივსება ინტონაციით, ჟესტებითა და მიმიკებით. დიალოგის უსრულობა საკმაოდ გავრცელებულია ეპისტოლურ ჟანრში, ვინაიდან მოსაუბრეები დროისა და ადგილის დაზოგვას ცდილობენ. რადგან იგი წერილობითი სახისაა, დიალოგის უსრულობას აქ, ბუნებრივია, ვერ ავსებს ინტონაცია, ჟესტები და მიმიკები, მაგრამ ადრესანტი

მუდმივად ითვალისწინებს საკითხის შესახებ ადრესატის წინარე ცოდნას და აღარ იმეორებს მისთვის ცნობილ ინფორმაციას.

დიალოგის წარმოებისას განასხვავებენ სამ მთავარ ფაზას, რაც თითქმის კლასიკურია:

1. საწყისი ანუ შესავალი (პირველი ფაზა)

საწყისი ფაზა ყოველთვის იწყება მისალმებით, შეიძლება ყოფით სიტუაციებში ახლდეს მოკითხვა, ქათინაურები, ბოდიშები. ნაცნობებს შორის ფაზები შემოკლებულია და ხშირად გამოიყენება ფატიკური კომუნიკაციის ერთეულები, გამოიყოფა საუბრის შეწყვეტის სიგნალები. ფაზის ხანგრძლივობაზე ზეგავლენას ახდენს გარეენობრივი ფაქტორები.

2. ძირითადი ანუ შუა ნაწილი (თემის გაშლა, თემათა ცვლა, არგუმენტირება და სხვ.)

საუბრის შუა ნაწილში გადმოიცემა მთავარი სათქმელი. მისი სფერო განაპირობებს საუბრის ხასიათს (ოფიციალურ-საქმიანს, სამეცნიეროს, გასართობს, ყოფითს და სხვ.). ოფიციალურ გარემოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საუბრის შუა ფაზას, თუმცა არც საწყისი და ბოლო ფაზებია არაარსებითი.

3. დასასრული ანუ დასკვნითი ნაწილი (მესამე ფაზა).

დიალოგის დასასრული – მესამე ფაზა – შეიცავს ფატიკური კომუნიკაციის ერთეულებს (მადლობას, მობოდიშებას გამომშვიდობებას) და წარმოადგენს მთელი დიალოგის შეჯამებას.

თითოეული ფაზის ხანგრძლივობა და ფორმა დამოკიდებულია სიტუაციაზე, კომუნიკანტთა ინტენციასა და სამეტყველო ეტიკეტის წესებზე. სწორედ ამ ნიუანსების გათვალისწინებით შევეცდებით ვიკვლიოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქის დიალოგის სპეციფიკა.

ეფექტური დიალოგის დასამყარებლად მის დაწყებამდე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დიალოგის თემა, რომელიც გულდასმით შეირჩევა. არ შეიძლება დიალოგი ერთდროულად და ერთბაშად ყველა საკითხს ეხებოდეს. იგი უნდა იწყებოდეს არა იმ საკითხებით, რომლებიც ერთმანეთთან გვაპირისპირებს, არამედ იმით, რაც საერთო გვაქვს. დიალოგი განწირულია წარუმატებლობისათვის, თუ წარსული წყენისა და დაპირისპირების გახსენებით იწყება და მისი მონაწილეები

შემდეგ, სამომავლოდ აპირებენ შეხების წერტილების მოძებნას. დიალოგის ერთ-ერთი პირობაა დავიწყების უნარი. რაბინ არტურ შნაიერის სიტყვებით, „ღმერთმა ადამიანებს არა მარტო დამახსოვრების, არამედ დავიწყების ნიჭიც მოგვცა“ (შნაიერ 2003: 23). „დიალოგის წარმატებისათვის გონებამ (რაციომ) უნდა სძლიოს ემოციას“ (Dialogue with the other: Rationale and Principles. The Abu Declaration on the Arab position toward Cultural Dialogue and Diversity. 2007).

დიალოგი, როგორც სოციალური ყოველდღიურობის ენობრივი ფორმა, ურთიერთგაგებინებისა და კომუნიკაციის დამყარების საშუალებაა. თუმცა, დიალოგის მონაწილე მხარეები არ უნდა მოელოდნენ სრულ ურთიერთგაგებას, ვინაიდან იგი არ ემყარება ტოტალურ კონსენსუსს ყველა საზღვრისა და განსხვავების გადალახვით. მარტინ ბუბერის ცნობილი დეფინიციით, დიალოგი კომუნიკაციის ეფექტური ფორმაა და არა კონკრეტული მიზნის მიღწევისაკენ მიმართული გამიზნული მცდელობა.

დიალოგის ამოსავალი შეკითხვაა. თუ დიალოგში ჩართული ადამიანები არ არიან დაინტერესებულნი კითხვაზე არსებული სხვადასხვა პასუხით, განსახილველი საკითხის შესახებ ახალი ცოდნის შეძენით და უპირატესობას ანიჭებენ მზა პასუხს, რეალური დიალოგი შეუძლებელი ხდება. „ცოდნა არის კამათი დაპირისპირებული თვალსაზრისების ირგვლივ. შეკითხვები ავლენენ ყველა არსებულ შესაძლებლობას, უპირობოდ მიღებული თვალსაზრისი კი დიალოგს შეუძლებელს ხდის,“ – აღნიშნავს მკვლევარი ახმედ ჟალილი (Джалили 2003: 59).

მსმენელი დიალოგის აქტიური მონაწილეა, მაგრამ ადრე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მის როლს დიალოგში. ახლა უკვე ნათელია, რომ იგი დიალოგში პასიური არაა, არამედ ე. წ. „უკუკავშირის სიგნალებით“ გამოხატავს ყურადღებასა და ინტერესს მოუბარი პირისა და სასაუბრო თემის მიმართ. ეს სიგნალები სტიმულიცაა ახალი რეპლიკებისათვის.

კომუნიკანტთა როლები განსხვავდება თანამოსაუბრეთა უფლება-მოვალეობების მიხედვით. არსებობს თანაბარუფლებიან (სიმეტრიულ) და არათანაბარუფლებიან (ასიმეტრიულ) პარტნიორთა საუბრები. გამოიყოფა ინსტიტუციური ანუ ორგანიზებული, ე. ი. ოფიციალურად დადგენილი, დაკანონებული როლები. ამ მხრივ საინტერესო მასალებს გვაძლევს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის

ოფიციალურ-სამსახურებრივი დოკუმენტები, რომლებშიც თხრობა სწორედ ოფიციალურად დაკანონებული როლების გათვალისწინებით მიმდინარეობს.

თითქმის ნებისმიერ დიალოგში ვხვდებით ე. წ. აქტიურ და პასიურ როლებს; ერთი მონაწილე არის ინიციატორი, მეორე კი რეაგირებს მის რეპლიკებზე. საუბრის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინიციატორის ოსტატობას.

ლინგვოპრაგმატიკის ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო დარგად ითვლება საუბრის ანალიზი, რომლის საკვლევი ობიექტია დიალოგური მეტყველება პარავერბალურ და არავერბალურ საშუალებებთან კომპლექსში. არავერბალური საშუალებები, ანუ კინესიკა, არის საკომუნიკაციო მნიშვნელობის მქონე მოძრაობები: ჟესტიკულაცია, მიმიკა, პოზა, სხეულის მოძრაობა, მხედველობითი კონტაქტი, პროქსემიკა (კომუნიკანთა სივრცული განლაგება), გაქტილური არხი. დიალოგური მეტყველების არავერბალურ ფაქტორთა კვლევის ისტორია არც ისე დიდი ხნისაა. ლინგვისტთა შორის ევროპელ ენათმეცნიერებზე გაცილებით ადრე დიალოგსა და მის პარალინგვისტურ-ექსტრალინგვისტურ მხარეს ყურადღება მიაქცია ლევ იაკუბინსკიმ.

ეპისტოლური დიალოგის შემთხვევაში პარავერბალური და არავერბალური ფაქტორები არ გაითვალისწინება, ვინაიდან იგი წერილობითი დიალოგის სახეობაა და აქ არ გვხვდება ჟესტიკულაცია, მიმიკა, პოზა, სხეულის მოძრაობა და სხვა. თუმცა, ზეპირი დიალოგის შემთხვევაში კომუნიკაციის არავერბალური საშუალებები ხშირ შემთხვევაში დიალოგში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

დიალოგის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული გიორგი გაჩეჩილაძეს თავის წიგნში ”სულიერი გამოცდილების სამყაროში“ (გაჩეჩილაძე 1986: ). მეცნიერი წიგნში აღნიშნავს, რომ თანამედროვე ლიტერატურაში რთული და მკრებელობითი შინაარსის ცნებად დამკვიდრდა და საგანგებო ქვეტექსტებით აღიბეჭდა დუმილის ესთეტიკა. წარსულში რელიგიური ტრადიციებით მაცხოვრებელი ყოველი ერის ყოფასა და ლიტერატურაში უხვადაა მიმობნეული დუმილის ესთეტიკასთან დაკავშირებული ნიუანსები. ამ მხრივ, ცხადია, არც ქრისტიანული კულტურაა გამონაკლისი.

დუმილი გადატანითი მნიშვნელობით გაიაზრება. იგი გარკვეული შინაგანი მდგომარეობის გამოხატულებაა. მასში ვლინდება პირადი „მე“-ს ღმერთში განლევა,

გონების ღმერთთან შერწყმა. ამ თვისებით დუმილი გაიაზრება, როგორც „მეტყველების“ უზენაეს არსებასთან ადამიანის დიალოგური მიმართულების უმაღლესი ფორმა. იგი კომუნიკაციის თავისებური სახეა. იგივე მომენტი ედო საფუძვლად პითაგორელთა ხუთწლიან დუმილის პრინციპს. მასში აქცენტირებული იყო დუმილის შემეცნებითი მნიშვნელობა. სწავლა სხვის გაგებას ნიშნავს, სხვისი გაგების უღრმესი წვდომის ფორმა კი დუმილია.

ამდენად, „დუმილი სულიერი და ინტუიციური ჭვრეტის გამოვლენაა, როდესაც მაქსიმალურად მობილიზებული პიროვნება შინაგანი ხილვის გზით აღწევს განსაკუთრებულ ტრანსს და წვდება მასში და მის გარეთ არსებულ ლოგოსს. ადამიანი მოიაზრებს ფარული ჭეშმარიტების პათოსს, რომელიც ემპირიულობის ზედაპირზე არჩნს“ (გაჩეჩილაძე 1986: 5). აზრის უსიტყვოდ, დუმილით, გადაცემის საკომუნიკაციო ფუნქცია აშკარად უკავშირდება არაცნობიერი ფსიქიკის სფეროს. დუმილის კომუნიკაციის განცდა ნიშნავს ამ კომუნიკაციის მაძიებელთა თანხვედრას, შეხების წერტილს განწყობის შინაარსში.

ამდენად, განწყობის ერთიანობა გამოდის დუმილში კომუნიკაბელობის საფუძვლად. ესაა მინიშნება იმ პირველად მთლიანობაზე, რომელშიც არაცნობიერი და ცნობიერი ჯერ არ არიან დანაწევრებულნი. სიტყვის უკმარისობის გრძნობა გაჩნდა მაშინვე, როცა იგრძნეს, რომ იგი აზრისა და გრძნობის გამოხატვის ფუნქციას სრულყოფილად ვერ ასრულებს. მას არ შეუძლია მისი მნიშვნელობის სრულყოფილად დატევა. აზრისა და სიტყვის სრული დამთხვევა არ ხორციელდება. ვერც ერთი სიტყვა სრულყოფილად ვერ გამოხატავს აზრს. ამ პრინციპის აბსოლუტიზირებამ მეორე უკიდურესობა წარმოშვა. სიტყვის ადგილი დაიკავა დუმილმა, როგორც კომუნიკაციის უღრმესმა ფორმამ.

ეპისტოლური დიალოგის დუმილი ადამიანთა ყველაზე ახლო ურთიერთობაზე მეტყველებს. დუმილში ჩანს მათი სულიერი ნათესაობა. თუ ადამიანები შინაგანად გრძნობენ ერთმანეთს, ისინი სიტყვის გარეშე, დუმილითაც ახვედრებენ ერთმანეთს საკუთარ სათქმელს.

დიალოგური მეტყველება არაა მხოლოდ ენობრივი მოვლენა, არამედ განპირობებულია სოციალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფაქტორებით. ამიტომ, გარდა ლინგვისტური ფაქტორებისა, დიალოგური მეტყველების შესწავლისას

ითვალისწინებენ მთელ რიგ გარეენობრივ ფაქტორებსაც. იგი მოიცავს საუბრის რეალურ გარემოს: სამეტყველო პირობებსა და სიტუაციას, გამოყენების სფეროს, მოუბარი პირის მიზანს (ინტენციას), კომუნიკანტთა ემოციურ მდგომარეობასა და ურთიერთდამოკიდებულებას.

ამ ფაქტორების რაოდენობისა და კლასიფიკაციის შესახებ ბევრი განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული (რ. იაკობსონი, დ. ჰაიმზი, ა. შვეიცერი, კ. იეგერი და სხვ.) კ. იეგერმა გარეენობრივი კრიტერიუმების კომბინაცია აღნიშნა ტერმინით „მეტყველების ანუ საკომუნიკაციო კონსტელაცია“, რაც გულისხმობს მოსაუბრეთა რაოდენობას, ნაცნობობის ხარისხს, რეპლიკათა მომზადებულობას, საუბრის დროსა და სხვ.

გარე ენობრივი ფაქტორები, როგორებიცაა სოციალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, დიდ გავლენას ახდენს ეპისტოლურ დიალოგზეც. მაგრამ ზეპირი დიალოგისგან განსხვავებით, ეპისტოლური დიალოგის მონაწილეს არ შეუძლია ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს ადრესატის იმუამინდელი მდგომარეობის შესახებ და მას მხოლოდ ვარაუდი დარჩენია.

დიალოგზე საუბრისას შეუძლებელია არ ვახსენოთ მეოცე საუკუნის გამოჩენილი რუსი მოაზროვნე მიხეიილ ბახტინი (1895-1975). ბახტინი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა ეპისტოლოლოგიაში, ეთიკაში, ესთეტიკასა და განათლებაში. მისი შრომები მრავალმხრივი და ტრანსდისციპლინარულია. ვილნიუსა და ოდესაში მუშაობის შედეგად იგი გაეცნო სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის, კულტურისა და კლასის რთულ სინთეზს. ფაქტობრივად აქ მიღებულმა გამოცდილებამ საფუძველი ჩაუყარა ბახტინის დიალოგიზმისა და ჰეტეროგლოსიის თეორიებს.

ბახტინისათვის დიალოგი არის „თავდაპირველი, ფუნდამენტური ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური კატეგორია, არსებობის მოვლენა, მინიმალური სიცოცხლე, მინიმალური ყოფნა“ (Бахтин М.М. Проблемы поэтики Достоевского. с. 294). მისი დიალოგური ფილოსოფია ესაა ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური და ანთროპოლოგიური ფსიქოლოგიის ორიგინალური კონცეფცია.

ბახტინი ეწინააღმდეგებოდა ნეოკანტიანურ ხაზგასმას ყოვლისმომცველ ერთიანობაზე: „შედეგების ჰეტეროგენულობის თავდაპირველი კანტიანური კონცეფცია ბევრად უფრო ახლოსაა ბახტინის შრომასთან, ვიდრე შემდგომი პერიოდის

ნეოკანტიანურ გატაცებასთან“ (Holquist 1990: 6). მეცნიერისთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა აინშტაინის მიერ ფარდობითობის რთულ განსხვავებათა აღიარება. ბახტინი აყალიბებს დასკვნას, რომ მთელის მნიშვნელობა არის შედარებითი და ესაა შედეგი ფიზიკურ, პოლიტიკურ და კონცეფციურ სხეულებს შორის „დიალოგისა“ (Holquist 1990: 20-21).

მიხეილ ბახტინი ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შესახებ თავის ესეებში ავითარებს იდეებს ადამიანის, როგორც დიალოგური არსების, შესახებ. მეცნიერი სვამს კითხვას „მე“-ს გამოსახულების შინაარსის შესახებ და მიუთითებს, რომ იგი უნდა შეიცავდეს ჩემს იდეებს ჩემი სხეულის, გარეგნობის, წარსულის, გრძნობებისა და გამოცდილებების შესახებ. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ საკუთარი გამოსახულების სახე.

ბახტინი ხაზს უსვამს მთელი ონტოლოგიურ-გენეტიკური კონტინენტის გაშუქების აუცილებლობას: მინიმალურიდან, პრიმიტიული თვითშემეცნებიდან მაქსიმუმამდე, რთულ თვითშემეცნებამდე. რთული თვითშემეცნება ავითარებს იმას, რაც უკვე გათვალისწინებული იყო მინიმუმში. თანაბრად მნიშვნელოვანია შევისწავლოთ „სხვისი“ არსებობა ჩემ გარეთ და ჩემ შიგნით, ჩემში. ბახტინი ასახავს „მე-ჩემთვის“, „მე-სხვისთვის“ და „სხვა-ჩემთვის“ სურათებს და ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „მხოლოდ „მეს“ გათვალისწინება არ მოგვცემს „ჩემის“ დროებით და სივრცით საზღვრებს და ამისათვის აუცილებელია განვიხილოთ „სხვაც.“ ვინაიდან ის ასრულებს ფუნდამენტურ როლს დიალოგის კონცეფციაში, მეტყველება და მოსმენა იქცევა თვითშემეცნების აუცილებელ კომპონენტად (Библер 1991: 135-136).

მკვლევრისათვის „გარე განყოფილების“ ფენომენი განისაზღვრება სხვა ადამიანის არსებობით. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელია „ჩემის“ არსებობისთვის. მხოლოდ სხვა ავლენს ჩემს მეს შენთან. ამრიგად, თითოეული ჩვენგანი ამტკიცებს თავის ორიგინალურობას, სისრულესა და მთლიანობას მეორის არსებობით.

ბახტინის შეხედულებების სისტემაში დიალოგი მოქმედებს, როგორც ადამიანის არსებობის უნივერსალური საშუალება, რომლის ორმაგი ბუნება მდგომარეობს საკუთარი თავისა და სხვის განუყოფლობაში, გარე და შინაგანი დიალოგის შეჯამებაში. ადამიანის, როგორც დიალოგური არსების, განსაზღვრა საშუალებას

გვაძლევს განვიხილოთ დიალოგის განმარტება, რომლის მიხედვითაც, დიალოგი ატარებს ეგზისტენციალურ-ონტოლოგიურ შინაარსს.

ბახტინის შეხედულებები დიალოგის ხასიათის შესახებ განსაკუთრებით კარგად ჩანს დოსტოევსკის შემოქმედების მაგალითზე. უდიდესი მწერლის ნაწარმოებების უნიკალურმა მახასიათებლებმა საშუალება მისცა მკვლევარს ჩამოეყალიბებინა დიალოგის პარადიგმატული კონცეფცია. იგი წერდა: „არაფერი საბოლოო სამყაროში ჯერ არ თქმულა, სამყარო ღიაა და თავისუფალი, ყველაფერი ჯერ კიდევ მომავალს ეკუთვნის და ყოველთვის იქნება მომავალში. ცხოვრება აღსავსეა ნარჩენებით, გასამრომებითა და ანომალიებით, რაც მოვლენებს დაუსრულებელს ხდის და ამიტომ ყოველთვის არის მოულოდნელობების, შეცვლისა და ტრანსფორმაციის შესაძლებლობა“ (Problems of Dostoevsky's Poetics 1981: 166). ამით ბახტინი ხაზს უსვამდა დაუსრულებლობის კონცეფციას, ანუ რაიმეზე საბოლოო დასკვნების გაკეთების შეუძლებლობას.

ბახტინი აღიარებს, რომ იდეოლოგიური და სულიერი შინაარსი გადამწყვეტ როლს ასრულებს დოსტოევსკის ნამუშევრებში, თუმცა იგი თვლის, რომ იდეა არ არის მისი რომანების მთავარი საყრდენი და აյ მთავარია ადამიანი, პიროვნება, მისი უნიკალური ინდივიდუალურობა. ბახტინის აზრით, დოსტოევსკის შემოქმედება ღრმად პერსონიფიცირებულია და მისი მიზანია, შეისწავლოს ადამიანის სულიერი ცხოვრება, მისი შინაგანი წინააღმდეგობები და მორალური დაძაბულობა. ამასთანავე დოსტოევსკის რომანებში არ არსებობს მთავარი და ერთადერთი სწორი მონო-იდეა. პირიქით, მასში მრავალი თანასწორი იდეა თანაარსებობს.

დოსტოევსკის გმირები ყოველთვის ერთმანეთის პირისპირ დგანან. ბახტინის აზრით, დოსტოევსკის გმირის თვითშეგნება მთლიანად დიალოგიზირდება. ყოველ მომენტში ის არის გარეგნული, დაძაბული და სხვაზე დამოკიდებული. დოსტოევსკის მხატვრული სამყაროს ეთიკური და ესთეტიკური ანალიზის შედეგად ბახტინი ქმნის დიალოგის ჰუმანიტარულ-ონტოლოგიურ კონცეფციას და დამაჯერებლად აჩვენებს, რომ დოსტოევსკის რომანებში დიალოგი, დიალოგური ურთიერთობები და ოპოზიციები უმთავრესია.

დიალოგიზმი არის ბახტინის დაუსრულებადობის ფორმალიზაციის სახეობა და ეს არის მისი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი თეორიული მოსაზრება. იგი

ცოცხალი მოვლენაა იმ ხნის განმავლობაში, როცა იქმნება და მიმდინარეობს და, შესაბამისად, ის არის პოტენციურად გაუთავებელი, არასრული. „როდესაც დიალოგი მთავრდება, ყველაფერი მთავრდება. ამიტომ დიალოგი, არსებითად, არ შეიძლება და არ უნდა დასრულდეს“ (Бахтин 1979: 294).

დიალოგის პროცესუალურობა განპირობებულია ადამიანის შინაგანი სამყაროს ღიაობით და თავისუფლებისა და განვითარებისაკენ მუდმივი სწრაფვით. დოსტოევსკის რომანებში პროცესუალიზმი ძირეულად განსხვავდება რაციონალისტური აზროვნების გენეტიკური პროცესუალისტური და რაციონალისტური დიალექტიკისგან. ბახტინი აღნიშნავს, რომ „დოსტოევსკის არც ერთ რომანში არ არსებობს ერთიანი სულის დიალექტიკური წარმონაქმნი. თითოეულ რომანში არსებობს დიალექტიკური ოპოზიცია, რომელიც არ წარმოადგენს ერთი მთლიანის ნაწილს. ერთი სულიერი სულისკვეთება, თუნდაც როგორც ხატი, ორგანულად უცხოა დოსტოევსკისთვის. დოსტოევსკის სამყარო ღრმად პლურალისტურია“ (Бахтин М.М. Проблемы поэтики Достоевского, с. 30-31).

ბახტინის დიალოგიზმის თეორიის მთავარი აქცენტი ენაზე მოდის. მეორადი აქცენტი არის ადამიანი, როგორც იდენტობის, სურვილებისა და ხმების დაუსრულებელი კომპლექსი. ენასთან მიმართებაში ბახტინი ამტკიცებდა, რომ ყველა დისკურსი – ლიტერატურა, ყოველდღიური საუბარი, სამხედრო ბრძანებები და ა.შ. – წარმოადგენს უამრავი ხმის დიალოგურ კომპლექსურ ნარევს. როცა ვიღაც ლაპარაკობს ან წერს, ის არ არის ამ სიტყვების ერთადერთი ავტორი და წყარო. უფრო სწორედ, მისი დისკურსი, მსგავსად მისი იდენტობისა, არსებითად არის მრავალი ხმის და ენის შერწყმა, რაც აყალიბებს მას, როგორც სუბიექტს. სუბიექტი შედგება უამრავი ხმისგან, წარსულისა და აწმყოსგან. ამგვარად, სუბიექტი წარმოადგენს დიალოგის სივრცეს, ადამიანის მეტყველება და წერა გამომდინარეობს ამ დიალოგური სივრციდან.

პოლიფონია არის ბახტინის დიალოგიზმის თეორიის მთავარი მახასიათებელი. ამ მხრივ მან გამოყო ორი სახის დისკურსი: მონოლოგური და დიალოგური. მონოლოგური დისკურსი გულისხმობს ცალკე ხმას. მასში არ გვხვდება დაპირისპირება და საპირისპირო ხმები. მონოლოგური დისკურსის მაგალითია რომელიმე პიროვნების საჯარო სიტყვით გამოსვლა. დიალოგური დისკურსი წარმოიშვება რამდენიმე არაშერწყმულ ხმას შორის. იგი არის ხმების არაპირდაპირი

გადაკვეთა. ის გამოხატავს „ცნობიერებათა სიმრავლეს“, რომელიც არ ერთიანდება მონოლოგურ ხმაში. მისი სისტემატიზირება ან დასრულება შეუძლებელია. დიალოგური დისკურსი თვალნათლივ ავლენს თავად მეტყველების განსაკუთრებულობასა და უნიკალურობას. იგი წარმოადგენს არა სისტემის მთლიანობას, არამედ დინამიკური მოვლენების ერთიანობას. დიალოგი გულისხმობს ბრძოლასა და დაპირისპირებას.

დიალოგიზმის სხვა მთავარი მახასიათებელია ჰეტეროგლოსია. იგი წარმოადგენს ენებსა და სამყაროზე შეხედულებების კომპლექსურ ნაზავს, რაც ყოველთვის (გარდა ზოგიერთი აბსტრაქტული იდეალური პირობებისა) დიალოგიზირდება, ვინაიდან თითოეული ენა განიხილება სხვათა პერსპექტივიდან. ენების ასეთი დიალოგიზაცია, ანუ დიალოგიზირებული ჰეტეროგლოსია, ქმნის კომპლექსურ ერთიანობას. ამ მოსაზრების მიხედვით, ენა არ არსებობს არც ავტორის განსაზღვრაში და არც ტექსტში. იგი არსებობს სივრცეში, სადაც ავტორი და ტექსტი ერთმანეთს გადაკვეთს. ნებისმიერი ინდივიდის ცნობიერებისათვის ენა ნორმატიული ფორმების აბსტრაქტულ სისტემას არ წარმოადგენს, არამედ იგი არის სამყაროს კონკრეტული ჰეტეროგლოტური კონცეფცია. „ყველა სიტყვას აქვს პროფესიის, ჟანრის, ტენდენციის, კონკრეტული საქმის, კონკრეტული პიროვნების, თაობის, ასაკობრივი ჯგუფის, დღისა და საათის „გემო““ (Speech Genres and other Late Essays 1986: 293).

ამ სახის დილოგზე გავლენას ახდენს არა უმცირეს ოთხი დონის განზრახულობა: ა) ისტორიული მომენტის; ბ) საზოგადოებრივი და კულტურული წყობის; გ) კულტურის, სადაც წარმოიქმნება გამონათქვამი; დ) ცალკეული მოლაპარაკისა (მოლაპარაკებისა) და მსმენელის (მსმენელების). ამგვარად, კონკრეტული ჰეტეროგლოსური მეტყველება უბიძგებს ენას მრავალფეროვნებისკენ, სხვადასხვა მნიშვნელობის პოტენციალის გაშლისკენ (დიმიტრიადისი, კამბერელისი 2010: 64.).

გამონათქვამზე თავისი შეხედულება ბახტინმა დახვეწა „ადრესულობის“ შემუშავებით, რომელიც მან განსაზღვრა, როგორც „ვიღაცისადმი მიმართვის თვისება“ (დიმიტრიადისი, კამბერელისი 2010: 64.). „ადრესულობა“ არის მიმართვის (და ვიღაცის მიმართვის ობიექტად ყოფნის) აქტი, რომელიც დიალოგურ გამონათქვამს განსაზღვრავს. იგი მოითხოვს ადრესატებს, რომლებიც ერთად მონაწილეობენ ნებისმიერი გამონათქვამისთვის მნიშვნელობის მინიჭებაში. ბახტინი აღნიშნავდა,

რომ ადრესანტი გამონათქვამის აგებისას მხედველობაში იღებს ადრესატის შესაძლებელ საპასუხო რეაქციებს.

ადრესანტი ითვალისწინებს საზოგადოების პასუხებსაც. ამას გარდა, ადრესატის არსებობა უზრუნველყოფს საკმაოდ დატვირთულ უკუკავშირებს თანამოსაუბრეებს შორის. „ავტორი/მოსაუბრე არასოდეს არაა თავისუფალი საზოგადოების გავლენისგან, ვინაიდან სოციალური სიტუაცია ადგენს გამონათქვამის ძირითად სტრუქტურას“ (Speech Genres and other Late Essays 1986: 94).

ბახტინის დიალოგის კონცეფცია ღრმად და სრულად ასახავს პიროვნების არსებით ბუნებას და მის სტრუქტურას. იგი ამჟღავნებს ადამიანის შესაძლებლობების პირობებს და მიუთითებს ადამიანზე, როგორც მთლიან არსებაზე. დიალოგის ბახტინისეული კონცეფცია არის ფუნდამენტური და ჰუმანიტარული კონცეფცია, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ეგზისტენციალური და კულტურულ-ანთროპოლოგიური შინაარსი.

### თავი 3. ეპისტოლური ჟანრი

ეპისტოლური ჟანრი წერილობითი კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი სახეა. ტერმინი „ეპისტოლური ლიტერატურა“ თანამედროვე ქართულში სამი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება:

1. სხვადასხვა გვარისა და ჟანრის ნაწარმოებები, რომლებიც შედგება წერილების ანუ ეპისტოლებისაგან.
2. მწერლების, მეცნიერებისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწეების წერილები (ცნობილია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა წერილები).
3. ჟურნალისტური ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა. ხშირია დიდი მწერლის ან მეცნიერის ე.წ. ლია წერილები.

დიალოგი შესაძლებელია იყოს ზეპირი ან წერილობითი. წერილობითი დიალოგის ერთ-ერთი სახეობაა ეპისტოლური დიალოგი, რომელიც იმთავითვე განსხვავდება ზეპირი დიალოგისგან მთელი რიგი თავისებურებებით. უპირველესად, ზეპირ დიალოგთან შედარებით იგი ბევრად უფრო გაწელილია დროში, რადგან დამოკიდებულია ადრესანტსა და ადრესატს შორის არსებულ მანძილსა და იმ დროზე, რომელსაც წერილი ადრესატამდე მისვლას ანდომებს. გასულ საუკუნეებში წერილებს ადრესატამდე ზოგჯერ თვეებიც აგვიანდებოდა, ამიტომ, ბუნებრივია, ამ წერილებში ისეთი აქტიური დიალოგი ვეღარ დგებოდა. დღესდღეობით კი ეპისტოლური დიალოგის დროში გაწელვა თანამედროვე ტექნოლოგიებს მინიმუმამდე დაჰყავს.

ეპისტოლური დიალოგის კიდევ ერთი ნიშანი მისი ფიქსირებულობაა. ზეპირი დიალოგისგან განსხვავებით, აქ ყველაფერი ფიქსირებული და მყარია. ზეპირი დიალოგი, რომელიც ბევრ სხვადასხვა თემას მოიცავს, ადვილად შეიძლება იყოს დავიწყებული. წერილობითი, ეპისტოლური დიალოგი კი ინფორმაციის შენახვის საშუალებას იძლევა. ამიტომ თანამედროვე ოფიციალურ-საქმიანი დიალოგები ხშირად ეპისტოლური ხასიათისაა. კომუნიკანტები ზეპირ დიალოგს აირჩევენ თუ ეპისტოლურს, დამოკიდებულია გადასაცემი ინფორმაციის ბუნებასა და გადამცემსა და მიმღებს შორის ურთიერთობაზე.

ეპისტოლური დიალოგის ადრესანტის რეპლიკები წერილის ადრესატისადმია მიმართული. თუმცა, დროისა და ადგილის ეკონომიკის მიზნით, აქ არ გვხვდება

რეპლიკების ისეთი მჭიდრო შინაარსობრივი კავშირი, როგორც ზეპირი დიალოგის შემთხვევაში. რეპლიკები ხშირად გადმოცემულია კითხვა-პასუხის ფორმით, თუმცა დიალოგის რომელიმე წევრმა შესაძლოა უგულეველყოს რომელიმე შეკითხვა ან კითხვის გარეშე მიაწოდოს ადრესატს დამატებითი ინფორმაცია იმავე ან სხვა საკითხის შესახებ.

ეპისტოლური დიალოგის მონაწილეები ისევ კომუნიკანტები არიან: ადრესანტი და ადრესატი. მათ გარეშე დიალოგი შეუძლებელია. გვაქვს რეპლიკებიც: კითხვა და პასუხი. შეძლებისდაგვარად დაცულია ჯერი და ჯერობა – თითოეული მონაწილის რეპლიკის რიგი. ადრესანტი, როგორც წესი, ადრესატს ეკითხება მისთვის საინტერესო საკითხებს და ელოდება მისგან პასუხს, თუმცა ჯერი შეიძლება დაირღვეს და დიალოგის რომელიმე წევრმა დროის დაზოგვის მიზნით ერთბაშად მიაწოდოს მოსაუბრეს ინფორმაცია.

ზეპირ დიალოგში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. „უკუკავშირის სიგნალებს“, რომლებიც მსმენელის ყურადღებასა და ინტერესს გამოხატავს და ერთგვარი სტიმულია ახალი რეპლიკებისათვის. ეპისტოლური დიალოგი შედარებით ნაკლებადაა დამოკიდებული „უკუკავშირის სიგნალებზე“, რადგან ადრესატს საკითხის შესახებ მსჯელობა ჯერ კიდევ მანამდე უწევს, სანამ ადრესანტის პასუხს გაიგებს. თუმცა „უკუკავშირის სიგნალები“ განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად აქტუალური იქნება ესა თუ ის საკითხი შემდეგ ეპისტოლურ დიალოგში.

თანამედროვე ლიტერატურაში დუმილის ესთეტიკის მიმოხილვის შემდეგ, საინტერესოა, როგორ იჩენს იგი თავს ეპისტოლური დიალოგის შემთხვევაში. აქ უხვადაა მიმობნეული დუმილის ესთეტიკასთან დაკავშირებული ნიუანსები. ისევე როგორც ზეპირ დიალოგში, ეპისტოლური დიალოგის დუმილი ადამიანთა ყველაზე ღრმა და ინტიმურ ურთიერთობაზე მეტყველებს. დუმილში ისმის მათი სულიერი ნათესაობისა და ურთიერთგრძნობის ექო. ამიტომაა, რომ მეგობართა დაშორებასაც, მანძილის დისტანციასაც არ აქვს მნიშვნელობა. თუ ადამიანები შინაგანად გრძნობენ ერთმანეთს, ისინი სიტყვის გარეშე, დუმილში პოულობენ ერთმანეთთან შეხების წერტილს. შინაგანი სიახლოვის განცდა აქ სწორედ დუმილის სფეროში ხორციელდება. დუმილივე არის განშორებულთა დისტანციის დარღვევის გზაც.

დუმილი ადამიანთა შინაგანი კონტაქტებისა და კომუნიკაციის უფრო მეტყველი ფორმაა, ვიდრე სიტყვების კორიანტელი.

თუკი ზეპირი დიალოგის შემთხვევაში დუმილი უბრალოდ სიჩუმით გამოიხატება, ეპისტოლურ ბარათებში მისი გამოხატვის ყველაზე გავრცელებული ფორმა სამი წერტილია. ადრესატი ხშირად სათქმელს ბოლომდე არ ამთავრებს და სამ წერტილს სვამს, რაც ადრესატისთვის იმის მინიშნებაა, რომ იგი ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს. თუმცა, შესაძლებელია, კომუნიკანტმა იმგვარად შეწყვიტოს კიდევ თხრობა, რომ შინაარსობრივადაც აშკარად გახდეს, რომ მას ამ საკითხზე წერის გაგრძელება აღარ სურს. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში გვაქვს დუმილის ესთეტიკის როგორც სამი წერტილით, ისე შინაარსობრივად ან მინიშნებით ჩართვის შემთხვევები, რომლებზეც ყურადღებას საგანგებოდ გავამახვილებთ წერილების ანალიზისას.

ეპისტოლური დიალოგური მეტყველება, ისევე როგორც ზეპირი დიალოგი, განპირობებულია სოციალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფაქტორებით. მისი შესწავლისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მთელი რიგი ნიუანსები: წერილის დაწერის პირობები და სიტუაცია, გამოყენების სფერო და წერილის სტილი (ოფიციალურია იგი თუ არაოფიციალური), მოუბარი პირის მიზანი (ინტენცია), კომუნიკანტთა ემოციური მდგომარეობა და ურთიერთდამოვიდებულება.

ეპისტოლური ჟანრი მსოფლიო ლიტერატურაში უძველესი დროიდან იღებს სათავეს. იგი, როგორც მხატვრული ლიტერატურის ჟანრი, წარმოიქმნა და გავრცელდა ძველ ბერძნულ და რომაულ, იქიდან კი – ევროპულ ლიტერატურაში. ეპისტოლური ლიტერატურის ავტორი კორესპონდენტთა მიწერ-მოწერაში არ ჩანს, რაც უშუალობის, დოკუმენტურის ეფექტს ქმნის და ტექსტს დამაჯერებლობას მატებს.

მსოფლიო ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წერილებისგან შემდგარ რომანებს: „გოეთეს ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, დოსტოევსკის „საბრალო ადამიანები“, ლაკლოს „სახიფათო კავშირები“, „ჩესტერფილდის „წერილები ჩემს ვაჟს“, ცვაიგის „უცნობი ქალის წერილი“ და ა.შ.

საუკუნეებს ითვლის ქართული ეპისტოლეც. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში ყოველთვის აქტიურად გამოიყენებოდა ეპისტოლური ჩანართები. ასეთი ძეგლებია, მაგალითად: იოანე საბანისმის „აბო თბილელის წამება“, გიორგი მერჩულის

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა. ამ ნაწარმოებებში წერილებს მხატვრული ფუნქცია აკისრია.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ეპისტოლური ჟანრი საკმაოდ განვითარდა და დაწინაურდა. ამ პერიოდში დაიწერა რომანტიკოსების, აგრეთვე სამოციანელების – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის – და მათი შემდგომი თაობის – ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა წერილები. ამ წერილების გათვალისწინების გარეშე XIX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფონის შესწავლა სრულყოფილი ვერ იქნება.

XX საუკუნე არანაკლებ მდიდარია ეპისტოლური ჟანრის ნიმუშებით. ამ დროს შეიქმნა ვასილ ბარნოვის, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა ეპისტოლები.

ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა უძვირფასესი განძია ეროვნული კულტურისათვის. დოკუმენტური დანატოვარი, რომელიც ერთგვარად შორსაა ავტორის მხატვრული ნაზრევისაგან, იმავდროულად სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მასთან და თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც გზავნილი გულწრფელი, ღრმად ადამიანური გენისა.

გარდა იმისა, რომ ამა თუ იმ მწერლის პირადი ბარათები გვეხმარება ჩავწვდეთ შემოქმედის მხატვრული ნაზრევის დეტალებს, აგრეთვე გვიქმნის მკაფიო სურათს მწერლის იმ შინაგანი ბუნების შესახებ, რომელსაც იგი დაუფარავად ამჟღავნებს ახლობელთა და მეგობართა წრეში. ამას გარდა, ვიგებთ, რა დამოკიდებულება ჰქონდა პიროვნებას მის ეპოქაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. ეპისტოლების წერის სტილის შედარების საფუძველზე ვადგენთ მის დამოკიდებულებებსა და გრძნობებს წერილების ადრესატებისადმი.

## **თავი 4. ქართული დიალოგური მეტყველება**

დიალოგი, როგორც კომუნიკაციის აქტიური სახეობა, შეუძლებელია მოექცეს რომელიმე ქვეყნის ეროვნულ და კულტურულ საზღვრებში, თუმცა ყველა ენას გააჩნია დიალოგის წარმართვის ინდივიდუალური თავისებურებები, სტილი და მახასიათებლები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორი, ქალბატონი რუსუდან ზექალაშვილი, სიღრმისეულად შეისწავლის ქართული დიალოგური მეტყველებისთვის სპეციფიკურად დამახასიათებელ ნიშნებს და ამის შესახებ საკუთარი დასკვნები მოცემული აქვს წიგნში „ქართული დიალოგური მეტყველება“ (ზექალაშვილი 2006). სწორედ აღნიშნული წიგნი დაგვეხმარება შევაფასოთ, რამდენად მიყვება ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქის დიალოგური სპეციფიკა ქართული დიალოგისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და რა განაპირობებს მათ შორის განსხვავებებს.

მეცნიერი გამოყოფს ქართული დიალოგის სამ ფაზას და განიხილავს თითოეულ მათგანს. მისი აღნიშვნით, საწყისი (პირველი) ფაზა ქართულ დიალოგებში რიტუალიზებულია, დატვირთულია მოკითხვებით, ქათინაურებითა და ბოდიშებით.

დიალოგის შუა ფაზაში ქართულ სინამდვილეში გამოიყოფა შედარებით ტაბუირებული და საჩოთირო თემები, მაგრამ პარტნიორთა სტრატეგია მიმართულია მისი ტაქტიკური შეცვლისა და სხვა თემაზე ყურადღების გადატანისაკენ.

ქართული დიალოგური მეტყველების დასასრული – მესამე ფაზა – შეიცავს ფატიკური კომუნიკაციის ერთეულებს (მადლობას, მობოდიშებას გამომშვიდობებას) და წარმოადგენს მთელი დიალოგის შეჯამებას.

ქართული ოფიციალურ-საქმიანი დიალოგებისთვის დამახასიათებელია საუბრის ფაზების რეგლამენტის დაუცველობა; არ ფიქსირდება მკვეთრი განსხვავება ყოფით საუბრებთან; ხშირად გამოიყენება ჩართული ეპიზოდები, მაგალითად ხუმრობები და ანეკდოტები.

ყოველდღიურ საუბრებში ჩვეულებრივია საწყისი და დამასრულებელი ფაზების გახანგრძლივება, რიტუალიზება, ფატიკური კომუნიკაციის სიხშირე, უწყინარი ხუმრობები, ექსპრესიულ-ემოციური ენობრივი ერთეულების (მისალმება, მოკითხვა,

მობოდიშება, ქათინაური, გამომშვიდობება) გამოყენება, ინტენსიური ჟესტიკულაცია, გულითადობისა და სიხარულის დაუფარავი გამოხატვა (ზექალაშვილი 2006: 16).

რუსუდან ზექალაშვილმა ქართულ დიალოგურ მეტყველებაში გამოყო არავერბალური საშუალებების რამდენიმე სპეციფიკური ნიშანი: ჟესტიკულაციის აქტიურობა და ინტენსიურობა, მიმიკის ექსპრესიულობა, ღიმილი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს „ზღუდის“ ფუნქცია: შეასუსტოს ნათქვამის სიმკაცრე. კატეგორიულობა, განაწყოს ადრესატი მეგობრულად ან გამოხატოს ირონია, დაცინვა, დამცირება და სხვ. ბავშვებსა და ახალგაზრდებში ჩვეულებრივია სიცილი, ტაქტიკური არხის აქტიური გამოყენება (კოცნა, ამბორი, ხელით შეხება, გულითადობის დაუფარავი გამოხატვა), დინამიკური მოძრაობები, კომუნიკანტთა ახლო დისტანცია ასიმეტრიულ და სიმეტრიულ ყოფით საუბრებში.

ოფიციალური საუბრები პარა და არაენობრივი მახასიათებლების მიხედვით თითქმის არ განსხვავდება უცხოური ენობრივი გარემოსგან: ყველა ეს საშუალება შედარებით თავშეკავებით და ზომიერად გამოიყენება (ზექალაშვილი 2006: 15).

მკვლევარი თანამედროვე ქართული დიალოგური მეტყველების პარავერბალურ მახასიათებლებში სპეციფიკურად თვლის: შედარებით აჩქარებულ ტემბრს ყოველდღიურ სიმეტრიულ დიალოგებში; მოკლე პაუზებს ყოფით საუბრებში; ოფიციალურ გარემოში, პირიქით, შეყოვნების, პაუზების, შემავსებელი ბგერებისა და სიტყვა-პარაზიტების სიხშირეს, რაც იწვევს ბორძივით საუბარს, სიტყვების გამეორებას, გამარტივებას, ხმამაღალ ლაპარაკს, ხმის მოდულაციის მრავალფეროვნებასა და ემოციურობას, უცხოური ენების ინტონაციური მოდელის გადმოღებას (მახვილს კითხვით წინადადებებში ბოლოს, შეკითხვის დროს ხმოვნების გაჭიმვას, აღმავალ ინტონაციას შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებებში), ლოგიკური მახვილის არასწორ დასმას (ზექალაშვილი 2006: 14).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, რუსუდან ზექალაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ქართული დიალოგური მეტყველებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსაუბრეთა სოციალური მახასიათებლები, როგორებიცაა: სოციალური როლი ან სტატუსი, ასაკი, განათლების დონე, სოციალური მდგომარეობა, თანამდებობა და წარმომავლობა. ამის მიხედვით არსებობს სიმეტრიული (როცა სოციალური პარამეტრები თანაბარია) და ასიმეტრიული

საუბრები (როცა სოციალური პარამეტრები არათანაბარია) (ზექალაშვილი 2006: 12). ქართულ საუბრებში ხშირად გვხვდება რეპლიკების გადაფარვა, ჯერის შეწყვეტინება, ცრუ დასასრული და სხვ (ზექალაშვილი 2006: 18).

რუსუდან ზექალაშვილი ქართული დიალოგური მეტყველების შესახებ დაასკვნის: ქართული დიალოგური მეტყველების ზოგად მახასიათებლად გამოვყავით სამეტყველო აქტის უშუალობითა და სპონტანურობით განპირობებული უნივერსალური თვისებები:

ერთი მხრივ, I. ენობრივი საშუალებების (მათ შორის – სინტაქსური კონსტრუქციების) ეკონომიურობა, სიმარტივე და ლაკონიურობა; სპონტანურ საუბრებში (მოუბარი პირისა და მსმენელის სიგნალებში) ფრაზების გამეორებები, შესწორებები, მოკლე პასუხები, ზოგჯერ დაუკავშირებელი რეპლიკები;

მეორე მხრივ კი, II. კომუნიკაციურ-სამეტყველო საშუალებათა (პრაგმემათა) სიჭარბე. სპეციფიკურ თვისებებად მიგვაჩნია: 1. მეიორატიული ან პეიორატიული ადრესირების საშუალებების სიმდიდრე; 2. ექსპრესიულ-ემოციური ვერბალური ერთეულების დიდი რაოდენობა; 3. პარავერბალური და არავერბალური (ექსტრალინგვისტური) მახასიათებლების ემოციურობა და ინტენსიურობა; 4. თავისუფალი დამოკიდებულება საუბრის ფაზებისა და რეპლიკების რეგლამენტირების მიმართ (ზექალაშვილი 2006: 32).

ქართული დიალოგური მეტყველების ვერბალური-არავერბალური პარამეტრების ანალიზი ადასტურებს ქართველების კომუნიკაბელურობას (გამონაკლისების მიუხედავად), ემპათიისა და ტოლერანტობის გამოხატვის განსაკუთრებულ უნარს სიმეტრიულ და ასიმეტრიულ დიალოგებში. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელთა შორის ამ თვალსაზრისით ბევრია საერთოც და განსხვავებულიც, რომ ქართველი მოსაუბრე ძალიან კომუნიკაბელური და ემოციურია დიალოგურ მეტყველებაში“ (ზექალაშვილი 2006: 33).

ამრიგად, ქართული დიალოგური მეტყველების სპეციფიკის გათვალისწინება დაგვეხმარება უკეთ გავაანალიზოთ მე-19 საუკუნის ეპისტოლური დიალოგი. ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის წერილებზე დაკვირვებით გამოვყოთ მათში ასახული ეპოქისა და სოციუმისთვის დამახასიათებელი ნიუანსები.

## თავი 5. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები

### 5.1. ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების სტრუქტურა

ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე შემორჩენილი პირადი წერილები მიითვლის 18 ერთეულ ეპისტოლებს. ამ წერილებს პოეტი გზავნის თავისი გულითადი მეგობრებისა და ბიძების მისამართით. ეპისტოლეები იგზავნება სულ 6 ადამიანისადმი, რომლებთანაც ნიკოლოზ ბარათაშვილი მართავს ეპისტოლურ დიალოგს, თუმცა დიალოგის პასუხები ადრესატების მხრიდან დაკარგულია და მათი შინაარსის მხოლოდ ვარაუდით აღდგენა შეგვიძლია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ადრესატები, სხვებთან ერთად, არიან ბარათაშვილის ბიძები: გრიგოლ და ზაქარია ორბელიანები. ყველაზე მეტი, 8 წერილი, ნიკოლოზ ბარათაშვილს სწორედ გრიგოლ ორბელიანისათვის აქვს გაგზავნილი. რაც შეეხება ზაქარია ორბელიანს, ჩვენამდე შემონახულია მისდამი მიწერილი 3 ბარათი.

გარდა ნათესავებისა, ბარათაშვილის 4 წერილი გაგზავნილია პოეტის ახლო მეგობრის, მაიკო ორბელიანის, მისამართით. ხოლო თითო-თითო წერილები გვაქვს შემორჩენილი მიხეილ თუმანიშვილის, ბაბალე საგინაშვილისა და ალექსანდრე საგინაშვილის მიმართ. ჩანს, რომ არსებობდა ამ შემორჩენილი ეპისტოლეების წინა მიმოწერა და ნიკოლოზ ბარათაშვილის გაგზავნილი წერილები საპასუხო ბარათებია. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შემონახულა ამ ეპისტოლური დიალოგების სრული სახე და დღეს მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა ეწერა გრიგორ იორბელიანის, ზაქარია ორბელიანის, მაიკო ორბელიანის, ბაბალე საგინაშვილისა და ალექსანდრე საგინაშვილის დაკარგულ წერილებში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემორჩენილი ეპისტოლეები იგზავნება 1831 წლიდან 1845 წლის ჩათვლით. ბარათების დედნები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმსა და ეროვნულ არქივში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები ყურადღებას იქცევს მათში რუსულ-ქართული ენის არევისა და რუსული ენის ფუნქციური მომძლავრების თვალსაზრისით. ამიტომ საინტერესო იქნება ამ მხრივ მათი მთლიანობაში განხილვა.

ამ 18 ეპისტოლებან 2 წერილი მთლიანად რუსულადაა დაწერილი, ხოლო დანარჩენებში გვაქვს დიდი რაოდენობით რუსული სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების ჩართვის შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ რუსული ფრაზები არ არის ჩართული ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ქალ ადრესატებთან, მაიკო ორბელიანსა და ბაბალე საგინაშვილთან. ეს გვაფიქრებინებს, რომ რუსული ენის მომძლავრება ძირითადად სამხედრო კარიერასთან დაკავშირებულ პიროვნებებში შეიმჩნეოდა, რადგან ამ დროს რუსული იყო ოფიციალური სამუშაო ენა რუს ჩინოვნიკებთან ურთიერთობისთვის, ამიტომ სამხედრო სამსახურში მყოფ თავის ბიძებსა და მეგობრებს – გრიგოლ ორბელიანს, ზაქარია ორბელიანს, მიხეილ თუმანიშვილსა და ალექსანდრე საგინაშვილს – პოეტი რუსული ენის დახმარებით ეკონტაქტება, ხოლო ნათესავ-მეგობარ ქალებთან მშობლიურ ენაზე კომუნიკაციას ამჯობინებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიხეილ თუმანიშვილთან გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი მთლიანად რუსულ ენაზეა დაწერილი. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ერთად სწავლის პერიოდში ამ ორი მეგობრის საკომუნიკაციო ენა ხშირად რუსული იყო. ამ მონაცემების ანალიზის შედეგად თანამედროვე მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რამდენად დიდი იყო რუსული ენის გავლენა მე-19 საუკუნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე და როგორ თანდათან მცირდებოდა ქართული ენის გამოყენება არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში, არამედ პირადი ხასიათის მიმოწერებშიც კი. ეს ფაქტი სწორედ ეპოქის დამახასიათებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიუანსს წარმოადგენს.

როგორც ვიცით, წერილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტიკეტური ნორმაა მასზე თარიღის მითითება. თარიღი შეიძლება წერილს ჰქონდეს დასაწყისში ან ბოლოში. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლეები არაერთგვაროვანია თარიღის მითითების თვალსაზრისით, ამიტომ ყურადღებას შევაჩერებთ ამ საკითხზეც. წერილებიდან მხოლოდ 11 ეპისტოლე არის დათარიღებული. არასრულად არის თარიღი მითითებული 3 წერილში, ხოლო სრულიად თარიღის გარეშეა გაგზავნილი 4 ეპისტოლე. თარიღიანი 14 წერილიდან ეს მონაცემები შვიდში – წერილის დასაწყისში, ხოლო მეორე შვიდის შემთხვევაში წერილის ბოლოშია მოცემული. არ ფიქსირდება

ადრესატების მხრივ დათარიღების აღნიშვნის ან თარიღის მითითების ადგილის თვალსაზრისით რაიმე ტენდენცია.

წერილის ერთ-ერთი ეტიკეტური ნაწილი მისამართის მიწერაა. ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის წერილებში ძირითადად იცავს ეტიკეტის ამ წესს, თუმცა 5 ბარათში ეპისტოლეს დაწერის ადგილი მითითებული არ არის. ეს, უეჭველად, იმითაა განპირობებული, რომ წერილის ადრესატმა უკვე ისედაც კარგად იცის ეპისტოლეს ავტორის სამყოფელი ადგილი. მისამართი მითითებული აქვს 13 ბარათს და აქაც სურათი არაერთგვაროვანია. 7 შემთხვევაში მისამართი დაწერილია წერილის თავში, ხოლო 6 შემთხვევაში – ბოლოში. როგორც ვხედავთ, ამ მხრივაც ტენდენცია არ ფიქსირდება.

საინტერესოა, წერილების თარიღისა და მისამართის ენობრივი თვალსაზრისით განხილვა. 12 შემთხვევაში ეს მონაცემები წერილებში ქართულ ენაზეა დაწერილი, ხოლო 2 წერილში მონაცემები რუსული ენის გამოყენებითაა ჩართული. როგორც ვხედავთ, ზოგადი ტენდენციით, თარიღისა და მისამართის მისათითებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი ძირითადად მშობლიურ ქართულს ირჩევს.

როგორც დიალოგზე საუბრისას აღვნიშნეთ, მისი მნიშვნელოვანი კომპონენტებია: მისალმება, ძირითადი შინაარსის გადმოცემა, დამშვიდობება. თუკი თვალს გადავავლებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლეების მისალმების შემთხვევებს, ვნახავთ, რომ მისალმების ფუნქციით ავტორი ადრესატისადმი გულთბილ, პატივისცემის გამომხატველ მიმართვის ფორმას იყენებს. ეს მიმართვის ფორმები განსხვავებულია ადრესატების მიხედვით.

გრიგოლ ორბელიანისადმი მისალმების ფუნქციით ნიკოლოზ ბარათაშვილი იყენებს მიმართვის ფორმებს: „მის ბრწყინვალებას, მოწყალე ხელმწიფეს გრიგოლ ორბელიანოვს! ძვირფასო ძია!“; „საყუარელო ძიავ!“; „საყვარელო ძმაო გრიგოლ!“. მაიკო ორბელიანისადმი მისალმება-მიმართვის ფორმა ოთხივე შემორჩენილ წერილში ერთი და იგივეა: „საყვარელო დაო მაიკო“. ზაქარია ორბელიანს პოეტი შემდეგნაირად მიესალმება: „საყვარელო ძმაო ზაქარია!“; უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ!“. მიხეილ თუმანიშვილს პოეტი მიმართავს: „საყვარელო მეგობარო!“; ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებს კი წერს: „საყვარელო დაო ბაბალე!“, „ძმაო ალექსანდრე!“. როგორც

ვხედავთ, პოეტი დასა და მმას უწოდებს ახლობელ-ნათესავებს და ამით მათდამი უდიდეს სიახლოვესა და სიყვარულს გამოხატავს.

ამგვარად უშუალო და სიყვარულის გამომხატველია გრიგოლ ორბელიანის წერილების მიმართვის ფორმებიც ახლობელ-ნათესავებთან. ბიძაც, ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად, მისალმების ფუნქციით იყენებს გულთბილ მიმართვებს: „ჩემო საყვარელო სვიმონ!“; „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო“; „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან“; „ჩემო საყვარელო დაო ბაბალე“ და ასე შემდეგ ეს ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი მიმართვა-მისალმება ეტიკეტის მიღებული ნორმა იყო მე-19 საუკუნის ეპისტოლური კომუნიკაციისათვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების შუა ფაზაში ერთ-ერთი ხშირი კომპონენტია მეგობრებისა და ნათესავების მოკითხვა. აგრეთვე, ჩანს, რომ მოკითხვა შემოუთვლიათ ნიკოლოზისთვისაც. ვფიქრობთ, ეს ფაქტი როგორც ეპისტოლური ჟანრის, ასევე სოციუმისთვის დამახასიათებელ ნიუანსზე მიგვითითებს და დავეთანხმებით რუსუდან ზექალაშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართული დიალოგური მეტყველებისთვის ახლობელთა მოკითხვები ზოგადად დამახასიათებელია. აშკარაა, რომ ახლობელთა მოკითხვა ერთგვარი ზრდილობისა და ყურადღების გამოხატულებაა და ეს არა მხოლოდ ეპისტოლური, არამედ ნებისმიერი სახის კომუნიკაციაში იჩენს თავს.

1841 წლის 18 ოქტომბერი – „გიორგი მომიკითხე, ვასილ და სხუანი ჩუენი ნაცნობნი. მამა ეგნატიმ შემოგითვალა: „ქრისტემ გა-კურ-თხოს! ჩვენიანებმა ყველამ მოგიკითხეს,“ – წერს ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 159).

1842 წლის 2 მაისი – „ელიზბარს გმადლობ მოკითხვისათვის“ – გრიგოლ ორბელიანს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 142).

1842 წლის 31 ოქტომბერი – „თუ ნინუცას, ანუ (რადგანაც ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე“, – მაიკო ორბელიანს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 144).

1843 წლის 21 აგვისტო – „მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს“, – გრიგოლ ორბელიანს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147).

1844 წლის 10 მაისი – „მამამ, ფეფომ პირს გაკოცეს. კატომ მოგიკითხა: ისევ შენ, თორემ სხვანი ჩუსუმები არიანო“, – ზაქარია ორბელიანს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147).

1844 წლის 23 მაისი – „ფ[ეფო]მ და მ[აშო]მ მოგიკითხეს“, – გრიგოლ ორბელიანს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 155).

1844 წლის აგვისტო – „თუ გიორგი ნახო, ჩემ მაგიერად დიდი მოკითხვა. იაკი[ნ]ტემ ამ წიგნის წერაში ასე მითხრა: ჩემ მაგიერ მოკითხვა მისწერეო და ასე შეუთვალე, რომ ცალკე წიგნისათვის არა მცალიან, ბევრი საქმეები მაქვსო“, – ზაქარია ორბელიანს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158).

1845 წლის 9 თებერვალი – „ტასო მოიკითხე და მადლობა უთხარ მოგონებისათვის“; „უფალმა ნაჩალნიკმა მოკითხვა შემოგითვალათ“, – მაიკო ორბელიანს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160). „უფალმა ჩინოვნიკმა“ ხუმრობით ნათქვამი მიმართვა უნდა იყოს.

1845 წელი – „ვისაც ვახსოვდე, მომიკითხე, და ვისაც არა... რაც მოუვიდეთ, მოუვიდეთ!“ – მაიკო ორბელიანს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 163). აქ იგრძნობა ბარათაშვილის გაღიზიანება, რომლის მიზეზიც სამშობლოსაგან მოშორებული ადამიანის მიერ უყურადღებობის განცდაა.

1845 წლის 23 აგვისტოს – „ძალუა ნინო მომიკითხე და უთხარ, სენკოვსკი უკეთ არის“, – ბაბალე საგინაშვილს (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 165).

ამგვარი მოკითხვები მრავლადაა წარმოდგენილი გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაშიც. მაგალითად, 1852 წლის 27 თებერვალს გრიგოლი ბაბალე საგინაშვილს წერს: „ჩემს საყუარელს, საკუთარს ძალუას ელისაბედს დიდის გულითადის სიყვარულით მოვიკითხავ: ეგრევე ჩემს საყვარელს ძმას ალექსანდრეს“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა; ტ. IV; 2013;

68). იმავე წლის 12 თებერვალს ქეთევან ორბელიანს მოკითხვას აბარებს: „გოპარაღას, ჩვენს ხელმწიფას, ჩვენის ბედნიერებისა ვასკულავსა, ჩემმაგიერ მოკითხვა განუცხადეთ ფეხზე დგომითა და მძიმედ თავის დაკვრითა. ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა; ტ. IV; 2013; 63). გრიგოლ ორბელიანის წერილებში ასეთი გულთბილი მოკითხვის უამრავი ეპიზოდი გვხვდება.

აღარ შევაჩერებთ ყურადღებას მოკითხვებში დასახელებული პიროვნებების ვინაობის განმარტებებზე. მათ შესახებ ჩვენ დეტალურად თითოეული წერილის ცალ-ცალკე განხილვისას ვისაუბრებთ. ამ თავში კი ჩვენი მიზანი ამ ფორმების სისტემურად წარმოდგენა და იმის ხაზგასმაა, რომ მე-19 საუკუნის ეპისტოლური დიალოგის ერთ-ერთი დამახასიათებელი სპეციფიკა სწორედ მოკითხვების გადაცემა იყო.

რაც შეეხება დამშვიდობებას, ნიკოლოზ ბარათაშვილს არასდროს გამორჩება, გულთბილად გამოემშვიდობოს წერილის ადრესატს. გრიგოლ ორბელიანს იგი ემშვიდობება შემდეგი სიტყვებით: „დავშთები პატივისცემით თქვენი დისწული ნ. ბარათოვი“; მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კუალად მამულში გიხილოთ. თქვენი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი“; „შენი მარად და მარადის იქითაც ნიკოლაი“; „შენი ნ. ბარათაშვილი“; „მარად შენი ერთგული ნ. ბარათოვი“; „შენი მარადის ნ. ბარათოვი“; „შენი მარად ნ. ბარათაშვილი“. აღსანიშნავია, რომ ბიძისადმი გაგზავნილ წერილებში როგორც მისალმებები, ასევე დამშვიდობების ფორმები ხაზს უსვამს დიალოგში მონაწილე პირთა როლების გათანაბრებას: ასიმეტრიული დიალოგიდან სიმეტრიულ დიალოგამდე ფორმირების პროცესს.

მაიკო ორბელიანთან ნიკოლოზ ბარათაშვილის დამშვიდობების ფორმებია: „შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი“; შენი მარად ერთგული: თ. ნ. ბარათაშვილი“; „შენი მარადის უცვალებელი ძმა ტატო“; „შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ“. მაიკო ორბელიანისადმი როგორც მისალმება, ასევე დამშვიდობება ყოველთვის ინარჩუნებს უშუალობას და ხაზს უსვამს ადრესანტსა და ადრესატს შორის სიმეტრიული დიალოგის არსებობას, თუმცა ფორმა „თუნდაც ნიკოლოზ“ იუმორისტულია.

ზაქარია ორბელიანს ბარათაშვილი ერთგულების ხაზგასმით ემშვიდობება: „შენი მარად და მარად ნ. ბარათაშვილი“; „შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი“; „შენი მარად ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი“.

მიხეილ თუმანიშვილთან გვაქვს დამშვიდობება: „შენი ნ. ბარათაშვილი“.

ხოლო ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებთან პოეტის დამშვიდობება იდენტურია: „შენი მარადის თ. ნ. ბარათაშვილი“.

ამგვარი კეთილი სურვილებისა და სიყვარულის გამომხატველია გრიგოლ ორბელიანის წერილების დამშვიდობების ფორმებიც: „შენი კეთილის მსურველი და მარადის პატივისმცემელი ძმა გრიგოლ ორბელიანი“; „მშვიდობით შენი ძმა გრიგოლი“; „თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“; „შენი ბედნიერების მოსურვე გრიგოლ ორბელიანი“ და ასე შემდეგ.

დამშვიდობების ფორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ისევე როგორც მისალმება-მიმართვებში, დამშვიდობების დროსაც ბარათაშვილი ხშირად იყენებს მიმართვებს – დაო და ძმაო, რითაც ადრესატებთან განსაკუთრებულ სიახლოვეს უსვამს ხაზს. ასევე, იგი ხშირად ამახვილებს ყურადღებას ადრესატების მიმართ საკუთარი გრძნობების ერთგულებაზე. დამშვიდობების ამგვარი ფორმები ზოგადად ტენდენციურია მე-19 საუკუნის პირადი ხასიათის ეპისტოლეებისათვის

## 5.2. 6. ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური დიალოგი

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემორჩენილი პირადი წერილების ადრესატები მისი ბიძები და მეგობრები არიან. ჩვენამდე შემონახულია გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი 8 ეპისტოლე 1831 წლიდან 1844 წლამდე შუალედით. ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემორჩენილ ეპისტოლეებში ერთი ადრესატისადმი გაგზავნილი წერილების ყველაზე დიდი რაოდენობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გრ. ორბელიანისათვის მიწერილი წერილები ქრონოლოგიურად შემდეგნაირად ნაწილდება.

- 1831 წლის 3 სექტემბერი
- 1837 წლის თებერვალი
- 1841 წლის 28 მაისი
- 1841 წლის 18 ოქტომბერი
- 1842 წლის 2 მაისი
- 1842 წლის ივლისის პირველი დეკადა
- 1843 წლის 21 აგვისტო
- 1844 წლის 23 მაისი

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შემონახულა ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ წერილების საპასუხო გრიგოლ ორბელიანის არც ერთი წერილი, თუმცა გრიგოლი ნიკოლოზს ახსენებს სხვა ადრესატებისადმი გაგზავნილ თავის წერილებში, რომლებსაც ჩვენ პერიოდულად დაწერის თარიღის მიხედვით ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებთან ერთად მიმოვიზილავთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე შემორჩენილი გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი პირადი წერილები განეკუთვნება იმ ხანას, როცა მან გიმნაზია დაასრულა და უბრალო ჩინოვნიკად მუშაობა დაიწყო სამართლისა და განჩინების ექსპედიციის კანცელარიაში. იგი აქ 1836 წლიდან მუშაობდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ტოლ-ამხანაგებისათვის სამხედრო კარიერა საოცნებო საქმე იყო. ბარათაშვილი თავადაც ოცნებობდა არმიაში ემსახურა, მაგრამ კოჭლობის გამო იძულებული გახდა სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულიყო. მას ამის შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაც სურდა, მაგრამ ოჯახის რთული

მატერიალური მდგომარეობისა და მამის, მელიტონის, ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა. ამრიგად, პოეტს ოცნებებზე უარის თქმა და უსულგულო მოხელეთა გვერდით დასაქმება მოუწია. სწორედ ამ შინაარსს – პოეტის საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და მის შინაგან სწრაფვას სამხედრო სამსახურისადმი – გამოხატავს ბიძის, გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის არაერთი ეპისტოლე.

გრიგოლ ორბელიანი (1804-1883) ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიროვნება და მისი უფროსი მეგობარია. ეს ურთიერთობა ბევრად აღემატება ბიძა-დისშვილის ნათესაურ კავშირს და დიდ სულიერ სიახლოვეში გადაიზრდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების ყველა ეტაპზე ვხედავთ გრიგოლ ორბელიანის გავლენასა და თანადგომას. გრიგოლი ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე აქტიურადაა ჩართული თავისი დის, ეფემიას, ოჯახურ ცხოვრებაში.

ჩვენამდე შემორჩენილია გრიგოლ ორბელიანის წერილი რძლის, ქეთევან ორბელიანის მისამართით, რომელშიც ვკითხულობთ: „მოუვიდა თუ არა ეფემიას ხუთი თუმანი ჩემგან“ (სსცსა. ფონდი 482: 197-198). გრიგოლი სწერს ეფემიას ოჯახის შესახებ თავის ძმას, ზაქარია ორბელიანსაც: „ტატოს ამბავი რათ ვერ მომწერე... ეფემიას დიდი ხანია მივწერე წიგნი და ლექსები გამოუგზავნე, არც ის ვიცი, მოუვიდა თუ არა“ (სსცსა, ფონდი 481: 26). 1834 წელს გრიგოლი დის ოჯახზე ისევ თავის ძმას, ზაქარიას სწერს: „მელიტონ და ეფემია თავის შვილებით დამიკოცნე“ (ორბელიანი 1936: 11). იმავე წელს ილია ორბელიანთან წერილშიც ნახსენებია: „ტატიკოს ჩემმაგიერ აკოცე“ (ორბელიანი 1936: 15).

გრიგოლ ორბელიანის სწორედ ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ეფემიას ოჯახისადმი უნდა იყოს გათვალისწინებული ნიკოლოზ ბარათაშვილის მისდამი მიწერილი პირველი წერილის ანალიზისას, რომელიც გაიგზავნა 1831 წლის 3 სექტემბერს.

აღნიშნული წერილი რუსულ ენაზეა დაწერილი და ინახება საქართველოს ეროვნული არქივის საქმე #171-ში. ამ საქმეში დაცულია გრიგოლ ორბელიანის დოკუმენტები და 1832 წლის შეთქმულების მასალები.

ბარათი უთარიღოა, მაგრამ მისი დათარიღება ხერხდება მელიტონ ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ეპისტოლეს მიხედვით, რომლის თანმხლებ წერილსაც წარმოადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ბარათი. მელიტონის წერილი თარიღდება 1831 წლის 3 სექტემბრით. შესაბამისად, ამავე დღეს უნდა იყოს დაწერილი ნიკოლოზის ბიძისადმი გაგზავნილი წერილიც. ამავეს ცხადყოფს, მელიტონის წერილის შინაარსიც, რომელიც გრიგოლს ატყობინებს, ჩემს წერილთაც ერთად ტატოს წერილსაც გიგზავნი, რომელიც თვითონ მოგწერაო. მელიტონი იწერება: ვისთვისაც მოკითხვა მოგეწერა, ყველამ მადლობა და მოკითხვა მოგახსენეს. ჩემმა ტატომ კი წიგნი მოგწერა. მერწმუნე, თვითონ დასწერა, არავის უსწავლებია“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 130).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ დროს 14 წლისაა და მის წერილს აშკარად ეტყობა, რომ იგი პოეტის რუსულ ენაზე შესრულებული წერილების ერთ-ერთი პირველი ნიმუშია, თუმცა მამა, მელიტონი, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ტატომ ამ რუსულენოვანი წერილის დაწერა დამოუკიდებლად მოახერხა და ამით მის წარჩინებულ მოსწავლეობაზე მიუთითებს.

სანამ წერილის შინაარს განვიხილავთ, გავიხსენოთ, სად და რა მდგომარეობაში იმყოფება ამ წერილის გაგზავნისას გრიგოლ ორბელიანი. ორბელიანი ამ პერიოდში ქალაქ ნოვგოროდში დაბანაკებულ „საგანგებო ქვეით პოლკში“ მსახურობს და სწორედ სამხედრო სამსახურში მყოფ ბიძას უგზავნის წერილს ნიკოლოზ ბარათაშვილი. როგორც ვნახეთ, ეფემიასა და მელიტონს გრიგოლთან ხშირი, გულთბილი, მიმოწერა აქვთ. გრიგოლი მათზე ზრუნავს როგორც მორალური, ასევე ფინანსური კუთხითაც, ამიტომ, ბუნებრივია, ტატო მის მიმართ უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით არის განმსჭვალული.

ამგვარ დამოკიდებულებას ცხადყოფს წერილის დასაწყისშივე მიმართვის ფორმა: „მის ბრწყინვალებას, მოწყალე ხელმწიფეს გრიგოლ ორბელიანოვს!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 130). ეს ფორმა სხვა წერილებისგან გამოირჩევა მოკრძალებული ტონითა და პატივისცემის გამოხატვით. ეს არცაა გასაკვირი. ბარათაშვილი ამ დროს ჯერ მოზარდია და ბიძადისშვილის ურთიერთობა ძმურ, თანასწორ მეგობრობაში ჯერ არ გადაზრდილა.

ყურადღებას იქცევს რუსული ენის ცალსახა გავლენით ბიძის გვარის, ორბელიანის – ორბელიანოვად, ხოლო წერილის ბოლოს საკუთარი გვარის ბარათოვად მოხსენიება. როგორც ჩანს, ნიკოლოზის სოციუმში მიღებულია ქართველი გვარების რუსული გვარების დაბოლოებით შეცვლა და ეს წარჩინებულობის გამოხატულებად ითვლება. მოზარდი ნიკოლოზიც პატივისცემისა და მოკრძალების გამომხატველი სხვა სიტყვების გვერდით ბუნებრივად იყენებს საკუთარი დედის გვარის – ორბელიანის – ორბელიანოვად სახეცვლილ ფორმას და წერილის ბოლოს საკუთარ გვარსაც ბარათოვად ასახელებს.

თხრობა იწყება ცნობით, რომ ნიკოლოზი ძალიან გაუხარებია ბიძის წერილს და მას ბედნიერებასა და ჯანმრთელობას უსურვებს. როგორც ირკვევა, ეპისტოლური დიალოგი ბიძა-დისმვილს შორის გრიგოლის ინიციატივით დაწყებულა. მას პირველს მოუწერია საყვარელი დისმვილისთვის და მასთან საერთო ენის გამონახვასა და დაახლოვებას ცდილობს. ბარათაშვილის პასუხი მოწმობს, რომ მათ შორის დიალოგი შედგა.

ბარათაშვილი სთხოვს ბიძას, რომ მან ხელსაწყოები გამოუგზავნოს. როგორც მეცნიერი მაია ცერცვაძე წერს, ნახსენები ხელსაწყოები უნდა გულისხმობდეს სასკოლო ნივთებს. კერძოდ, საწერს, სახაზავსა და სახატავს, რომლებსაც გრიგოლ ორბელიანი ახსენებს იმავე წლის 5 ნოემბერს ილია ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში. ილია და ნიკოლოზი ერთად სწავლობენ და ილიას იგივე სასწავლო ინვენტარი სჭირდება (ცერცვაძე 2015: 13). როგორც წერილიდან ირკვევა, გრიგოლი აქტიურადაა ჩართული ნიკოლოზის სწავლის ამბებშიც. ტატო მას სწერს: „ჩემს წარმატებებზე რაღა მოგწეროთ, რომელიც თქვენც იცით“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 130).

წერილი მცირე მოცულობისაა და მალე სრულდება. ნიკოლოზი კეთილი სურვილებით ემშვიდობება ბიძას: „ძვირფასო ძია! ვისურვებ თქვენს კარგად ყოფნას და ბედნიერებას და სხვ. დავშთები პატივისცემით თქვენი დისწული ნ. ბარათოვი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 130). მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი მცირე მოცულობისაა, იგი ძალიან მნიშვნელოვანი მასალაა ბიძა-დისმვილის ურთიერთობის თანდათანობით დაახლოვებაზე თვალის სადევნებლად.

1837 წლის თებერვლის თვით თარიღდება გრიგოლ ორბელიანისათვის მიწერილი ჩვენამდე შემონახული ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე წერილი. როგორც ვხედავთ, პირველ და მეორე წერილებს შორის საკმაოდ დიდი შუალედია და ნიკოლოზი ამ დროს უკვე ზრდასრული ადამიანია. იგი 20 წლისაა, გიმნაზია დასრულებული აქვს და მუშაობს. მისი ბიძისადმი ურთიერთობაც თანდათან უფრო მეგობრული და უშუალო ხდება. ეპისტოლური დიალოგი კი თანაბარუფლებიან, სიმეტრიულ ხასიათს იღებს.

განვიხილოთ, სად იმყოფება ამ დროს გრიგოლ ორბელიანი. გრიგოლი 1832 წლის შეთქმულებასთან კავშირის ბრალდების გამო რუსეთის მთავრობას ჯერ ავლაბრის ყაზარმებში ჰყავდა 3 თვით დაპატიმრებული, შემდეგ კი მეშვიდე კატეგორიის „მცირე“ დამნაშავედ სცნო და სამშობლოს გარეთ სამხედრო სამსახური მიუსაჯა. ამიტომ 1833 წლიდან გრიგოლ ორბელიანს ნევის საზღვაო პოლკში, ქალაქ ვილნოში მოუწია მსახურობა. სწორედ აქ უგზავნის ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას წერილებს. თუმცა კონკრეტულად ამ წერილის გაგზავნისას გრიგორ ორბელიანი ლაშქრობაშია, რადგან ნიკოლოზი სწორედ ამით იმართლებს თავს, რომ წერილი იმისთვის დაუგვიანა, არ იცოდა სად იმყოფებოდა ბიძამისი.

გრიგოლ ორბელიანის დაღესტანში სამხედრო სამსახური 15 წელი გაგრძელდა. ის ჯერ – ოლქის მმართველი და პოლკის უფროსი, შემდეგ კი მთელი დაღესტნის ჯარების სარდალი გახდა. სამშობლოდან გადახვეწილ გრიგოლ ორბელიანს მუდმივად ენატრებოდა ახლობლები და ნათესავები. მათთან დასაკავშირებლად კი იმ დროს ერთადერთი გზა სწორედ ეპისტოლური ბარათები იყო.

ჩვენამდე შემონახულია გრიგოლ ორბელიანის ქალაქ ვილნოდან გამოგზავნილი წერილები, რომლებშიც ნახსენებია მელიტონ ბარათაშვილის ოჯახი. 1836 წელს ოჯახისადმი მოწერილ წერილში გრიგოლ ორბელიანი წერს: „ჩემს დას ეფემიას და მელიტონს სიყვარულით მოვიკითხავ. იმათ შვილებს დავკოცნი (სსცსა; ფონდი 481; 26); „მიხაკოს სიყუარულით მოვიკითხავ – ვინძლო, რომ ერთმანეთი გიყუარდესთ გულწრფელად, ასრეთ როგორც მე და ტატოს გვიყუარდა ურთიერთი. – მშვიდობით ძმებო! ღი იყოს მფარველი თქვენდა“ (სსცსა; ფონდი 481; 43).

ამ ურთიერთობის გაგრძელებაა წარმოდგენილი იმ ეპისტოლურ დიალოგში, რომელიც ბიძა-დისტვილს შორის წლების განმავლობაში გრძელდება. ბარათაშვილის აღნიშნული წერილიც ამ დიალოგის ერთ-ერთი ერთეულია.

წერილს დასაწყისში მითითებული აქვს დაწერის ადგილი და თარიღი: „ტფილისი, გარეთუბანი. 1837 წელსა თებერვლის...“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 131).

ეს წერილი გრ. ორბელიანის დაღუპვის შემდეგ მის არქივში იპოვა და ავტორის ავტოგრაფზე დაყრდნობით 1885 წელს გაზირ „დროებაში“ გამოაქვეყნა იონა მეუნარგიამ. დღეს ავტოგრაფი დაკარგულად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ წერილი ქართულადაა დაწერილი, ყურადღებას იქცევს ამ წერილში რუსული ჩანართები, რომლებიც ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურს: „я чиновник экспедиции суда и расправы“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 131).

როგორც ჩანს, სამსახურთან დაკავშირებული ფრაზები ნიკოლოზისთვის რუსულ ენაზე უფრო ბუნებრივად ჟღერს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მისი სამსახურებრივი საქმიანობა რუსულ ენაზე იმართებოდა.

წერილის დასაწყისში ნიკოლოზი ბიძას ებოდიშება წერილის დაგვიანებისთვის და თავს იმართლებს ერთი მხრივ იმით, რომ არ იცოდა ბიძის ზუსტი მისამართი, ხოლო, მეორე მხრივ, იმით, რომ საკუთარი სამსახურის საქმეებში გაერთობოდა ხოლმე, ამასობაში კი იქაური ფოსტის მოსვლა გამოეპარებოდა.

წერილის დასაწყისშივე ნიკოლოზი ბიძას ატყობინებს, რომ უკვე წელიწადნახევარია, გიმნაზია დაასრულა და სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში მუშაობს, სადაც ჩინზეცაა წარდგენილი და უახლოეს მომავალში ელოდება. ნიკოლოზი აქვე დასმენს იმასაც, რომ სამოქალაქო სამსახური მას არასოდეს ნდომებია და ყოველთვის ჯარისკაცობაზე ოცნებობდა.

როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან ცნობილია, გიმნაზია პოეტს „ქებითი ატესტატით“ 1835 წლის 6 ნოემბერს დაუმთავრებია და გამოსაცდელი ვადით საქართველოს უმაღლესი სასამართლოსა და სასჯელაღსრულების ექსპედიციაში დაუსაქმებიათ. 1836 წლის 18 იანვრიდან კი ბარათაშვილი ამ ექსპედიციის კანცელარიაში მუშაობს.

ბარათაშვილი ბიძასთან ხსნის იმ მიზეზს, რის გამოც მას ჯარისკაცობაზე უარის თქმა მოუწია. „ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 131). მაშინ ნიკოლოზს მშობლებისთვის უნივერსიტეტში გაგზავნა უთხოვია, მაგრამ მელიტონს უპასუხია: „შვილო, ხომ ჰედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება, მე ვეღარც კი გავაწიო ამ სწეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 131). ბარათაშვილი მამის სურვილს დამორჩილებია და მეტი აღარც უთხოვია, თუმცა პროტესტის გრძნობა პერიოდულად კვლავ იღვიძებდა მასში: „ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 131). როგორც ვხედავთ, წერილში ნახსენებია ბედისწერა. ბარათაშვილის ბედი თავად პოეტის სურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ბედისწერაზე ჩივილსა და მისი გადალახვის სურვილს ხშირად ვხვდებით პოეტის ლირიკაშიც. 1842 წლით დათარიღებულ ლექსში „მერანი“ ვკითხულობთ:

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი,

თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!“

(აბაშიძე, ინგოროვა 1968: 121).

როგორც ვხედავთ, სწორედ ბედისწერაა ის შავი ყორანი, რომლისგანაც თავის დაღწევას ლამობს პოეტი საკუთარ ლირიკაში და წერილში ბედისწერისა და მისი სურვილის ასრულების ოპოზიციური წყვილის შექმნაც ამ აზრთა წყობის ბუნებრივი გაგრძელებაა.

მომდევნო წერილებისგან განსხვავებით, ამ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ჯერჯერობით თავისი სამსახურით კმაყოფილია და წერს, რომ აქ ამაზე კარგ სამსახურს ვერსად იშოვნიდა და ყმაწვილი კაცისთვის პირველ სამსახურად კარგი ადგილია, თუმცა იწუნებს მოხელეთა წრის ზნეობრივ განვითარებას. როგორც ჩანს, იგი უკვე ბევრჯერ წააწყდა თანამშრომელთა მხრიდან სხვადასხვა სახის დანაშაულს და სწორედ ამას გულისხმობს მათ ზნეობრივ განვითარებაში. ბარათაშვილი ამ ყველაფერს იმისთვის წერს, რომ ბიძამ იქ დაყოვნება სიზარმაცეში არ ჩაუთვალოს. არამედ ეს მხოლოდ გარდაუვალ ბედზე დამორჩილება იყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემორჩენილ ბარათებში ხშირადაა ჩართული მისი რომელიმე ლექსი. აგრეთვე იგი ხშირად მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის მდგომარეობას. ამ მხრივ, ნიშანდობრივია აღნიშნული წერილიც. პოეტს აგონდება ზაფხულის ერთი მშვენიერი, მთვარიანი ღამე და ყაბახზე – საჯირითო მოედანზე ხეტიალი: „ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შუენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიერებოდი, სადაც მისმა შუენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედუელი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 133).

ყაბახი მაშინდელი თბილისის ერთ-ერთი ცნობილი ადგილი იყო, სადაც იმართებოდა ჯირითები. ღამით კი იქ ხალხი სეირნობდა ხოლმე. ეს ადგილი მაშინ ორბელიანთა საკუთრებაში შედიოდა.

სატრფოში ბარათაშვილი უნდა გულისხმობდეს თავის პირველ სიყვარულს, ვინმე ნინოს. ამ ქალის შესახებ ლევან მელიქიშვილი 1846 წლის 19 იანვარს, როცა უკვე ნიკოლოზი გარდაცვლილია, გრიგოლ ორბელიანს სწერს: „ახლა გაგახარებ იმ ამბით რა პატივის გრძნობა აქვთ განსვენებულისა და მისი ნიჭისა მის ყველა მცნობებსა. 14 იანვარს (კნეინა ნინოს დღეობაზე) ჩვენ რამდენიმე ყმაწვილი ქართველები რევაზ ანდრონიკაშვილთან ვიყავით სადილად: ჩვენთან ყაფლანიც იყო, რომელსაც ვთხოვეთ „სულო ბოროტო“ ემღერა. მაგრამ წარმოიდგინე, არც იმან და არც ერთმა ჩვენთაგანმა არამც თუ ზეპირად არ იცოდა ეს მშვენიერი ლექსი – არც კი ვისმე ჰქონდა გადანაწერი და ყველანი გულით შევწუხდით, რომ განსვენებულის ნაწერები იკარგებოდა.“ წერილის სქოლიოში გვაქვს განმარტება: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა იყო ნინო; არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 133).

ბარათაშვილს ყაბახი ორბელიანის პირად სივრცედ მიაჩნია და კოჯრის ნიავი მას, პირველ რიგში, ბიძის ლექსს „იარალის“ ახსენებს. თუმცა მაშინვე განიზრახავს თავადაც დაწეროს და ბიძას გამოუგზავნოს ლექსი იმ ემოციებზე, რომლებსაც ეს ადგილი მასში აღმრავს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილში ჩართულია ლექსის „ღამე ყაბახზედ“ მთლიანი ტექსტის თავდაპირველი ვარიანტი:

„ძიავ. ყაბახი, სამშობლო შენი,  
წაგართო ავის ენისა გესლმან;  
სატრფონი მისნი შემოგარენო  
გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!“

(XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 133).

„ავი ენის გესლის“ მქონე პიროვნებებში, ალბათ, იგულისხმება 1832 წლის შეთქმულების გამცემი პირები: იასე ფალავანდიშვილი და მისი ძმა, ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, რომელთა გადაწყვეტილების შედეგად გრიგოლს სამშობლოდან გადახვეწა მოუწია.

სავარაუდოდ, ლექსის ეს რუსული ცენზურისთვის მიუღებელი სტროფები ხდება მიზეზი იმისა, რომ წერილის დასასრულს ნიკოლოზი წერს: „ძიავ, ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა. მაგრამ ფოსტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო, იქნება დაკარგულიყო, და მერმე: პ...“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 133). როგორც ვხედავთ, ქვეყანაში იმდენად მკაცრი ცენზურული რეჟიმია დამყარებული, რომ ნიკოლოზს ლექსის რამდენიმე სტროფიც კი პატიმრობას უქადის. ამიტომ იგი წერილს ფოსტას ვერ ანდობს და ბარათს ნაცნობს ატანს.

ეპისტოლურ დიალოგში დუმილის როლი და ფუნქცია ჩვენ უკვე მიმოვინილეთ. ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილის ამ მონაკვეთში დუმილის ესთეტიკას იყენებს. ამ შემთხვევაში დუმილი სიტყვის პირველი ასოს შემდეგ სამი წერტილით გამოიხატება. პ ასოში სიტყვა პატიმრობა უნდა იყოს ნაგულისხმები და ამის შემდეგ დუმილის გადაწყვეტილება იმითაა განპირობებული, რომ ამ თემაზე საუბრის გაგრძელება შესაძლოა ბიძა-დისშვილისთვის სახიფათო აღმოჩნდეს. სამი წერტილი აშკარას ხდის, რომ პოეტს ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ სურს.

წერილის ბოლოს ბარათაშვილი ბიძას წერილების მოწერას სთხოვს და სამშობლოში დაბრუნების სურვილებით ემშვიდობება. ამჯერად წერილის ბოლოს ბარათაშვილი საკუთარ გვარს არა ბარათოვად, არამედ ბარათაშვილად მოიხსენიებს. ალბათ, უკვე ზრდასრული ხვდება, რომ სწორედ „ბარათაშვილი“ გამოხატავს მის

იდენტობას და თავის გვარს არაოფიციალურ წერილში „ბარათოვად“ აღარ მოიხსენიებს.

ეს წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ზრდასრულობაში შექმნილი ჩვენამდე შემორჩენილი პირველი ეპისტოლეა, ამიტომ იგი მნიშვნელოვანია ბიძა-დისმვილის ურთიერთობის განვითარებაზე თვალის სადევნებლად. როგორც წერილიდან ვიგებთ, ნიკოლოზი ამ წერილში ბიძას ბოლო წელიწად-ნახევრის ამბებს მოუთხრობს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ხნის მანძილზე მათ შორის მიმოწერა არ ყოფილა. ბარათაშვილის წერის სტილი მიუთითებს, რომ ახალგაზრდა პოეტი ვრცლად პირველად უმხელს ბიძას თავის ოცნებებს სამხედრო კარიერისა და უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შესახებ. იგი დეტალურად ყვება ამ ამბებს, რაც მიგვანიშნებს, რომ გრიგოლმა ნიკოლოზის ფიქრებისა და ოცნებების შესახებ მანამდე ასე სიღრმისეულად არ იცის.

ნიკოლოზი ცდილობს ბიძის წინაშე წარმოდგეს, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი, რომელმაც გაითვალისწინა ოჯახის მდგომარეობა, დამორჩილდა ბედს და პირნათლად ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობებს. ჯერჯერობით ნიკოლოზის ტონში არ შეიმჩნევა ბიძისადმი წყენა, რომ იგი დისმვილს არ ეხმარება სამხედრო კარიერის დაწყებაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წერილი უნდა იყოს ერთ-ერთი პირველი ბიძა-დისმვილს შორის ზრდასრულობაში ჩამოყალიბებულ ეპისტოლურ დიალოგში.

გრიგოლ ორბელიანზე მიწერილი შემდეგი წერილი თარიღდება 1841 წლის 28 მაისით. ბარათი გაგზავნილია თბილისიდან. მისამართი და თარიღი წერილს მიწერილი აქვს ბოლოში. არ ჩანს, სად უგზავნის პოეტი ბიძას წერილს. წერილის ავტოგრაფი შენარჩუნებულია და ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (#16399).

წერილის დასაწყისი ცხადყოფს, რომ ეპისტოლური დიალოგი გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს შორის მანამდე დაწყებულა. ამ დიალოგის ორბელიანისეულმა წერილმა, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია. ბარათაშვილის წერილიდან კი ვიგებთ, რომ ბიძას დისმვილისთვის დიმიტრიევსკის ლექსები უთხოვია. ნიკოლოზი მას ებოდიშება, რომ თხოვნა ვერ შეუსრულა და ეს ლექსები ვერ

უშოვნა. რაც შეეხება ნოტებს, იგი დაწერილი საერთოდ არ უნდა იყოსო – იწერება ბარათაშვილი.

თხრობა იუმორით გრძელდება: „ერთმა ქალმა შემოგითვალა: სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 138). ბარათაშვილი ბიძას ფრანგული ენის გრამატიკის წიგნს ჰპირდება და მსუბუქი იუმორით აჯავრებს ფრანგულის სწავლის დაგვიანებული სურვილისათვის.

იუმორითაა გადმოცემული თბილისის ამბებიც – ქალების შუღლი და ერთმანეთის ჯიბრი: „დიდი დამგერებაებია ქალებისა, დიდი აყალ-მაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის თევაები, დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 138). იუმორი შესამჩნევია სპეციალურად არქაიზებულ ლექსიკაში – „დამგერებაები“, „თევაები“, „წვეულებაები“. პოეტი ამატებს იმასაც, რომ წერილს საჩქაროდ წერს და ამიტომ ამბების დაწვრილებით მოყოლისგან ამჯერად თავის შეკავება მოუწევს.

ამის შემდეგ ვიგებთ, რომ ბარათაშვილების ოჯახს საცხოვრებელი ადგილი შეუცვლია და ანჩისხატის უბანში გადასულა, იქ, „ადრე რომ აბხაზი იდგა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 138). აბხაზში იგულისხმება ანტონ აფხაზი, რომელიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო. ამ სახლში გაატარებს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებს.

სიახლეა ქართულ სალიტერატურო ცხოვრებაშიც. ბარათაშვილი ბიძას ატყობინებს, რომ ქართული ენის ნათარგმნ ნაწარმოებებს შეემატა ორი შესანიშნავი თარგმანი, კერძოდ, დიმიტრი ყიფიანის შესრულებული შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის თარგმნილი გერმანელი დრამატურგის, იოჰან ლაიზევიცის, „იულიუს ტარენტელი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს თარგმანი ჩვენამდე არ შემონახულა. ამ ნაწარმოების შესახებ იგი გრიგოლს ეკითხება, აქვთ თუ არა წაკითხული და ატყობინებს, რომ ეს ნაწარმოები 1830 წელს რუსულ ჟურნალ „ბიბლიოტეკაში“ დაბეჭდილა. ბარათაშვილს ეს ნაწარმოები ძალიან მოსწონებია, ხოლო ჭავჭავაძის ქალებს უტირიათ კიდეც. სავარაუდოა, რომ გერმანელი დრამატურგის, იოჰან ანტონ ლაიზევიცის ნაწარმოებში

გამოხატულ აზრებს თავისუფლებაზე ბარათაშვილში აღფრთოვანება გამოუწევია და მას სწორედ ამიტომაც შეურჩევია სათარგმნად ეს ნაწარმოები.

წერილში ნახსენებია დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც ბარათაშვილი „კიპიანად“ მოიხსენიებს. ეს, როგორც ჩანს, ყიფიანის გარუსულებული ვარიანტია. ნიკოლოზი წერილის ბოლოს საკუთარ სახელსაც გარუსულებული ფორმით მიაწერს: „შენი მარად და მარადის იქითაც ნიკოლაი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 138)

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას ატყობინებს, რომ რუსი სამხედრო პირის, ბალაშოვის დაღუპვის ამბავი მაიკო ორბელიანს რომ შეატყობინე, გწყევლის და დიდად გლოვობსო: „მაიკო ძალიან გწყევლის, არ ვიცი, რა მოგიწერია – ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემსხვა აღარა აკლიათ რა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 138) ეს, რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის იუმორისტული ჩანართია და იგი მაიკო ორბელიანსა და ახლობელ ქალებს აჯავრებს. დასაცინ ობიექტად კი მათი გადაჭარბებული გლოვა აქვს არჩეული.

გარდა იუმორისტული ჩანართებისა, წერილი მნიშვნელოვან ცნობას გვაძლევს ნიკოლოზ ბარათაშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. სწორედ ამ ეპისტოლეს მეშვეობით ვიგებთ „იულიუს ტარენტელის“ თარგმნის ამბავს და საშუალება გვეძლევა შევაფასოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული გემოვნება. საინტერესო იქნებოდა, თავად ნათარგმნის შეფასებაც, მაგრამ იგი გრიგოლ ორბელიანს ბაბალე საგინაშვილისათვის გადაუცია, შემდეგ კი დაკარგულა.

როგორც მეცნიერი თამარ შარაბიძე აღნიშნავს, ბარათაშვილს რომ თარგმანზე უმუშავია, ეს ფაქტი გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ამ გზით მე-19 საუკუნის მწერლები და პოეტები ქართველ მკითხველს ხშირად უმდიდრებდნენ თვალსაწიერს. თუმცა მთავარი მიზეზი, რის გამოც ნიკოლოზ ბარათაშვილმა ქართველი მკითხველისათვის გასაცნობად სწორედ ეს ნაწარმოები აირჩია, თავად ნაწარმოების შინაარსში უნდა ვეძიოთ. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, დრამის მთავარი გმირის – იულიუსისა – და ბარათაშვილის სულიერი განწყობა ერთმანეთს ზედმიწევნით ემთხვევა. რომანტიკოსი მწერლისთვის საინტერესო აღმოჩნდა ადამიანის ბუნების მრავალწახნაგოვნების ამსახველი ნაწარმოები, რომელიც სავსეა ადამიანური

ტრაგედიითა და განცდებით. ბარათაშვილისთვის ახლობელია ნაწარმოების პერსონაჟების თავისუფლების აღქმა, ბუნებისადმი სწრაფვა, შეურიგებელი ბრძოლა შინაგანი თავისუფლებისა და სიყვარულისთვის (შარაბიძე 2019: 173-180).

გრიგოლ ორბელიანისათვის მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგი ბარათი თარიღდება 1841 წლის 18 ოქტომბრით. გაგზავნის ადგილად მითითებულია თბილისი და არ არის მიწერილი ადრესატის სამყოფელი. შემორჩენილია პეტრე უმიკაშვილის მიერ ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი და ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 4911).

ბარათაშვილი ბიძას უკვე შენობით მიმართავს და წერს: „საყუარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დ[იმიტრი] ჯ [ორჯაძემ]. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებამ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 159)

ნიკოლოზის სიტყვებიდან ნათელი ხდება, რომ ეს წერილი ეპისტოლური დიალოგის ნაწილია და გრიგოლ ორბელიანის ჩვენთვის უცნობ წერილზე პასუხს წარმოადგენს. გრიგოლის წერილი ბარათაშვილისთვის მის მეგობარსა და საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი ჯორჯაძეს მოუტანია. ჯორჯაძე ბიძა-დისმვილის საერთო მეგობარი იყო. ჩანს, რომ უკვე კარგა ხანია, რუსული ცენზურის შიშით ისინი პირადი წერილების გასაგზავნად ფოსტას აღარ ენდობიან და ერთმანეთთან ურთიერთობისთვის ბარათების ახლობლების ხელით გაგზავნას ამჯობინებენ.

წერილში საუბარია 1841 წლის მაისი-ივნისისა და აგვისტო-სექტემბრის გურიის აჯანყებაზე. როგორც ცნობილია, ამ აჯანყების ჩახშობაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველი თავადაზნაურობა. ამ სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობრები. ბარათაშვილი წერს, რომ სიამაყით ივსება, როცა ამ საქმეში ქართველების ქებას ისმენს და ბიძას გადასცემს, რომ თავად ორბელიანმა და გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა, (იმერეთის მეფის სოლომონ მეორის დისწული) რომელსაც ბარათაშვილი წერილში ანდრონიკოვად მოიხსენიებს, ქართველების საბრძოლო უნარებს დიდი სახელი გაუთქვეს.

გარდა გრიგოლ ორბელიანისა და ივანე ანდრონიკაშვილისა, ბარათაშვილს ეამაყება ბრძოლებში სახელგანთქმული სხვა ნაცნობებიც: დაღესტნის ომებში ჩაბმული მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვი (მოსე არღუთაშვილ-მხარგრძელი),

ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი, ოფიცერი გიორგი საგინაშვილი და საგურამოსა და ავჭალის მებატონე გურამიშვილი.

ყველა დასახელებულ პიროვნებას ბარათაშვილი რუსული გვარების დაბოლოებით მოიხსენიებს: არღუთინსკი – არღუთაშვილის ნაცვლად, საგინოვი – საგინაშვილის ნაცვლად, გურამოვი – გურამიშვილის ნაცვლად. ბიძა-დისშვილის პირადი ბარათების კითხვისას თანამედროვე მკითხველის თვალწინ იშლება რუსიფიკირის მძლავრი გავლენა ქართულ ენაზე იმდენადაც კი, რომ წმინდად ქართული ანთროპონიმები და ტოპონიმები რუსული ვარიანტებით იჩენს თავს. ეს გავლენა აშკარაა როგორც ოფიციალური, ისე პირადი ბარათების შემთხვევაშიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ რუსული მთავრობის მოთხოვნა გვარების რუსულ ყაიდაზე დასახელების შესახებ ქართულ საზოგადოებას უკვე სამეტყველო ჩვევის დონეზე ჰქონდა გამჯდარი.

გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1841 წლის სექტემბრის თვეში იგი მართლაც მონაწილეობდა პოლკოვნიკ მოსე არღუთაშვილთან ერთად გურული გლეხების აჯანყების ჩახშობის ბრძოლებში. ამ ფაქტის შესახებ ბარათაშვილის დამოკიდებულება ბიძის დიპლომატიური უნარების მიმართ აღფრთოვანებაა.

ამ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი შენატრის ნაცნობ-მეგობრების სამხედრო კარიერას. როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი ემხრობა აჯანყების ჩახშობას რუსეთის მხრიდან. ეს გამოწვეულია იმ შინაგანი განწყობით, რომელიც 1832 წლის შეთქმულების გაცემისა და რეპრესიების შემდეგ ქართველ ინტელიგენციაში იყო გამეფებული. ნიკოლოზს უკვე იმედი აქვს გადაწურული, რომ რუსეთის წინააღმდეგ ძალისმიერ გალაშქრებას რაიმე სასიკეთო შედეგი შეიძლება მოჰყვეს. წერილის ამ მონაკვეთში იგი წერს: „ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას; შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 159). ამ უბედურებაში ბარათაშვილი სწორედ იმ რეპრესიებსა და მარწუხების მოჭერას გულისხმობს, რომელიც 1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ ქართველმა ინტელიგენციამ იწვნია. ნიკოლოზ ბარათაშვილს, ისევე როგორც იმ დროის სხვა პატრიოტებს, უკვე ქვეყნის წინსვლისა

და აღორძინების ერთადერთ გზად რუსეთის ხელისუფლებასთან შეგუება და მშვიდობიანი თანაცხოვრება ესახება.

ნიკოლოზი წერილში არ არღვევს ტრადიციას და ბიძას თბილისის ამბებს მოუთხრობს. იგი ეხება ქალაქის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებას. კერძოდ, გრაფი ალექსანდრე ადლერბერგის შვილების თბილისში ყოფნისა და პოლკის კამანდერის შეცვლის ამბავს. ზოგადად, ქვეყნის შიდა პოლიტიკური ამბები ბიძა-დისშვილის თითქმის ყველა ეპისტოლური დიალოგის შუა ფაზის ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს. როგორც ჩანს, ეს ის საკითხია, რომლის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გრიგოლ ორბელიანს საერთო ენა აქვს გამონახული და ერთმანეთისგან ყოველთვის ინტერესით ელოდებიან მსგავსი შინაარსის ცნობებს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური დიალოგის აუცილებელი თემაა, ახლობელ-ნათესავთა ამბების მოკითხვაა. ამჯერად ნიკოლოზი გრიგოლს უამბობს, რომ ყაფლან ორბელიანს ვაჟი შეეძინა და მისთვის დიდი ხანური ნათლობის გადახდას აპირებს. ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი ბარათაშვილის ბიძა იყო. მის შესახებ პოეტი ხუმრობს, ხანებმა ნათლობა არ იციანო.

ბარათაშვილის იუმორი გრძელდება პლატონ იოსელიანზე ხუმრობით. მასზე პოეტი წერს: „ჩვენს დიდის პ[ლატონ]ს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ვეღარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა. ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს, ეს აკლდა ამის ფილოსოფიურს სახეს!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160). როგორც ვხედავთ, პოეტის იუმორი პლატონ იოსელიანის უჩვეულო გარეგნობის ხაზგასმას ემყარება.

წერილში ბარათაშვილი აკეთებს თბილისური ცხოვრების მისეულ შეფასებასაც: „სხვა ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარებია“. ბარათაშვილისთვის აქაური ყოფა უკვე მოსაწყენი გამხდარა და მისი შინაგანი სამყარო სხვაგან მიისწრაფვის. მოგვიანო პერიოდის წერილებში კი ვნახავთ, რომ სამშობლოს მოშორებული პოეტის მთავარი შინაგანი ტკივილი სწორედ მშობლიურ ადგილებთან მოწყვეტა გახდება.

შედარებით ოპტიმისტური წარმოდგენა აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილს ქართული ლიტერატურის განვითარების მიმართ. მისი თქმით, ამ მხრივ საქმე სულ უფრო და უფრო კარგად მიდის და ლიტერატურით ინტერესდებიან სამსახურიდან მოცლილი, მყუდროებასა და მარტოობაში მყოფი ყმაწვილი კაცები, რომლებსაც გონებრივად არ სძინავთ. ისინი ქართულ მშობლიურ ენას თავიანთი შემოქმედებით შეეწევიან ხოლმე: „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწევიან მამულეულს ენას, რაოდენიცა ძალუმთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთა არა სძინავთ გონებით“ (აბაშიძე, ინგოროვა 1968: 175).

ამ ყმაწვილებში ნიკოლოზი უნდა გულისხმობდეს მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრების შედარებით გააქტიურებულ წევრებს: გიორგი ერისთავს, დიმიტრი ყიფიანს, ვახტანგ ორბელიანს, მიხეილ თუმანიშვილსა და სხვებს. მე-19 საუკუნის 30-40-იანი წლების ქართული ლიტერატურა მდორე ცხოვრების რიტმით მიედინება. მკაცრად შეზღუდული და ცენზურის გავლენის ქვეშა მოქცეული ყველა შემოქმედი ადამიანის მოღვაწეობა, რაც თავისთავად კლავს ლიტერატურულ დუღილს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქართველი ახალგაზრდა მოაზროვნე თაობა ახერხებს მოღვაწეობასა და განვითარებას.

ლიტერატურის შესახებ თემა გრძელდება იმით, რომ ბარათაშვილი ბიძას საკუთარ ლექსს – „ვპოვე ტაძარი“ – უგზავნის და მის შესახებ აზრს ეკითხება. ხაზს უსვამს იმასაც, რომ ბიძის აზრი ამ საკითხზე მისთვის ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

წერილი სრულდება ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგისათვის ჩვეული მოკითხვებით. ნიკოლოზი მოიკითხავს მამიდაშვილს – გიორგი საგინაშვილს, დაღესტანში გრიგოლ ორბელიანთან ერთად მებრძოლ ვასილ ყორღანაშვილსა და სხვა იქაურ ნაცნობებს. გრიგოლს თავადაც გადასცემს პლატონ იოსელიანის მამის, მამა ეგნატის დალოცვასა და მოკითხვას. შემდეგ კი გულთბილად ემშვიდობება.

აღნიშნული წერილი საინტერესოა იმით, რომ იგი შეიცავს გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა ძირითად შინაარსობრივ ასპექტს: გაზიარებულია

საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ამბები; მოთხრობილია თბილისის ყოფა და ლიტერატურის მდგომარეობა; ჩართულია იუმორისტული მონაკვეთები და ახლობელთა მოკითხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ თამამი იუმორის გარდა, წერილში გრიგოლს ბარათაშვილი უკვე მიმართავს როგორც ძმას და არა – ძიას, რაც ცხადყოფს, ამ ორი პიროვნების შინაგან დაახლოვებასა და მეგობრობას. მათ შორის უკვე აღარ არსებობს ასაკობრივი ბარიერი. ბარათაშვილი ბიძას თავის სწორ, გულითად მეგობრად აღიქვამს და მასთან სიმეტრიულ დიალოგს მართავს.

გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი შემდეგი წერილი თარიღდება 1842 წლის 2 მაისით. იგი გაგზავნილია თბილისიდან. არ ჩანს, სად უგზავნის პოეტი ბიძას წერილს. ბარათაშვილისეულმა ავტოგრაფმა, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია. შემორჩენილია მხოლოდ პეტრე უმიკაშვილის გადაწერილი ტექსტი, რომელიც ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 4911).

წერილი მოცულობით საკმაოდ ვრცელი და შინაარსით ტრაგიკულია. ბარათაშვილი ატყობინებს ბიძას ძმის, ილია ორბელიანის, დატყვევების ამბავს. ჩვენამდე შემორჩენილია ამ წლის 20 აპრილის ეფემია ორბელიანის წერილი თავისი ძმის, ზაქარია ორბელიანისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „დღეს ამ წიგნს რომ გწერდი, გრიგოლის წიგნი მოუვიდა ტატოს. შეუტყვია ილიას დაჭერა. დიდს მწუხარებას იწერება. ასე რომ ავათაც შექმნილა, და ხვეწნას, – ყოველივე დაწვრილებით წერილით შემატყობინეთო“ (ც. არქ. 176: 157) სწორედ გრიგოლ ორბელიანის წერილის პასუხად უნდა იყოს დაწერილი ნ. ბარათაშვილის აღნიშნული ეპისტოლე, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია აღვადგინოთ ბიძა-დისშვილის ეპისტოლური დიალოგი.

ილია ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი თანატოლები და უახლოესი მეგობრები იყვნენ. მას ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“. 1832 წელს ილია ორბელიანმა სამხედრო სამსახური იუნკრად დაიწყო ქართველ გრენადერთა პოლკში. ამ პერიოდიდანვე იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის დამპყრობლურ ომებში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში რუსული არმიის მთავარი მოწინააღმდეგე კავკასიის მთიელთა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხუნძი ლიდერი იმამ შამილი იყო.

1838 წელს ილია ორბელიანი დააწინაურეს ოფიცრის თანამდებობაზე. 1842 წელს კი იგი ტყვედ ჩაუვარდა შამილს. ილიამ ამ ტყვეობაში 8 თვე გაატარა და 1842 წლის 22 ნოემბერს გათავისუფლდა. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ვორონცოვის ბრძანებით მან ტყვეობის შესახებ დაწერა თავგადასავალი. ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ილია ორბელიანი იყო ის პიროვნება, რომელმაც განჯაში საფლავის ქვა დაადო ნიკოლოზ ბარათაშვილის სამარხს. ილია სწორედ განჯის მაზრის უფროსის თანამდებობას იკავებდა 1846 წლიდან. ილია ორბელიანის ცხოვრებაც, ისევე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ნაადრევად შეწყდა. 1852 წლის 8 დეკემბერს იგი თურქეთთან ბაშკადიკლარის ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა.

მის შესახებ თხრობას ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში კითხვითი წინადადებით იწყებს. პოეტს ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ ილიას დატყვევების ამბავი ჭორია და ილია ამ განსაცდელს ყაზიყუმუხელების – დაღესტნის მთიელთა – დახმარებით გადაურჩებოდა. ეს ხალხი არეულობის დროს მალავდა ხოლმე ილიას, თუმცა, როგორც ისტორიულად დასტურდება, ამჯერად სწორედ ყაზიყუმუხელებმა შეიძყრეს ილია ორბელიანი და შამილს მიჰვარეს.

ბარათაშვილი ბიძას ატყობინებს, რომ ილია ორბელიანის შესახებ დაღესტნის ომების მონაწილე კარპე კარპეს ძე ფეზეს ოფიციალური მოხსენება მხოლოდ იმას იტყობინება, რომ თავადი ორბელიანი 20 მარტს ანდალალში გაგზავნეს და ტყვედ ჩავარდა. ბარათაშვილი ბიძას რუსულ ენაზე, სიტყვა-სიტყვით ჩაურთავს წერილში ამ მოხსენების ციტირებულ ტექსტს.

ინფორმაციის მეორე წყარო, რომელიც ილია ორბელიანის დატყვევების შესახებ საქართველოში მყოფ ახლობლებს ჰქონიათ, ვიღაც ლეკი იყო. ეს ლეკი უშუალოდ შესწრებია ილიას დაჭერას. როგორც ლეკს მოუყოლია: „ილიკო რომ დაუჭერიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმუხის ხანი დაჭერილები ყოფილან. მეორე დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დაწეპილი ყმაწვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისაგან გამოტანებული; შამილს ოცისავესთვის ილიას თვალთ წინ თავები დაუყრევინებია; ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა, და ასე უწყალოდ იმიტომ მოქცევია

ავარელებს. აი ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად, ახლა მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნას!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 142).

შამილზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ილიას ამ გაბედულებას. უფიქრია, ეს კარგი ოფიცერი იქნება და იქნებ რუსებს ჩემს შვილში გავუცვალოო, ამიტომ ილიას მოკვლა გადაუფიქრებია და სამურის ოლქის უფროს სინაქსაროვთან ერთად ტყვედ დაუტოვებია. როგორც ისტორიიდან ცნობილია, რუსეთს ამ პერიოდში ტყვეობაში ჰყავდა შამილის ვაჟი ჯემალ-ედ-დინი.

ნიკოლოზს სურს ამ ამბის თხრობის შემდეგ გრიგოლი დამშვიდოს და უამბობს, რომ ილია ახლა დარღოში, შამილის რეზიდენციაში იმყოფება და ფიზიკურად არაფერი უჭირს. თბილისში კი ილიას დაჭერის ამბავი მთელ ქალაქს მოდებია და ქართველებში სიამაყე გამოუწევია. ილიას შესახებ კავკასიის მთავარმართებლის, ევგენი გოლოვინის, ცოლს უთქვამს: „მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისთანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას უთქვამს, სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასაო. მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 142).

ნიკოლოზი ცდილობს ბიძის დამშვიდებას და მას სწერს: „ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობაში არა უშავს რა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 142)

ამას მოჰყვება პეტრე უმიკაშვილის მიერ წერილიდან ამოღებული 21-სიტყვიანი აბზაცი. წერილის დედანი 1873 წელს გრიგოლ ორბელიანს პეტრე უმიკაშვილისთვის გამოსაქვეყნებლად გადაუცია. სწორედ მის ავტოგრაფზე დაყრდნობით დაიბეჭდა ეს წერილი ჟურნალ „ცისკრის“ მესამე ნომერში. აღნიშნული ტექსტია გადაბეჭდილი შემდეგ გამოცემებშიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პეტრე უმიკაშვილს დედნიდან ამოუღია წერილის მონაკვეთი, რადგან იგი პოლიტიკურად სახიფათო ინფორმაციას შეიცავდა. პეტრე უმიკაშვილს არ გაურისკავს ამ ტექსტის დედნიდან გადმოწერაც კი

და იგი გრძელი და მოკლე ხაზებით დაშიფრულად ჩაუნიშნავს. თუმცა, დღეს ამ დაშიფრული ტექსტის წაკითხვა ვერ ხერხდება.

ამოღებული მონაკვეთის შემდეგ გვაქვს რუსული მინაწერი: „აი რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“ და ჩართულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“.

წერილიდან ნათელი ხდება ლექსის დაწერის ისტორია და ის ემოციები, რომლებიც ბარათაშვილს ილიას ტყვეობის დროს დაუფლებია. ამ ემოციებს პოეტი ამგვარად გადმოსცემს: „ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 143).

ბარათაშვილი ატყობინებს გრიგოლს ზაქარიასა და იასეს ამბავსაც. ზაქარია ამ დროს სინაქსაროვის მოვალეობას ასრულებს სოფელ ახტაში. მათი მეგობარი იასე ანდრონიკაშვილიც ელისუს პროვინციის მილიციაში მუშაობს. იწერება, მათ ილიას მალე გათავისუფლების იმედი აქვთო, თუმცა თავად ნიკოლოზი ფიქრობს, რომ შამილი სანამ არ ომობს და თავის სახლშია, არ აჩქარდება.

წერილში ჩანს ბარათაშვილის პოლიტიკური შეხედულებები: „ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, რომ პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენს გარემოებას. მინისტრს შვიდს მაისს მოველით ერევანზედ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 143).

როგორც ცნობილია, 1842 წელს რუსეთის მთავრობამ ამიერკავკასიაში სამსახურებრივი ვიზიტით გამოგზავნა რუსეთის სამხედრო მინისტრი, ნიკოლოზ პირველის სატრაპი, ალექსანდრე ჩერნიშოვი და სტატს-სეკრეტერი მიხეილ პოზენი. ამ ვიზიტის დანიშნულება ამიერკავკასიის მმართველობის დებულების შესაცვლელად საქმის შესწავლა იყო. პოზენმა საქართველოში წელიწად-ნახევარი იმუშავა და შეისწავლა თბილისის საქალაქო დაწესებულებების საქმის წარმოება, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაწერილი დოკუმენტებიც. მას ისე მოსწონებია

ბარათაშვილის გულდასმით შესრულებული საქმე, რომ ბრძანება გაუცია, ქართველებისთვის სამსახურში უპირატესობა მიენიჭებინათ.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი დადებითადაა განწყობილი რუსეთიდან გამოგზავნილი მოხელის მიმართ. ეს არცაა გასაკვირი. იმ პერიოდის არისტოკრატია საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას უკვე იშვიათად წარმოიდგენს და ამ რეალობაში ნიკოლოზიც მსჯელობს სხვა პიროვნებებს შორის რომელი რუსი მოხელე იქნება საქართველოსთვის უფრო სასიკეთო შედეგების მომტანი.

რუსეთისადმი დადებითი დამოკიდებულება იკითხება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაშიც. 1842 წლით დათარიღებულ ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ვკითხულობთ:

„თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!

გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?

აპა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,

და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი:“

(აბაშიძე, ინგოროვა 1968: 123).

ეს სტროფები ხშირად გამოიყენება მკვლევართა მხრიდან პოემის „ბედი ქართლისა“ ანალიზისას და ერთგვარი გასაღებია იმის დასადგენად, თუ როგორ აფასებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგებს. როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი დიდ იმედებს ამყარებს საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ მოქცევაზე. ეს პათოსი იგრძნობა მის ლირიკაში და იდენტურადაა გადმოცემული ეპისტოლურ მემკვიდრეობაშიც.

რუსი მოხელისადმი ბარათაშვილის მოლოდინები არ გამართლდება და ცოტა მოგვიანებით პეტრე დოლგორუკოვის პამფლეტებში ვკითხულობთ: „მრავალი უწესობა ყოფილა რუსეთში, განსაკუთრებით სამხედრო დარგში, მაგრამ ასეთი ძარცვა, რომელიც შემოვიდა ჩერნიშოვის დროიდან, ძნელი წარმოსადგენია. ჩერნიშოვი იყო უაღრესად თავხედი, შეუბრალებელი, დაუნდობელი, უცოდინარი და სასტიკი“ (აბაშიძე, ინგოროვა 1968: 209).

წერილის შემდეგ ნაწილში ნიკოლოზ ბარათაშვილი დედამისს მოფერებით ფეფოთი მოიხსენიებს და მისი მწუხარების შესახებ გრიგოლს ატყობინებს: „მხოლოდ ფეფოს მწუხარება გვაწუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს

დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლევის ტყვეობა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 143)

წერილის მინაწერში ნიკოლოზი მადლობას უხდის ელიზბარ ერისთავს მოკითხვისათვის და წუხს მისი უბედობისთვის, რომ საქმე ჯერ არ გამოდის. ტატო ეხუმრება ბიძას: „ვიცი, როგორც გაჯავრდები! მაგრამ მაგ გაჯავრებულ გულზე გთხოვ მიიღო მოკითხვა შენი მტერ-მოყვარე ქალებისაგან“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 143) ამ ქალებში პოეტი უნდა გულისხმობდეს ნინო ჭავჭავაძესა და მანანა ორბელიანს, რომელთა მიმართ გრიგოლ ორბელიანი არ იყო გულგრილი, ისინი კი მხოლოდ მეგობრობას სჯერდებოდნენ. სწორედ ბიძის გრძნობების დაცინვას იყენებს ნიკოლოზ ბარათაშვილი იუმორის მასალად და ეხუმრება მას.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის აღნიშნული წერილი წარმოადგენს ბიძადისშვილს შორის ილია ორბელიანის შესახებ გამართული ეპისტოლური დიალოგის გაგრძელებას. თუმცა, ამას გარდა, თხრობაში მოხსენიებულია სხვა ნაცნობებიც.

ბარათი მნიშვნელოვანია პოლიტიკურ-ისტორიული თვალსაზრისით. მასში ასახულია რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიისადმი დამყრობლური პოლიტიკის ბევრი ისტორიული დეტალი და ამ პროცესში ქართველების აქტიური ჩართულობა. ვხედავთ ამ საკითხებისადმი თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად დამოკიდებულებასაც. ეს დეტალები გამოყენებული უნდა იყოს ამ საკითხის ისტორიული შესწავლისათვის.

ბარათის კიდევ ერთ ღირსებას მასში ჩართული ნიკოლოზ ბარათაშვილის უმნიშვნელოვანები ლექსი „მერანი“ წარმოადგენს. წერილში ასახული მწერლის განცდები ფასდაუდებელი მასალაა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული შემოქმედების შესწავლისათვის. მისი წაკითხვით მკითხველი წვდება პოეტის იმ შინაგან განცდებს, ტკივილსა და ამავდროულად სიამაყეს, რომელიც ნიკოლოზს ილია ორბელიანის დატყვევების შემდეგ დაუფლებია.

1842 წლის ივლისის პირველ დეკადაში ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერს მცირე მოცულობის მომდევნო წერილს. ამ ბარათის ავტოგრაფი დაკარგულად ითვლება. ჩვენამდე შემორჩა წერილის მხოლოდ მეორე გვერდი, რომელიც გადმოღებულია პეტრე უმიკაშვილის მიერ და ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 4911).

შემორჩენილი ერთადერთი ფურცელი ამგვარი ფორმით გადაუცია გრიგოლ ორბელიანს 1873 წელს პეტრე უმიკაშვილისათვის. პეტრე უმიკაშვილს გადმოუწერია არსებული დედანი და ზედ გაუკეთებია შენიშვნები: „ეს ცალკე ფურცელზე იყო ნაწერი. წელიწადი არ არის აღნიშნული (უნდა ვკითხო გრიგოლ ორბელიანს).“ ბარათის ბოლოს გვაქვს მინაწერი: „ამ ფურცელზე ნამდვილი ბარათაშვილის ნაწერია“ (გრ. აბაშიძე, პავლე ინგოროვა - ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი. 1968; 181). რაც შეეხება წერილში ჩართულ ლექსს, „საფლავი მეფისა ირაკლისა“, იგი უმიკაშვილს დედნიდან არ გადმოუწერია, რადგან უკვე „ცისკრის“ 1860 წლის ივლისის ნომერში იყო დაბეჭდილი.

წერილში ჩართულია ბარათაშვილის ლექსი „საფლავი ივერიისა“. გვაქვს მის შესახებ პატარა ისტორიაც: „... აი ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე, მისის თხოვნით, – ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში ისტორიული საქართველოს შესახებ ცნობათა დიდი მარაგით.“ (აბაშიძე გრ. ინგოროვა პ. – ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი; 1968; 181). ბოლო წინადადება ბარათში რუსულადაა ჩართული.

მიხეილ ბარათაშვილი იყო შთამომავალი ვახტანგ VI-ის დროს რუსეთში გადასახლებული ერთ-ერთი ქართველისა, მელქისედეკ ბარათაშვილისა. მელქისედეკ ბარათაშვილი 1724 წელს მეფე ვახტანგს გაჰყვა რუსეთში და იქვე დასახლდა. მიხეილ ბარათაშვილი დაიბადა და გაიზარდა რუსეთში, ჰქონდა ევროპული განათლება და მსახურობდა რუსეთის გუბერნიებში უმაღლეს თანამდებობებზე. მათ შორის 1839-1843 წლებში მოვლენილი იყო თბილისში, ამიერკავკასიის საბაჟოს გამგედ. სწორედ ამ პერიოდში დაუახლოვდა იგი მელიტონის ოჯახს, განსაკუთრებით კი – ნიკოლოზს. სწორედ ამ პიროვნებას მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ და წარწერა ლექსი „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზე“:

„ამავსებ ღვინით,  
აგავსებ ლხინით.  
შესვი? გაამოს“.

(აბაშიძე, ინგოროვა 1968: 127).

მიხეილ ბარათაშვილი ნიკოლოზის შესახებ სწერს მელიტონ ბარათაშვილს 1846 წელს, მაშინ, როცა პოეტი უკვე გარდაცვლილია, მაგრამ ეს მიხეილ ბარათაშვილმა არ

იცის: „მეტისმეტად გამახარებდა ჩვენი საერთო საყვარელი ნიკოლოზ მელიტონის ძე, თუ იგი შეავსებდა თავისი უხვი ცოდნითა და ნიჭით თავისი მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს...“ როგორც ვხედავთ, მიხეილ ბარათაშვილს საკმაოდ მაღალი და სწორი წარმოდგენა აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიჭით.

ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ პეტრე უმიკაშვილს დედნიდან აღარ გადმოუწერია, რადგან იგი უკვე დაბეჭდილი იყო „ცისკრის“ 1860 წლის ივლისის ნომრის 210-ე გვერდზე. უმიკაშვილს მხოლოდ შენიშვნები მიუწერია ამ ლექსის შესახებ: „აქ ის ლექსია დაწერილი ცოტაოდენი შეცვლით, რომელიც „ცისკარში“ 1860 წ. ივლისის ნომერში 210 გვერდზე, სახელად „საფლავი მეფის ირაკლისა“, ნახე ჩემი ეგზემპლარი“ (აბაშიძე, ინგოროვა 1968: 203).

წერილი გრძელდება გრიგოლისადმი იუმორისტული თხოვნით: „გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დააწკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 146) ნიკოლოზ ბარათაშვილს სურს კიდევ ერთხელ დატვეს ბიძის შემოქმედებითი ნიჭით. იგი გრძნობს, რომ სამხედრო სამსახური გრიგოლს პოეტობასთან აშორებს და ამის გამოსწორებას იუმორის დახმარებით სთხოვს.

გრიგოლ ორბელიანსაც ყოველთვის აწუხებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ნიჭი საკმარისად არ რეალიზდება: „სამწუხარო, მეტად სამწუხარო იქნება, თუ იმის ნიჭს განვითარების საშუალება არ მიეცემა, თუ მისი გონებრივი ნიჭიერება განუვითარებელი დარჩება,“ – ვკითხულობთ ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ 1835 წლის 27 ივლისს ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ გრიგოლ ორბელიანის წერილში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ნიჭზე საუბრობს გრიგოლ ორბელიანი ძმასთან, ილია ორბელიანთან, 1843 წლის ეპისტოლურიც: „ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტის ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყური დაუგდო, თორემ აღარ გაათავებენ. მაგისი იმედი მაქვს, რომ კარგად გატენილს წიგნებს მოიწერება მალიმალ“ (გაწერელია 1978: 68).

წერილს არ აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგისთვის დამახასიათებელი დამშვიდობების ფრაზები, რაც ისევ და ისევ იმის ნიშანია, რომ იგი ფრაგმენტია სხვა დაკარგული ბარათისა, თუმცა, ამის მიუხედავად, მასში

გადმოცემულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული შემოქმედების კვლევისათვის მნიშვნელოვანი მასალა. აგრეთვე, შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი პირველი შემფასებელია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი შემდეგი, ამჯერად ვრცელი, ბარათი დათარიღებულია 1843 წლის 21 აგვისტოთი. მითითებულია თარიღი და მისამართი. წერილის ავტოგრაფი დაკარგულია, ხოლო პეტრე უმიკაშვილის მიერ ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი შემორჩენილია და ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 4911).

ბარათაშვილი ბიძასთან მიმოწერას ხუმრობით იწყებს და მას ავარიის მთავარს, ემირ ავარს და ატილას ტახტზე მჯდომარეს უწოდებს, რადგან გრიგოლი სწორედ ასე მოიხსენიებდა ხუმრობით საკუთარ თავს, როცა ავარიის მმართველად დანიშნეს (გაწერელია 1978: 75).

1842 წლიდან გრიგოლ ორბელიანი რუსეთის მთავრობას ავარიის (დაღესტნის) მიწების შამილის რაზმებისგან დასაცავად ჰყავდა მივლინებული. თავისი ნიჭის წყალობით ორბელიანი აქ მალევე დაწინაურდა და ავარიის მმართველად დაინიშნა. 1842 წლის 2 ივნისიდან გრიგოლ ორბელიანი ხუნძაში, ავარიის ყოფილი ხანების რეზიდენციაში, იმყოფება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ავლენს ძალიან კარგ იუმორის გრძნობას და ეხუმრება ბიძას: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარიისაო, ემირავარო, ატილლას ტახტზედ მჯდომარეო!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147) ეს მიმართვა მიუთითებს, რომ ბიძა-დისშვილს ძალიან ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს.

წერილში შეიმჩნევა ნიკოლოზ ბარათაშვილის წყენა გრიგოლ ორბელიანისადმი. მას დისშვილი არასერიოზულ მოპყრობაში ადანაშაულებს. ეს წყენა იმას გამოუწვევია, რომ ბიძამ ნიკოლოზს სხვების მსგავსი ვრცელი წერილი არ მისწერა: „ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მიუწერლობისა, თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა, ჩემთან რომ

ფარატინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147).

როგორც ვხედავთ, ეპისტოლური დიალოგი გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს შორის უკვე დაწყებულია. ამ დიალოგის თემა კი ნიკოლოზის მომავალი ბედ-იღბალია. დიალოგი უსრულია, რადგან დაკარგულია გრიგოლ ორბელიანის წერილი, რომლიც საპასუხოდაც დისშვილს დიდი ხნის შემდეგ ეს ეპისტოლე შეუდგენია.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ დიალოგის წამოსაწყებად შეკითხვის ფუნქციაზე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ ეპისტოლეს დასაწყისად სწორედ შეკითხვის ფორმატს იყენებს. რა თქმა უნდა, იგი ვერ მიიღებს მყისიერ პასუხს დასმულ კითხვაზე, მაგრამ ეპისტოლურ დიალოგში შეკითხვა არა მყისიერი პასუხისთვის, არამედ ხშირ შემთხვევაში თემის წამოსაჭრელად გამოიყენება. ნიკოლოზსაც თავისი კითხვით ბიძისადმი საყვედურის გაცხადება სურს.

ბარათაშვილი პირდაპირ გამოხატავს თავის წყენას და საყვედურობს გრიგოლ ორბელიანს, რომ ის ასაკში შევიდა და არ აქვს შორსმჭვრეტელობის უნარი, მეტად ზრუნავდეს თავის მემკვიდრეზე, ნიკოლოზზე, რომელსაც ახლა გზის გაკვალვა სჭირდება: „მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი, და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება. საკვირველია, რომ ქართველ კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებიო, პოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლეობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147).

ბარათაშვილი უმხელს ბიძას თავის გულისთქმას სამხედრო კარიერისადმი: „ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მმინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა

ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147)

ნიკოლოზ ბარათაშვილი ვერ ეგუება იმ ბედს, რომელიც ცხოვრებამ არგუნა. ეს სამსახური მისთვის ძალიან ვიწროა. იგი აქ საკუთარ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ ავლენს. მას მეტი ასპარეზი სჭირდება, რომ ამ ვიწრო კლდე-ღრეს თავი დააღწიოს.

ბარათაშვილი სთხოვს ბიძას დაღესტნის დივიზიის უფროსთან, პავლე რენენკამფთან, სამსახურში მოსაწყობად დახმარებას. ახსენებს, რომ ბიძისგან ეს დაპირება ჯერ კიდევ დაღესტანში წასვლამდე მიიღო, მაგრამ ახლა გრიგოლს ეს დაპირება დაუვიწყებია: „ვიცი, დაგვავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება...“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147).

ბარათაშვილი კიცხავს ბიძას, რომ ამ გულახდილობისთვის მისგან დაცინვასაც მიიღებს: „მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე, და მომავალის დიდების ფიქრს რას უზამ? სხვებრ შენ იცი. – ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147).

ბარათაშვილის საყვედურების ტონი მყისიერად თემის შეცვლით გრძელდება. იგი დილობს სასაუბრო თემა შეცვალოს და ამით აირიდოს თავიდან დიალოგის ჩავარდნა, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ნებისმიერი დიალოგი განწირულია წარუმატებლობისთვის, თუ მისი მონაწილეები თავს ვერ დააღწევენ წარსულ წყენას და არ იქნებიან მონდომებულნი საერთო ენის გამონახვისათვის.

როგორც წარმოდგენილი ეპისტოლედან ჩანს, ბარათაშვილის დიალოგი გრიგოლ ორბელიანთან ამჟღავნებს ქართული ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელთა თავისებურებებს – კომუნიკაბელურობასა და ემოციურობას დიალოგურ მეტყველებაში. ბარათაშვილი ყოველთვის ითვალისწინებს ადრესატს და მხედველობაში იღებს მის შესაძლებელ საპასუხო რეაქციებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ითვალისწინებს ბიძის პასუხებს. ადრესატის შესაბამისი აღქმა უზრუნველყოფს საკმაოდ დატვირთულ უკუკავშირებს დისშვილსა და ბიძას შორის. სწორედ გრიგოლ ორბელიანის შესაძლო უკუკავშირებზე დაყრდნობით აგებს ნიკოლოზი წერილში სასაყვედურო შინაარსის თხრობას.

ეპისტოლეში ჩანს ე. წ. დიალოგის უსრულობა, რადგან ორივე მოსაუბრისთვის სიტუაცია ნაცნობია და ცოდნა საერთო. ბარათაშვილი ითვალისწინებს ბიძის ცოდნას საკითხის შესახებ და აღარ იმეორებს მისთვის ცნობილ ჭეშმარიტებას. ის არ ასახელებს გრიგოლ ორბელიანის ვისთან მოწერილი ბარათები წაიკითხა, რადგან ორბელიანმა თავადაც იცის, ვინ აკითხებდა ბარათაშვილს ბიძის წერილებს. ბარათაშვილი არ ღალატობს დიალოგის წარმოების შუა ფაზის ბოლოს ქალაქის ამბების მოყოლის მისთვის ჩვეულ ტრადიციასაც.

ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გრიგოლ ორბელიანს შორის წარმოქმნილმა უკმაყოფილებამ, რომელიც ეპისტოლეშიც აისახა, მათი ბიოგრაფიის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. იონა მეუნარგიას ჩანაწერებში ვკითხულობთ: „სამწუხაროდ, გრიგოლ ორბელიანმა ვერა და ვერ მოუხერხა რა თავის დისტულს, დაუდევნებლობით მოუვიდა უეჭველია ეს საქმე, თორემ ისეთი მაღალი ადგილი ეჭირა, რომ ადვილად შეძლებოდა იმის შემწეობას“ (მეუნარგია 1954: 188).

კიდევ უფრო მკაცრი ტონით ადანაშაულებს გრიგოლ ორბელიანს თავისი ნათესაური მოვალეობის შეუსრულებლობაში მკვლევარი კიტა აბაშიძე: „ასეთი დიდებული ადამიანი ისე განშორდა წუთისოფელს, რომ ვერა ჰპოვა ხვედრი მისი და ვერ მოიშორა მით კაეშანი. არა თუ თავის ხვედრს, თანაგრძნობასაც ვერ პოულობდა იმ ადამიანშიც კი, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გაეგო. ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი თავის დღეში არ აპატიებს გრიგოლ ორბელიანს, რომ მუდმივ მუდარას და ვედრებას ნიკოლოზ ბარათაშვილისას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ერთხელაც არ გაუწვდინა მეგობრულად და ნათესაურად ხელი, თორემ, ვინ იცის, უკეთეს პირობებში რომ ყოფილიყო, კიდევ რამდენი მეტი ღირსება შეეძინებოდა ამ მშვენიერ მგოსანს. . . მაგრამ რას ვამბობ. . . აქ მხოლოდ გრიგოლ ორბელიანს ეცხება ჩირქი, რადგან ადამიანური მოვალეობა ვერ შეასრულა, თორემ განა ბარათაშვილს ეჭირვებოდა კიდევ პოეტური ღირსება“ (აბაშიძე 1970: 142-143).

შედარებით ლოიალურად აფასებს გრიგოლ ორბელიანის ნიკოლოზისადმი დაუხმარებლობას იუზა ევგენიძე. მეცნიერი წერს: „გრიგოლს დაგვიანებია საქმის მოგვარება, ან შეიძლება კიდეც დაღესტნის მიუვალ მთებში, სამხედრო უწყებაში

კოჭლი მოხელის მუშაობა გერმანული წყობის რენენკამფს არ აწყობდა“ (ევგენიძე 1995: 66).

გრიგოლ ორბელიანის გავიცხვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი იმჟამინდელი სოციალური მდგომარეობა. ორბელიანი ამ პერიოდში უბრალო ოფიცერია, რომელსაც 1832 წლის შეთქმულების შემდეგ ნაკლებად ენდობიან რუს ჩინოვნიკთა წრეებში. მას თავადაც ამ დროს ფინანსური პრობლემები აქვს, თუმცა მაინც ახერხებს პერიოდულად ფული გაუგზავნოს საყვარელი დის, ეფემიას ოჯახს. გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ამას არაერთი ეპისტოლე ადასტურებს. დის ოჯახზე ფინანსურ დახმარებას გრიგოლი აგრძელებს ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგაც.

გრიგოლ ორბელიანის წერილები ცხადყოფს, რომ მას არასდროს ავიწყდება საყვარელი დის ოჯახის მოკითხვა. იგი აქტიურადაა ჩართული ბარათაშვილის განათლების საქმეშიც. ეს ჩანდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველ წერილშივე, როცა ბიძას საკუთარი სწავლის ამბებს მოუთხრობდა. გრიგოლ ორბელიანი ტატოს გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უკვე სამშობლოდან გადახვეწილიც, სულ კითხულობს: „რასა იქმს ტატიკო, კიდევ კოჭლობს თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს На казенном иждивении იმისი გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში – Жаль, очень жаль будет если его умственные способности останутся без развития. ნეტავი გაგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში, ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონი ჰსტეროვს ბარონს“ (ევგენიძე 1995: 65).

გრიგოლისგან განსხვავებით, ამ დროს მელიტონ ბარათაშვილს რუსული მმართველი აპარატის მეტი ნდობა აქვს მოპოვებული. „თუ ვინმეს შეეძლო დიდი მონაცემების მქონე ნიკოლოზ ბარათაშვილის გზაზე დაყენება, ეს პირველ ყოვლისა, მამამისს შეეძლო და არა რიგით ოფიცერს გრიგოლ ორბელიანს“ (ევგენიძე 1995: 65). სამწუხაროდ, მელიტონ ბარათაშვილმა სერიოზულად არ მიიღო შვილის მისწრაფება სამხედრო კარიერისადმი. უფრო მეტიც, მან ქეიფში გაფლანგა საკუთარი ქონება და მეუღლის ნამზითვი.

წერილში თხრობა ქალაქის ამბების გადმოცემით გრძელდება. თბილისში ელჩი მირზა-სალი ჩამოსულა. მთავარმართებელი მას ბალს უმართავს, მაგრამ ჩვენი ნაცნობი

ქალები, ვინც შენ გეგულება, იქ არ იქნებიანო – იწერება ნიკოლოზი. მირზა-სალის ნაცვლად იტალიელი გრაფი ჩიჩერონე რომ ჩამოსულიყო, ქალები მაშინვე ჩამოვიდოდნენო – ხუმრობს ბარათაშვილი.

ლევან მელიქიშვილი ქუთაისში გაუგზავნიათ დავალებით. გრიგოლ წერეთელი მილიციაში დაუნიშნავთ. გრიგოლის წერილი, ლევან მელიქიშვილისათვის გაგზავნილი, ბარათაშვილს გაუხსნია, წაუკითხავს და ბევრი უცინია. ილიას შესახებ ნიკოლოზი იტყობინება, რომ მან პორუჩიკობა მიიღო და 100 თუმნამდე ხელფასი ექნება, მაგრამ მის „თავში ბოსტანია, გულში სიყვარული“ – აჯავრებს თანატოლ ბიძას ნიკოლოზ ბარათაშვილი (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147). ილიას სამეურნეო საქმიანობა წამოუწყია, ამავე დროს ის მამუკა ორბელიანის ქალის შერთვას აპირებდა. სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ნიკოლოზის ენამოსწრებული ხუმრობა.

გრიგოლ ორბელიანისთვის ოჯახს საჩუქრად საფულე და ქუდი გაუმზადებია. ახლობელთა შესახებ მას ნიკოლოზი ატყობინებს, რომ კნიაზი ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი მეუღლით, სალომე ორბელიანით, მარტყოფში ჯვარობაზე ბრძანებულან. მათთან ერთად სავარსამიძის (ჭარ-ბელაქნის გამგებელი) ცოლი სიდონია, სივრიჩის ცოლი და ბეზაკის ცოლი სოფიოც ყოფილან.

წერილში სოფიო ორბელიანის სახელის ხსენება შემთხვევითი არ არის. ამ ქალზე გრიგოლ ორბელიანი აკვნიდანვე დანიშნული იყო, მაგრამ იგი ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრს, ნიკოლოზ ბეზაკს, გააყოლეს ცოლად. ამის მიუხედავად, გრიგოლი მის მიმართ გულგრილი არ არის. სწორედ ამიტომ უყვება მას დისშვილი ამ ქალის შესახებ ყველაფერს დეტალურად: „ამათ დასტაში იყვნენ ს[ავარსამი]ძის ცოლი, ს[ივრი]ჩის ცოლი დ ბ[ეზა]კის ცოლი; ეს კი მუხრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუაღამისას დაბადებულიყავ?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 148).

წერილში დეტალურადაა აღწერილი სამგზავრო ეტლში მგზავრების განლაგებაც: „იქიდგან კალასკაში კნიაზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ, და კნეინა და სავარსამიძის ცოლი ერთად უკან“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 148).

ამ სახალისო ამბების შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას მამა ეგნატის, პლატონ იოსელიანის მამის, გარდაცვალების სამწუხარო ამბავს ატყობინებს. ნიკოლოზს ამ პიროვნების შესახებ პუშკინის პოემა „ბორის გოდუნოვის“ მონოლოგის ფრაგმენტი ახსენდება და წერილში რუსულად ჩაურთავს: „აი ადამიანი, რომელიც თავისი მდგომარეობით საზოგადოებაში ყველაზე მეტად იტანჯებოდა. წარსული მიდიოდა მის წინაშე და ღელავდა, როგორც ზღვა – ოკეანე“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147).

ლერმონტოვის ლექსის რუსული პოეტური ფრაგმენტით აფასებს ნიკოლოზ ბარათაშვილი საკუთარი სამსახურის უინტერესო ყოფასა და მოწყენილობასაც: „И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 148).

ლერმონტოვის ლექსში გამოხატულ მარტოსულობასა და უიმედობას აგრძელებს წერილში ჩართული ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიც „სულო ბოროტო.“ აქ ასახულია იგივე უიმედობისა და სასოწარკვეთის კვალი, რაც მთლიანი წერილის კითხვისას იგრძნობა. ლექსის ბოლო სტროფში ვკითხულობთ:

„განვედი ჩემგან, ჰოი, მაცთურო, სულო ბოროტო!  
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,  
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?  
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!“

(აბაშიძე, ინგოროვა 1968: 128).

ნიკოლოზი ბიძას უზიარებს თავის ახალ ლექსს და წერას ასრულებს. თავს კი იმით იმართლებს, რომ ახლა მეტი დრო აღარ აქვს და სიჩქარემი აღარაფერი ახსენდება.

ბარათი სრულდება იუმორისტული ფრაზით, რომლითაც ნიკოლოზი ბიძას ისევ პოეზიისაკენ შემობრუნებას სთხოვს: „სირცხვილია რომ მაგ საშინელებაებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბრძანე, რომ დაწერონ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 149).

ბარათის პირველი გვერდის არშიაზე გვაქვს მინაწერი: „მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს. – არ გებრალება, რომ მაია ქვეშაგებად ჩავარდა! – გიორგი ზაქათალას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ

გამოსაძიებლად და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 149).

ახლობელთა მოკითხვები არშიაზეა მიწერილი, რაც იმას მიუთითებს, რომ იგი ნიკოლოზ ბარათაშვილს მოგვიანებით გახსენებია. შესაბამისად, საქმე გვაქვს წერილის ცრუ დასასრულთან. თუმცა, ცრუ დასასრული ადრესანტის თვითმიზანი არ გახლავთ და ეს სიჩქარის გამო დავიწყებული მოკითხვების წერილში ჩამატების საშუალებაა. გრიგოლს მოკითხვას უთვლიან ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლები და დები. მათ შორის ყველაზე უმცროსი აპლიკუდაც (სოფიო ბარათაშვილი), რომელიც წერილის დაწერისას მხოლოდ 2 წლისაა.

ოჯახისგან მოკითხვის გადაცემის შემდეგ ტატო ბიძას გამდელი მაიას ავადმყოფობისა და გიორგი საგინაშვილის ზაქათალაში ბატალიონის კამანდერად გაგზავნის ამბავს აცნობებს.

ამრიგად, წერილი საინტერესოა მასში ჩართული ლირიკული მონაკვეთის, ახლობელთა ამბებისა და იუმორისტული დეტალების თვალსაზრისით. გრიგოლ ორბელიანთან ნიკოლოზ ბარათაშვილი ამჟღავნებს ლალ და ხალისიან განწყობას და მიუხედავად იმისა, რომ წერილის ზოგადი შინაარსი საყვედურის ტონით იწერება, ნიკოლოზი მალევე ახერხებს ხასიათის ცვლილებას და ენაწყლიანი, ხუმარა პიროვნება ხდება. განწყობის ცვლილება წერილის სხვადასხვა მონაკვეთის დაწერის დროს ზოგადად დამახასიათებელია ბარათაშვილის ეპისტოლური მეტყველებისთვის. განწყობის ცვლილება ხდება წერილის წარმოების შუა ფაზაში, როდესაც ადრესანტი თავის შინაგან განცდებზე საუბრობს.

წერილში შემონახულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლექსი „სულო ბოროტო“. სამწუხაროდ, პოეტი აღარ აგრძელებს უფრო სიღრმისეულ თხრობას იმ განცდების შესახებ, რომლებმაც მას ლექსის დაწერა უკარნახა. მაგრამ, საყურადღებოა ის, რომ ნიკოლოზი გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ არც ამ წერილს ტოვებს თავისი ლექსის გაზიარების გარეშე, რაც მიუთითებს, რომ ბიძა-დისშვილის ეპისტოლური კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი შემოქმედების გაზიარებაა.

შემდეგი წერილი, რომელსაც ტატო საყვარელ ბიძას უგზავნის, დათარიღებულია 1844 წლის 23 მაისით. ჩვენამდე შემორჩენილია ამ ბარათის მხოლოდ ბოლო გვერდი.

წერილი ავტოგრაფის მიხედვით გაზეთ „დროების“ 144-ე ნომერში გამოქვეყნებია იონა მეუნარგიას და მასში გარკვეული მონაკვეთები ინიციალებითა და შემოკლებებით აღუნიშნავს. ბარათაშვილის წერილებში ამ ბარათის ყველა შემდგომდროინდელი გამოქვეყნება ამ პუბლიკაციას ემყარება. ბარათაშვილის ავტოგრაფი დღეს უკვე დაკარგულად ითვლება.

ამ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი წერას ირონიული ტონით იწყებს. მართალია, იგი ებოდიშება ბიძას წერილის დაგვიანებისთვის, მაგრამ მობოდიშება თვითირონიული განმარტებით გრძელდება: „სიზარმაცეში, ანუ უნდობლობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას. – დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი: შენ, ჭიანჭველავ, რა საქმე გაქვსო? კიდეც ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ, ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო. – ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 155).

ნიკოლოზ ბარათაშვილი დამცინავი ტერმინით, ხახვების ფრანტებად მოიხსენიებს საომრად წასულ ახალგაზრდებს, რომლებიც თავიანთი აღნაგობითა და ცხოვრების სტილით აქამდე დახვეწილ არისტოკრატიას წარმოადგენდნენ, ახლა კი თავის გამოსაჩენად ბრძოლა მოუნდომებიათ. ამ ტერმინით პოეტი ხაზს უსვამს ამ ადამიანების შეუსაბამობას საბრძოლო საქმესთან. საკუთარ თავზე კი გულგატეხილი წერს, რომ ჭიანჭველასავით სულ ფუსფუსებს და დაკავებულია. ყველა ვაჟკაცი შამილთან ბრძოლაში თავის გამოსაჩენადაა წასული, თვითონ კი იძულებულია მოსაწყენი დოკუმენტები წეროს და ქალაქის ქალებში ერთადერთ ახალგაზრდა ყმაწვილად დარჩენილს თავი ფართო ოკეანეში ერთადერთ ხომალდად წარმოუდგენია. სწორედ ამ შინაგანი ტკივილითაა გამოწვეული ნიკოლოზ ბარათაშვილის ირონია როგორც ნაცნობი ყმაწვილების, ისე საკუთარი თავის მიმართ.

წერილში თხრობა ახლობელთა ამბებით გრძელდება. ქეთევანი, ყაზბეგის ცოლი, ჭკვიდან შემცდარა. ბარათაშვილი ვარაუდობს, რომ ის დიდხანს ვეღარ იცოცხლებს.

ნიკოლოზი ბიძას დის, ეკატერინე ბარათაშვილის, რევაზ ერისთავზე დანიშვნის ამბავს ატყობინებს და აღნიშნავს, რომ ეს ბედისწერის ნება იყო: „საბედოს ცხენითაც

ვერ აუვლი გვერდს“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 156). ჩართული მონაკვეთი ეხმიანება ქართულ ტრადიციულ ხალხურ მოსაზრებას, გარდაუვალი ბედის არსებობის შესახებ. ნიკოლოზ ბარათაშვილიც ეთანხმება ამ აზრს და მიიჩნევს, რომ ბედზე გვერდის ავლა ადამიანის ძალას აღემატება. ეს საკითხი პოეტს წარმოდგენილი აქვს ლექს „მერანშიც“, რომელშიც ლირიკული გმირის ოცნება ბედის საზღვრის გადალახვაა. „მერანში“ ეს ბედისწერა შავი ყორანია, ყოველივე ცუდის მომასწავებელი გარდაუვალი მომავალი, რომლისგან თავის დაღწევაში ლირიკულ გმირს თავისუფლების მოყვარული მერანი უნდა დაეხმაროს. აღსანიშნავია, რომ როგორც წერილში, ასევე ლექსში ბედისთვის გვერდის ავლის საშუალებად ცხენია დასახელებული. მხოლოდ ამ სწრაფი, თავისუფლების მოყვარული არსების დახმარებითაა ბედის საზღვრის გადალახვა შესაძლებელი. თუმცა ეს ურთულესი და თითქმის შეუძლებელი საქმეა. თუკი „მერანში“ ბედისწერა ყოველ მხრივ ცუდის მომტანია, წერილში კატოს ბედი დაუნდობელი სულაც არ არის. მისთვის ბედს კარგი ქმარი გამოუგზავნია და ბარათაშვილიც კმაყოფილებას გამოხატავს.

ქორწილის თარიღად დაუთქვამთ 29 ივნისი, პეტრე-პავლობის დღესასწაული, რომელიც წერილის დაწერიდან ექვსი კვირის შემდეგაა. ქორწილამდე ნათესავებმა ეკატერინე ბარათაშვილს საჩუქრები უნდა გამოუგზავნონ. ზაქარია ორბელიანსა და გიორგი საგინაშვილს მოუსწრიათ საჩუქრის გამოგზავნა. ზაქარიას მოუწერია, ახლა გრიგოლის ჯერიაო. თვითონ კატოს კი შემოუთვლია: „ახლა შენ იციო, ეგეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია, თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო“; ნიკოლოზი ამაზე ხუმრობს: „მე კი ეს ვიცი, რომ ერისთიანთ რძალთან არა დაგვეკარგება-რა, კარგს ქიზგას გვაჩუქებენ. – მაინც საჭიროა. – ორმოც წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 156).

ბარათის შემდეგ ნაწილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ახსენებს ელისუს მმართველის, დანიელ სულთნის წერილებს, რომლებსაც იგი თავის წერილთან ერთად უნდა გზავნიდეს. მიუთითებს, ამ წერილებს თარიღზეც ეტყობა, რომ ძველია, მაგრამ ამაში ჩემი უზრუნველობაა მიზეზიო. როგორც ჩანს, მან ბიძას წერილები დროულად არ გაუგზავნა: „ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია, რიცხვზედ

შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა მიზეზი, მაგრამ უფრო გულმავიწყობა; ვერა დროს ვერ დავეჩვიე, რომ სამშაბათობით მოდიოდა შენთან ფოჩტა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 156).

ირონიული ტონი გრძელდება შემდეგ აბზაცშიც. ირონია ამჯერადაც სამხედრო მოსამსახურეებს მიემართება და ბარათაშვილი ამით საკუთარ გულისწყვეტას გამოხატავს: „ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობრძანდნენ, ყაფლან მაგათზედ იცინის; ასე ამბობს, სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 156).

წერილის დასასრულისკენ მოთხრობილია თბილისის ჭორები: ნინო ჭავჭავაძე 9 ივნისს ოდესაში მიდის და შენ მანდ გაჯავრდიო – ეხუმრება ტატო ბიძას. ამ ეპიზოდში გვახსენდება ბახტინის „ადრესულობის“, ანუ „ვიღაცისადმი მიმართვის თვისება“. ბახტინი აღნიშნავდა, რომ ადრესანტი გამონათქვამის აგებისას მხედველობაში იღებს ადრესატის შესაძლებელ საპასუხო რეაქციებს. როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილს აქვს მოლოდინი, რომ გრიგოლ ორბელიანის საპასუხო რეაქცია სწორედ გაჯავრება იქნება და ამაზე იუმორს აგებს.

მომავალში ამბებით უფრო „გატენილ წიგნს“ ჰპირდება და მოკითხვების შემდეგ იუმორისტულად ემშვიდობება: „ფეფომ და მაშომ მოგიკითხეს; ამათ შენი ხანობა არად ეპიტნავებათ; გამდიდრდი თუ არაო? ესენი ამას მკითხავენ. – შენ მაგივრად მე ვეტყვი, ვაი შენს მტერსა-მეთქი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 156). როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზის დედას, ეფემია ორბელიანსა და მამიდას, მარიამ ბარათაშვილს, მოუკითხავთ. ნიკოლოზი დასაცინ ობიექტად მათ ფინანსურ დაინტერესებას ირჩევს და იუმორს ამ თვისებაზე უტრირებით აგებს.

ბარათაშვილის განხილულ წერილში საგრძნობია მწვავე ირონიული ტონი. პოეტი აბუჩად იგდებს მათ ნაცნობ ყმაწვილებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურში თავის გამოჩენა მოუნდომებიათ. ამით ნიკოლოზი საკუთარ ტკივილს გამოხატავს, რადგან თავად ვერ ახერხებს სამხედრო მოსამსახურედ წასვლას.

გრიგოლ ორბელიანთან მიწერილი ჩვენამდე შემორჩენილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ბარათების მიხედვით ცალსახაა, რომ ტატოს ბიძასთან

განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებს. მკითხველს საშუალება აქვს თვალი მიადევნოს ბიძისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებიდან უახლოეს მეგობრამდე ფორმირების პროცესს.

გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ პირველ წერილში ტატო მოზომილი და ასაკობრივი ზღურბლის მეორე მხარეს მდგარი დისტვილია. იგი ამ წერილში ხშირად იყენებს პატივისცემისა და მოკრძალების გამომხატველ სიტყვებს: „მის ბრწყინვალებას, მოწყალე ხელმწიფეს გრიგოლ ორბელიანოვს!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 130).

მომდევნო წერილებში თხრობის სტილი უფრო უშუალო და მეგობრულია. ვხედავთ, როგორ თანდათანობით ხდება გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის მესაიდუმლე და მისი შემოქმედების პირველი შემფასებელი. მათ შორის დიალოგი თანასწორუფლებიანობის პრინციპს ემყარება. ბოლო პერიოდში ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაგან სამყაროში იმედგაცრუება იმატებს, რაც წერილებშიც აისახება. მსუბუქ იუმორს მწვავე ირონია ცვლის და ტატო ამგვარად ცდილობს ბიძას საკუთარი გულისტკივილი მიახვედროს.

ყველა წერილში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თბილისის ამბებისა და ოჯახის წევრების შესახებ თხრობას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეს თემები როგორც ადრესატის, ასევე ადრესანტისთვის ერთნაირად საინტერესო და აქტუალურია და დიალოგის გამოცოცხლებას უწყობს ხელს.

გრიგოლ ორბელიანთან მიწერილ წერილებში ყურადღებას იქცევს მე-19 საუკუნის ქართულ საზოგადოებაში რუსული ენის მომძლავრება. ამ პერიოდში რუსულის გავლენა იმდენად დიდია, რომ ოჯახის წევრებს შორისაც რუსული საკომუნიკაციო ენა გამხდარა. აქედან გამომდინარე, ბარათაშვილი ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ჩაურთავს რუსულ სიტყვებსა და ფრაზებს თავის წერილებში და ბიძასთან კომუნიკაციას ამგვარად ამყარებს.

1844 წლის 23 მაისის წერილის შემდეგ გრიგოლ ორბელიანთან ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგი წყდება. ჩვენამდე მოღწეულია გრიგოლ ორბელიანის შემდგომდროინდელი ეპისტოლე. 1845 წლის 12 ნოემბერს გრიგოლს თემირხანშურში შეუტყვია საკუთარი დისტვილის ავადმყოფობის ამბავი და იგი თავის ძმას, ილია ორბელიანს სწერს: „ჩემი გულით საყვარელის, ტატოს ამბავი მომწერე,

ცოცხალია თუ მკვდარი? უცნობლობა მკლავს, შენ მიხაკოსთვის მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირად მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. – ახ ეს დამალვა რა არის?... აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსთვის მე ავათ გამხადეს; ეს ექუსი დღეა ვწევარ... თუ ხატი გწამს, მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით“ (გაწერელია, ლოლაშვილი 1972; 118) ამ დროს ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვე გარდაცვლილია. გრიგოლ ორბელიანის ეს ეპისტოლე ავსებს ბიძა-დისშვილის დიალოგს. ის ერთგვარი პასუხიცაა მკვლევართა შორის წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობისა მათი ურთიერთობის შესახებ. განჯაში მოულოდნელად გარდაცვლილი ტატოს არქივის დაკარგვამ, რა თქმა უნდა, არ მოგვცა საშუალება, სრულყოფილად წარმოგვეჩინა დისშვილსა და ბიძას შორის შემდგარი დიალოგი; თუმცა იმდენად ნათელია მათი დიალოგური ურთიერთობები, რომ წარმოსახვა გრიგოლ ორბელიანის პასუხებსაც ცოცხლად აღადგენს, თითქოს ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

ბარათაშვილის ეპისტოლური სამყაროს ეთიკურ და ესთეტიკურ ანალიზს მივყავართ ბახტინის „დიალოგის ჰუმანიტარულ-ონტოლოგიური კონცეფციის“ გაგებამდე. მის ეპისტოლებში მთავარია არა ფაქტები, იდეები და ფილოსოფიური მსჯელობა, არამედ ადრესანტის პიროვნება, მისი უნიკალური ინდივიდუალობა.

### 5.3. ნ. ბარათაშვილისა და მაიკო ორბელიანის ეპისტოლური დიალოგი

ნიკოლოზ ბარათაშვილს ცხოვრებაში არც თუ ისე ბევრი მეგობარი ჰყავდა. კიდევ უფრო მცირეა იმ პიროვნებათა წრე, რომლებსაც პოეტი საკუთარ შინაგან ტკივილებს გულახდილად უზიარებდა და თავისი პოეტური შემოქმედების შემფასებლად მოიაზრებდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის გულითად მეგობართა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის მაიკო ქაიხოსროს ასულ ორბელიანს (1816-1849).

მარიამ ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქაში სილამაზითა და ჭურით სახელგანთქმული ქალია. იგი ბარათაშვილის ნათესავისა და მისი უახლოესი მეგობრის, ლევან მელიქიშვილის დანიშნული იყო. მაიკო ორბელიანის მამა, ქაიხოსრო ორბელიანი, ნიკოლოზის დედის, ეფემიას ბიძაშვილი იყო, ამიტომ ნიკოლოზი და მაიკო ბავშვობიდანვე მეგობრობდნენ. ნიკოლოზ ბარათაშვილს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი აქვს 4 ბარათი.

ამ წერილების ქრონოლოგია შემდეგნაირია:

- 1842 წლის 31 ოქტომბერი
- 1845 წლის 9 თებერვალი
- 1845 წელი 20 თებერვლიდან 20 მარტამდე
- 1845 წლის 10 აგვისტო

მაიკოს ჰყავდა უფროსი ძმა, მიხაკო ორბელიანი, რომელიც პოეტი და ეპიგრამისტი იყო. ნიკოლოზ ბარათაშვილი მეგობრობდა მიხაკო ორბელიანთანაც. იგი ნახსენებია 1845 წლის 9 თებერვლით დათარიღებულ მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში: „ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არ მწერს, ივანეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ შენის ძმის წყალობით რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 161). ამ ფრაზით აშკარა ხდება რამდენად ახლო და შეხუმრებული ურთიერთობა აქვთ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მიხაკო ორბელიანს.

მაიკო ორბელიანი დანიშნული იყო ბარათაშვილის მეგობარსა და თანაკლასელ, თავად ლევან მელიქიშვილზე. ლევანი ბარათაშვილის თანატოლი, თბილისელი, ხელმოკლე ქართველი თავადის ოჯახის შვილი იყო. ნიკოლოზ ბარათაშვილის

წერილებში მრავალჯერ გვხვდება მისი სახელი. ლევანი ეხმარება ნიკოლოზს სამსახურებრივ წინსვლაში და თავის თანაშემწედ მიჰყავს იგი, როცა თავად ნახჭევანში მაზრის უფროსად ინიშნება.

ლევან მელიქიშვილისა და მაიკო ორბელიანის სიყვარულის ისტორია ჯერ კიდევ ყმაწვილობიდანვე იწყება, თუმცა მათი დაქორწინება ფინანსური გაჭირვების გამო ვერ მოხერხდა. ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი იხსენებს ლევან მელიქიშვილის გაჭირვებასა და მის ოცნებებს, მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობისთვის მიეღწია. ლევანმა სამხედრო კარიერა აირჩია და დიდ თანამდებობასაც მიაღწია.

მაიკო ორბელიანთან მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი წერილი თარიღდება 1842 წლის 31 ოქტომბრით, მეორე და მესამე წერილები – 1845 წლის 9 თებერვლითა და თებერვალი-მარტის თვით, ბოლო წერილი კი – 1845 წლის 10 აგვისტოთი. ამ ოთხი წერილის გარდა, ჩვენამდე მოღწეულია 1841 წლით დათარიღებული ლექსების მიძღვნა, რომელსაც თავდაპირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობასთან ერთად გამოსცემდნენ, მაგრამ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში წერილად აღარ განიხილავენ.

ეს მიძღვნა მოიცავს ხუთ ლექსს:

- 1840 წელს დაწერილი „სატრფოვ, მახსოვს“;
- 1841 წლის „არ უკიუინოო სატრფოო“ და „ვპოვე ტამარი“;
- 1842 წელს დაწერილი „სუმბული და მწირის“ პირველი ვარიანტი, სახელწოდებით „ქილის ყვავილი და მწირი“;
- 1845 წლის „დამქროლა ქარმან“.

მაიკო ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ ეს კოლექცია ინახებოდა ილია ჭავჭამის დასთან, ელისაბედ საგინაშვილთან. ელისაბედ საგინაშვილს იგი 1893 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაუცია.

მაიკო ორბელიანთან გაგზავნილი პირველი წერილი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, დათარიღებულია 1842 წლის 31 ოქტომბრით. ბარათი გაგზავნილია თბილისიდან. მისი ავტოგრაფი შენახულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 2484).

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ყველა წერილში მაიკო ორბელიანს „დას“ უწოდებს და ამით მისდამი განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავს. ამ ბარათშიც მიმართვის ფორმა გვაქვს: „საყვარელო დაო მაიკო“. ნიკოლოზი მადლობას უხდის მაიკოს, რომ „რახაელს წიგნი დასტყუა“ (პავლე ინგოროვას მიხედვით, „არის ცნობები, რომ რახაელ ციციშვილი ლექსებს წერდა“). წერილის მიხედვით ამ წიგნზე ლაპარაკი ყოფილა მანანა ორბელიანის სალონში და ბარათაშვილი მას წიგნის მიტანას დაჰპირებია. ნიკოლოზს ძალიან გახარებია მაიკოსაგან მიღება ამ წიგნისა, რომელიც მისთვის იასე ანდრონიკაშვილს მიუტანია. მანანა ორბელიანს უფიქრია, რომ ეს წიგნი უკვე ნიკოლოზ ბარათაშვილთან იყო და მაიკომ პოეტი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნას გადაარჩინა. ასევე ჩანს, რომ მაიკო ორბელიანმა კიდევ ერთი, ჩვენთვის უცნობი, პირობა უნდა შეუსრულოს მეგობარს და ბარათაშვილი შეახსენებს, არ დაავიწყდეს.

ბარათაშვილის თითქმის ყველა წერილში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თბილისის ამბების თხრობას. ეს ამბები, როგორც წესი, იუმორისტულადაა გადმოცემული. ამ მხრივ ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგის სპეციფიკას მიყვება მაიკო ორბელიანისადმი გაზავნილი წერილებიც. ტატო მეგობარს მოუთხრობს: „გალავინის ცოლი წავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დროებს, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუშინჰავინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მხიარული. ტასოს დღეობა იყო და ელენეს სახლში გარდაიხადეს. მე, ჰერონე გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოც, ისე, მეც არ მოველოდი. ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ...“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 144). როგორც ვხედავთ, აბზაცის ბოლოს ნიკოლოზ ბარათაშვილი დუმილის ესთეტიკას მიმართავს და ამ მიზნით სამ წერტილს სვამს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან ახლობლურ ურთიერთობებში ხშირად სიტყვები საკმარისად ვერ გამოხატავს გრძნობებს. ბარათაშვილიც ამჯობინებს მაიკოს არ ყოფნაზე საკუთარი გულის დაწყვეტა დუმილით გამოხატოს, რადგან მიიჩნევს, რომ სიტყვებს ამ განცდების გამოხატვა ნაკლებად შეუძლია.

როგორც ნიკოლოზი ყვება, კავკასიის მთავარმართებლის, ევგენი გოლოვინის მეუღლე ერთობ სტუმართმოყვარე ყოფილა და იქ ქართველი ქალები კარგ დროს ატარებდნენ ხოლმე, ამიტომ მის წასვლას ქალაქში მწუხარება გამოუწვევია. მანანა ორბელიანის ქალიშვილის – ტასოს - დღეობა მამიდის სახლში გამართულა. სტუმრად ყოფილა მისული ნიკოლოზ ბარათაშვილიც. ნიკოლოზს იქ კარგი დრო უტარებია და ბევრჯერ უნატრია მათთან ერთად მაიკო ორბელიანიც ყოფილიყო.

წერილი გრძელდება საყვარელ მეგობარზე საკუთარი შინაგანი გრძნობების გაზიარებით: „მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენს იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 144).

ვხედავთ მარტოსულ პოეტს, რომელიც, ირგვლივ უამრავი ადამიანის ყოფნის მიუხედავად, თავს მაინც ობლად გრძნობს: „არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 145).

ბარათაშვილი იმედგაცრუებულია. მას შეუცვნია ადამიანის ცოდვილი სულის მანკიერებანი და სრულ უიმედობაში აღმოჩენილა: „ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია, ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 145).

ბარათაშვილი ელოდება, რომ მაიკო ნიკოლოზის ამგვარ უიმედობასა და სასოწარკვეთას სერიოზულად არ მიიღებს, მაგრამ მეგობარი მას არწმუნებს, რომ ამგვარმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ 60 წლის მოხუცივით ცივი გონების მქონე „უსყიდელ მსაჯულად“ აქცია: „მოიგონე ცოტას ხანს დრონი წარსრულნი და მაშინ

შემიბრალებ. ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და, ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

„ძნელი არის მარტოობა სულისა;

მას ელტვიან სიამენი სოფლისა,

მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,

ოხვრა არის შვება უბედურისა!“

(XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 145).

ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაგანი განცდების გადმოცემის შემდეგ ვიგებთ, რომ მაიკო ორბელიანიც არანაკლები ტკივილების მატარებელი პიროვნებაა. მას ბარათაშვილი ამხნევებს: „შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა – დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა; ტომი პირველი; ნიკოლოზ ბარათაშვილი. 2011 წ. 145)

წერილი სრულდება მაიკოსადმი თხოვნით, რომ წერილები მოიწეროს და ახლობლების მოკითხვით: „თუ ნინუცას, ანუ (რადგანაც ჯავრობენ ზოგიერთი ქალები) ანა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს თქო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 145).

ბარათი სრულდება გულთბილი დამშვიდობებით: „შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 145)

ამრიგად, მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი წერილი განსაკუთრებული გულახდილობით გამოირჩევა. ამ ბარათში ნიკოლოზი საკუთარ სულიერ მარტოსულობას დიდი ექსპრესით გადმოსცემს და ამით საკუთარი ლირიკული შემოქმედების პათოსს აგრძელებს.

წერილი მიჰყვება ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგის ტენდენციებს. ავტორის თხრობა ეხება როგორც საკუთარ განცდებს, ასევე თბილისის ამბებს, ლირიკული შემოქმედების გაზიარებასა და ახლობელთა მოკითხვებს. ბარათაშვილის ეპისტოლეებში, რასაკვირველია, ვერ აისახებოდა მაიკო ორბელიანის განცდები, მაგრამ მათში ჩანს ის დიდი თანაგრძნობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადრესატის მგრძნობელობიდან, მისი პიროვნული ბუნებიდან, უნიკალური ინდივიდუალობიდან მომდინარეობს. სწორედ ადრესანტის დამოკიდებულებიდან გამომდინარე ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მაიკო ორბელიანს მონათესავე სულებად აღიქვამენ და მაიკოს საპასუხო წერილებსაც აცოცხლებენ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ თეატრალურ დადგმებსა თუ წარმოდგენებში. ეს შედეგია ბარათაშვილის წერილების დიალოგური მეტყველებისა.

ჩვენამდე შემონახული ნიკოლოზ ბარათაშვილის მაიკო ორბელიანისათვის მიწერილი შემდეგი წერილი თარიღდება 1845 წლის 9 თებერვლით. გაგზავნის მისამართად მითითებულია ნახჭევანი. ბარათის ავტოგრაფმა ჩვენამდე მოაღწია და ინახება კორნელი კეველიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 2484).

წერილის დასაწყისში მაიკოსადმი მიმართვის ფორმა ტრადიციულია: „საყვარელო დაო მაიკო!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160). ვიგებთ, რომ ამ წერილს წინ მაიკო ორბელიანის ბარათი უძღვდა, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილი ძალიან გაუხარებია: შენი წიგნი მამივიდა; დიდად მადლობელი ვარ; ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ შენმა გაზრდამ, არც ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს)“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160). ამ „ვისმეში“ ბარათაშვილი ლევან მელიქიშვილს, მაიკოს გულის მპყრობელს, გულისხმობს.

წერილის დასაწყისშივე ჩანს, რომ მაიკო ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ახლობლების გულცივობაზე ერთი აზრისანი არიან. ნიკოლოზი ნაწყენია ნათესავებზე, რომლებიც არც თუ ისე ხშირად მოიკითხავენ ხოლმე გადახვეწილ პოეტს. როგორც ჩანს, მას მაიკოც ეთანხმება. ნაწყენი ბარათაშვილი საკუთარი ნათესავების შესახებ მსჯელობას ზოგადად ქართველ ერზე განაზოგადებს და არც თუ ისე სასიამოვნო ფრაზას წერს: „ნეტა, ვინ ნათესავებს ემდური? თითქოს არავის

იცნობდე! განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრი გრძნობა? – არა! რომ მეპატიურები მანდ, რას მეპატიურები? ახლა ყველანი კარგად გიცანით! აი სამი თთვეა აქა ვარ და ძაღლად არავინ მახსენა; ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160).

თავისი ახალი სამსახურით ნ. ბარათაშვილი კმაყოფილია და ეს უკეთეს თანამდებობად მიაჩნია, ვიდრე კანცელარიაში მუშაობა. იგი ამაყად წერს: „აღარც მე მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოობას შევძლვენ; სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა; თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160). ამ ფრაზით ნიკოლოზ ბარათაშვილი ავლენს, რამდენად სერიოზულად და პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ საქმეს. ეს პასუხისმგებლობის გრძნობა დადასტურდება ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტების ანალიზის დროსაც და არ განელდება მაშინაც, როცა უკვე ნიკოლოზი თავის საქმეს მოსაწყენ და უინტერესო სამსახურად ჩათვლის.

ახლობლებისადმი საყვედური და გაბრაზება გრძელდება წერილის შემდეგ მონაკვეთშიც. პოეტი ნაწყენია მანანა ორბელიანზე, რომელსაც სამშობლოდან წასულებზე უხუმრია, აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო: „მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოც და ექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევს! ვაი, იმის ბრალი, ვინც ოცდარვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!..“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160). უცნობია, ვის გულისხმობს ბარათაშვილი ამ 28 წლის ადამიანში, რომლის მიმართაც ამგვარ ირონიას იყენებს. დიალოგი უსრულია, რადგან ბარათაშვილმა გაითვალისწინა მაიკო ორბელიანის ცოდნა ამ პიროვნების შესახებ და მისი ვინაობა აღარ დააკონკრეტა. პოეტი ამ პიროვნების შესახებ წერას წყვეტს და დუმილის ნიშნად სამ წერტილს სვამს. მას ამ ადამიანზე საუბრის გაგრძელება აღარ სურს, რადგან დიალოგის მონაწილე ადრესატსა და ადრესანტს შორის ურთიერთგაგების საფუძველზე უკვე ყველაფერი ცხადია.

ვიგებთ, რომ ბარათაშვილს ახლობელი ქალების თხოვნა აუსრულებია და თავრიზიდან მათთვის ხუთი კრიალოსნის ჩამოტანა დაუბარებია, მაგრამ ჯერ ვერ

გამოაგზავნის, რადგან ტასოს (მანანა ორბელიანის ქალიშვილი) ნებართვა უნდა აიღონ. ტასოს არ მოსწონს, რომ მისი ნივთის მსგავსი სხვასაც ჰქონდეს. ამ აზრს ბარათაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპით ამოწმებს: „რაკი ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160).

ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ თბილისიდან ვისი წერილიც კი მოუვიდა, ყველა ჯაფარას (ირანელ მომღერალს) აქებდა. ნიკოლოზს ეს ქება გადამეტებულად მიაჩნია, რადგან აღნიშნავს, რომ მან კარგად იცის ჯაფარას უნარები. ჯაფარა სულეიმან ხანს ჩამოუყვანია სპარსეთიდან, ორი დღე ნახჭევანში გაჩერებულან და აქ მოუსმენია მისთვის ნ. ბარათაშვილს. პოეტი მასზე ირონიულად ხუმრობს: „რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულაო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 161).

ბარათაშვილის აზრით, ვინც ამბობს, რომ ჯაფარა სათარას სჯობიაო, მას კარგი სმენა არ ჰქონია. მართალია, ჯაფარა სათარაზე ნაკითხია, მაგრამ მისი მსგავსი ხმა მაინც არ აქვს, გარეგნობით კი ერთი კაცია და მეორე – ჯოჯოხეთის მაშალაო, – იწერება ბარათაშვილი.

ამის შემდეგ წერილში მოთხოვილია 18 წლის ქალის, გონჩა-ბეგუმის ისტორია. გონჩა-ბეგუმი ხანის შვილი, სილამაზითა და მომხიბვლელობით სახელგანთქმული ქალი ყოფილა. იგი 12 წლის ასაკში ძალით გაუთხოვებიათ, ქმარი არ ჰყვარებია და მასთან გაშორება უნდოდა. თავისი ბედი და გულისტკივილი ქალს ლექსად გამოუთქვამს. ნიკოლოზს ეს ლექსი ძალიან მოსწონებია და ლექსისა და თარგმანის მაიკოსთვის გამოგზავნას აპირებს, რომ სათარამ იმღეროს: „მგონია სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო, ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით, რომ ეი, მუსელმან ნამარი ხანჯალზანი იმღეროს“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 161). როგორც წერილიდან ვიგებთ, ნიკოლოზს ამ მელოდიის გარდა, რომელსაც მაიკო ორბელიანს უგზავნის, კიდევ ერთი მელოდია მოსწონს. ამ მელოდიის ხმა საფარამ და ჯაფარამ იციან და როცა შეხვდები, სიმღერის „გულზე დამეცი ხანჯალი“ შესრულება სთხოვეო, – სწერს მეგობარს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

წერილის შემდეგ აბზაცში გვაქვს ჩვეული იუმორი საერთო ნაცნობებისადმი. ნიკოლოზი ხუმრობს მიხაკო ორბელიანსა და ივანე ორბელიანზე, რომ მათ ბარათაშვილის მოკითხვა კარგა ხანია არ გახსენებიათ: „ივანეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 161). იუმორი აგებულია დაცინვაზე. ბარათაშვილი აბუჩად იგდებს საერთო ნაცნობებს, რადგან მათთან შეხუმრებული ურთიერთობა აქვს.

უფრო სერიოზულ წყენას გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილი მანანა ორბელიანის მისამართით, რომელსაც მოუკითხველობის გამო აკრიტიკებს და ირონიულად დასძენს, რომ ამ ქალს მათთან მეგობრობას 80 წლის კაცებთან ყოფნა ურჩევნია: „მაგრამ ეს მაკვირვებს; არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკადრულობს? მაგრამ ერთის მხრივ, არც კი უნდა დავემდურო; ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩვანში! ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტომი I. 2011. 160). ნიკოლოზი ამ მწვავე ირონიაში მანანა ორბელიანისა და 63 წლის მიხეილ ვორონცოვის შესახებ გავრცელებულ ჭორებს უნდა გულისხმობდეს.

წერილის დამშვიდობება გულთბილი და ახლობლურია: „შენი მარადის ერთგული: თ. ნ. ბარათაშვილი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 162). მასში ხაზგასმულია ერთგულება, რადგან სწორედ ეს პრობლემა - ნათესავ-ახლობლებისგან დავიწყება - აწუხებს ბარათაშვილსაც.

ბარათს პირველი გვერდის არშიაზე აქვს ლევან მელიქიშვილის ხელით მინაწერი ხუმრობა: „ტატო დღე და ღამე იხვეწება, თუ ღმერთი გწამს გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 162). ლევან მელიქიშვილი გონჩა-ბეგუმს გულისხმობს, რის გამოც მაიკო ორბელიანი ჩათვლის, რომ ამ ქალისადმი ნიკოლოზს სასიყვარულო გრძნობები აქვს.

გონჩა-ბეგიმის შესახებ სიღრმისეული გამოკვლევა ეკუთვნის მეცნიერ თამარ შარაბიძეს, რომელიც ბარათაშვილის ნაკვალევზე იმყოფებოდა განჯასა და ნახჭევანში,

საიდანაც საინტერესო მასალები ჩამოიტანა, რომლებიც შესულია მის წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი – 12 ბიოგრაფია“.

როგორც მეცნიერი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილი მაიკო ორბელიანის წერილებში ამ ქალს ხანის ასულად მოიხსენიებს, ისტორიულ ჩანაწერებში ხანის არც ერთ ასულს გონჩა-ბეიმი არ ერქვა და სავარაუდოა, რომ იგი ხანის ახლო ნათესავი ყოფილიყო და არა ნამდვილად ასული. ქალი ადრევე გათხოვილა და შემდეგ ქმართან განქორწინებას ცდილობდა. ეს საკითხი მაშინ მაზრის უფროსს, ლევან მელიქიშვილს, უნდა გადაეწყვიტა. სწორედ ამას გულისხმობს წერილზე ლევან მელიქიშვილის მინაწერი: „ტატო დღე და ღამე იხვეწება, თუ ღმერთი გწამს გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 162).

მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო წერილებში ბარათაშვილი უარყოფს ამ ქალისადმი სასიყვარულო გრძნობებს, თამარ შარაბიძის აღნიშვნით, ნახჭევანშიც ნიკოლოზისა და გონჩა-ბეიმის ურთიერთობის შესახებ ცნობები საკმაოდ სწრაფად გავრცელებულა სწორედ ბარათაშვილის წერილებზე დაყრდნობით და მათი სიყვარულის ისტორიაზე სპექტაკლიც დაუდგამთ (შარაბიძე 2019: 229).

წერილის მეოთხე გვერდის არშიაზე შემორჩენილია ბარათაშვილის მინაწერი: „არა, ის რა ფერი ლაქით დაგებეჭდა შენი წიგნი; იქნება ახლა მაგ ფერიც მოდა იყოს და, მოსწონდეს ვისმე?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 162).

ამრიგად, მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ეს წერილი მდიდარია ბარათაშვილისეული ლაღი იუმორით. მეგობარ ქალს პოეტი დეტალურად უყვება ირგვლივ მომხდარ ყოველ წვრილმანს და ადრესატსა და ადრესანტს შორის მყარდება გულახდილი ურთიერთობა. გარდა იუმორისა, ამ წერილში ვხედავთ ბარათაშვილის მწუხარებასა და იმედგაცრუებას ახლობელთა უყურადღებობის გამო.

მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ნიკოლოზ ბარათაშვილის მესამე წერილს ათარიღებენ 1845 წლით. ბარათზე არ არის აღნიშნული თარიღი. ჩანს, რომ იგი გამოგზავნილია ნახჭევანიდან. წერილის ავტოგრაფი ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 2484).

ბარათაშვილი მიმართავს მეგობარს: „საყვარელო დაო, მაიკო!“ და პირდაპირ, მოკითხვის გარეშე, აგრძელებს წინა წერილის თემას. როგორც ჩანს, ბარათაშვილის წინა წერილის შემდეგ მაიკოს მისთვის კიდევ ერთი ბარათი გაუგზავნია, რომელშიც ჩაუთვლია, რომ ნიკოლოზს გონჩა-ბეგუმისადმი გრძნობები გააჩნდა. ბარათაშვილი მას არწმუნებს, რომ ეს ასე არ არის: „დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. მე კიდევ შევარიგე ცოლ-ქმარნი და! კრიალოსნები ჯერ არ მამსვლია, და როცა მამივა, უთუოდ გამოგიგზავნი, თქმა აღარ მინდა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 163). როგორც ვხედავთ, წინა წერილში დაწყებული ეპისტოლური დიალოგი გრძელდება როგორც გონჩა-ბეგუმის, ასევე კრიალოსნების თემასთან დაკავშირებითაც.

ამის შემდეგ ბარათაშვილი მეგობარს იქაურ ამბებს ატყობინებს. წინა წერილებისგან განსხვავებით, პოეტი აღარაა აღფრთოვანებული იქაური ცხოვრებითა და სამსახურით. აქ ყოფნა ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი აღარაფერიაო! – ატყობინებს მაიკო ორბელიანს, ლევან მელიქიშვილის ავადმყოფობაზე კი ხუმრობს: „ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 163). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ბარათაშვილი ხუმრობას დაცინვაზე აგებს და იუმორის ობიექტი ისევ ახლო მეგობარია. ეს, რა თქმა უნდა, შეხუმრებული ურთიერთობის ნიშანია.

ნახჭევანში ყოფნა ლევანსაც არ მოსწონს და თურმე პოლკოვნიკ ფორსტენის წასვლის შემდეგ, იქ ყოფნა იმდენად აუტანელია, ყოველ დღე ნეიდგარს სწყევლის აქ გამოგზავნისთვის. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ წარმოშობით შვედი, რუსული არმიის ოფიცერი, ფორსტენი ნახჭევანის გარნიზონში საინსპექციოდ იყო მივლინებული. როგორც ჩანს, იქ იგი ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ლევან მელიქიშვილს დაუმეგობრდა და მისი წასვლის შემდეგ ქართველი ყმაწვილები თავს მარტოდ გრძნობენ.

წერილის შემდეგ მონაკვეთში ნიკოლოზ ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს მეტ გულახდილობას სთხოვს: „მაიკო, რაცა გაქვს სათქმელი, რატომ არა მწერ? სულ ერთია, თუ პირად გითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია; თუ შენი ამბავია, ხომ იცი შეგინახავ საიდუმლოდ და თუ ჩემი კარგი ამბავია და რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს

გულზედ?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 163). როგორც ჩანს, ამ ეპისტოლურ დიალოგში დაკარგულ მაიკო ორბელიანის წერილში ქალი ზედაპირულად უყვებოდა მეგობარს საკუთარ განცდებს და ბარათაშვილს სურს, იგი უფრო მეტად ანუგეშოს.

წერილის ბოლოს ნიკოლოზ ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის ყველას, ვისაც ახსოვს: „ვისაც ვახსოვდე, მომიკითხე, და ვისაც არა... რაც მოუვიდეთ, მოუვიდეთ!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 163) როგორც ვხედავთ, გრძელდება წინა ეპისტოლებში დაწყებული გულგატებილობა ახლობელთა უყურადღებობის გამო.

წერილი სრულდება გულთბილი დამშვიდობებით: „შენი მარადის უცვალებელი მმა ტატო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 163).

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის განხილული წერილი წარმოადგენს მაიკო ორბელიანთან გამართული ეპისტოლური დიალოგის გაგრძელებას. გრძელდება ჯერ კიდევ წინა ეპისტოლებში დაწყებული თემები და განწყობა. საშუალება გვაქვს აღვადგინოთ მაიკო ორბელიანის საპასუხო, დაკარგული წერილის შინაარსი.

ჩვენამდე შემონახული მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ბოლო წერილი თარიღდება 1945 წლის 10 აგვისტოთი. იგი გაგზავნილია მურუტიდან (განჯის ოლქი). წერილის ავტოგრაფი შემონახულია და დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 2484).

ეს ბარათიც ეპისტოლური დიალოგის გაგრძელებაა, რომელსაც უსწრებდა მაიკო ორბელიანის უცნობი წერილი. ამის დასკვნის საშუალებას გვაძლევს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლეს დასაწყისი: „საყვარელო დაო, მაიკო! მართლა, თუ შენ თვითონ ავი ენა არა გაქვს, აბა, რა მოგაგონებდა ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასანახად აღარ გინდივარ? ზედ გეტყობა, რომ ჰსტყუი, თუარემ, თუ მართალი იყოს, შორიდანგანაც არ გენდომები“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 164). როგორც ჩანს, ახლობლების უყურადღებობა არა მხოლოდ ნიკოლოზს, არამედ მაიკო ორბელიანსაც ანაწყენებს და იგი თავის წერილში ნიკოლოზს ამის გამო უბრაზდებოდა.

ბარათში ნიკოლოზ ბარათაშვილი აგრძელებს მაიკო ორბელიანის გაჯავრებას: „აი ახლაც მინდა ერთი მართალი სიტყვა ვსთქვა და შენ კი მაშინვე გაჯავრდები; ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვჰქსთქვათ: ჩვენს ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავიწყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?.. აი, აკი გითხარ, გაჯავრდები-მეთქი. არა, შენ რა გაჯავრებს? ეგ სწორეთ იმასა ჰგავს, რომ კაცს ღვთისწყალობა უთხრან და გაჯავრდეს. შენ რა? აგრე გაწითლებაც იქნება. მანანას ეგონება, სიანჩხლით გაწითლდი, ივანე კი ჩაიცინებს. აბა, ნახე შენვე აძლევ მიზეზს და მე კი მაბრალებ, მე რა ვჰქსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს-მეთქი იმათ... რამ დამავიწყა?.. ოპ, მამაგონდა, ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა. ყველას მსარჩველი შენა ხარ! აბა, ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 164). ამ წერილის დაწერამდე ერთი თვით ადრე აქ დასახელებული ნაცნობი ყმაწვილები რუსეთის არმიაში, ბრძოლის ველზე გამოჩენილი მამაცობისთვის წმ. გიორგის IV თანრიგის ორდენებით დაუჯილდოვებიათ. როგორც ჩანს, ბარათაშვილმა ჩვეული ირონიით მოიხსენია ამ ყმაწვილების დაჯილდოება, რამაც მაიკო ორბელიანის განაწყენება გამოიწვია (ცერცვამე 2015: 211).

ამის შემდეგ ბარათაშვილი მაიკოს შერიგებას სთხოვს. ჩანს, მაიკო მას სერიოზულად არც განაწყენებია, რადგან ის და კიდევ ერთი ადამიანი ბარათაშვილისთვის ხელსაქმობენ და მას რაღაც საჩუქარს უმზადებენ: „კარგი, შევრიგდეთ! ხელსაქმეს თურმე მიკეთებ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ გეგონოს, მრავლობითად რომ გეუბნები). რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ. მე კი არა გთხოვთ და, თუ კი გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ხელმწიფე იმპერატორმა და, თუ არა და, ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ“, – ხუმრობს პოეტი (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 164). პაპუა ორჯონიკიძე მაშინდელი ღარიბი აზნაური იყო. პოეტის იუმორი, ერთი მხრივ, ირონიულად პატივისცემის გამოხატვასა და მრავლობითის ფორმის გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, პაპუა ორჯინიკიძის პიროვნების გასარევებას ემყარება.

თავისი საჩუქრის შემდეგ ბარათაშვილი ნაცნობი ქალების საჩუქარზე საუბრობს. სოფიო ერისთავს უთვლის, რომ ნაჩუქარი ზონარი რა უყო; იმედს გამოთქვამს, რომ

ქმარი არ დაუშლის მის ტარებას. სოფიო თარხნიშვილს კი ურჩევს ეს ზონარი მანაც გაიკეთოს, რათა მალე გათხოვდეს. ორივე წინადადება, რა თქმა უნდა, იუმორისტულია და იგი ქალების გათხოვების სურვილის აბუჩად აგდებას ემყარება.

ბარათაშვილი მაიკოს ეკითხება ოფიცერ ნიკოლაი ივანოვისა და მისი მეუღლე ეკატერინე ორბელიანის ადგილსამყოფელს. წერს, რომ თავადაც აპირებს ყაზახში წასვლას და სურს, რომ დილიჯანში მცხოვრებ ეკატერინეს დას, თამარ ორბელიანს, (ანდრია სენკოვსკის ცოლს) შეუაროს სტუმრად. ნიკოლოზი ფიქრობს, რომ თამარი დასევდიანებული იქნება.

წერილი მთავრდება სიტყვებით: „კარგი, დავიღალე ამდენი ლაპარაკით! არა მცალიან. შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 164).

ამრიგად, ამ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილის ტონი ძირითადად იუმორითაა გაჯერებული. ეს შეხუმრება მეგობრებს შორის ჯერ კიდევ წინა წერილში დაწყებულა და ბარათაშვილი აგრძელებს ეპისტოლური დიალოგის თემასა და ტონს.

მაიკო ორბელიანიც ბედიც ისეთივე ტრაგიკული აღმოჩნდა, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილისა. 1845 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ერთ წელში დაიღუპა მაიკო ორბელიანის ძმა – მიხაკო ორბელიანი. მაიკო ამ დროს ავადმყოფობამ ძალიან დაასუსტა. ქალის ყოველ გამოჩენას თან ახლდა გაუთავებელი მითქმა-მოთქმა მისი და ლევან მელიქიშვილის სასიყვარულო ურთიერთობის გამო, რომელიც ქორწინებით არა და არ გვირგვინდებოდა.

ლევან მელიქიშვილი ამ პერიოდში სამსახურში დაწინაურდა და მას უკვე შეეძლო საყვარელ ქალზე დაქორწინება, თუმცა 1849 წლის თებერვალში 32 წლის მაიკო ორბელიანი გარდაიცვალა. მაიკოს ერთადერთი შვილი, ხუთი წლის შემდეგ ლევან მელიქიშვილის ახლად შერთულმა მეუღლემ – ალექსანდრა ორბელიანმა – იშვილა და იგი მამასთან და დედინაცვალთან ერთად იზრდებოდა.

მაიკო ორბელიანის ცხოვრება, ისევე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილისა, სავსე იყო დაუსრულებელი ტკივილითა და დარდით. სწორედ ესაა ის საერთო უხილავი ძაფი, რომელიც სიყრმის ამ ორ მეგობარს ერთმანეთთან სამუდამოდ აკავშირებდა.

მაიკო ორბელიანთან მიწერილი წერილების ანალიზი ცხადყოფს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს მასთან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა. ეს მეგობრობა

ყველაზე დაფარული გრძნობებისა და ფიქრების გულახდილად გაზიარებაში გამოიხატება. ნიკოლოზი საკუთარ მარტოსულობას მაიკოსთან დიდი ექსპრესიით გადმოსცემს და ამით საკუთარი ლირიკული შემოქმედების პათოსს აგრძელებს. ამიტომ, ბუნებრივია, იგი ძალიან ხშირად უზიარებს მეგობარს საკუთარ შემოქმედებასაც. მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი წერილები აგრძელებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგის ტენდენციებს: ავტორის თხრობა ეხება როგორც საკუთარ განცდებს, თბილისის ამბებს, ასევე ლირიკული შემოქმედების გაზიარებასა და ახლობელთა მოკითხვებს.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ყველა წერილში მაიკო ორბელიანს „დას“ უწოდებს და ამით მისდამი განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავს: „საყვარელო დაო მაიკო“.

მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში არ გვაქვს რუსულენოვანი ფრაზები. მასთან ურთიერთობას ბარათაშვილი მშობლიურ ქართულ ენაზე ამჯობინებს.

წერილებში ამბები, როგორც წესი, იუმორისტულადაა გადმოცემული. მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი ეპისტოლეები მდიდარია ბარათაშვილისეული მჭახე იუმორით. მეგობარ ქალს პოეტი დეტალურად უყვება ირგვლივ მომხდარ ყოველ წვრილმანს და ადრესატსა და ადრესანტს შორის მყარდება გულახდილი ურთიერთობა. გარდა იუმორისა, ამ წერილებში ვხედავთ ბარათაშვილის მწუხარებასა და იმედგაცრუებას ახლობელთა უყურადღებობის გამო.

## 5.4. ნ. ბარათაშვილისა და ზაქარია ორბელიანის ეპისტოლური დიალოგი

მართალია, ზაქარია ორბელიანის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაში არ ეჭირა ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც გრიგოლ ორბელიანის, მაგრამ დედის ძმებთან ნიკოლოზ ბარათაშვილს ზოგადად ძალიან გულთბილი და ახლობლური დამოკიდებულება ჰქონდა.

ჩვენამდე შემონახულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი მხოლოდ 1844 წლის სამი წერილი: აპრილის, მაისისა და აგვისტოს თვეებიდან.

ეს წერილები შემდეგნაირად თარიღდება:

- 1844 წლის 15 აპრილი
- 1844 წლის 10 მაისი
- 1844 წლის 15 აგვისტოს შემდეგ

პირველი ბარათი, აპრილის თვით დათარიღებული, რუსულ ენაზეა დაწერილი. გვაქვს მხოლოდ მცირეოდენი ქართული ჩანართები. მეორე წერილი, მაისის თვის, რუსულ-ქართულადაა შესრულებული. ხოლო მესამე, აგვისტოს თვის, ქართულადაა დაწერილი და მასში მხოლოდ სამი რუსული ფრაზაა ჩართული. ამ მონაცემებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იმ პერიოდის საქართველოში რუსული არა მხოლოდ ოფიციალური სამუშაო, არამედ ახლობელთა პირადი მიმოწერის საკომუნიკაციო ენაც იყო. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ნიკოლოზს, ისევე როგორც ზაქარიას, თავისი სამსახურებრივი მოვალეობების ფარგლებში ძირითადად რუსულ ენაზე უწევდათ წერა და საუბარი, ამიტომ ჩვეულებრივ ფლობდნენ რუსულ ენას.

წერილების შინაარსობრივი და ენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ, მართალია, ბიძა-დისშვილს არა აქვთ ხშირი ურთიერთობა, მაგრამ ისინი ინარჩუნებენ ძალიან თბილ ბიძა-დისშვილურ დამოკიდებულებას. სხვა ადრესანტებთან შედარებით, ნიკოლოზი ზაქარიასთან წერილების გაგზავნას უფრო ზრდასრულ ასაკში იწყებს, ამის მიზეზი კი ის არის, რომ უკვე შინაგანი ტკივილებით შეწუხებულ ნიკოლოზ ბარათაშვილს სწორედ ზაქარია ორბელიანი წარმოუდგენია იმ პიროვნებად, რომელიც დისშვილის ტკივილებს გაიზიარებს. ტატო ფიქრობს, რომ სწორედ ზაქარია არის ის ადამიანი, ვისაც შეუძლია მას ყველაზე მეტად გაუგოს შინაგანი მარტოსულობის

განცდაში. სწორეს ეს გამხდარა საბაბი, რის გამოც ბარათაშვილს დიდი ხნის უკითხავი ბიძისათვის ბარათების გაგზავნა დაუწყია.

ზაქარია ორბელიანი დაიბადა 1806 წელს, ხოლო გარდაიცვალა 1847 წელს. ისევე როგორც გრიგოლ ორბელიანი, ზაქარია ორბელიანიც სამხედრო მოსამსახურე გახლდათ. მან სამხედრო კარიერა 20 წლის ასაკში, 1826 წელს დაიწყო და გარდაცვალებამდე რუსულ არმიაში მსახურობდა. ზაქარია საკმაოდ წარმატებული სამხედრო ყოფილა. მას 1844 წელს მიუღია პოლკოვნიკის წოდება, რის შესახებაც ცნობებს ვკითხულობთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ ეპისტოლებშიც.

საინტერესოა, ზაქარია ორბელიანის სიყვარულის ისტორია. იგი შეყვარებული იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილ, ნინო ჭავჭავაძეზე (1812-1857). მიუხედავად ნინო ჭავჭავაძისადმი გულწრფელი სიყვარულისა, 1835 წელს ზაქარია ორბელიანმა იქორწინა ანჩისხატის დეკანოზ აზნაურ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ქალიშვილზე – ქეთევანზე. ამ ქორწინებაში დიდი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების, მელიტონისა და ეფემიას, წვლილი. დაქორწინების შემდეგაც ზაქარია ორბელიანმა ნინო ჭავჭავაძის სიყვარული გულიდან ვერ ამოიგდო.

პირველი წერილი, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ზაქარია ორბელიანის მისამართით იგზავნება, 1844 წლის 15 აპრილით თარიღდება. ბარათი გაგზავნილია თბილისიდან. ავტოგრაფი შენარჩუნებულია და ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (# 16401). ბარათი დაწერილია რუსულად, მხოლოდ მცირე ნაწილი – ქართულად.

წერილის პირველივე ფრაზებიდან ჩანს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ზაქარია ორბელიანი წერილებს ერთმანეთს ხშირად არ წერენ და ნიკოლოზს არა აქვს ხშირი და ახლო ურთიერთობა ბიძასთან, მაგრამ მათ ერთმანეთი ძალიან რომ უყვართ, ეს ორივესათვის ნათელია.

წერილის დასაწყისშივე ნიკოლოზი გულთბილად მიმართავს ბიძას. ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ ბარათებში დაფიქსირებული ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართვა-მისალმების ფორმა იდენტურია გრიგოლ ორბელიანთან გამოყენებული

ფორმისა: „საყვარელო ძმაო ზაქარია!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 150).

მიმართვის შემდეგ, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში მისალმების ფუნქციაც აქვს, ბარათაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ბიძასთან ხშირი მიმოწერა არ აქვს და მსჯელობს ამის მიზეზების შესახებ: „რატომ ერთმანეთს წერილებს არ ვწერთ? უნდა გამოგიტყდე, ამ საკითხმა დამაფიქრა. აქსიომაა, რომ შენ მიყვარხარ; წერა რომ არ მეზარება, ამას ამტკიცებს ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა. მაშ, რა მიზეზია? ჰო, ბოლოს მივხვდი: დაუდევრობა, საერთოდ ქართველთ თანდაყოლილი სისუსტე. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმიმარტე... ესეც კი არის, რომ რა მოგწერო?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 150).

წერილის შემდეგი აბზაცი გააცხადებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ წერილს წინ უძლოდა ზაქარია ორბელიანის მოწერილი, რომელშიც ბიძა საკუთარ შინაგანი სევდასა და დაღლილობაზე საუბრობდა. დღეს უკვე უცნობია კონკრეტულად ვისთვის იყო გამოგზავნილი ზაქარია ორბელიანის დასახელებული ეპისტოლე: წერდა იგი პირადად ნიკოლოზს თუ ოჯახის რომელიმე წევრს, მაგრამ ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იმდენად გულახდილი ყოფილა, ბარათაშვილის შინაგან სამყაროში გამოხმაურება ჰპოვა: „შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობის გრძნობით ცხოვრების აზვირთებული ნაკადისაგან, ღრმა გამოხმაურება ჰოვა ჩემს სულში“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 150). ბარათაშვილი თანაუგრძნობს ბიძას. ამავდროულად, საკუთარი გრძნობების თანაზიარად მოიაზრებს მას.

როცა ბარათაშვილი საკუთარ სევდაზე საუბრობს, ვიგებთ, რომ ამ პერიოდში იგი უკვე არა მხოლოდ სულიერ, არამედ ძლიერ ფიზიკურ სისუსტესაც განიცდის: „თუმცა ჩვენს ამისთვის სხვადასხვა მიზეზი გვაქვს, მე ძალიან ავად ვიყავი; ცოტა დააკლდა ილვისიოსის მინდვრებში არ გადავსახლდი. აქამდის არავითარი ავადმყოფობა არ ვიცოდი, ამიტომ მან რაღაც უცნაური გავლენა მოახდინა, შეიძლება, მთელს ჩემს სიცოცხლეზე“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 150). ნიკოლოზის ეს ავბედითი წინათგრძნობა მართლაც მაღევი ასრულდება მისი ჯანმრთელობის კიდევ უფრო გაუარესებითა და გარდაცვალებით.

გარდა ფიზიკური სისუსტისა, ეპისტოლის ამ ნაწილში მკითხველის თვალწინ გადაიშლება ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაგანი ვნებათაღელვის სრული სურათი: „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი შეძლება მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძლრობით და მშვიდად და მოსვენებით გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას სადა ბუნების წიაღში, რომელიც ეგზომ დიადი და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში. გამომთელებისას ასეთი მწარე ფიქრებით ვიყავი შეპყრობილი, როდესაც შენი წერილი მივიღე, აი, რატომ თანაგიგრძნობდი შენ!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 150). ამ წინადადებებში გამოთქმულია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი ასპექტები. სწორედ ამგვარად წუხს პოეტი თავის ბედზე საკუთარ ლექსებში, აფიქრებს წუთისოფლის ამაოება და მიისწრაფვის ბუნების წიაღისაკენ.

საკუთარ განცდებზე საუბრის შემდეგ, ნიკოლოზი ცდილობს დაეხმაროს ბიძას შინაგან ფიქრებში გასარკვევად და ფილოსოფიურად უღრმავდება ზაქარია ორბელიანის განცდებსა და ემოციებს: „ადამიანის სული, რომელმაც სრულ განვითარებას მიაღწია და აღასრულა საქმენი ზეგარდმო მისთვის განკუთვნილი, ბოლოს დაქანცული ეძიებს წყნარ სადგურს მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაში. მე რომ ვიცოდე, რომ შენ უკვე განვლე ასპარეზი, შენი მოწყენილობის მიზეზს ამ ჰიპოთეზით ავხსნიდი. მაგრამ შენთვის ჯერ არ დამდგარა ცხოვრების ეს პერიოდი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 152).

ნიკოლოზ ბარათაშვილს ზაქარია ორბელიანი უფრო დიდი საქმეებისთვის დაბადებულ პიროვნებად წარმოუდგენია, ვიდრე სამურის ოლქის გამგებლობაა. ზაქარიასთვის ეს საქმე ჩვეულებრივ რუტინად გამხდარა. მისი სული და აზრი უფრო დიდ, ძლიერ და პათეტიკურ სცენებს ეძებს. როგორც ჩანს, ორბელიანის შინაგანი ბუნება მიწისაკენ ისწრაფვის, რომ საკუთარ მამულში მეურნეობას მიჰყოს ხელი, მაგრამ ბარათაშვილი მას შეახსენებს: „სხვაფრივ იცოდე, ზაქარია, რომ ბედნიერი მიწის მუშაკის ცხოვრებაშიც ვერ იპოვნი მოსვენებას. დასცემენ სამხედრო ნაღარას და შენ უკვე აღარ ხარ მიწის მუშაკი. იქნებ ვერ სწვდები შენი სევდის მიზეზს, მაგრამ მაინც მოველი შენგან სახელოვან საქმეებს“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა

ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 150). როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის სულის ამაღლვებელი, მუდამ აქტიური და საინტერესო საქმიანობა ისევ და ისევ სამხედრო კარიერაა.

ისევე როგორც გრიგოლ ორბელიანთან ეპისტოლური დიალოგისას, ზაქარია ორბელიანთან მიმოწერის დროსაც წერილებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახლობლებისა და ოჯახის წევრების ამბების თხრობას. ამჯერად ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას თავისი დის, კატოს დანიშვნის ამბავს უყვება: „კატო დავნიშნეთ წარსულს კვირას რევაზ ერისთავზედ და ქორწილსაც საამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს. ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება და ამისთვის ჩემი აზრი ეს არის, რომ, რაც უნდა ვიფრანცუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა წახდეს, ახალთან კიდევ მოვა!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 152). ბარათაშვილი გახარებული და კმაყოფილია მომავალი სიძის პიროვნებითა და მისი ოჯახით. ის აკრიტიკებს იმდროინდელ საქართველოში გავრცელებულ ტრადიციას, ქართველი ქალებისთვის რუსი ჩინოვნიკების ქმრებად შერჩევის შესახებ და აღნიშნავს, რომ კატო საქართველოში უნდა გაეთხოვებინათ, ასეთი ძველი ტრადიციების მქონე ოჯახი კი დასაფასებელია.

მომავალი სიძის ძმას, დავით ერისთავს, დედოფლის ოჯახისათვის სამაჭანკლო ქორი უთხოვია: „დავით ერისთავმა სამაჭანკლოში ქორი გთხოვა და იმედი მაქვს, რომ ახალს მოყვრობას პატივსა სცემ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 150).

ქართული ტრადიციის მიხედვით სამაჭანკლო საჩუქარი მას ეკუთვნის, ვინც ნეფე-დედოფლის შეუღლებაში დიდი წვლილი შეიტანა. როგორც ჩანს, კატოსა და რევაზის შემთხვევაში ეს ადამიანი სწორედ დავით ერისთავი იყო. ეს ნიშნობა 1844 წლის 19 ივლისს ქორწილით დაგვირგვინდა. წყვილს ოთხი შვილი გაუჩნდა. 1853 წელს ეკატერინე ბარათაშვილი ნაადრევად გარდაიცვალა. ხოლო 1856 წლის 12 თებერვალს რევაზ ერისთავმა მეორე ცოლად მართა ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი შეირთო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარიას სთხოვს კატოს დანიშვნის შესახებ გიორგი საგინაშვილსაც შეატყობინოს. სწერს, პირადადაც შევატყობინებდი, მაგრამ ჯარების

ახლანდელი მოძრაობის გამო, ვაი, თუ წერილი არ მისვლოდაო. არა მაქვს ცნობები სამურის ოლქის შესახებ, თორემ სამახსოვროდ რაიმეს ჩამოტანასაც გთხოვდი. ახლა კი შენს არჩევანს ვენდობიო. (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 150).

ეპისტოლეს დასასრულს ნიკოლოზი ბიძას ატყობინებს გრიგოლ ორბელიანის წერილის შესახებ, რომელიც ზაქარიას წერილის შემდეგ მოსვლიათ: „შენი წერილის შემდეგ გრიგოლის წერილი მივიღე. რას მოიწერებოდა? მიეცი მას თუნდაც ავგუსტოსის ტახტი, იგი მთელ რომის იმპერიას კომიკურ ხუმრობას აქცევდა. – ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 152). როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი აქცენტს აკეთებს ბიძის იუმორის გრძნობაზე.

ამრიგად, ზაქარია ორბელიანთან მიწერილ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილის მსჯელობა განსაკუთრებით სიღრმისეული და ფილოსოფიურია. პოეტი გულახდილად წერს საკუთარი შინაგანი ტკივილების შესახებ. ჩანს ფიზიკური დაუძლურებაც, რომელიც რომანტიკოს პოეტს წუთისოფლის ამაოებაზე დააფიქრებს, კიდევ უფრო მეტად ანდომებს შეეძლოს მოსწყდეს ყოველდღიურ რუტინას, ამ ბორკილებიდან თავისუფალმა კი ბუნების წიაღს მიაშუროს.

წერილი განსაკუთრებით საინტერესოა მე-19 საუკუნის საქართველოში შემორჩენილი წეს-ჩვეულებების გასაანალიზებლად. ტატო ბიძას სამაჭანკლო ქორს სთხოვს, რომელიც ძველი ქართული ტრადიციის მიხედვით დედოფლის ოჯახს ქორწინების ხელშემწყობისთვის უნდა გადაეხადა. ამ ტრადიციას მე-19 საუკუნის ყოფაში უკვე სიმბოლური ხასიათი აქვს, მაგრამ იგი პატივისცემის გამომხატველ რიტუალს წარმოადგენს და ბარათაშვილიც საკითხს სრული სერიოზულობით ეკიდება. ეს წერილი აღსავსეა ეპოქისა და სოციუმისთვის დამახასიათებელი უამრავი ნიუანსით.

1844 წლის 10 მაისს, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანის უგზავნის მეორე წერილს. ბარათი გაგზავნილია თბილისიდან. ავტოგრაფი შენარჩუნებულია და ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (# 16401).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ წერილის ენა რუსულ-ქართულია, თუმცა წინა წერილთან შედარებით უფრო დიდი ნაწილი ქართულ ენაზეა დაწერილი. რუსულენოვანია წერილის დასაწყისი აბზაცი, შემდეგ კი თხრობა მთლიანად ქართულად გრძელდება.

მიმართვის ფორმაში ბარათაშვილი ინარჩუნებს ეპისტოლური დიალოგისთვის დამახასიათებელ თავის სტილს: „საყვარელო მმაო, ზაქარია!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154).

წერილის მიზანი ბიძისათვის სამხედრო წარმატების მილოცვაა. აღტაცებული ულოცავს ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანს გამარჯვებასა და ბრწყინვალე საქმეთა შესრულებას. გახარებულია იმითაც, რომ მისი მოლოდინი ბიძის დაწინაურების შესახებ მართლდება: „ხომ გეუბნებოდი, რომ შენს შუბლზე დიდებისა და სახელის ბეჭედსა ვხედავ-მეთქი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154)

მილოცვასთან ერთად ტატო ბიძას ნაჩუქარი თოფის გამო მადლობას უხდის. აღნიშნავს, რომ ეს საჩუქარი ახლა მისთვის უფრო მეტს ნიშნავს, როგორც სამურის ოლქის მმართველისა და პატივცემული და საყვარელი მმის ნაბომები.

ბარათაშვილი ელოდება ზაქარიას მიერ მისთვის ფოსტით გაგზავნილ წერილს. ატყობინებს, რომ ახლობლები: ილია ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, დავით ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ერისთავი და ბაკლანა – ალექსანდრე გიორგის ძე ერისთავი – ყველანი დაღესტნის ომში ჩაერთვნენ და შამილის დასაჭერად წამოვიდნენ. შემდეგ კი მათ შესახებ ჩვეული იუმორით წერს: „ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამამავლობით გიჟები არიანო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154).

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი იუმორის გზით ცდილობს თავი დააღწიოს საკუთარ ტკივილს, რომ თავად ვერ მოახერხა ბრძოლაში მონაწილეობა და სამხედრო კარიერის მოწყობა. პოეტისათვის დაღესტანში ბრძოლა გმირობის ტოლფასია. წერილში გადმოცემული ეს განცდები ზუსტად იმეორებს იმავე წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ლექსის „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს“ შინაგან პათოსს. ლექსი სრულდება სტროფებით:

„კავკასო, ძრწოდე! შეირყა ჩეჩენიც დასამხობელი!

ვის არა აღეტაცების სული ამ ამბვის მცნობელი?

ჰე, ძმანო, ნუ თუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მაღლით?

გიხმობთ: „ქართველნო, ჰე, შაბაშ! კურთხევა თქვენდა ზე მადლით!“

ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა!

მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა!

აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა,

და გიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა!“

(გრ. აბაშიძე, პავლე ინგოროვა - ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი. 1968;

132).

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის რუსეთის მიერ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ წარმოებულ ომებში ქართველების მონაწილეობა ყოველ მხრივ მოსაწონი და საამაყო საქმეა.

ამის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგის თემა იცვლება და იგი ბიძას კატოს (თავისი დის) ქორწილის თარიღს ატყობინებს: ქორწილი პეტრე-პავლობისთვის გვექნებაო. როგორც ვიცით, ეს ქრისტიანული დღესასწაული 12 ივლისს აღინიშნება ხოლმე.

წერილში ბარათაშვილს არ გამორჩება საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მოვლენების შესახებ ჭორების მოთხოვნა. ნიკოლოზი მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვის დაწინაურებას ვარაუდობს და ბიძას გიორგი საგინაშვილთან მოკითხვას აბარებს. გულთბილად ემშვიდობება და გამოთხოვებისას მშვიდობასა და გამარჯვებას უსურვებს.

წერილს ბოლოში ჩამატებული აქვს ოჯახის წევრებისა და ახლობლების მოკითხვა. მელიტონს და ეფემიას ზაქარიასთვის კოცნები შემოუთვლიათ, კატოს კი მოკითხვასთან ერთად უხუმრია: „ისევ შენ, თორემ სხვანი ჩუსუმები არიანო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154). როგორც ჩანს, კატოს ეს ხუმრობა სამაჭანვლო ქორს უნდა ეხებოდეს. კატო ბიძას მიახვედრებს, რომ ამ საქმეში მისი იმედი აქვს. სამაჭანვლო ქორის შესახებ თხოვნას უმეორებს ზაქარიას ნიკოლოზ ბარათაშვილიც და დასძენს: „ზაქარიავ, ხომ იცი, ამათ მაგისთანები დიდად მიაჩნიათ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა

ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154). აშვარაა, რომ ამ ეპოქაში სამაჭანკლო ქორის ტრადიციას მხოლოდ სიმბოლური ხასიათი აქვს და ბარათაშვილი შიშობს, ბიძამ ეს თხოვნა ხუმრობად არ ჩათვალოს, ამიტომ მას თხოვნის სერიოზულობას შეახსენებს.

ბარათი იუმორით სრულდება: „შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა. ამისთანა წუწკმა ხანდისხან ასეც იცის“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 155). ბარათაშვილი ამ ფრაზით ზაქარიას მეუღლის, ქეთევან ორბელიანის სიძუნწეზე ხუმრობს პირდაპირ მის ქმართან, რაც პოეტის უშუალობაზე მიგვითითებს და ადრესატის ბუნებაზეც. ბარათაშვილმა იცის, რომ ცოლის შესახებ თუნდაც უხეში ხუმრობა ზაქარიას არ ეწყინება.

ამრიგად, ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი მეორე წერილი საინტერესოა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტით. ბარათის შინაარსი ძირითადად ყოფითი ცხოვრების ამბებს ეხება. ვხედავთ ბიძის სამხედრო კარიერით გულწრფელად გახარებულ დისტვილს, რომლის ყოველ წინადადებაში იკითხება უდიდესი სევდა და გულის დაწყვეტა იმის გამო, რომ მას თავად არ შეუძლია განიცადოს ის ვნება, რომელიც სამხედრო კარიერაში წარმოუდგენია.

წერილი საინტერესოა მასში გადმოცემული იუმორისტული ჩანართების თვალსაზრისითაც. ამ ჩანართების მეშვეობით მკითხველს საშუალება აქვს მელანქოლიური რომანტიკოსი მწერლის მიღმა დაინახოს საკმაოდ სხარტი იუმორის მქონე ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც პირდაპირობითა და იუმორით აჯავრებს ნათესავებისა და ახლობლების ამა თუ იმ მანკიერ თვისებას.

წერილში კიდევ ერთხელაა ნახსენები მე-19 საუკუნის საქართველოში შემორჩენილი წინა საქორწინო ქართული ტრადიცია სამაჭანკლო ქორის ჩუქებისა. ვიგებთ, რომ ამ ტრადიციას სიმბოლური ხასიათიდა აქვს დარჩენილი, თუმცა ძველი ტრადიციების მქონე ოჯახებისათვის იგი დედოფლის ოჯახის მხრიდან პატივისცემის ერთგვარი გამოხატულებაა.

ზაქარია ორბელიანისათვის გაგზავნილი მესამე წერილი თარიღდება 1844 წლის 18 აგვისტოდან 20 აგვისტომდე პერიოდით. იგი მოცულობით წინა ორ წერილთან შედარებით საკმაოდ ვრცელია. წერილი დაწერილია ქართულად, ჩართულია მხოლოდ რამდენიმე რუსული სიტყვა. ბარათში არ არის მითითებული დაწერის

ადგილი. ამ ეპისტოლეს ავტოგრაფი შენარჩუნებულია და ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (# 16402).

წერილი იწყება ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგისათვის დამახასიათებელი მიმართვის ფორმით: „უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ!“ მომილოცავს პოლკოვნიკობა!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158).

როგორც ბარათის დასაწყისშივე ვიგებთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს წერილი ზაქარია ორბელიანის მოწერილი ეპისტოლის საპასუხო ბარათია. ზაქარია ორბელიანს თავის წერილში დისმვილისათვის თავისი დაწინაურების ამბავი უცნობებია. მეორე დღეს ეს ამბავი ტატოს რუსულ ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ „რუს ინვალიდებშიც“ ამოუკითხავს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას გენერლობასაც უწინასწარმეტყველებს და ამის მისაღწევად დაღესტანში მსახურობას ურჩევს. შემდეგ კი „კასპის ობლასტის ნაჩალნიკადაც“ წარმოუდგენია. როგორც თავად აღნიშნავს, მისი წინასწარმეტყველური სურვილები ხშირად სრულდება ხოლმე.

წერილის შემდეგი შინაარსობრივი მონაკვეთი საკმაოდ ვრცელია და მდიდარ მასალას გვაძლევს მე-19 საუკუნის ქართული ქორწილის ტრადიციის შესახებ. ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას ატყობინებს, რომ კატოს ქორწილი და ჯვრისწერა ერთი თვის წინ გადაიხადეს. ვიგებთ, რომ ამ პერიოდის საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი ქორწილის გადახდას და ეს ოჯახის კარგ მატერიალურ მდგომარეობაზე მიუთითებს: „კარგი ქორწილი გარდვიხადეთ. მეორე დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილათ ქაიხოსრო მუხრანსკისას ვიყავით. კარგად დაგვიხვდა. იქიდან ახალგორს წავედით. ოძის[ს] რომ მივუახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი სდგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით, და იმერეთის [მ]გალობლებით მოგვეგება“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158).

როგორც მონათხრობიდან ირკვევა, ქორწილი ჯერ დედოფლის ოჯახს გადაუხდია, ხოლო მეორე დღეს დედოფლი თავისი მაყრებით სიძის მხარეს წაუყვანიათ. გზად მათთვის ერთი დღე და ღამე ეკატერინე ბარათაშვილის მაზლის, ლევან ერისთავის ნახევარმმას, თავად ქაიხოსრო ბაგრატის ძე ბაგრატიონ-მუხრანელს

უმასპინძლებია. მისი მასპინძლობის შესახებ ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ სტუმრებს კარგად დახვდა.

სიძის მამულამდე მისასვლელად მაყარს ახალგორში, ერისთავების საგვარეულო რეზიდენციაში, შესვენებაც დასჭირვებია. ხოლო, როცა სოფელ ოძისში, ბიძინა ერისთავის სამყოფელში, მისულან, იქ სიძის ძმა – ლევან ერისთავი მაყრებს თავისი თავადებით, აზნაურებითა და იმერელი მგალობლებით გამოგებებია, რაც, უთუოდ, მის დიდ გავლენებსა და წარჩინებულობაზე მიუთითებს.

ბარათაშვილი ბიძასთან ჩამოთვლის მაყრების ვინაობასაც. კატოს ოჯახის წევრებისა და ნათესავებიდან საქორწინო მსვლელობაში ყოფილან: მანანა მირმანოზის ასული ერისთავი ორბელიანისა და მისი ქალიშვილი ანასტასია ორბელიანი, მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი, მაიკოს ძმა მიხეილ ორბელიანი, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი და მეჯვარე – ალექსანდრე სუმბათაშვილი.

შებინდებისას ახალგორში შესულან. ერისთავების სასახლე ჭრაქებით ყოფილა გაჩახჩახებული, ხოლო მოედანი – მაშხლებით. სტუმრებს მგალობლებით კატოს დედამთილის, მარიამ წულიკიძის ძმა, ეპისკოპოსი სოფრომ წულუკიძე მიგებებია. ნიკოლოზ ბარათაშვილი ყურადღებას ამახვილებს დეკანოზის გარეგნობაზე, რომელიც საეკლესიო ტანისამოსით ყოფილა შემოსილი და გალავნის კარებშივე ჯვრით მიგებებია სტუმრებს.

ბარათაშვილის თხრობის მანერა გამოხატავს მის აღფრთოვანებას ამგვარი პატივისცემისა და სანახაობის გამო: „დაჰკრეს ზურნას, სათარას სიმღერა (თანა გ[ვ]ყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ჭდევა და ყვირილი საუცხოო სანახავს წარმოადგენდა. ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158).

აღფრთოვანება გამოუხატავს ყაფლან ორბელიანსაც, რომელსაც სასახლეში შესვლისას რუსულად წამოუძახებია: „фуююю – это дворец?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158). ამ წამოძახილზე ბევრი უცინიათ. ბარათაშვილისა და ყაფლან ორბელიანის ამგვარი აღფრთოვანებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავსი სანახაობები და მასშტაბურობა ქორწილებში განსაკუთრებით წარჩინებულ ოჯახებს შეეძლო. ამ ამბებსაც ნიკოლოზი ბიძას იმ მიზნით უამბობს, რომ კატოს კარგ ოჯახში გათხოვებას გაუსვას ხაზი.

წერილიდან ვიგებთ, რომ ქართული ქორწილის რიტუალები გრძელდება მეორე დღესაც. ჩვეულების მიხედვით, პატარძალი მეორე დღეს საწოლიდან არ უნდა ადგეს და კატოც ასე მოქცეულა. იგი მხოლოდ მესამე დღეს ამდგარა.

დაცული იყო მზითევის ტრადიციას, რომელსაც დედოფლის ოჯახი სიძის ოჯახს ძლვნად მიართმევდა: „მზითევი გაშინჯეს, მაგრამ, ზაქარიავ, მრთელს ქართლში გაითქვა, თუარამ მანანა გეტყვის, როცა ნახავ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158). ნიკოლოზ ბარათაშვილი მანანა ორბელიანს იმოწმებს, რომ მიუხედავად უსახსრობისა, ოჯახს ეკატერინე ბარათაშვილისათვის მდიდრული მზითვი გაუტანებია.

ეკატერინე ბარათაშვილის მდიდრული მზითვის შესახებ ცნობებს ვხვდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახის წევრების სხვა წერილებშიც. როგორც ირკვევა, ამ მზითევის გაწყობაში დიდი წვლილი ბიძებსაც შეუტანიათ. 1844 წლის 15 აპრილს ეფემია ორბელიანი თავის ძმას, ზაქარია ორბელიანს, სწერს: „ჩემი ქალი კატო გავათხოვე, შენი დისწული მივეცი რევაზ ერისთავისშვილს, აპრილის ექვს დავწიდე როგორც რიგი არის, თუმცა ქორწილიც უნდოდათ, მაგრამ მე მზათ არ ვიყავ და ამისათვის დარჩა, რომელიც უნდა მივცე ასი თუმანი ფულად და ასი თუმნის მზითევი. ს[ა]ამაღლებლოთ მაშურებენ ჯვარის წერას, როგორც ღმერთი შეგვეწევა ისე უნდა მოვახერხოთ ჩვენი საქმე... ძმაო, ჩემი დაბრკოლება მოუმზადებლობა არის, რასადროს მზათ ვიქწები ჯვარს დაიწერს. ეხლა შენ იცი, ძმაო, რაღა ჩემი მოწერა გინდა, უნდა შეეწიო. ეგების გრიგოლს მანდედან შეატყობინო ეს ამბავი... შენმა გაზრდამ, ზაქარიავ, დიახ კარგი საქმე მოხდა. ყველას უკვირს. მაინც მიზეზი შენა ხარ ამ საქმისა და ღმერთიც შემეწია და ჩქარა დავაბოლოვე. ამ წიგნის პასუხს ჩქარა მოველი შენგან. შენი და ეფემია კნეინა ბარათოვისა“ (გრიშაშვილი 1957: 491-492).

ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა მელიტონ ბარათაშვილიც ამავე თხოვნით მიმართავს ზაქარია ორბელიანს: „ძმაო, კატუა გავათხოვეთ და ჯვარსაც საამაღლებლოდ ვწერთ... აბა, ხომ ჰპირდებოდი, დროც ეს არის თუ მოგვაშველებ რასმეს. ხომ იცი ჩემი მდგომარეობა როგორც არის, შენმა გაზრდამ დიდად გაჭირვებაში ვარ ეხლა ამ შემთხვევისთვის, შენგან ტყუილი არ მწამდა და ეხლა ჩემზეც აღასრულე... თუ დროზე მომეშველები კატუას მზითვისთვის შენ იცი, თუ არა და გაჭირდება საქმე. შენი მელიტონ ბარათოვი“ (გრიშაშვილი 1957: 491-492).

ნიკოლოზ ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანზე მიწერილი წერილებიდან ირკვევა, რომ ზაქარია ორბელიანი და გრიგოლ ორბელიანი მართლაც დახმარებიან დის ოჯახს კატოს მზითვის შეგროვებაში. 1844 წლის 23 მაისს ნიკოლოზი გრიგოლ ორბელიანს სწერს, რომ ზაქარია ორბელიანსა და გიორგი საგინაშვილს კატოსათვის სამზითვო საჩუქრები ბლომად გამოუგზავნიათ და ახლა კატო საჩუქრებს გრიგოლისგანაც ელოდება.

როგორც ვხედავთ, პატარძლის მზითვებს ოჯახი მთელი სერიოზულობით კრებს და მის გარეშე მე-19 საუკუნის საქართველოში წარჩინებული ქალის გათხოვება წარმოუდგენლადაც კი ეჩვენებათ. ამ საქმეში ჩართულია ოჯახის ყველა ნათესავი. ამგვარი სურათი შეიქმნება ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე დის, ბაბალე ბარათაშვილის, გათხოვების დროსაც. ჩვენამდე შემონახულია გრიგოლ ორბელიანის 1849 წლის 3 ივნისის წერილი ქეთევან ორბელიანისადმი, რომელშიც იგი წერს: „ძალუაჯან! გეთაყვანე, ერთი იფიქრეთ კარგად და უშოვნეთ შესაფერი ქმარი ჩემს დისწულს ბაბალეს, ესე იგი ეფემიას ქალსა. ჩემი მხრით შემიძლიან მივსცე ასი თუმანი თეთრი სიქა მანათი მზითვად“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. VIII. 2018. 194).

მე-19 საუკუნის საქართველოში შემორჩენილი საქორწინო წეს-ჩვეულებების მიხედვით, დიდი ყურადღება ექცეოდა არა მხოლოდ პატარძლის მზითვს, არამედ იმასაც, თუ რა ძვირფასეულობას აჩუქებდა სიძის ოჯახი და სანათესაო დედოფალს. ამ საკითხზე ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილში ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებს და აღნიშნავს, რომ კატოს ნიშნები მეოთხე დღეს მოართვეს დედამთილმა (მარიამ წულიკიძემ), მაზლებმა (ლევან და დავით ერისთავებმა), მულებმა (ანასტასია და მარიამ ერისთავებმა) და რძალმა. ამ ძვირფასეულობის შესახებ ბარათაშვილი დასძენს, რომ კარგი ნიშნები იყო. კატოსათვის ოქროთი მოჭედილი ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი უჩუქებია დედამთილის მმას, არქიელ სოფრომ წულუკიძესაც, რომელიც ძველი ტრადიციის მიხედვით, თავისი მრავალრიცხოვანი მხლებლებითურთ ეზოში, ჭადრების ქვეშ გაშლილ კარავში დაბინავებულა.

კატოს ქორწილი 5 დღე და ღამე გაგრძელებულა. ნიკოლოზთან ერთად ყოფილა პოეტის უფროსი მეგობარი და შემდგომ განჯის მაზრის უფროსი მამუკა ორბელიანი. ახალგორიდან ბარათაშვილი და მამუკა ორბელიანი გორში გამგზავრებულან

ელიზბარ ერისთავის სასახლეში, სადაც ამ დროს ესტატეს (პოეტის სიძის ახლო ნათესავის) ნათლობას მართავდნენ. ნათლობას ესწრებოდნენ ელენე ორბელიანი-ერისთავისა, მანანა ორბელიანი, მელანია (ელიზბარ ერისთავის და) და სხვები. გორიდან ნიკოლოზი და მამუკა ატენში გადასულან. იქ კნიაზი გიორგი იასეს მე ერისთავი დახვედრიათ, რომელიც მათ წყალნარევი ღვინოებით – შუშურებით – გამასპინძლებია. მთელი ორი კვირა დროსტარებაში გაუტარებიათ.

თანამედროვე მკითხველზე შთაბეჭდილებას ახდენს ის მასშტაბურობა, რომელიც მე-19 საუკუნის ქართული არისტოკრატიის ქორწილს ახასიათებს. როგორც ვხედავთ, ქორწილში ჩართულია მთელი საგვარეულო და ის დღეების განმავლობაში გრძელდება. დიდი ყურადღება ექცევა საქორწინო ძღვენს როგორც დედოფლის, ისე სიძის ოჯახის მხრიდან. მელიტონ ბარათაშვილის ოჯახი უკანასკნელი სახსრებით ცდილობს ამ მხრივ თავი გამოიჩინოს და საზოგადოებაში გაღარიბებული ოჯახის შთაბეჭდილება არ დატოვოს. მათ ხაზი უნდა გაუსვან, რომ სიძის ოჯახს არაფრით ჩამოუვარდებიან.

ბარათაშვილი ბიძასთან თხრობას ისევ ქართული ლხინისა და დროსტარების შესახებ ამბებით აგრძელებს. ის მამამისთან, მელიტონ ბარათაშვილთან, ერთად ალებობას, ანუ მარიამობის დღესასწაულზე, ქსნის ხეობაში სტუმრად სწვევია კატოს ოჯახს. მანანა და ელენეც მოსულან სალოცავად. საუცხოო ჯვარობა გაიმართაო, – აღნიშნავს ნიკოლოზ ბარათაშვილი. ცხენზე შემომსხდარი ქალები საწვიმრებითა და ქოლგებით, დიდი ამალისა და ოსური სიმღერის თანხლებით, ასულან ალევის მთაზე მოსალოცად. ის ღამე და მეორე დღე კარგად უმხიარულიათ, მაგრამ წამოსვლის დროს მანანა ავად დამხდარა და მხიარულება ამ ამბავს ცოტა წაუხდენია.

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნის საქართველოში საკმაოდ მასშტაბურად აღინიშნება საეკლესიო დღესასწაულები. ამ საერთო დღესასწაულებზე იკრიბებიან ახლობლები და გარდა რელიგიური მიზნებისა, ეს ღონისძიებები საზოგადოებრივი თავშეყრის საშუალებაცაა.

ისევე როგორც წინა შემთხვევებში, ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ წერილშიც საგანგებოდ აღნიშნავს სიძის ოჯახით კმაყოფილებას: „ზაქარიავ, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში სანატრელს ოჯახშია. ძმების უმაგალითო თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უვალობა! ამასთან რევაზ ზედ

აკვდება, ლევანისა ხომ სულია კატო და დავით ხომ იმის ნებიერობაშია. მე ეს მიამა, რომ მტერი ვერ გაიხარე[ბ]ს“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158). როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი ყურადღებას ამახვილებს ამ ოჯახის შეხმატკბილებულ ურთიერთობასა და სიმდიდრეზე. ეს ის კრიტერიუმებია, რომლებიც, მისი აზრით, მაშინდელ დროში ყველაზე მეტად სანატრელია.

ნიკოლოზს ეამაყება საკუთარი დის ასეთ წარჩინებულ ოჯახში გათხოვება და იქ სტუმრად ეპატიუება თავის ბიძებსაც: „თუ ღმერთი გვაღირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავწიოთ. მართალია, სანადირო არ არის ყოვლის გუარისა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158).

კატოს გათხოვების შესახებ ვრცლად მოთხოვობის შემდეგ ბარათაშვილი წერილს სხვა ახლობლების ამბებით აგრძელებს: გრიგოლ ორბელიანის წერილზე, რომელიც მანანასაც წაუკითხავს, ბევრი უცინიათ; ილიას წერილი გამოუგზავნია; ილიას წერილით გაუგიათ, რომ ყველანი ჩერვლონში (თერგისპირეთში) ყოფილან და იქ მთავარმართებელ ალ. ნეიდგარდტს ელოდებიან; ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე ანნა ძალიან ავად ყოფილა. ჩანს, რომ ტრადიციაა წერილების საჯაროდ კითხვისა, რადგან ამგვარად ივსებენ ინფორმაციას ახლობელთა შესახებ

სწორედ ანნა ორბელიანის გარდაცვალების თარიღისა (1844 წლის 20 აგვისტო) და წერილში ნახსენები ალევობის დღესასწაულის (1844 წლის 15 აგვისტო) მიხედვით ხერხდება ამ წერილის დათარიღება. მიჩნეულია, რომ იგი დაწერილია 15-დან 20 აგვისტომდე შუალედში. წერილში ჩანს, რომ ალევობის დღესასწაული უკვე ჩავლილია და ანნა ორბელიანი ჯერ კიდევ ცოცხალია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩვეული სითბოთი ემშვიდობება ბიძას და ღმერთს მის შშვიდობით ყოფნასა და ბედნიერებას თხოვს. მაგრამ დამშვიდობების შემდეგ ვხედავთ ბარათაშვილის იუმორისტულ მინაწერს: „P.S. ზაქარიავ! ამ შენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დამბაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავით დარჩენილა და ამისთვის კაბინეტში ვერ გამიმართავს“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158).

ჩანართში ნიკოლოზი ბიძას ატყობინებს საექიმო სამმართველოს შტაბ-მცურნალის, დეპნერი ივან კარლინის გარდაცვალებას, რომელსაც თავის ქვრივზე მთელი ქონება კანონიერი აქტით უანდერძებია. ნიკოლოზი ბიძას აბარებს მოკითხვას გიორგი საგინაშვილთან.

პირველ გვერდზე გვაქვს კიდევ ერთი ჩანართი: „მეც მომილოცავს პოლკოვნიკობა. შენი... [შემდეგ გაურკვეველია] (გრ. აბაშიძე, პავლე ინგოროვა. ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი. 1968; 192).

მესამე გვერდზე ჩამატებულია: „იაკი[ნ]ტემ ამ წიგნის წერაში, ასე მითხრა: ჩემ მაგიერ მოკითხვა მისწერეო და ასე შეუთვალე, რომ ცალკე წიგნისთვის არა მცალიან, ბევრი საქმეები მაქვსო. აქ არის სასამართლოში სოვეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული“ (გრ. აბაშიძე, პავლე ინგოროვა. ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი. 1968; 192). იაკინტე ზაქარია ორბელიანის ცოლის ძმაა, რომელიც იმ დროს ბარათაშვილთან ერთად მუშაობდა.

ამრიგად, ზაქარია ორბელიანთან მიწერილ წერილებში ნიკოლოზ ბარათაშვილის მსჯელობა განსაკუთრებით სიღრმისეული და ფილოსოფიურია. ამ წერილებში პოეტი გულახდილად წერს საკუთარი შინაგანი ტკივილების შესახებ. ჩანს ფიზიკური დაუძლურებაც, რომელიც რომანტიკოს პოეტს წუთისოფლის ამაოებაზე დააფიქრებს, კიდევ უფრო მეტად ანდომებს შეეძლოს მოსწყდეს ყოველდღიურ რუტინას და ამ ბორკილებიდან თავისუფალმა კი ბუნების წიაღს მიაშუროს.

ბარათების შინაარსი ძირითადად ყოფითი ცხოვრების ამბებს ეხება. ვხედავთ ბიძის სამხედრო კარიერით გულწრფელად გახარებულ დისშვილს, რომლის ყოველ წინადადებაში იკითხება უდიდესი სევდა და გულის დაწყვეტა იმის გამო, რომ მას თავად არ შეუძლია სამხედრო კარიერის გაკეთება.

წერილები საინტერესოა მასში გადმოცემული იუმორისტული ჩანართების თვალსაზრისითაც. ამ ჩანართების მეშვეობით მკითხველს საშუალება აქვს, შეაფასოს ბარათაშვილის სხარტი იუმორი, მისი გერგილიანი გამონათქვამები, პოეტის ბუნებისათვის დამახასიათებელი პირდაპირობა და უშუალობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბიძა-დისშვილს არ აქვთ ხშირი მიმოწერა, ისინი ადვილად პოულობენ საერთო ენას, რადგან საერთო ტკივილები ტანჯავთ. თუმცა,

ბარათაშვილი ბიძას შესაფასებლად არ უგზავნის საკუთარ ლექსებს, რომლებშიც იგივე განცდებია ასახული.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ზაქარია ორბელიანზე მიწერილი ბარათები წარმოადგენს მდიდარ მასალას მე-19 საუკუნის ქართული ტრადიციული ქორწილისა და რელიგიური დღესასწაულების შესახებ. ვიგებთ, რომ ამ პერიოდის საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი ქორწილის გადახდას და ეს ოჯახის კარგ მატერიალურ მდგომარეობაზე მიუთითებს. აგრეთვე ყურადღებაა გამახვილებული დედოფლის მზითვზე, სამაჭანკლო ქორსა და იმ ძვირფასეულობაზე, რომელსაც მას სიძის ოჯახი აჩუქებს. მელიტონ ბარათაშვილის ოჯახი უკანასკნელი სახსრებით ცდილობს ამ მხრივ თავი გამოიჩინოს და საზოგადოებაში გაღარიბებული ოჯახის შთაბეჭდილება არ დატოვოს. სახალხო რელიგიურ დღესასწაულებს კი სოციალური ფუნქციაც აქვს მინიჭებული. იქ თავს იყრიან ადამიანები, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობენ და დროს ატარებენ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილი ეპისტოლები ჩვენთვის მნიშვნელოვანია კიდევ ერთი კუთხით. მათში ვხედავთ დიალოგურ მეტყველებას, რაც პირდაპირ წარმოჩნდება მესამე ბარათში, რომელიც ზაქარია ორბელიანის მოწერილი ეპისტოლის საპასუხო წერილია; თუმცა ეპისტოლური დიალოგი პირველ ორ წერილშიც მჟღავნდება, რომლებშიც სრულყოფილადაა გადმოცემული ადრესატისა და ადრესანტის სულიერი ნათესაობა, რომლის აღქმაც ადრესანტის მიერ დიალოგური მეტყველების გარეშე შეუძლებელია.

## 5.5. ნ. ბარათაშვილისა და მიხეილ თუმანიშვილის ეპისტოლური დიალოგი

მიხეილ თუმანიშვილი 1818 წლის 19 მაისს დაიბადა. იგი, გარდა პოეტისა, იყო ფელეტონისტი, თეატრის ისტორიკოსი და კრიტიკოსი. ის და ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთად სწავლობდნენ თბილისის გიმნაზიაში. მათ შორის გიმნაზიაში დაწყებული მეგობრობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაგრძელდა.

მიხეილ თუმანიშვილის დამსახურებაა პუშკინის შემოქმედების ქართველ მკითხველში პოპულარიზაცია. მან თარგმნა პუშკინის პოემა „ბაღჩისარაის შადრევანი“ და სცენები „ქვის სტუმარიდან“. თუმანიშვილი თარგმანისთვის ირჩევდა იმ ნაწარმოებებს, რომლებიც შინაგანი სულისკვეთებითა და პატრიოტიზმით ქართველის ბუნებას, მის კულტურასა და ტრადიციებს ეხმანებოდა.

მიხეილ თუმანიშვილი სალიტერატურო ასპარეზზე დავით მაჩაბელსა და ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად გამოჩნდა და აქტიური წევრი იყო ამ სალიტერატურო საზოგადოებისა. ეს იყო ახალგაზრდა თაობა, რომელიც განმსაზღვრელი ძალა აღმოჩნდა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში მიხეილ თუმანიშვილი რედაქტორობდა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „ტფილისის გიმნაზიის ყვავილსა“ და „ანთოლოგიას“. პირველი ლიტერატურული ალმანახი, ე.წ. „ანთოლოგია“, სწორედ მიხეილ თუმანიშვილის გადაწერილია. ანთოლოგიის შესახებ ცნობები გაანალიზებული აქვს თამაზ ჯოლოგუას თავის წიგნში „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“.

„ანთოლოგიასა“ და „ყვავილში“ აქტიურად იბეჭდებოდა 1832 წლის შეთქმულთა: გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის, გიორგი ერისთავის, სოლომონ დოდაშვილისა და სხვათა შემოქმედება. ცხადია, მიხეილ თუმანიშვილიც ამ შინაგანი განცდების მატარებელი იყო.

ჩვენამდე შემონახულია მიხეილ თუმანიშვილისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი წერილი, რომელიც თარიღდება 1838 წლის 6 აგვისტოთი. ავტოგრაფი შემორჩენილია და ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S-2484).

წერილი დაწერილია რუსულად, ამ ენის სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვით. ტექსტში გვაქვს ერთი ფრანგული სიტყვა – aster. ამ სიტყვის მნიშვნელობას ბარათაშვილი თავად განმარტავს და გვთავაზობს მის ქართულ თარგმანს „მთიები“. ორივე სიტყვა, როგორც სათაური, ბარათაშვილს ბრჭყალებში აქვს ჩასმული. წერილში ქართულ ენაზეა დატოვებული ოთხი ფრაზა, რომელთა თარგმნა ბარათაშვილს გაუმართლებლად მიუჩინევია, რადგან ისინი ქართული ხასიათის გამომხატველია: „ძმაო თავყანა; ასეა, ჩემო ბატონო!; თუ არ გაჯავრდები; მაშ, მოკვდი, ბზ!“. ეს სიტყვები ჩართულია რუსულად დაწერილ წინადადებებში ქართული ასოებით.

წერილს დასაწყისშივე მითითებული აქვს ადგილი და დრო: „10 აგვისტო. დედოფლისწყარო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 137).

ბარათაშვილი წერას იწყებს მეგობრული მიმართვა-მისალმებით: „საყვარელო მეგობარო“ და ბოდიშს უხდის მას, წერილის დაგვიანების გამო. შემდეგ კი აფასებს თბილისის ცხოვრებას, რომ აქაურობა სიცხისგან მოსაწყენი, ხოლო მტვრისგან სულის შემხუთველი გამხდარა და საყურადღებო არაფერი ხდება. მხოლოდ მშვენიერი მთვარიანი საღამო თუ გამოაცოცხლებს ხოლმე ამგვარ ყოფას. შემდეგ კი ერთ ისტორიას უამბობს: „გუშინ, ერთ-ერთ ამგვარ საღამოს, წავედი სახეტიალოდ მოსკოვის საგუშაგოსკენ; უცებ სასაფლაოზე აღმოვჩნდი. უნდა გამოგიტყდე, ცოტა შევშფოთდი, როცა თვალი მოვავლე ამ უდაბურებას: ღამის 11 საათია. არც ერთი სული. ირგვლივ მარადიული სიცარიელეა. მთვარე საფლავებს მკრთალად ანათებს, როგორც მბჟუტავი ლამპარი მიცვალებულისა. წყნარად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს მყუდროება ამ მჭმუნვარე ქვეყნისა... შენ ახლა გალაღებული ხარ და არ მინდა შეგაშფოთო შავ-ბნელი ფიქრებით, რომელიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-მიწიერმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდახან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს: ნუგეშისცემა უბედურისა, ბედნიერების დასასრული!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 137). ამგვარად აღიქვამს ბარათაშვილი ბუნებასთან საკუთარ კავშირს.

ბარათაშვილი თხრობას მიხეილისადმი მადლიერების გამოხატვით აგრძელებს, რადგან იგი ხშირად სწერს ხოლმე ნიკოლოზს სასიამოვნო წერილებს. ირკვევა, რომ

წინა წერილი ნიკოლოზსა და ზაქარიას ერთად წაუკითხავთ. ბარათაშვილი მიხეილის ამ წერილის შესახებ დასმენს, რომ „ეს იყო კრიტიკა, ანუ უკეთ ეპისტოლე, „ასტრას“ ავტორისადმი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 137). ბარათაშვილი მეგობარს აჯავრებს, რომ მაინც არ შეატყობინებს, თუ ვინ იგულისხმება „ასტრაში“ და ვის მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი, რომელიც დღეს უკვე დაკარგულად ითვლება.

როგორც ირკვევა, ეს ლექსი ნიკოლოზს წინა წერილში შესაფასებლად მიხეილისთვის გაუგზავნია და ადრესატს იგი მოსწონებია „კარგი სიტყვის, კარგი სტიხის, კარგი ხმის“ გამო, მაგრამ ვერ მიმხვდარა, ვის ეძღვნებოდა ლექსი. თუმანიშვილს იმავე წლის 15 ივლისს წინანდალში საპასუხო ლექს-შეკითხვა „ასტრას“ დაუწერია, რომლითაც ბარათაშვილს გაუგებარ მომენტებზე ეკითხებოდა:

„ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის,  
სადაური სად მოსულხარ, ან რისთვის?

უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის,  
ეს სახელი არ სმენია არავის!  
ნუთუ შენ ხარ ანგელოსი ციური,  
ან ყვავილი უსახელო ველური,  
ანუ თვალი უძვირფასესი ზღვისა?  
მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური.

მოფრენილო შორეულისა ქვეყნით,  
კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კარგის ხმით,  
ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოვებ,  
მიუხვედრო, ასტრავ, შენის წოდებით.  
გაისარჯე, წარვედ შენსა დამწერთან,  
ოდესცა ვსცნობ შენსა სახელსა მისგან,  
მაშინ გაქვნდეს უეჭველი იმედი,  
რომ იქნები წაკითხული ყველასგან“

(ბალახაშვილი 1967: 95).

ბარათაშვილი მას ხუმრობით პასუხობს, რომ ეს ავტორის საიდუმლოა. მას არ აინტერესებს, გაიგო თუ არა თუმანიშვილმა, ვინ იგულისხმება „ასტრაში“. მთავარია,

რომ ადრესატმა გაუგო ავტორს და ამით კმაყოფილია. თუმცა იგი მინიშნებას აძლევს მეგობარს, რომ ამ უცნობის სანახავად წყნეთში მიემგზავრება, რათა ის იხილოს. დედამისმა სთხოვა, რომ რამდენიმე დღე მათთან გაატაროს: „დღეს საღამოს წყნეთში მივემგზავრები. – რატომ? იმიტომ, რომ ის იქ გახლავთ. დედამისმა მთხოვა რამდენიმე დღე მათთან გავატარო. როგორი იქნება ეს დღეები? ახ? მაშ მოკვდი, ბზ!“, – ხუმრობით აჯავრებს მიხეილს ნიკოლოზი (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 137).

წერილის მონაკვეთი გვახსენებს ეპისტოლური დიალოგის შესახებ უკვე გამართულ მსჯელობას, რომ წერილობითი დიალოგის რომელიმე წევრმა შესაძლოა უგულეველყოს რომელიმე შეკითხვა ან კითხვის გარეშე მიაწოდოს ადრესატს დამატებითი ინფორმაცია იმავე ან სხვა საკითხის შესახებ. როგორც წესი, ეპისტოლურ დიალოგში შეკითხვის უგულებელყოფა ან პასუხის დასწრება დროის ეკონომიკის მიზნით ხდება, თუმცა ბარათაშვილი შეკითხვის უგულებელყოფას ამ შემთხვევაში იუმორის შესაქმნელად იყენებს.

5. ბარათაშვილის ლექსი „ასტრა“ მიძღვნილი ყოფილა პოეტის ფრანგი მეგობარი ქალის – დელფინა ლაბიელისადმი. ცნობილია, რომ მის დედას საკონდიტრო ჰქონდა წყნეთში გახსნილი. მისი ვინაობა ცნობილი იყო მიხეილ თუმანიშვილისათვისაც, თუმცა მეგობარი მას ამჯერად აჯავრებს და თითქოს საიდუმლოდ უმაღლავს ამ ამბავს.

როგორც ვხედავთ, მყარდება დიალოგი ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მიხეილ თუმანიშვილს შორის. დიალოგის თემა ლექსია, რომელიც ბარათაშვილმა თუმანიშვილს გაუზიარა. დიალოგის ეპისტოლები ჩვენამდე, სამწუხაროდ, არ შემონახულა, თუმცა შეგვიძლია სულ ცოტა სამი წერილი ვივარაუდოთ: ლექსის გაგზავნა, თუმანიშვილის რეაქცია და ბარათაშვილის პასუხი. მიხეილ თუმანიშვილისადმი გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემორჩენილი წერილი შეგვიძლია მივიჩნიოთ დიალოგის მესამე ერთეულად და იგი გულისხმობს მის წინ სულ მცირე ორი წერილის არსებობას.

ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მიხეილ თუმანიშვილს შორის დამყარებული დიალოგი უსრულია და იგი მეგობრებს შორის ერთმანეთის პირადი ცხოვრების შესახებ წინარე ცოდნის არსებობას გულისხმობს. ვლინდება ეპისტოლური დიალოგისთვის დამახასიათებელი მოვლენა – დიალოგის რეპლიკები ხშირად

გადმოცემულია კითხვა-პასუხის ფორმით. შეკითხვას წარმოადგენს თუმანიშვილის ლექსი-შეკითხვა „ასტრას“, მაგრამ დიალოგის მეორე წევრი – ბარათაშვილი – უგულებელყოფს თუმანიშვილის კითხვას და ხუმრობით აჯავრებს მას ამ კითხვაზე უპასუხობით.

ნიკოლოზი სასწრაფოდ ასრულებს წერილს, რათა ფოსტას მიუსწროს: „მშვიდობით, ალაზნის ველის მეუდაბნოევ! მაუწყე ხოლმე რამე შენის ველის ქალწულისა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 137). მეგობრისადმი სახუმარო მიმართვები – „ძმაო თავყანა“, „ალაზნის ველის მეუდაბნოევ!“ – მიუთითებს მათ ძალიან ახლო ურთიერთობაზე, როდესაც დაცინვა ხუმრობად აღიქმება და არა წყენად.

წერილს აქვს ჩამატებული: „P.S. ვერ მოვასწარი საგანგებოდ მიმეწერა ვარლამოვისათვის. თუ შეხვდები, უთხარი, რომ მისი საქმე ისე მოგვარდა, როგორც თავად სურდა და წარდგენილია ჩინზე. ახლა მაინც შეურიგდეს ქვეყანას“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 137). ვარლამოვში იგულისხმება გარსევან სტეფანეს ძე ვარლამაშვილი, პოეტის ამხანაგი სკოლიდან, შემდეგ კი მისი თანამოსამსახურე „სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში“, პოეზიის მოყვარული. მოწაფეობაში ვარჯიშობდა პუშკინის „ევგენი ონეგინის“ თარგმნაში (აბაშიძე, ინგოროვა 1968: 172).

ამრიგად, მიხეილ თუმანიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგი ძირითადად ნიკოლოზის სასიყვარულო ამბებს ეხება. იგი ახლო მეგობარს ამ მოტივზე შექმნილ ლექსს უზიარებს და მისგან შეფასებას ელოდება. ენაწყლიანი ხუმრობებით გაჯერებული წერილის მთლიანად რუსულ ენაზე დაწერა კი იმას მიუთითებს, რომ გიმნაზიელი მეგობრები ძირითადად ამ ენაზე ამყარებდნენ კომუნიკაციას.

## 5.6. ნ. ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგი ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებთან

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ხასიათის ბოლო წერილების ადრესატები ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილები არიან. ეს ბარათები თარიღდება 1845 წლის 23 აგვისტოთი, ბარათაშვილის დაღუპვამდე 2 თვით ადრე.

ორივე წერილი ერთი ფურცლის მოპირდაპირე გვერდებზეა დაწერილი. ბარათები იგზავნება მურუტიდან. თარიღი მითითებული არ არის. ისინი 1937 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ #3/25 ავტოგრაფის მიხედვით გამოუქვეყნებია გრიგოლ აბაშიძეს. ავტოგრაფის ამჟამინდელი სამყოფელი უცნობია.

ბაბალე (ბარბარე) ორბელიანი ნიკოლოზის დედის, ეფემიას, მკვიდრი ბიძაშვილი იყო. იგი აგრეთვე გახლდათ ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილის, ალექსანდრე საგინაშვილის, მეუღლე. ევროპული განათლების მქონე ბაბალე მუდმივად ეცნობოდა და ინტერესდებოდა თანადროული ქართული ლიტერატურით. სწორედ ამ დაინტერესების წყალობით მან ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ შეინახა მისი სურათი, ლექსები და ნათარგმნი „იულიუს ტარენტელი“.

ბარბარე ორბელიანი უყვარდა გიორგი ერისთავს. ამ ქალს მიუძღვნა პოეტმა თავისი ლექსი „კ. ბაბ. ორბე[ლ]“ და პოემა-კომედია „შეშლილი“. გიორგი ერისთავის მიმართ გულგრილი არ ყოფილა თავად ბარბარეც, ისინი დანიშნულან კიდეც, თუმცა მშობლებს წინააღმდეგობა გაუწევიათ და ნიშნობა ქორწილით აღარ დაგვირგვინებულა. უკვე 1839 წელს ბარბარე საგინაშვილი ცოლად შეირთო ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილმა და მეგობარმა, ალექსანდრე საგინაშვილმა.

ბარათაშვილი ბაბალეს „საყვარელო დაოთი“ მიმართავს. როგორც წერილის დასაწყისშივე ვიგებთ, ეს ბარათი ეპისტოლური დიალოგის ცალს წარმოადგენს და მას წინ უძღოდა ბაბალე საგინაშვილის სხვა წერილი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. როგორც ჩანს, ბაბალეს წერილი მოცულობით მცირე იყო და ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილს უყურადღებობისთვის საყვედურობდა.

ნიკოლოზი წერილის დასაწყისშივე თავს იმართლებს და უხსნის ქალს, თუ რატომ არ მისწერა ამდენ ხანს წერილი, თან თავადაც ირონიულად ჩივის ნათესავების მხრიდან დავიწყების გამო: „შენ თვითონ მწერ, რომ ახლა ჩამოხველ ბორჯომიდან და არ ვიცი, ვისთან მამეწერა აქამდისინ წიგნი. ნუ ხარ ავყია, სულ მაგას გიშლი და არ იქნა,

ვერ დაგაშლევინე. აბა, ვისთვის მომიწერია წიგნი, რაც წამოვსულვარ? თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავები მყევხართ! განა არა, მომაგონდებით! მე მაგისთანა მოკლე წიგნებისა არა ვიცი რა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 165).

სამშობლოდან გადახვეწილ პოეტს საქართველოსა და ნაცნობ-მეგობრების ამბების მოსმენა სწყურია, ამიტომ ბარათაშვილი ეპისტოლურ დიალოგებში ყოველთვის ითხოვს აქაური ამბების მოყოლას. ამჯერად ნიკოლოზი ბარბარე საგინაშვილს სთხოვს უამბოს თბილისის ჭორები, რადგან იმ უდაბურ ადგილას სამშობლოდან ერთადერთი ნუგეში და სიამოვნება მხოლოდ ესღაა.

წერილში თხრობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ირგვლივ მომხდარი ამბებით გრძელდება. მართალია, ნიკოლოზი დასძენს მოსაყოლი ბევრი არაფერიაო, მაგრამ საკმაოდ დაწვრილებით გადმოსცემს ამბებს. იგი ხუმრობს იქაური ქალის, ვინმე ბარბარეს შესახებ: „აქაური პირველი ფრანტისა ჯორაკის ქალი ბარბარე ბრძანდება. – ამით წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა; თუ ღმერთი არ შემეწია, გავსულელდები ამდენს თარაქამებში“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 165).

უცნობია, ვინ იგულისხმება ჯორაკსა და მის ქალ ბარბარეში, მაგრამ, როგორც ჩანს, მასზე ნიკოლოზს არც ისე მაღალი წარმოდგენა ჰქონდა. სავარაუდოდ, ამ ქალს იცნობდა ბაბალე საგინაშვილიც.

წერილში ნახსენები ამ პიროვნებების შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების მკვლევრები. აკ. გაწერელიას აზრით, ესენი შეიძლება იყვნენ დავით ჯორჯაძე და მისი ქალი ბარბარე (გაწერელია, ლოლაშვილი 1972: 230). გიორგი ლეონიძის აზრით, ეს ბარბარე ზაქარია ჯორჯაძის მეუღლე, პოეტი ბარბარე ჯორჯაძეა (ლეონიძე 1954: 145). ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის თანამედროვე მკვლევარი მაია ცერცვაძე კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მასალისა და არგუმენტების სიმცირის გამო, ვარაუდის გამოთქმისაგან თავს იკავებს და საჭიროდ მიიჩნევს შემდგომში უფრო სიღრმისეულ კვლევას (ცერცვაძე 2015: 229).

ამის შემდეგ უკვე მეორედ ბარათაშვილი კვლავ სთხოვს ბარბარე საგინაშვილს წერილებისა და ამბების მიწერას. თავად კი უყვება სენკოვსკის ცოლზე, თამარ

ორბელიანზე, რომელთანაც დილიჯანში შეუვლია. დილიჯანი განჯის მხარე იყო. ბარათაშვილს სამსახურებრივად დაევალა დაპწვედროდა პრინცს, დედოფლის ძმას, ალექსანდრე ჰესენელს, რომელიც ამ დროს დარდოს ექსპედიციის შემდეგ კავკასიის მინერალურ წყლებზე ისვენებდა. იქიდან კი საქართველოში მოემგზავრებოდა და ირანში უნდა წასულიყო. პრინცს გზად უნდა გაეარა „გატეხილი ხიდი“, რომ სომხეთის გავლით ირანში აღმოჩენილიყო. გატეხილი ხიდი ეწოდებოდა მდინარე ხრამის მტკვართან შესართავის ზონაში გადებულ ხიდს, დღევანდელი სამხრეთ ქართლის ტერიტორიაზე. ამ ხიდს დღეს წითელ ხიდად მოიხსენიებენ. დილიჯანი განჯის ადმინისტრაციულ მხარეში შედიოდა, ამიტომ ნიკოლოზ ბარათაშვილს პრინცის უსაფრთხოდ გაცილება ევალებოდა. პრინცი არ ჩამოსულა, ამიტომ ბარათაშვილს შემთხვევით უსარგებლია, დილიჯანში შებრუნებულა და ორი დღით სტუმრად სწვევია თამარ ორბელიან-სენკოვსკაიას ოჯახს. რუს ჩინოვნიკზე გათხოვილი თამარი სამშობლოდან გადახვეწას უნუგეშო მდგომარეობაში ჩაუგდია. მის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს: „გასულელებულა, სულ იცინის“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 165)

ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის ძალუა ნინოს, თამარის დედას, და სიძის, ანდრია სენკოვსკის, გამოჯანმრთელების ამბავს ატყობინებს. პოეტი ბაბალეს მოკითხვას აბარებს ძალუა ელისაბედთანაც და ხუმრობით ემუქრება, მანამ არ მივწერ, სანამ „ჭორაჭურებით სავსე“ წიგნს არ მომწერსო.

განსაკუთრებული თხოვნით მიმართავს ბაბალეს, რომ ნინა ალექსანდროვნა ჭავჭავაძეს მატუროვის ცოლის მოკითხვა გადასცეს. უცნობია, ვის გულისხმობს ნიკოლოზი მატუროვის ცოლში, მაგრამ იგი სომეხი უნდა იყოს, რომელსაც ქართული და რუსული არ სცოდნია: „ჩვენი დროს გამტარებელი ეს არის. – მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამისი ენა ჯერ არ მესმის“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 165).

ბარათის ბოლოს გვაქვს იუმორისტული მინაწერი მაიკო ორბელიანის შესახებ: „მაგ სულელ მაიკოს უთხარ, რა ხანია თავის წიგნის პასუხი გამოუგზავნე“ და გულთბილი დამშვიდობება წერილის ადრესატთან: „შენი მარადის თ. ნ. ბარა[თაშვილი] (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 165).

ამრიგად, ბაბალე საგინაშვილისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი განსაკუთრებულია მისი მსუბუქი ტონისა და გულთბილი მოკითხვების გამო. ამ წერილში ჩანს, რამდენად უჭირს სამშობლოდან გადახვეწილ პოეტს უცხო გარემოში ყოფნა. იგი რამდენჯერმე სთხოვს ბარბარეს საქართველოსა და ნაცნობ-ნათესავების ამბების მოთხოვნას და ყოველი წვრილმანი დეტალი აინტერესებს.

ბარბარე საგინაშვილის წერილის შემდეგ, იმავე ბარათის მეორე მხარეს იწერება ნიკოლოზ ბარათაშვილის ბოლო წერილი, რომელიც ავტორმა თავის მამიდაშვილსა და ბარბარეს მეუღლეს, ალექსანდრე საგინაშვილს მისწერა.

ალექსანდრე საგინაშვილი მელიტონ ბარათაშვილის დის, მარიამის, შვილი იყო. მან და ბაბალე საგინაშვილმა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის ბიძაშვილი იყო, 1840 წელს იქორწინეს. დაქვრივების შემდეგ ალექსანდრე საგინაშვილმა ილია ჭავჭავაძის დაზე, ელისაბედ ჭავჭავაძეზე იქორწინა 1872 წელს.

წერილი გაგზავნილია მურუტიდან. თარიღი მითითებული არ არის. იგი მოცულობით საკმაოდ მცირეა და იმავე დღით თარიღდება, როგორც ბაბალე საგინაშვილისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი – 1845 წლის 23 აგვისტო.

ამ ბარათის დასაწყისიც გვატყობინებს, რომ ნიკოლოზის წერილს წინ უძლოდა ალექსანდრეს მონაწერი, რომელიც დღეს დაკარგულია. ეპისტოლური დიალოგის შესახებ კი საპასუხო ფრაზებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. როგორც ჩანს, ალექსანდრე საგინაშვილი ბიძაშვილს მიუწერლობისთვის საყვედურობდა, ამიტომ ნიკოლოზს ამ წერილში თავის მართლება უწევს: „ძმაო ალექსანდრე! რომ მემდური, არ ვიცი კი, აქ რა არის, რა მოგწერო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 166).

ნიკოლოზ ბარათაშვილს ალექსანდრე საგინაშვილთანაც ერთი მთავარი თხოვნა აქვს: შეატყობინოს თბილისის ამბები და მოიწეროს „ცნობებით გატენილი“ წერილები. თავად კი ატყობინებს მამუკა ორბელიანის თბილისში წამოსვლის ამბავს და მამიდაშვილს კარიერის შესახებ ეხუმრება: „რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ წელიწადს ბორჯომში შეექცევი, ცივს ნიავს არ მიიდენ! – მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგაგდებ დაღისტანში! საწყალს მაიორშობა არ ეღირსა, არ იქნა.

– ქალაქიდან განჯა ორასი ვერსია, თუნდ გამიჯავრდეთ, რას შეგეპუებით“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 166).

ბარათი საკმაოდ მცირე მოცულობისაა. ალექსანდრე საგინაშვილთან დამშვიდობების ფორმა ისეთივეა, როგორც ზოგადად ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ დიალოგს ახასიათებს: „შენი მარადის თ. ნ. ბარათაშვილი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 166).

ამრიგად, ამ ოჯახთან ნიკოლოზ ბარათაშვილს ახლო ნათესაური ურთიერთობა აქვს, რასაც ცხადყოფს მათი ეპისტოლური დიალოგი. წერილები საინტერესოა იუმორისტული პასაუებით. ნიკოლოზი ხუმრობს საკუთარი მდგომარეობის შესახებ: „ამით წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა; თუ ღმერთი არ შემეწია, გავსულელდები ამდენს თარაქამებში“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 165), – წერს იგი ბაბალე საგინაშვილს. თარაქამებში ნიკოლოზი გაუთლელ აზერბაიჯანელებს გულისხმობს. ნიკოლოზი ბაბალე საგინაშვილთან აჯავრებს მაიკო ორბელიანსაც: „მაგ სულელ მაიკოს უთხარ; რა ხანია თავის წიგნის პასუხი გამოუგზავნე“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 165).

მსუბუქი იუმორი ვლინდება ალექსანდრე საგინაშვილთანაც. ნიკოლოზ ბარათაშვილი მას სწერს: „მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგაგდებ დაღესტანში! საწყალს მაიორშობა არ ეღირსა, არ იქნა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 166).

ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებთან ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგი განსაკუთრებით გულდია და მსუბუქია. იგი ძირითადად ახლობლების ამბებს ეხება და დიალოგის ორივე მხარეს ამ ამბების კიდევ უფრო დეტალურად მოსმენა სურს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველა პირადი ბარათის ანალიზი გვაძლევს საინტერესო ცნობებს მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოების შესახებ. წერილების დახმარებით გავეცანით როგორც თავად ბარათაშვილის, ისე მის ირგვლივ მცხოვრები პიროვნებების მსოფლმხედველობასა და ხასიათს, ჩავუღრმავდით საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ისტორიულ მოვლენებს და ამ მოვლენების გავლენას ქართველთა ყოფაზე.

ადრესატების მიხედვით წერილების დალაგებამ საშუალება მოგვცა, გამოგვეყო ცალკეულ ადრესატებთან ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგების სპეციფიკური ნიშნები. კერძოდ, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ გრიგოლ ორბელიანს ნიკოლოზ ბარათაშვილი უფროს მეგობრად აღიქვამს, რომლისაგანაც ხშირ შემთხვევაში ხელის გამართვას ელოდება და დიდ იმედგაცრუებასაც გამოხატავს ხოლმე. ბიძასთან მას ყველაზე ხშირი და ვრცელი ეპისტოლური დიალოგი აქვს გამართული და ეს მიმოწერები გრძელდება ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელი ცხოვრების განმავლობაში. ჯერ კიდევ ყმაწვილობიდან ნიკოლოზი იწყებს გრიგოლზე საკუთარი წარმატებებისა და ოცნებების გაზიარებას და სიცოცხლის ბოლომდე არ წყვეტს ბიძა საკუთარი დისშვილის ცხოვრებისეულ გზაზე თვალის დევნებასა და აქტიურ დახმარებას. გრიგოლი ნიკოლოზს ცხოვრების ყველა ეტაპზე უცხადებს თანადგომას და ინტერესდება მისი ოცნებებით, თუმცა ვერ ახერხებს დისშვილს ცხოვრების მთავარი ნატვრა აუსრულოს და სამხედრო მოსამსახურე გახადოს, რის გამოც ბარათაშვილი მის მიმართ კრიტიკას არ ერიდება.

გარდა თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ცხოვრებისა, გრიგოლ ორბელიანთან ეპისტოლური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა ახლობელთა ამბებია. ბიძა-დისშვილი მუდმივად ეკითხება ერთმანეთს ნაცნობ-ნათესავების ამბავს და აბარებს მოვითხვებს მონატრებულ ადამიანებთან. ხშირია გულლიად ხუმრობა ან საერთო ნაცნობების გაჯავრება.

ბიძა-დისშვილი არ შემოიფარგლება მხოლოდ ოჯახის წევრების ამბების გადაცემით. ისინი მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს ირგვლივ მომხდარი პოლიტიკურ-ისტორიული მოვლენების შესახებ ცნობებს, რომელთა მეშვეობით ფარდა ეხდება გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დასმულ რამდენიმე საორჟოფო კითხვას, რომლებიც ზემოთ დეტალურად განვიხილეთ.

გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი მესაიდუმლეცაა. ნიკოლოზი მას ანდობს საკუთარი ლექსების პირველ შეფასებას. ბარათაშვილი განსაკუთრებული ვნებათაღელვით ელოდება ბიძის შეფასებას სამშობლოს თემატიკაზე დაწერილი ლექსების შემთხვევაში.

მაიკო ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგის მთავარი თემა ახლობელთა შესახებ ცნობები და ბარათაშვილის შინაგანი განცდებია. ეს ის ქალია, რომელთანაც ბარათაშვილს ყველაზე უკეთ გამოსდის საკუთარ სასიყვარულო ურთიერთობებზე საუბარი, სასიყვარულო ლექსების გაზიარება და გულღია მეგობრული მიმოწერა. აյ არ გვხვდება პოლიტიკურ-ისტორიული მოვლენების ერთობლივი გააზრების პროცესი. მაიკო ორბელიანი ნიკოლოზის პირადი გრძნობების კარგი მსმენელია და სავარაუდოდ, ნიკოლოზიც – მაიკოს მესაიდუმლე.

ზაქარია ორბელიანთან ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულების მხოლოდ ერთი ეპიზოდი გვაქვს შემონახული, როცა პოეტს ბიძის პიროვნებაში საკუთარი შეგრძნებების ანალოგი უპოვია და მასთან კიდევ უფრო დაახლოვება გადაუწყვეტია. მანამდე მათი ურთიერთობა თითქოს უფრო მეტად ოჯახის სხვა წევრების გავლით მიმდინარეობს. შემორჩენილ ბარათებში მთავარი თემა ოჯახის წევრებია. დიალოგები შესანიშნავ მასალას გვაძლევს მე-19 საუკუნის საქართველოს საქორწინო წევრების შესახებ.

მიხეილ თუმანიშვილი ბარათაშვილის ყრმობის მეგობარია. შემორჩენილ ერთადერთ წერილში კარგად ჩანს თანატოლებს შორის არსებული იუმორი. შემოქმედების გაზიარების სურვილი და საერთო ენა ადრესატსა და ადრესანტს შორის.

ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი მიწერილი ბარათები გვიქმნის შთაბეჭდილებას, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილს ნათესავების მიმართ. წყვილთან იგი შედარებით ძნელად პოულობს ვრცელი წერილებისთვის საჭირო საერთო ენას, მაგრამ ნათლად ჩანს პოეზიაში აღბეჭდილი რომანტიკოსი, მელანქოლიური ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე სახე – გულღია, მხიარული და ენამოსწრებული ჭაბუკი.

## **თავი 6. ნიკოლოზ ბარათაშვილის ოფიციალური წერილები**

ეპისტოლური ლიტერატურა ორი მიზნით იწერება: პირადი ან სამსახურებრივი. პირადი ხასიათის წერილები განკუთვნილია ახლობელთა და მეგობართა მოსაკითხად, საკომუნიკაციოდ ან კონკრეტული ინფორმაციის მისაწოდებლად. სამსახურებრივი წერილები კი ოფიციალური ხასიათისაა და იგი მრავალფეროვანი შინაარსის შეიძლება იყოს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურებრივი ოფიციალური დოკუმენტების მოგროვებასა და აღრიცხვას თავის დროზე ყურადღება არ მიექცა. ამის გამო მრავალი დოკუმენტი სამუდამოდ დაიკარგა. აღმოჩენილი არ არის ისეთი საბუთები, როგორიცაა: ბარათაშვილის ატესტატი გიმნაზიის დასრულების შესახებ, 1840 და 1845 წლებში ნიკოლოზ ბარათაშვილის ავადმყოფობის საბუთები და ნახჭევანში მისი სამსახურებრივი ზოგიერთი მოხსენება, აგრეთვე, უკანასკნელი წლის „ფორმულარი“ და ა.შ. ამგვარი საბუთების კვალი ჩანს სხვა შემონახულ დოკუმენტებში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანია, რომელმაც თავისი და მომდევნო ეპოქების ცხოვრებაზე წარუშლელი კვალი დატოვა. ბარათაშვილის სახელი დიდი ხნის განმავლობაში იყო მივიწყებული, ამიტომ მის პიროვნებასაც არ ექცეოდა ისეთი ყურადღება, როგორსაც ასეთი გენიალური პოეტი იმსახურებდა. ამის სავალალო შედეგია დღეს უკვე გაფანტულ-გაბნეული ნიკოლოზ ბარათაშვილის არაერთი ხელნაწერი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურებრივი ოფიციალური წერილები თანამედროვე მკვლევრებს რატომლაც ყურადღების მიღმა დარჩათ. ამ სამსახურებრივი დოკუმენტების ერთადერთი აღწერა 1945 წელს გაკეთებული აქვს პროფესორ შ. ჩხეტიას, რომელმაც თავისი კვლევის შედეგები გამოსცა წიგნად „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ).

ჩხეტიას თავი მოუყრია საქართველოს ეროვნული არქივის იმ მასალებისათვის, რომლებიც ნიკოლოზ ბარათაშვილს სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში აქვს დაწერილი. მას სულ 16 ფონდი დაუმუშავებია. ამ ფონდებიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერი აღმოჩნდა სულ 11 ფონდში. ამ დოკუმენტებიდან ნაწილი – სრულად, ხოლო ნაწილი მხოლოდ ნაწილობრივაა ბარათაშვილის მიერ შექმნილი. ჩვენთვის საინტერესო მასალები ჩხეტიას აღმოუჩენია შემდეგ 11 ფონდში:

1. განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი.
2. საქართველოს უმაღლეს მთავრობის სასამართლო ექსპედიციის ფონდი.
3. საქართველოს მთავარმმართველის კანცელარიის ფონდი.
4. ა-კავკასიის მთავარმმართველის კანცელარიის ფონდი.
5. ა-კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის კანცელარიის ფონდი.
6. საქართველოს თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს ფონდი.
7. საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის ფონდი.
8. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორის ფონდი.
9. თბილისის სამოქალაქო მმართველობის უფროსის კანცელარიის ფონდი.
10. საქართველო-იმერეთის საგუბერნიო მმართველობის ფონდი.
11. საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ფონდი.

ჩხეტიას შესწავლილი საბუთები თარიღდება 1835-1845 წლებით. ყველაზე მეტი დოკუმენტი ინახება ბოლო, საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ფონდში, რაც სავსებით ბუნებრივია იმიტომ, რომ სწორედ ამ დაწესებულებაში მსახურობდა ნ. ბარათაშვილი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში.

აღმოჩენილი ავტოგრაფებიდან დაახლოებით 200 დოკუმენტი სრულად ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერაა დაწერილი, დანარჩენებში კი გვხვდება ბარათაშვილისეული ჩანართები ან მინაწერები.

### 1. განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდი

განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდში, საქმე #9264-ში, დაცულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ოფიციალური დოკუმენტების 49 გვერდი. საქმის სათაურია „ბარათაშვილის ლექსები“. თუმცა ეს სათაური არ შეესაბამება დოკუმენტების შინაარსს, რადგან აქ ლექსების გარდა მოთავსებულია ნ. ბარათაშვილის, მელიტონის, ეფემიას, ილია ორბელიანისა და ერთი უცნობი პირის წერილებიც. საქმეში აგრეთვე ჩაკერებულია ზოგიერთი ამ წერილის პირებიც. აღნიშნული წერილებიდან ბარათაშვილის ავტოგრაფს ჩარმოადგენს 5 წერილი. ხუთივე წერილი გრიგოლ ორბელიანზე მიწერილი პირადი ხასიათის ბარათია.

განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდის წერილები ძირითადად პირადი ხასიათისაა და ოფიციალურ წერილებს შინაარსობრივად არ განეკუთვნება,

მაგრამ, ჩხეტიას ამ ფონდის წერილებიც აღნუსხული აქვს ოფიციალურ დოკუმენტებთან ერთად, ამიტომ ოფიციალური წერილების გვერდით განვიხილავთ პირადი ხასიათის ამ რამდენიმე ეპისტოლესაც.

დასახელებულთაგან პირველი წერილის ადრესანტი მელიტონ ბარათაშვილია. ბარათი გაგზავნილია 1837 წლის 1 მარტს გრიგოლ ორბელიანის მისამართით. წერილი საინტერესოა იმით, რომ დაწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით, თუმცა მას მამამისი, მელიტონი კარნახობს. წერილი იწყება სიტყვებით: „საყვარელო ძმაო გრიგოლ! შენი წიგნი მომივიდა... თავდება: „მე კი ისე ავად ვარ, რომ ამ წიგნსაც ტატოს ვაწერინებ. შენი ძმა მელიტონი“. მელიტონის ხელრთვა (ზვეულად) შესრულებულია ნიკოლოზის ხელით (ჩხეტია 1945: 65). ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ მელიტონის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად გართულებულია, მას თავად აღარ შეუძლია წერა და მხოლოდ კარნახობს წერილის ტექსტს შვილს.

მიუხედავად იმისა, რომ დაკარგულია წერილის ძირითადი ნაწილი, იგი მაინც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ნიკოლოზ ბარათაშვილის მამისა და ბიძის ურთიერთობის შესახებ. მიმართვის ფორმით „საყვარელო ძმაო გრიგოლ!“ გრიგოლ ორბელიანს მიმართავენ როგორც მელიტონი, ასევე ზრდასრული ნიკოლოზ ბარათაშვილი. ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანისადმი ოჯახის ყველა წევრს განსაკუთრებით გულთბილი დამოკიდებულება აქვს. ასეთივე დამოკიდებულების გამომხატველია წერილის დასასრულიც „შენი ძმა მელიტონი“.

ამ ფონდში აღმოჩენილი სხვა წერილების ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილია. იგი წერილებს საყვარელ ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, უგზავნის. წერილებს ათარიღებენ 1842 წლის ივლისის პირველი დეკადით, 1841 წლის 18 ოქტომბრით, 1842 წლის 2 მაისით, 1843 წლის 21 აგვისტოთი. ყველა ეს წერილი დეტალურად განვიხილეთ ნაშრომის თავში „ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური დიალოგი“.

ბიძისადმი გაგზავნილი წერილები გვაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ბიძის ურთიერთობის შესახებ. გრიგოლ ორბელიანს უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით მიმართავს მამა-შვილი. ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანისადმი ოჯახის ყველა წევრს განსაკუთრებით გულთბილი დამოკიდებულება აქვს და მათთვის გრიგოლი დიდი იმედია.

2. საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის ფონდი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები შემონახულია საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის ფონდის 15 საქმეში. საქმის ნომრებია # 4702, 4726, 4727, 4728, 4730, 4732, 5001, 5238, 5258, 5324, 5725, 6815, 6900, 6904, 7225. ამ თხუთმეტ საქმეში გვაქვს სულ 26 ავტოგრაფი.

ეს 26 დოკუმენტი შინაარსის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: 2 ნასყიდობის სიგელი, 4 მიმართვა, 11 დადგენილება, 2 სია, 1 ფიცითი აღთქმა, 1 პატაკი, 2 მიღება-ჩაბარების აქტი, 1 გადაწყვეტილ საქმეთა აღწერა.

საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის ფონდში დაცულ ნასყიდობის სიგელთაგან ყურადღებას იქცევს 1837 წლის 3 ნოემბრით დათარიღებული სიგელი, რადგან იგი ნ. ბარათაშვილის ოჯახური ცხოვრების შესახებ გვაძლევს ცნობებს. ნიკოლოზი მამის ნაცვლად წერს დოკუმენტს და ყარამან არღუთინსკი-დოლგორუკოვის სთხოვს შეძენილ გლეხებზე ნასყიდობის სიგელი დაუმტკიცოს. სიგელი მთლიანად რუსულადაა დაწერილი, ეს არცაა გასაკვირი, რადგან წერილის ადრესატი რუსი სახელმწიფო მოხელეა.

1838 წლის 19 მაისით დათარიღებული ფიცითი აღთქმა გვატყობინებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიცს სამსახურებრივი მოვალეობის ერთგულად და პირნათლად შესრულების შესახებ. ფიცის ტექსტი დაბეჭდილია და ფორმალური ხასიათისაა, ხოლო ტექსტის ბოლოს ხელს აწერენ: სოფრონსკი, ავალიანი და ნ. ბარათაშვილი (საქმე # 5324).

აღნიშნული დოკუმენტები გვიქმნიან წარმოდგენას ბარათაშვილის სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ. ვიგებთ, რის კეთება ევალებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილს სამსახურში და რატომ იყო ეს საქმე მისთვის ესოდენ მოსაწყენი და არასასურველი.

სასამართლოსა და განჩინების ექსპედიცია, რომელშიც დასაქმებული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, მაშინდელი რუსული ხელისუფლების სასამართლოს ფუნქციების აღმასრულებელი ორგანო იყო. ბარათაშვილს ძირითადად ბიუროკრატიული, სრულიად არა შემოქმედებითი ხასიათის სამუშაოს შესრულება უწევდა. იგი წერდა პატაკებს, ბრძანებებს, ოფიციალური პირებისადმი მიმართვებს, დადგენილებებს და სხვა მსგავსი შინაარსის მქონე დოკუმენტებს. ეს სამუშაო მისთვის,

როგორც შემოქმედი პიროვნებისათვის, სრულიად უინტერესო და სულის შემხუთველი საქმე იყო.

### **3. საქართველოს მთავარმმართველის კანცელარიის ფონდი.**

საქართველოს მთავარმმართველის კანცელარიის ფონდში ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები დაცულია სამ საქმეში: #7939, 8656 და 4575. სულ 10 დოკუმენტი.

ისინი წმინდად სამსახურებრივი ხასიათისაა. ეს არის შუამდგომლობები ფულადი ჯილდოების გაცემაზე, ამავე პალატის მოხელეთა სიები, უწყისი და მოხსენება პალატის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ. აგრეთვე, გაცემული ქვითრების, სიგელების, მოწმობების, ოქმებისა და ფინანსების შესახებ ანგარიშები.

### **4. ა-კავკასიის მთავარმმართველის კანცელარიის ფონდი.**

ა-კავკასიის მთავარმმართველის კანცელარიის ფონდში ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერები შემორჩენილია სამ საქმეში: #2658, 2934 და 2979. თითოეულ მათგანში დაცულია თითო ავტოგრაფი. სულ სამი დოკუმენტი. თხოვნათაგან ყველა საყურადღებოა, რადგან გვიქმნის წარმოდგენას ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახის ფინანსური პრობლემების შესახებ.

1844 წლის 28 აპრილით დათარიღებულია მელიტონ ბარათაშვილის თხოვნა ა-კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსისადმი. ნიკოლოზ ბარათაშვილი მამის სახელით წერს საჩივარს საგუბერნიო სამმართველოსადმი იმის გამო, რომ ბარათაშვილების მამულს ყადაღა ადევს. მთელი საბუთი შედგენილია ნ. ბარათაშვილის ხელით (საქმე #2658).

1844 წლის 16 ოქტომბრითაა დათარიღებული მელიტონ ბარათაშვილის თხოვნა ა-კავკასიის მთავარმმართველ ნეიდგარდტისადმი. ამ საბუთით მელიტონი მთავარმმართველს სთხოვს სამსახურში მიღებას. მთელი საბუთი შედგენილია ნ. ბარათაშვილის ხელით. მელიტონის ხელმოწერაც ნიკოლოზს უნდა ეკუთვნოდეს (საქმე #2934).

1844 წლის 28 ნოემბრითაა დათარიღებული ლ. მელიქიშვილის „მოხსენებითი ბარათი“ ნახჭევანის მაზრის უფროსის თამაშემწის მელეშკოს გოროდნიჩად

გადაყვანისა და მის მაგიერ ამ თანამდებობაზე დროებით ნ. ბარათაშვილის დანიშვნის შესახებ. მთელი საბუთი დაწერილია ნ. ბარათაშვილის ხელით (საქმე #2979).

აღნიშნული წერილები მიგვანიშნებს, რომ ბარათაშვილი ჩართულია ოჯახის ფინანსური პრობლემების მოგვარებაში, მამასთან ერთად ცდილობს დაყადაღებული ქონების დახსნასა და მისთვის სამსახურის შოვნას. ბოლო წერილით კი ცხადი ხდება, რომ მას ძალიან სურს მელიქიშვილის მოადგილეობა და წერილსაც კი თავად წერს მეგობრის მაგივრად.

#### **5. ა-კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის კანცელარიის ფონდი.**

ა-კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის კანცელარიის ფონდში ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები დაცულია ერთ საქმეში. სახელდობრ, საქმე # 4211-ში, სულ ექვსი დოკუმენტი. ექვსივე მათგანი შინაარსობრივად 1845 წლით დათარიღებული პატაკია და ისინი სრულად სამსახურებრივია.

ეს პატაკები წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის ოფიციალურ მიმართვებს თანამდებობის პირებისადმი, რომ მათ მიიღონ შესაბამისი ზომები ვინმე უსუფ ალავერდი-ოღლის უცნობი პირის მიერ დაჭრის გამო, აგრეთვე, ორი ადგილობრივი თათრის გაძარცვის, სოფ. ამირვარის მცხოვრებ მამედიოლჩივის მკვლელობისა და სხვა ამგვარი კრიმინალური ფაქტების შესახებ.

ამ დროს ნ. ბარათაშვილი ნახჭევანის მაზრის უფროსის თანაშემწევა და ამ საბუთების შედგენა მისი პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობაა.

#### **6. საქართველოს თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს ფონდი.**

საქართველოს თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს ფონდში დაცულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი ავტოგრაფი საქმე #2029-ში. ეს დოკუმენტი წარმოადგენს 1841 წლის 4 თებერვლით დათარიღებულ თხოვნას მელიტონ ბარათაშვილისა საქართველო-იმერეთის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსადმი, რომ მას მიეცეს ოქმი, რომლითაც ის დამტკიცებულია თავადის წოდებაში. მთელი საბუთი დაწერილია ნ. ბარათაშვილის ხელით (საქმე #2029).

#### **7. საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამდღოლის ფონდი.**

საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამდღოლის ფონდში ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები დაცულია ორ საქმეში. სახელდობრ, საქმე #261-სა და #262-ში. ამათგან პირველ საქმეში დაცულია ხუთი საბუთი, ხოლო მეორე საქმეში -

ერთი საბუთი. ექვსივე საბუთი პატაკია. ამ პატაკებით ცხადი ხდება ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის ჯანმრთელობის რთული მდგომარეობა. ვიგებთ, რომ მას საბოლოოდ ამის გამო სამსახურის დატოვებაც უწევს და ოჯახი მძიმე ფინანსური გაჭირვების პირისპირ აღმოჩნდება.

- 1) 1837 წლის 9 აპრილით დათარიღებული მელიტონ ბარათაშვილის პატაკი საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამდღოლისადმი. მელიტონი თხოულობს შვებულებას ავადმყოფობის გამო. საბუთი შედგენილია ნ. ბარათაშვილის მიერ (საქმე #261).
- 2) 1837 წლის 18 ივნისით დათარიღებული მელიტონ ბარათაშვილის პატაკი საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამდღოლისადმი, მაზრის თავად-აზნაურობის წინამდღოლის თანამდებობის მელიქიშვილისათვის გადაბარების შესახებ. საბუთი შედგენილია ნ. ბარათაშვილის მიერ (საქმე #261).
- 3) 1837 წლის 12 აგვისტოთი დათარიღებული მელიტონ ბარათაშვილის პატაკი საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამდღოლისადმი, შვებულებიდან დაბრუნების შესახებ. საბუთი შედგენილია ნ. ბარათაშვილის მიერ (საქმე #261).
- 4) 1837 წლის 25 ნოემბრით დათარიღებული მელიტონ ბარათაშვილის პატაკი საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამდღოლისადმი. მელიტონი თხოულობს სამსახურიდან გათავისუფლებას ავადმყოფობის გამო. საბუთი შედგენილია ნ. ბარათაშვილის მიერ (საქმე #261).
- 5) 1838 წლის 12 მაისით დათარიღებული მელიტონ ბარათაშვილის პატაკი საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამდღოლისადმი, განკურნების შემდეგ სამსახურში დაბრუნების შესახებ. საბუთი შედგენილია ნ. ბარათაშვილის მიერ (საქმე #261).
- 6) 1838 წლის 26 ივნისით დათარიღებული დოკუმენტი წარმოადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფს, შინაარსით – მელიტონ ბარათაშვილის პატაკს საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამდღოლისადმი. იგი ატყობინებს ბორჩალოს ბოქაურს, რომ მის მიერ ბორჩალოს დისტანციაში

არსებული ბარათაშვილების მამულის შემფასებლად (რწმუნებულად) დანიშნულია თამაზ ურქმაზოვი (საქმე #262).

როგორც ვხედავთ, აქ დაცული პატაკები გვაუწყებს მელიტონ ბარათაშვილის ავადმყოფობის ამბებს და ამ ერთი შეხედვით მშრალი, ოფიციალური წერილებით ცხადი ხდება ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის ჯანმრთელობის მდგომარეობა. 1837 წლის 9 აპრილს მელიტონი თხოულობს შვებულებას ავადმყოფობის გამო, ამავე წლის 18 ივნისს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად უარესდება, რომ საქმეს ოფიციალურად გადააბარებს მელიქიშვილს, 12 აგვისტოს შვებულებიდან დაბრუნების შესახებ წერს მამის სახელით ნიკოლოზი პატაკს, მაგრამ 25 ნოემბერს იმედი გამოჯანმრთელების შესახებ გადაწურულია და ნიკოლოზის ხელით დაწერილი პატაკით მელიტონ ბარათაშვილი სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვს. ლამის ერთი წლის შემდეგ, 1838 წლის 12 მაისს, მელიტონი თავს გამოჯანმრთელებულად გრძნობს და განკურნების შემდეგ სამსახურში დაბრუნებას ითხოვს. თუმცა, როგორც ვიცით, ამ ავადმყოფობების შემდეგ მისი კარიერული და ფინანსური მდგომარეობა უკვე გამოუსწორებლად დაზიანებულია, რაც გადამწყვეტად იმოქმედებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედზეც. ფინანსური გაჭირვების მარწუხები ერთ-ერთი ფაქტორი ხდება ბარათაშვილისთვის, რის გამოც იგი ვერ ისრულებს საკუთარ ოცნებას სამხედრო კარიერის შესახებ.

#### 8. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფონდი(ფონდი #138)

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფონდში დაცულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი ავტოგრაფი საქმე #4953-ში. ეს დოკუმენტი წარმოადგენს მელიტონ ბარათაშვილის თხოვნას საქართველოს-იმერეთის სინოდალურ კონტორისადმი. 1835 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებული ამ დოკუმენტით მელიტონი ითხოვს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების მეტრიკულ მოწმობას. მთელი საბუთი დაწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით. საბუთი წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებს შორის ყველაზე ადრინდელ ავტოგრაფს (საქმე #4953).

ჩვენთვის უცნობია, კონკრეტულად რისთვის დასჭირდა მელიტონ ბარათაშვილს ნიკოლოზის დაბადების მეტრიკული მოწმობის გამოთხოვა, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ თავისი კარიერული გზის დასაწყისში, ეს საბუთი ნიკოლოზს სამსახურში მოსაწყობად სჭირდებოდა.

## **9. თბილისის სამოქალაქო მმართველობის უფროსის კანცელარიის ფონდი (ფონდი #152)**

თბილისის სამოქალაქო მმართველობის უფროსის კანცელარიის ფონდში ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები დაცულია ოთხ საქმეში: #6264, 7243, 8411 და 8636. ჯამში 18 საბუთია.

საბუთებიდან ყურადღებას იქცევს 1845 წლის 10 მაისით დათარიღებული ნიკოლოზ ბარათაშვილის მოხსენება სამოქალაქო გუბერნატორ სოტნიკოვისადმი. ნიკოლოზი უჩივის საგუბერნიო სამმართველოს, რომ მან არ შეასრულა ა-კავკასიის მთავარმმართველის ნეიდგარდტის განკარგულება, ნ. ბარათაშვილი დაენიშნათ ნახჭევანის მაზრის უფროსის თანაშემწედ და სთხოვს გუბერნატორს დანიშნოს ის რომელიმე მაზრაში მაზრის უფროსის თანაშემწედ (საქმე #8636). ამ ფაქტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბარათაშვილს ნახჭევანში ტყუილად უმსახურია. იგი თანამდებობაზე არ გაუფორმებიათ და შესაბამისად, ხელფასიც არ მიუღია, რაც, ბუნებრივია, მის იმედგაცრუებასა და ბრაზს გამოიწვევდა.

1845 წლის 15 ივნისით გვაქვს დათარიღებული ნიკოლოზ ბარათაშვილის პატავი სამოქალაქო გუბერნატორისადმი იმის შესახებ, რომ ის თანახმაა, გადაიყვანონ თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობიდან ელისავეტოპოლის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე. მთელი საბუთი შედგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ (საქმე #8636).

ამ ორი ოფიციალური წერილით ვხედავთ საკუთარი მომავლისთვის მებრძოლ პოეტს, რომელიც არ აპირებს შეეგუოს მის მიმართ გამოჩენილ უყურადღებობას. მიუხედავად გარკვეული კარიერისა, რომელიც ბარათაშვილს საქართველოში ჰქონდა, მან მაინც უარი თქვა კანცელარიის მოხელეობაზე, რადგან, როგორც მეცნიერი თამარ შარაბიძე აღნიშნავს, ნახჭევანის მაზრის უფროსის თანაშემწეობა მისთვის სამხედრო სამსახურის მსგავსი თანამდებობა იყო. ამის საშუალება მას იმის მერე შეექმნა, რაც ნახჭევანის მაზრის უფროსად დაინიშნა ლევან მელიქიშვილი, ხოლო მან თავის თანაშემწედ ნიკოლოზ ბარათაშვილი წაიყვანა (შარაბიძე 2019: 55). თუმცა, როგორც მომავალში ვნახავთ, ეს სულაც არ არის ბარათაშვილის საოცნებო საქმე და მისი თავისუფალი, შემოქმედი პიროვნების სული ვერაფრით შეეგუება ამგვარ ბიუროკრატიულ საქმიანობას.

## **10. საქართველო-იმერეთის საგუბერნიო მმართველობის ფონდი**

საკუთარი მდგომარეობისთვის ბრძოლა გრძელდება საქართველო-იმერეთის საგუბერნიო მმართველობის ფონდში დაცულ ნიკოლოზ ბარათაშვილის 48 ავტოგრაფთაგან ზოგიერთშიც.

საქართველო-იმერეთის საგუბერნიო მმართველობის ფონდში ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები დაცულია 17 საქმეში: #97, 119, 223, 251, 253, 254, 258, 269, 303, 318, 325, 504, 505, 5098, 6164, 7294 და 7297. ჯამში 48 ავტოგრაფი

ამათგან აღსანიშნავია 1840 წლის 9 ნოემბრის მიმართვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატისა საგუბერნიო სამმართველოსადმი იმის შესახებ, რომ აღმრულ იქნას შუამდგომლობა იმავე პალატის სამი მოხელის, მათ შორის „კოლექსვი რეგისტრატორ“ ნიკოლოზ ბარათაშვილის, შემდეგი ხარისხით „დაჯილდოების“ შესახებ. მთელი საბუთი შედგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ. მასზე ბარათაშვილი ხელს არ აწერს (საქმე # 97).

აგრეთვე, მნიშვნელოვანია 1836 წლის 4 ივლისის მიმართვა საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციის აღმასრულებელი ექსპედიციისადმი, ნიკოლოზ ბარათაშვილის სასამართლო ექსპედიციაში მიღების შესახებ. მთელი საბუთი დაწერილია ნ. ბარათაშვილის ხელით (საქმე #7294)

საყურადღებოა, 1839 წლის 6 ოქტომბრის თხოვნა მელიტონ ბარათაშვილისა სამოქალაქო გუბერნატორის სახელზე, ელისავეტპოლის ოკრუგის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. მთელი საბუთი დაწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით (საქმე #6164).

ამ საბუთებში გვხვდება 1839 წლის 21 იანვრის მოხსენებითი ბარათი მელიტონ ბარათაშვილისა გუბერნატორ ახლესტიშევისადმი, მისთვის რაიმე შესაფერისი თანამდებობის მიცემის შესახებ. მთელი საბუთი დაწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით (საქმე #6164).

აგრეთვე, გვაქვს უთარიღო მოხსენება ნიკოლოზ ბარათაშვილისა ა-კავკასიის მთავარმმართელისადმი დავით მუხრანბატონისა და მელიტონ ბარათაშვილის „წარჩინების ჩინით“ დაჯილდოების შესახებ. მთელი მოხსენება შედგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით. (საქმე #7297).

ამ დოკუმენტებში ერთიანდება 1836 წლის 4 ივლისის ხელწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომ იგი არ ეკუთვნის „საიდუმლო საზოგადოებებს“. საბუთი მთლიანად დაწერილია ნ. ბარათაშვილის ხელით(საქმე #7294).

ეს საბუთები წარმოადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართვებს სხვადასხვა თანამდებობის პირებისადმი. ესენია ერთგვარი რეკომენდაციები, რომ შესაბამისი ხარისხით დაჯილდოვდნენ პალატაში დასაქმებული ესა თუ ის მოხელე. ბარათაშვილი მიმართვებით აგრეთვე ითხოვს სასამართლო ექსპედიციაში მიღებას, თავად მისთვის ხარისხის მინიჭებას ან რაიმე შესაფერისი თანამდებობის მიცემას.

1840 წლის 9 ნოემბერს ბარათაშვილი მიმართავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის საგუბერნიო სამმართველოს, რომ აღიძრას შუამდგომლობა ამ პალატის სამი მოხელის ხარისხით დაჯილდოების შესახებ. ამ სამ მოხელეთა შორის მოხსენიებულია ნიკოლოზ ბარათაშვილიც. მთელი საბუთი შედგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით, მაგრამ საბუთზე იგი თავად ხელს არ აწერს (საქმე #97).

დღევანდელი მკითხველისთვის ცოტა ბუნდოვანია, რისთვის უნდა იბრძოდეს ასე გამალებით მამა-შვილი უკეთესი თანამდებობისა და ხარისხებისთვის, მაგრამ იმ ეპოქაში ეს საზოგადოებაში დაწინაურებისა და ფინანსური უზრუნველყოფის შესაქმნელად ერთადერთი გზა იყო.

**11. საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ფონდი საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ფონდში ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები დაცულია 85 საქმეში (სულ 388 ავტოგრაფი).**

შესწავლილ დოკუმენტთაგან ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად ცხოვრებასთან კავშირი აქვს მხოლოდ რამდენიმეს: 1844 წლის 4 ივლისით დათარიღებული ნ. ბარათაშვილის ხელით ნაწერი თხოვნით მელიტონი ითხოვს მის მიერ შეძენილ ოთხ კომლ გლეხებზე ნასყიდობის სიგელის შედგენას (საქმე #161).

1840 წლის 27 ნოემბრის თარიღით შედგენილი დადგენილებით სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატა გამოსცემს განკარგულებას, რომ გრიგორიევის ნაცვლად მეორე განყოფილების მეოთხე მაგიდის უფროსად ნ. ბარათაშვილი ინიშნება (საქმე # 20317). ხოლო 1841 წლის 18 მარტის საერთო პატაკით ნ. ბარათაშვილი გადაიბარებს გრიგორიევის საქმეებს (საქმე #20317).

საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის ფონდში დაცულ დოკუმენტთაგან თითქმის ყველა სამსახურებრივი ხასიათისაა. ეს დოკუმენტები გვატყობინებს, თუ რა საკითხებზე უწევდა მუშაობა ნ. ბარათაშვილს. იგი უკმაყოფილოა საკუთარი სამსახურით. მისი ბუნება ბევრად დიადი საქმეებისკენ მიისწრაფვის.

სამსახურებრივი დოკუმენტების ადრესატები არიან საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიცია, საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატა, ნახჭევანის სამაზრო სამმართველო და ა.შ. ამ ავტოგრაფებს შორის არის როგორც ვრცელი და დიდი მოცულობის, ისე მოკლე და მცირე მოცულობის საბუთები. შინაარსობრივად ეს საბუთები წარმოდგენს მოხსენებით ბარათებს, დასკვნებს, მოხელეთა სიებს, თანამდებობის პირთა ფორმულარებს, საქმეების მიღება-ჩაბარების აქტებს და სხვა. წერილების სტილის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ამ პერიოდის სახელმწიფო საქმისწარმოება ემყარებოდა ფორმალიზმს, ტრაფარეტულობასა და შაბლონური წესების დაცვას.

საბუთები შედგენილია გამართული რუსულით, რაც გვაჩვენებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი სრულყოფილად ფლობდა ამ ენას. იგი აგრეთვე კარგად იცნობდა საქმის წარმოებასა და სახელმწიფო კანონებს. ამგვარ მისთვის უინტერესო საქმიანობას ნიკოლოზ ბარათაშვილი შინაგანი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობითა და გულმოდგინებით წლების განმავლობაში ასრულებდა.

ეპისტოლეები თვალწათლივ დაგვანახებს რუსული მმართველობის შედეგებს: რუსული ენის მომძლავრებასა და ამის ფონზე ქართული ენის ფუნქციურ დაქვეითებას სახელმწიფო საქმისწარმოების ენიდან მისი საერთოდ გაქრობის დონემდე. ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში მხოლოდ რუსული ენაა. რუსული ენის მომძლავრება პირად ბარათებშიც წარმოჩნდება. ვხედავთ რუსეთისგან დანიშნულ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც უხვად არიგებენ რუსულ ჩინ-მედლებს და რუსეთისადმი დამსახურების მიხედვით ანაწილებენ თანამდებობებს. მიუხედავად საჯარო მოხელეობისადმი ნიკოლოზის უინტერესო დამოკიდებულებისა, ბარათაშვილიც ისწრაფვის ამ თანამდებობებისკენ, რადგან ეს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი საშუალებაა.

5. ბარათაშვილის ჩხეტიას აღმოჩენილი ავტოგრაფები შინაარსისა და გარეგნული ნიშნების მიხედვით, სხვადასხვა სახისა და შინაარსისაა. თერთმეტივე ფონდის 512 შესწავლილი წერილიდან გამოიყოფა შემდეგი შინაარსობრივი ჯგუფები:

პირადი წერილი – 5, ნასყიდობის სიგელი – 2, მიმართვა – 102, დადგენილება – 240, სია – 43, ატესტატი – 3, ფიცითი აღთქმა – 1, პატაკი – 20, მიღება-ჩაბარების აქტი – 2, აღწერა – 7, შუამდგომლობა – 5, მოხსენება – 10, უწყისი – 11, ამონაწერი – 7, თხოვნა – 10, შეკითხვა – 4, ცხრილი – 1, ხელწერილი – 1, შემამოწმებელი ხელრთვა – 3, ცირკულარის პირი - 1, მიწერილობა – 5, ანგარიში – 1, მოკლე ფორმულარი -1, ბრძანება – 18, ნუსხა – 6, ცნობა – 1, პასუხი -2.

აღმოჩენილი ავტოგრაფებიდან ყველაზე ადრინდელი ავტოგრაფი დათარიღებულია 1835 წლის 30 ოქტომბრით. ეს არის მელიტონ ბარათაშვილის თხოვნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სახელზე იმის შესახებ, რომ მას მიეცეს შვილის (ნიკოლოზის) დაბადების მეტრიკული მოწმობა. ყველაზე გვიანდელი ავტოგრაფი დათარიღებულია 1845 წლის 25 სექტემბრით. ეს არის ნ. ბარათაშვილის პატაკი ელისავეტპოლიდან ა-კავკასიის მთავარმმართველობის სახელზე სოფელ სარლარში მომხდარ მკვლელობისა და ამის თაობაზე მიღებულ ღონისძიებათა შესახებ (ფონდ. 138, საქმე #4953).

ჩხეტიას მიერ შესწავლილი ბარათაშვილის სამსახურებრივი დოკუმენტები პირობითად სამ ჯგუფად შეგვიძლია დაყოოთ: პირადი ცხოვრების ამსახველი წერილები, სამსახურებრივი ოფიციალური დოკუმენტები და სხვა თანამდებობის პირთა სახელით შექმნილი საბუთები.

პირადი ცხოვრების ამსახველ წერილებში შევიყვანთ განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა ფონდში აღმოჩენილ გრიგოლ ორბელიანისათვის მიწერილ 4 პირად წერილს, ამავე ფონდში დაცულ მელიტონ ბარათაშვილის ერთი წერილსა და სხვა ფონდებში აღმოჩენილ იმგვარ წერილებს, რომლებიც გვატყობინებს ბარათაშვილის ოჯახის გასაჭირს.

ბარათაშვილის ოფიციალურ დოკუმენტებში გამოიყოფა სხვა თანამდებობის პირთა სახელით შედგენილი საბუთები. ამ დოკუმენტებში შედის ოფიციალური საკანცელარიო მიმოწერა. ამ შემთხვევაში ბარათაშვილი რომელიმე თანამდებობის პირის ან დაწესებულების სახელით აგზავნის წერილს. ეს დოკუმენტები, როგორც

წესი, ერთნაირი ენითა და სტილითაა დაწერილი და დღევანდელი მკითხველისათვის საინტერესო შინაარსით არ გამოირჩევა. თუმცა ეს დოკუმენტები იმ ნიშანდობლივი დასკვნის გაკეთების საშუალებას მაინც გვაძლევს, რომ ბარათაშვილი კარგად ერკვეოდა საკუთარ საქმეში და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა მას.

გარდა ოჯახის გაჭირვებისა, დოკუმენტებში ჩანს ნ. ბარათაშვილის კარიერული გზა: 1836 წლის 4 ივლისის მიმართვა საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციისა აღმასრულებელი ექსპედიციისადმი იუწყება ნიკოლოზ ბარათაშვილის სასამართლო ექსპედიციაში მიღების შესახებ (საქმე #7294). სამსახურში მიღებამდე კი იმავე დღეს ნიკოლოზი წერს ხელწერილს, რომ იგი არ ეკუთვნის „საიდუმლო საზოგადოებებს“ (საქმე #7294). 1838 წლის 19 მაისით დათარიღებული ფიცითი აღთქმა გვატყობინებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიცს სამსახურებრივი მოვალეობის ერთგულად და პირნათლად შესრულების შესახებ (საქმე # 5324). 1840 წლის 9 ნოემბრის კი იწერება მიმართვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატისა საგუბერნიო სამმართველოსადმი იმის შესახებ, რომ აღმრულ იქნას შუამდგომლობა პალატის სამი მოხელის, მათ შორის „კოლეჟსკი რეგისტრატორ“ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგი ხარისხით „დაჯილდოების“ შესახებ (საქმე # 97).

სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის დადგენილება, 1840 წლის 27 ნოემბრის თარიღით, გვატყობინებს გრიგორიევის ნაცვლად მეორე განყოფილების მეოთხე მაგიდის უფროსად ნ. ბარათაშვილის დანიშვნის შესახებ (საქმე # 20317). 1841 წლის 18 მარტის თარიღით იწერება ნ. ბარათაშვილისა და საერთო პატაკი, პირველის მიერ მეორესაგან მეოთხე მაგიდის საქმეების მიღების შესახებ (საქმე #20317). ბარათაშვილის თანამდებობრივი დაწინაურება შემოგვინახა 1844 წლის 28 ნოემბრით დათარიღებულმა ლ. მელიქიშვილის „მოხსენებითმა ბარათმა“ ნახშევანის მაზრის უფროსის თამაშემწის მელეშვილს გოროდნიჩად გადაყვანისა და მის მაგიერ ამ თანამდებობაზე დროებით ნ. ბარათაშვილის დანიშვნის შესახებ (საქმე #2979).

ბარათაშვილი არ ეგუება უინტერესო სამსახურს: 1845 წლის 10 მაისით დათარიღებული, სამოქალაქო გუბერნატორ სოტნიკოვისადმი მოხსენებით ნიკოლოზი უჩივის საგუბერნიო სამმართველოს, რომ მან არ შეასრულა ა-კავკასიის მთავარმმართველის ნეიდგარდტის განკარგულება, ნ. ბარათაშვილის დაენიშნათ ნახიჭევანის მაზრის უფროსის თანაშემწედ და სთხოვს გუბერნატორს დანიშნოს ის

რომელიმე მაზრაში მაზრის უფროსის თანაშემწედ (საქმე #8636). 1845 წლის 15 ივნისით დათარიღებულ პატაკში კი ნიკოლოზ ბარათაშვილი აცხადებს, რომ თანახმაა გადაყვანილ იქნეს თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობიდან ელისავეტოპოლის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე (საქმე #8636).

1837 წლიდან მელიტონ ბარათაშვილი ავადმყოფობს, რაც მძიმე მორალური და ფინანსური ტვირთია მისი ოჯახისთვის. ნიკოლოზის ხელით დაწერილ მელიტონ ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „მე კი ისე ავად ვარ, რომ ამ წიგნსაც ტატოს ვაწერინებ. შენი მმა მელიტონი“ (ჩხეტია 1945: 65).

როგორც ვნახეთ, 1837 წლის პატაკებით მელიტონ ბარათაშვილი თხოულობს შვებულებას ავადმყოფობის გამო, ავადმყოფობის გამო თანამდებობას მელიქიშვილს გადააბარებს, მომჯობინებული შვებულებიდან დაბრუნებას ითხოვს, საბოლოოდ კი ავადმყოფობის მიზეზით სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვს (საქმე #261). გაივლის ნახევარი წელი და 1838 წლის 12 მაისის დათარიღებული პატაკით მელიტონ ბარათაშვილი საქართველოს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს განკურნების შემდეგ სამსახურში დაბრუნებას სთხოვს (საქმე #261), თუმცა სამსახურში აღდგენა არც ისე მარტივი საქმე აღმოჩნდება და შემდეგ წლების მანძილზე რაიმე შესაფერისი სამსახურის ძებნა უწევს.

მელიტონი არ წყვეტს სახელმწიფო მოხელეების სახელზე ეპისტოლეების გაგზავნას, რათა მატერიალურად გასაჭირები ჩავარდნილ თავის ოჯახს რამენაირად დაეხმაროს. თუმცა, ეს წერილები მთლიანად ბარათაშვილის მიერაა დაწერილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ მელიტონის ჯანმრთელობის მდგომარეობა არც ისე დამაკმაყოფილებელია. 1839 წლის 6 ოქტომბრით დათარიღებული, ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით დაწერილი წერილით მელიტონ ბარათაშვილი სამოქალაქო გუბერნატორს ელისავეტპოლის ოკრუგის თანამდებობაზე დანიშვნას სთხოვს (საქმე #6164).

დოკუმენტებში გვხვდება 1844 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებული მელიტონ ბარათაშვილის თხოვნა ა-კავკასიის მთავარმმართველ ნეიდგარდტისადმი. ამ საბუთით მელიტონი მთავარმმართველს სთხოვს სამსახურში მიღებას. მთელი საბუთი შედგენილია ნ. ბარათაშვილის ხელით. მელიტონის ხელრთვაც ნიკოლოზს უნდა ეკუთვნოდეს (საქმე #2934).

მელიტონ ბარათაშვილის ავადმყოფობა და სამსახურიდან გათავისუფლება ბარათაშვილების ოჯახის მატერიალური პრობლემების დასაწყისად იქცევა. ამ მოვლენებს ვხედავთ 1844 წლის 28 აპრილის მელიტონ ბარათაშვილის საჩივარში, რომ საგუბერნიო სამმართველომ ყადაღა მოხსნას ბარათაშვილების დაყადაღებულ მამულს. ეს საბუთი ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელითაა დაწერილი (საქმე #2658).

მელიტონის ავადმყოფობა და სამსახურის დატოვება ბარათაშვილების ოჯახს ეკონომიკურ კრიზისს უქმნის. ეს ჩანს 1844 წლის 28 აპრილით დათარიღებულ მელიტონ ბარათაშვილის ა-კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსისადმი საჩივარში, რომ ბარათაშვილების მამულს ყადაღა ადევს (საქმე #2658).

1845 წლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახის ფინანსური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და ოჯახი ნიკოლოზისგან თანადგომას ელოდება, ამიტომ პოეტი ცდილობს მათთან ახლოს იყოს. როგორც იქნა, ნიკოლოზმა მიიღო თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობა, მაგრამ ამ დროს განჯის მაზრის უფროსად დაინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი და ნათესავი მამუკა ორბელიანი, რომელმაც ნიკოლოზს მისი თანაშემწეობა შესთავაზა. ბარათაშვილი დათანხმდა. 1845 წლის 19 ივნისს ბარათაშვილი დაინიშნა მაზრის უფროსის თანაშემწედ განჯაში. ვინაიდან მამუკა ორბელიანი იშვიათად იყო მაზრაში, ამ ჯერ კიდევ დაუწყნარებელი მხარის მართვა – გამგეობის მთელი სიმძიმე ნ. ბარათაშვილს დააწვა. მაზრაში გავრცელებული ყაჩაღობა კიდევ უფრო ართულებდა პოეტის ისედაც მძიმე პირობებს ამ მივარდნილ მხარეში.

ოთხი თვის შემდეგ, 27 წლის ასაკში, აუტანელი შრომით დაქანცული პოეტი ავად გახდა ავთვისებიანი ციებით, რასაც თან დაემატა ფილტვების ანთება. 1845 წლის 10 ოქტომბერს (ძველი სტილით) ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა. იგი იქვე, მართმადიდებელთა ეკლესიის გალავანში დაკრძალეს. განჯაში დაიკარგა მისი არქივი, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილს შენახული ექნებოდა ახლობლებისგან გამოგზავნილი წერილები. ისინი საუკეთესო მასალა იქნებოდა ჩვენთვის ეპისტოლური დიალოგის სრულყოფილად აღსადგენად.

## თავი 7. გრიგოლ ორბელიანის წერილების სპეციფიკა

მე-19 საუკუნის მდიდარ ქართულ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გრიგოლ ორბელიანის ვრცელ ეპისტოლურ მემკვიდრეობას. გრიგოლ ორბელიანი პოეზიისა და პროზის გარდა, უამრავი პირადი წერილის ავტორია. მნელად თუ მოიპოვება როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო ლიტერატურაში მწერალი, რომელსაც ასეთი მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა დაეტოვებინოს შთამომავლობისათვის. ეს წერილები, ნიკოლოზ ბარათაშვილი ეპისტოლების მსგავსად, იწერებოდა ქართულ და რუსულ ენებზე. მათში წარმოჩნდება ის ფაქტები, რომლებიც ცხადყოფს როგორც კონკრეტული პიროვნების ცხოვრების დეტალებს, ასევე – ეპოქისათვის დამახასიათებელი ეპისტოლური დიალოგის ნიშნებს.

გამოჩენილ ადამიანთა პირად ბარათებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი თანადროული ეპოქის საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული მდგომარეობის შესასწავლად. გრიგოლ ორბელიანის წერილების საშუალებით ვეცნობით იმ ეპოქის ადამიანთა გემოვნებას, ცხოვრების წესს, ჩაცმის სტილს, სასაუბრო ენასა თუ წერის კულტურას; მათში აისახება მწერლის თვალით დანახული ეპოქისა და ამ ეპოქაში მცხოვრები კონკრეტული ადამიანების რეალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტები. როგორც საზოგადო მოღვაწე, გრიგოლ ორბელიანი თავისი წერილებით გვაძლევს უდიდეს მასალას, რათა შევიქმნათ შთაბეჭდილება ქვეყანაში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური, კულტურული და სოციალური მოვლენების შესახებ.

გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა ერთია, რაც მათ ეპისტოლურ მემკვიდრეობაშიც შეინიშნება, რადგან, რაც დამახასიათებელია ბარათაშვილის ეპისტოლური სტილისთვის, იმავეს ვხვდებით გრ. ორბელიანის წერილებშიც: მომძლავრებულია რუსული ტერმინოლოგია, წერილები იწერება ან სრულად, ან ნაწილობრივ მაინც რუსულად. ორივე მათგანთან ჩანს მისალმებისა და დამშვიდობების განმეორებადი, მყარი ფორმები.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგის წერის სტილი ნასაზრდოებია უფროსი თაობის, მათ შორის გრიგოლ ორბელიანის წერილებისგან. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ

ბარათაშვილის მშობლებს ნიკოლოზის ბავშვობიდანვე სისტემატიური მიმოწერა ჰქონდათ და ბარათაშვილს მათგან ბევრი ნიუანსის ათვისება შეეძლო.

დიალოგი, როგორც კომუნიკაციის აქტიური სახეობა, შეუძლებელია მოექცეს რომელიმე ქვეყნის ეროვნულ და კულტურულ საზღვრებში, თუმცა ყველა ერი და ეპოქა თავისებურად წარმართავს მას. საინტერესოა, რა თავისებურებები ახასიათებს გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ დიალოგს და რით განსხვავდება ან ჰგავს იგი ბარათაშვილის თხრობის სტილს. აგრეთვე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გრიგოლ ორბელიანის იმ ეპისტოლებს, რომლებიც ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ეპისტოლური დიალოგის შევსებაში დაგვეხმარება.

გრიგოლ ორბელიანის პირადი ხასიათის წერილების უმრავლესობა რძლის – ქეთევანის (108), ძმების ილიასა (83) და ზაქარიას (41) და უახლოესი მეგობრის დიმიტრი ჯორჯაძისადმია (70) მიწერილი. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შემონახულა უშუალოდ ნიკოლოზ ბარათაშვილზე მიწერილი გრიგოლ ორბელიანის არც ერთი წერილი. ბუნებრივია, ეს ბარათები ბარათაშვილთან შეინახებოდა, მისი არქივის დაკარგვამ კი ამ წერილებთან წვდომის საშუალება მოგვისპო. გრიგოლის ოჯახის წევრების გარდა, მისი წერილების ადრესატად XIX საუკუნის გამოჩენილი ადამიანებიც გვევლინებიან, რომლებთანაც პოეტი საკმაოდ დაახლოებული ყოფილა.

გრიგოლ ორბელიანის წერილები იწერება ქართულ და რუსულ ენაზე. რუსულ ენაზე დაწერილი ბარათები განეკუთვნება იმ პერიოდს, 1834-1857 წლებს, როცა გრიგოლ ორბელიანი რუსულ არმიაში მსახურობდა. ეს წერილები სამსახურებრივია და ოფიციალურ-საქმიანი ეპისტოლეების ჯგუფში ერთიანდება.

თუკი გრიგოლ ორბელიანის ქართულენოვან და რუსულენოვან წერილებს ერთმანეთს შევადარებთ, არ გავიჭირდება დავეთანხმოთ რუსულან ზექალაშვილს. ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან ურთიერთობისას რუსულენოვანი საქმიანი წერილებისგან რადიკალურად განსხვავებულია გრ. ორბელიანის ქართულენოვანი წერილები. ქართულ წერილებში გრიგოლ ორბელიანი ბევრად უფრო გულთბილად მიესალმება, მოიკითხავს და ემშვიდობება ადრესატებს. მაგალითად: „მშვიდობით, ჩემო სვიმონ, მომწერდე ხშირად და ხშირად შენსა ამბავსა და შენის ბატალიონისათვის. შენი კეთილის მსურველი და მოსამსახურე გრიგოლ ორბელიანი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 16). ან

„ღ-თი იყოს შენი მფარველი. შენი გრიგოლ ორბელიანი“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 26). ამგვარი ტენდენცია ფიქსირდება ნიკოლოზ ბარათაშვილთანაც. იგი ახლობლებთან ყოველთვის უშუალო და ენაწყლიანია, რასაც მუდამ ავლენს მისალმება-დამშვიდობების ფორმებში.

სამსახურებრივ დოკუმენტებში, ბუნებრივია, რომ გრიგოლ ორბელიანი ემოციებს ნაკლებად ამჟღავნებს. იმის გათვალისწინებით, რომ ორბელიანს ამ მიმოწერების წარმოება ძირითადად თანამდებობრივად მასზე დაწინაურებულ პირებთან უწევს, იგი ცდილობს ყოველთვის მოკრძალებული იყოს და პატივისცემას გამოხატავდეს. მაგალითად, მიხეილ ვორონცოვისადმი მიწერილ წერილებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ გრიგოლის სიტყვები: „მქონდა პატივი თქუენის ბრწყინვალების წერილი მიმეღო“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 7).

1852 წლის 11 მაისს მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვისადმი მიწერილი წერილი კი იწყება სიტყვებით: „მის ბრწყ[ინვალე]ბას თავად მ.ზ. არღუთინსკი დოლგორუკოვს მოწყალეო ხელმწიფევ თავადო მოსე ზახარევიჩ“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 75).

როგორც ჩანს, გრიგოლს კარგად შეუთვისებია რუსული მმართველობის ხასიათი და კარგად უწყის რუს მოხელეებთან ურთიერთობის ეტიკეტიც. ეს უნარები კარგად აქვს გამომუშავებული ნიკოლოზ ბარათაშვილსაც. მისი სამსახურებრივი დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბარათაშვილმა არა მხოლოდ ზედმიწევნით კარგად იცის საქმისწარმოება, არამედ იგი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სხვადასხვა თანამდებობის პირთან. ნიკოლოზ ბარათაშვილმა და გრიგოლ ორბელიანმა სრულყოფილად იციან რუსული ენა, სახელმწიფო დოკუმენტების საქმის წარმოება და კანონები. ამას გარდა, ბიძა-დისტვილი გამოირჩევა მაღალი სამსახურებრივი პასუხისმგებლობით.

გვხვდება გრიგოლ ორბელიანის ისეთი რუსულენოვანი წერილები, რომლებიც სულაც არ არის ოფიციალური ხასიათის და ისინი, ქართულად დაწერილი წერილების მსგავსად, ავტორს ახლობლების მოსაკითხად დაუწერია. მაგალითად, 1865 წლის 11 იანვარს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრის, ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი (1831-1884)

გაგზავნილ რუსულენოვან წერილში ვკითხულობთ: „შენი ბოლო წიგნი ჩემდამი, ჩემი მეგობარო ვარვარა, იყო 12<sup>ი</sup> დეკემბერი: მას აქეთ არა გამიგია რა ამბავი შენი და გიორგისა, ორი არსებისა, რომელნიცა შეადგენებ მთელს ჩემს ბედნიერებას“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2018: 12). როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად, გრიგოლ ორბელიანიც რუსულს იყენებს არა ძალდატანებითა და მხოლოდ სამსახურებრივად, არამედ - პირად ურთიერთობებშიც. ჩვენ წინაშე იშლება მე-19 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური რეალობის შედეგად დამდგარი მძიმე ენობრივი სურათი. ეპისტოლური, და არა მხოლოდ ეპისტოლური, პირადი ხასიათის კომუნიკაციისათვის საქართველოში ამ პერიოდში რუსული ენის გამოყენების სიხშირე ლამის არაფრით ჩამოუვარდება ქართული ენის გამოყენების მასშტაბურობას. ოფიციალური საქმის წარმოებიდან ვი ქართული სრულებით ამოღებულია.

იმავე ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი 1865 წლის 15 მარტს გაგზავნილ წერილში გრიგოლი გულთბილად ემშვიდობება ადრესატს და ხუმრობს ეკატერინეს შესახებ: „თავზე ვკოცნი გიორგის, ეკატერინესაც ვაკოცებდი, მაგრამ თვალნი აქვს ბებრულნი, ლოყები დამჭვნარნი, შუბლი ნაოჭიანი, არა, სჯობს ქედი მოვუხარო“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2018: 24). როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანის იუმორი ამ შემთხვევაში ეკატერინეს ასაკზე ირონიულ ხაზგასმას ემყარება. ამ დროს გვაგონდება ნიკოლოზ ბარათაშვილის იუმორისტული პასაჟები, როცა პოეტი ამა თუ იმ ნაცნობს სწორედ ასაკის გამო დასცინოდა. იუმორი გრიგოლ ორბელიანის როგორც ქართულენოვანი, ისე რუსულენოვანი წერილებისთვის ჩვეული სტილია. იგი, თავისი დისტვილის მსგავსად, წერილებში ხშირად ოხუნჯობს დაა იუმორისტულად მოიხსენიებს ნაცნობ-მეგობრებს.

როგორც ვიცით, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი გრიგოლ ორბელიანს მრავალმხრივ ბრალდებებს უყენებდა და უყენებს. ესენია: საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან მებრძოლი რუსული მთავრობის დაცვა, რუსი მოხელეებისა და იმპერატორებისადმი ლოიალურობა, პიროვნული გაორება პირად ცხოვრებასა და პოეზიაში. მის ბიოგრაფიაში შავ ლაქად ჩანს 1841 წლის გურიის აჯანყების ჩახშობა, 1965 წელს თბილისის ამქართა გამოსვლების დარბევა და სხვა. ეს

ბრალდებები დღესაც გრძელდება. დასახელებულ ბრალდებებს შორისაა ისიც, რომ გრ. ორბელიანი არ ეხმარებოდა ახლობლებსა და ნათესავებს. თუმცა სრულიად განსხვავებული სურათი წარმოგვიდგება მისი პირადი წერილების შესწავლისას.

როგორც წერილებიდან ირკვევა, გრიგოლ ორბელიანი მუდმივ ფინანსურ დახმარებას უწევს თავის ნათესავებსა და ახლობლებს. წერილებში ვკითხულობთ: „ჩემო მეგობარო ვარვარა! დღეს დასთან, გაიანესთან, მოსკოვში ვგზავნი 1600 რუბლს თხოვნით, გადმოგიგზავნოს. აქედამ 600 რუბლი შენი და გიორგის მარტისა და აპრილის პენსიებია, ხოლო დანარჩენი 1000 რუბლი აღებულია სესხად და დაიფარება იმ ფულიდამ, რომელიც ქართველ მემამულებს დაუნიშნეს გლეხების განთავისუფლებისათვის“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2018: 25). ბარათები ცხადყოფს, რომ გრიგოლ ორბელიანი ძალიან მზრუნველი პიროვნება იყო და არასდროს ავიწყდებოდა ახლობლების დახმარება.

გრიგოლ ორბელიანის რუსულენოვან ოფიციალურ წერილებში ვხედავთ ისტორიულ მოვლენებსა და პირებს. გრიგოლი ხშირად ახსენებს ჩეჩნების ლიდერს, შამილს. მაგალითად, 1852 წლის 3 ივნისით დათარიღებულ ალექსანდრე ივანოვიჩ ბარიატინსკისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „თქუნ, კნიაზო, ეხლა წყლებზედ ისვენებთ შრომისაგან, რათა განახლებულის ძალებით მუსროთ ჩეჩნეთი და შამილი. გჯეროდეთ, რომ თქუნზე ნაკლებად არ ვიქნები მოხარული თქუნის დიდებისა“ (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 96). რუსეთის მიერ შამილის წინააღმდეგ ბრძოლა ასახულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებშიც. განსაკუთრებით მაშინ, როცა ტატო ბიძას ილია ორბელიანის დატყვევების ამბავს აცნობებს.

რუსულენოვან წერილებში ვხედავთ გრიგოლ ორბელიანის აქტიურ მონაწილეობას თბილისის აჯანყების ჩახშობაში. 1865 წლის 1-ელ ივლისს მიხეილ ვორონცოვისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „მუდამ მშვიდობიანი თბილისი, მუდამ გონიერი, ააფორიაქეს სულელურმა ხმებმა ნალოდებზეც, ავისმსურველებმა რომ დაყარეს ხალხში. ვნებანი გაღვივდნენ და გონი დაუბინდეს ჭკუადამჯდარს ხალხსა. მე თავად კნიაზ ჭავჭავაძესთან – ღუბერნატორის თანამდებობას რომ აღასრულებს და პოლიცმეისტერთან ერთად, გარს ვუვლიდი პოლიციის წინ შეკრებილი ხალხის ბრბოებს; მაგრამ არ გასჭრა არცა ჩიჩინმა, არცა

დარიგებამა. ქალაქის თავის სახლი გაქურდულია და მის კუალად სახლი ბაშბეუქოვისა – მოსაკრებელის შემკრებისა – გაძარცული, თავად კი – მოკლული. მაშინ მივმართე იარაღის ძალას და სისხლიც დაიღვარა“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2018: 42).

გრიგოლი თბილისის ერთ-ერთი აჯანყების ჩახშობის შესახებ იუწყება: „ახლა ხალხი სრულებით მშვიდადაა; თბილისმა მიიღო მისთვის ჩვეული ფიზიონომია მშვიდობიანის მოსახლეობისა; თუმცა ამ სავალალო ამბავმა ღრმად გამიპო გული. ჩემზე მეტად არვინ ჰერიონის დაღვრილს სისხლზედ, მაგრამ, საუბედუროდ, გავეშებული მდაბიონი ქედს მუდამ მხოლოდ ნამდვილი ძალის წინაშე იხრიდნენ და ყოფილი და ორჭოფობაში ერთის დღის დაკარგვა გაცილებით დიდ მსხვერპლს მოიტანდა“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2018: 43). ამგვარი დამოკიდებულება აქვს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაზე ნიკოლოზ ბარათაშვილსაც. განსაკუთრებით, 1832 წლის შეთქმულების შემდეგ, როგორც ვნახეთ, იგი ბიძასთან წერილებში რამდენჯერმე აფიქსირებს, რომ ახლა ერთადერთი გამოსავალი რუსეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრებაა.

წერილებში შესანიშნავად ჩანს გრიგოლ ორბელიანის სამხედრო სტრატეგის ალლოც. ვხედავთ რუსეთისგან დანიშნულ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც უხვად არიგებენ რუსულ ჩინ-მედლებს და რუსეთისადმი დამსახურების მიხედვით ანაწილებენ თანამდებობებს. გრიგოლი მიხეილ ვორონცოვს სთხოვს სამხედრო წოდებებით დააჯილდოვოს შამილის რაზმების წინააღმდეგ მებრძოლი მეომრები, რათა ამან ახალგაზრდებში მეტი მოტივაცია გამოიწვიოს. გრიგოლ ორბელიანი თავად ვორონცოვს ადგილობრივების ფულითა და საჩუქრებით დაჯილდოვებას სთხოვს, რათა ამით მათში ყაჩაღების დევნის აღტკინება გააღვივოს: „ვბედავ მოვახსენო თქუენს ბ[რწყინვალება]ს, რომ საბოლოო განადგურება ყაჩაღებისა, რომელთა რიცხვიც აქ ძალზედ დიდია, მხოლოდ თავად მობინადრეთა დახმარებითაა შესაძლებელი; ამ შემთხვევაში ბატალიონები დიდს სარგებელს არ მოიტანენ. მაგრამ მობინადრეები რომ დავძრათ, შევაირაღოთ ყაჩაღთა წინააღმდეგ, აუცილებელია წავახალისოთ იმათთაგანნი, ვინც თვისის ხასიათის ძალით, თვისის სიმამაცით იყოლიებენ თავიანთ თანასოფლელებს საერთო მტრის – ყაჩაღების წინააღმდეგ. ასე გამოჩნდნენ და თავგანწირვით მოქმედებენ თალში ორნი ძმანი ნუროვები და ალიბეკ დიბიროვი;

ბელაქანში – მურთუზჰპავი და ხალაჯოვი; თუიუნუქში – მიხლირდა” (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 11). ამ წერილით გრიგოლ ორბელიანი რუსეთის ტიპურ ჩინოვნიკად წარმოგვიდგება, რომელიც ხერხებს არჩევს ადგილობრივთა მოსასყიდად.

1851 წლის 5 აპრილს ისევ მიხეილ ვორონცოვისადმი მიწერილ სხვა წერილში ვკითხულობთ: თქუენი ბრ[წყინვალება] როგორ ინებებს ყაჩაღთა დევნაში მეტადრე გამორჩეული ზოგიერთი მობინადრის დაჯილდოებას ფულითა თუ საჩუქრებითა, მე ვბედავ მოგახსენოთ, მათ მიმართ გამოიჩინოთ ეს მოწყალება თქუენის ჩამობრძანებისას ზაქათალაში. მაშინ ფასი დაედება ამ ჯილდოს და მობინადრეებში გააღვიძებს თავის გამოჩენის ახალს აღტყინებასა” (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 14-15). როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანი სწორად თვლის და გეგმავს ადგილობრივთა გადმობირებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

რუს მმართველებს ჩინ-მედლებით დაჯილდოვებას სთხოვს ოფიციალურ წერილებში ნიკოლოზ ბარათაშვილიც, თუმცა მისი წერილები სამსახურებრივი ვალდებულებითაა ნაკარნახევი და იგი თავს უფლებას არ აძლევს, საკუთარი პირადი მოსაზრებები გამოხატოს. გრიგოლ ორბელიანს ამ მხრივ უფრო დიდი ავტორიტეტი აქვს.

გრიგოლ ორბელიანის რუსი სამხედრო მოხელეებისადმი მიწერილი წერილები ერთგვარ ანგარიშებს ჰგავს, რომელთა საშუალებითაც ორბელიანი ინფორმაციას აწვდის მათ მიმდინარე სამხედრო საქმიანობის შესახებ. მაგალითად, 1852 წლის 28 ოქტომბერს მიხეილ ვორონცოვისადმი მიწერილ წერილში გრიგოლი წერს: „ჩემი მოხსენებიდამ ინებეთ შეიტყოთ, რომ ოქტომბრის მეორე ნახევრის განმავლობაში არაკეთილმოსურნე რამდენიმეჯერ ეცადა ჩუენს საზღვრებში შემოჭრილიყო მძლავრის პარტიებითა. ასე, 15<sup>ს</sup> რიცხვში მთიელთა ანგარიშგასაწევი ბრბოები ორის მხრიდამ შემოიჭრნენ ყაზიყუმუხის სახანოში, მაგრამ შეტაკების ადგილზე დაჰკარგეს 19 მოვლული და, საღრაფო პოლკის ბატალიონისა და მამაცი აღალარბეგის მიერ დაქსაქსულნი, გაიქცნენ მთებში” (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 157-158).

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გრიგოლ ორბელიანმა ზუსტად იცის, რის მოსმენას ელოდებიან მისგან თანამდებობრივად მაღლა მდგომი რუსი სამხედრო მოხელეები და ისიც მათი გულის მოსაგებად წერს. რამდენიმე რუსულენოვან წერილში გრიგოლი ხაზს უსვამს, რომ სამხედრო მოქმედებებისას დათმობა სრულიად გაუმართლებელია. 1865 წლის 4 აგვისტოს მიხეილ რომანოვისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერს: „დათმობა! ეს უბადრუკი სიტყვა თავისი ავბედითის მნიშვნელობით, არას გზით არ ესადაგება აქაურს მხარესა, რომლის ბინადარნი მიჩვეულნი არიან, მოწყალებად მიიღონ ყოველივე, რაც უმაღლესის ხელისუფლების გულუხვობიდამ მომდინარეობს. ძლევამოსილება სჯის, მაგრამ უფრო ხშირად სწყალობს; ეს მისი დიდი, სულიერი უპირატესობაა. სთმობს მხოლოდ სისუსტე“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2018: 54). ამ სიტყვებით გრიგოლ ორბელიანი ცდილობს დაარწმუნოს რუსი მაღალჩინოსანი საკუთარ ერთგულებაში, როცა საქმე თბილისის მოსახლეობიდან გადასახადების აკრების საკითხს ეხება.

იმავე წლის 1-ელ ივლისს მიწერილ წერილში გრიგოლს კიდევ ერთხელ სჭირდება გაიმეროს: „თქუნი უდიდებულესობა ნუ იფიქრებს, რომ ამით, შიშის გამო, დათმობაზედ მივდივარ ხალხთან. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ხალხს ძალიან კარგად ესმის ძალა მთავრობისა და ამიტომ ამ წებართვას მიიღებს, როგორც დიდს მოწყალებას დიდსულოვანის ნამესტნივისაგან, რომელსაც დალოცავს სულის სიღრმიდან. ეს არ გახლავთ მხოლოდ ჩემი ჰაზრი, არამედ ასევე არიან დარწმუნებულნი ამაში კარცოვი და მინკვიციცა“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2018: 44). როგორც ჩანს, გრიგოლს, როგორც ქართველს, არ ენდობიან და არსებობს ეჭვი, რომ იგი საკუთარი ხალხის მიმართ შემწყნარებლობას გამოიჩენს, თუმცა გრიგოლი წერილებით ყოველმხრივ ცდილობს გააქროს ეს ეჭვი და რუსი მაღალჩინოსნები საკუთარ შეუვალ ხასიათში დაარწმუნოს.

საქმიანი წერილები ოფიციალურ იერს ატარებს. ახლავს ოფიციალური მისალმება და დამშვიდობება. ადრესატი ხაზს უსვამს თავისი წერილების უაღრესად საქმიან ხასიათს. მაგალითად, 1865 წლის 3 ივნისს მიხეილ რომანოვისადმი მიწერილ წერილს ორბელიანი იწყებს სიტყვებით:

„თქუნო საიმპერატორო უდიდებულესობავ!

ბარონმა ნიკოლაიმ, ეჭვი არ არის, უკვე მოახსენა თქ්ს უდიდას ამ მხარის მდგომარეობის შესახებ; აწ, თქუენის უდის ნებართვით, მე გავაკეთე მსუბუქი მონახაზი ყველაფრისა, რაც აქა ხდება, თუმცა არსებითად არაფერ შეცვლილა და მმართველობის საქმენი მიდის იმ მონახაზით, რომლითაც თქუენ გენებათ მეხელმძღვანელა“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2018: 33). ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტზე, რომ გრიგოლ ორბელიანი ხელმძღვანელობს მასზე ზემდგომთა გეგმებით და, როგორც სამხედრო პირი, ვალდებულია, ზუსტად შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება.

გრიგოლ ორბელიანი ქათინაურებით ამკობს სამხედრო პირებს, თუმცა ეს ქათინაურებიც უაღრესად მოზომილია: „თქუენო ბრწყინვალებავ“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 21). ეპისტოლები ავტორი იყენებს სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ გამოთქმებს. ყველაზე ხშირად გვხვდება გამოთქმა: „მადლობა ღ~თსა“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 21). ამ დროს გვახსენდება რუსუდან ზექალაშვილის შენიშვნა, რომელიც მიუთითებს, რომ ქართველებისთვის ოფიციალურ-საქმიან სტილში ასეთი ეპიზოდები უცხო სულაც არ არის (ზექალაშვილი 2006: 16).

სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზები შედარებით მწირადაა წარმოდგენილი ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურებრივ დოკუმენტებში. მიმართვის ფორმებში ისიც, ბიძის მსგავსად, უდიდეს პატივისცემას გამოხატავს, მაგრამ წერილებს უფრო ფორმალური იერი აქვს და ადრესატი თავს უფლებას არ აძლევს სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი დალოცვისა და ფიცის ფორმულები გამოიყენოს.

გრიგოლ ორბელიანის რუსულენოვან წერილებში გვხვდება რუს სამხედრო მოხელეებისათვის მიწერილი ისეთი ბარათებიც, რომლებითაც გრიგოლი საკუთარ ახლობლებს კარიერულ წინსვლაში ეხმარება. მაგალითად, 1852 წლის 6 დეკემბერს ალექსანდრე ბარიატინსკისადმი მიწერილი ბარათით გრიგოლი მას თავისი ძმისწულის, კნიაზ ალექსანდრე ორბელიანის სამხედრო სამსახურში აყვანას სთხოვს. თუმცა ამ დროსაც არ ავიწყდება დაარწმუნოს რუსი მოხელე საკუთარ ერთგულებასა და თავგანწირვაში. „ის ახალგაზრდაა, გამოუცდელი, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ

კეთილშობილის ხასიათითა და მზადყოფნით დასდებს თავს მეფის სამსახურისათვის, ის გახდება ღირსი თქუენის ყურადღებისა. მიღეთ იგი, კნიაზო, თქუენის მარჯვენის ჩრდილისა ქუეშ. მაგრამ, თუკი ის, ღ თმა დაიფაროს, თვისის გულმოდგინებით, თვისის სიმამაცით სრულად არ გაამართლებს ჩემს მოლოდინსა, მოჰკუეთეთ თავი ყოველგუარი დანანების გარეშე“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 168). გრიგოლი თითქოს მარტივად მოუწოდებს ბარიატინსკის, თუ ალექსანდრე მის იმედებს არ გაამართლებს, თავი მოჰკვეთონ, მაგრამ ამით მას სურს დაარწმუნოს ადრესანტი, რამდენად საიმედო პიროვნებაა ალექსანდრე ორბელიანი.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლი ამ რუსულენოვან წერილებში ძირითადად თანამდებობრივად მასზე მაღლად მდგომ პირებთან მართავს ეპისტოლურ დიალოგს, იგი არ ერიდება გამოთქვას საკუთარი აზრი მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანების შესახებ. ვორონცოვისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერს: „ამ მოხსენებაში მე გავბედე, მეახლებინა თქუენის ბრწყინვალების წინაშე პარტიზანული რაზმის პრაპორშჩიკები ბაქრაძე და ანდრონიკოვი, რომელთაც გამოიჩინეს სამაგალითო სიმამაცე ამ საქმეში“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 25).

გრიგოლ ორბელიანის რუსულენოვან წერილებში გვხვდება საიდუმლოდ გაგზავნილი ეპისტოლეებიც. ასეთია, მაგალითად, მიხეილ შჩერბინინისადმი 1852 წლის 4 ნოემბერს გაგზავნილი წერილი. გრიგოლი მიხეილ პავლოვიჩს აწვდის საიდუმლო ინფორმაციას დერბენდის სამხედრო გუბერნატორს კანცელარიის მმართველის, ტიტულარული მრჩევლის, შტუკინის ქცევებსა და ზნეობაზე. როგორც ირკვევა, მას შეუკრებია ცნობები ამ პიროვნების შესახებ და იუწყება, რომ ამ მხრივ ამ კაცში საეჭვო ვერაფერი აღმოუჩენია. როგორც სხვა სამსახურებრივ წერილებში, გრიგოლი აქაც გამოხატავს უდიდეს პატივისცემასა და მორჩილებას. „მაქვს რა პატივი, თქუენს ბრწყინვალებას ვაუწყო ამ ცნობების შესახებ, უმორჩილესად ვთხოვ, სარწმუნოდ მიიღოს ჩემი სრული თაყვანისცემა და ერთგულება“ (XIX -XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013: 161).

ამგვარად, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ეტიკეტურ ნაწილებს – დასაწყისსა და დასასრულს – გააჩნია თავისი

სპეციფიკური ნიშნები, რომლებსაც ბიძა-დისტვილი ყოველთვის იცავს. ისინი საკუთარი პირადი ბარათების ადრესატების მიმართ ყოველთვის თავაზიანები არიან, ახლობლებისადმი მონატრებასა და სიყვარულს გამოხატავენ, ხოლო ოფიციალურ დოკუმენტებში საქმიან, მკაცრ სტილს ინარჩუნებენ.

XIX საუკუნის საქართველოს ისტორია პოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პერიოდია. ამ პერიოდის საქართველო სულ უფრო მეტად ექცევა რუსეთის მმართველობის ქვეშ, რაც იმდროინდელ საზოგადოებაში დამოკიდებულებების მრავალფეროვნებას ქმნის. დღევანდელ მკვლევრებს კი ერთგვარ თავსატეხს უჩენს ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის პოლიტიკური მსოფლმხედველობის დასადგენად. ამ საკითხის გასარკვევად კი ბიძა-დისტვილის პირადი და სამსახურებრივი ეპისტოლური მემკვიდრეობა შეუცვლელი დამხმარეა.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის წერილების საშუალებით ვეცნობით მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრების წესს, სასაუბრო ენასა თუ წერის კულტურას; მათში აისახება ადრესატების თვალით დანახული ეპოქისა და ამ ეპოქაში მცხოვრები კონკრეტული ადამიანების რეალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტები. ეპისტოლური კომუნიკაციის სპეციფიკის გათვალისწინებით შევეცადეთ წარმოგვედგინა ეპოქის თავისებურებანი. წერილებში კარგად ჩანს ეპისტოლური დიალოგის მონაწილე მხარეთა დამოკიდებულებები ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების მიმართ.

ოფიციალური წერილები წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს იმისა, თუ რა ნიუანსები ახასიათებდა უმაღლესი თანამდებობის პირებთან მიწერილ საქმიან წერილებს. ეს სტილი ტიპურია მთელი ეპოქისათვის, როგორც ჩამოყალიბებულ ჩინოვნიკურ ურთიერთობათა განსაზღვრისათვის და თითქმის ერთნაირადაა გამოხატული ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

## თავი 8. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ეტიკეტის სპეციფიკა

ჩვენ წარმოვადგინეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ეტიკეტური კვლევა და შევუდარეთ გრიგოლ ორბელიანის ბარათების ნაწილის ეტიკეტს, ასევე მელიტონ ბარათაშვილის (ბარათაშვილის ხელით შედგენილს) და მათი ოჯახის ზოგიერთი წევრისას. შედარება ნათელყოფს მთელი ეპოქის ეპისტოლური კომუნიკაციის სპეციფიკას. ნიკოლოზ ბარათაშვილი იფარგლება იმ ეტიკეტით, რომელიც დამახასიათებელია მისი დროისათვის. ის იმეორებს ოჯახსა თუ ახლობლების გარემოში დამკვიდრებულ ეპისტოლის შექმნის სტილს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ახლობელ-მეგობრებთან ურთიერთობისას მიმართვა-მისალმების ფორმებში ყოველთვის გულთბილია. აქ გამოიყოფა შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: მისალმება-მიმართვა, ბოდიშის მოხდა წერილის დაყოვნებისათვის, საკუთარი და ქვეყნის ამბები, ნაცნობების მოკითხვები და დამშვიდობება. ასეა ეს გრიგოლ ორბელიანის წერილების შემთხვევაშიც. ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია თამამად დავეთანხმოთ რუსულან ზექალაშვილს, რომელიც წერს, რომ ქართული ყოველდღიური დიალოგისთვის სრულიად ბუნებრივია ექსპრესიულ-ემოციური ენობრივი ერთეულების ჭარბად გამოყენება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოფიციალურ დოკუმენტებში მიმართვის ფორმები მკაცრად რეგლამენტირებულია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ დოკუმენტების სტილი მკაცრად განსაზღვრულია. გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლებშიც დაცულია რეგლამენტი, მაგრამ გრიგოლის ოფიციალური წერილები მეტად შეიცავს ფატიკური კომუნიკაციის ელემენტებს, ვიდრე ეს ნიკოლოზ ბარათაშვილთან ფიქსირდება. გრიგოლ ორბელიანის ოფიციალური მიმოწერის ანალიზი ადასტურებს რუსულან ზექალაშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართულ ოფიციალურ-საქმიან დიალოგებში ჩართულია ფატიკური ელემენტები. გრიგოლი რუს თანამდებობის პირებთან ურთიერთობისას რიგ შემთხვევებში მეტად აძლევს თავს უფლებას გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულებები, თუნდაც ეს უარყოფითი იყოს, ამა თუ იმ პიროვნების მიმართ. იგი მეტად ამკობს ქებით რუს ჩინოვნიკებსაც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ პირად წერილებში აშკარაა ადრესატისადმი მისი დამოკიდებულების ცვლილება და თანდათანობით დაახლოვება. ეს ყველაზე კარგად ჩანს წერილების მისალმებაში, რომელიც თანდათან უფრო თამამი ხდება. ეს ასაკობრივი სხვაობის დამსახურებაა. ასაკის მატებასთან ერთად გრიგოლი ნიკოლოზისთვის არა მხოლოდ ბიძა, არამედ თანასწორი მეგობარიც ხდება. ბიძა-დისმვილს შორის ეპისტოლური დიალოგი დასაწყის წლებში ასიმეტრიულია (არათანაბარუფლებიანია). ნიკოლოზის ასაკის მატებასთან ერთად კი სიმეტრიულ (თანაბარუფლებიან) დიალოგს ვხედავთ.

მაიკო ორბელიანისადმი მიმართვის ფორმა ოთხივე წერილში ერთნაირია: „საყვარელო დაო, მაიკო!“, რითაც მისდამი უდიდეს სიყვარულს გამოხატავს. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მაიკო ორბელიანი ბავშვობის მეგობრები არიან, მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება მყარი და უცვლელია, რაც აისახება კიდეც ეპისტოლური დიალოგის უცვლელ მისალმების ფორმებში.

ზაქარია ორბელიანთან მიმართვის ფორმაში ბარათაშვილი ინარჩუნებს ეპისტოლური დიალოგისთვის დამახასიათებელ თავის სტილს და ამგვარად გამოხატავს მისდამი სიყვარულს: „საყვარელო ძმაო, ზაქარია!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154). სამივე წერილში დაფიქსირებული მიმართვის ერთნაირი ფორმა ბუნებრივია, რადგან ბარათები ერთ თვიანი შუალედებით იწერება და ბუნებრივია, რომ ადრესატსა და ადრესანტს შორის ასე მცირე დროში დამოკიდებულებების ცვლილება მოსალოდნელი არაა.

მიმართვის განსხვავებული ფორმა აქვს არჩეული ნიკოლოზ ბარათაშვილს გიმნაზიელ მეგობართან, მიხეილ თუმანიშვილთან: „Миликий друг!“ ხოლო ნათესავებს, ბაბალესა და ალექსანდრეს, იგი დად და ძმად მოიხსენიებს: „საყვარელო დაო ბაბალე!“, „ძმაო ალექსანდრე“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მიმართვებით ბარათაშვილი გამოხატავს ახლობლურ, გულთბილ დამოკიდებულებას.

ბარათაშვილი მკაცრად იცავს წერილების დამშვიდობების სტილსაც. დამშვიდობების ფორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ისევე როგორც მისალმება-მიმართვებში, დამშვიდობების დროსაც ბარათაშვილი ხშირად იყენებს მიმართვებს – დაო და ძმაო, რითაც ადრესატებთან განსაკუთრებულ სიახლოვეს უსვამს ხაზს. რაც შეეხება ოფიციალურ დოკუმენტებს, გვაქვს თანამდებობის აღმნიშვნელი

რუსულენოვანი ხელმოწერები: князь Н. Баратов, коллежский князь Н. Баратов,  
Столоначальник Н. Баратов.

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების ეტიკეტურ ნაწილებს –  
დასაწყისსა და დასასრულს – გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები, რომლებსაც  
პოეტი ყოველთვის იცავს. ნიკოლოზი საკუთარი პირადი ბარათების ადრესატების  
მიმართ ყოველთვის თავაზიანია და ახლობლებისადმი პატივისცემას გამოხატავს,  
ხოლო ოფიციალურ დოკუმენტებში იგი საქმიან, ძვალი სტილს ინარჩუნებს.

## თავი 9. ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში გამოყენებული სატირა და იუმორი

სატირა და იუმორი დაცინვის ფორმებია. მათ შორის განსხვავება ხარისხშია: მწვავე დაცინვა არის სატირა, ხოლო მისი შედარებით მსუბუქი ვარიანტი – იუმორი.

ქართული სატირისა და იუმორის შესახებ ვრცელი და სიღრმისეული კვლევა ეკუთვნის გრიგოლ კიკაძეს. მეცნიერის აზრით, სატირასა და იუმორს შორის ფუნდამენტური განსხვავება ის არის, რომ სატირულ ნაწარმოებში არ არის გამოცალკევებული დაცინვის ობიექტი მისი ქცევისგან, ხოლო იუმორში, პირიქით, ისინი მაქსიმალურად დაცალკევებულია. სწორედ ამიტომ, სატირა უფრო მწვავე და მკვახეა, ხოლო იუმორი – შედარებით ლოიალური და მსუბუქი. მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ხალხურ ზეპირმეტყველებაში შემორჩენილ კომიზმის ელემენტებზეც: ანდაზებზე, გამოცანებზე, თქმულებებზე და ა.შ (კიკაძე 2003: 36)

სატირულ-იუმორისტული ფრაზები მრავლადაა გამოყენებული ნიკოლოზ ბარათაშვილის პირად წერილებში. პოეტი წარმოგვიდგება როგორც ენამოსწრებული, მხიარული პიროვნება. იგი ხშირად ხუმრობს როგორც წერილების ადრესატების, ასევე მათი საერთო ნაცნობების შესახებ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანზე მიწერილი წერილები ხაზს უსვამს რომანტიკოსი პოეტის იუმორის გრძნობას. გრიგოლ ორბელიანთან ნიკოლოზი ყოველთვის ძალიან ლალი და ხალისიანია. მართალია, იგი ხშირად საყვედურობს ბიძას და ნაწყენია, რომ ის კარიერულ წინსვლაში არ დაეხმარა, მაგრამ ნიკოლოზს წყენა მალევე ავიწყდება და ისევ ენაწყლიან, ხუმარა პიროვნებად იქცევა. ამ დროს გვახსენდება ეფექტური დიალოგის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა - წყენის დავიწყების უნარი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიალოგი განწირულია წარუმატებლობისათვის, თუ წარსული წყენისა და დაპირისპირების გახსენებით იწყება და მისი მონაწილეები შემდეგ, სამომავლოდ აპირებენ შეხების წერტილების მომებნას. ბარათაშვილი დაინტერესებულია დიალოგის გაგრძელებით, ამიტომ იგი მალევე ივიწყებს წყენას და დიალოგს ახალი თემით აგრძელებს.

1831 წლით დათარიღებულ წერილში ნიკოლოზი ბიძასთან ოფიციალურია და იუმორისტული მონაკვეთი არ გვაქვს. წერილის მთლიანი პათოსი მხოლოდ მოკრძალება და პატივისცემაა.

მათი ურთიერთობა თანდათან უფრო მეგობრული და უშუალო ხდება. უკვე 1837 წლის თებერვლის წერილში თავს იჩენს ნიკოლოზ ბარათაშვილის იუმორი საკუთარი თავის მიმართ. იგი საკუთარ ფიზიკურ ნაკლიე, კოჭლობაზე, ხუმრობს: „ჩემებურად კიდეც ვჰქტი და კიდევ ვტანცაობ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 131).

1841 წლის 28 მაისის წერილში გვაქვს პირველი იუმორისტული ჩანართი: „ერთმა ქალმა შემოგითვალა: სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 138). ბარათაშვილი ბიძას ფრანგული ენის გრამატიკის წიგნს ჰპირდება და მსუბუქი იუმორით აჯავრებს ამ დაგვიანებული სურვილისათვის. იუმორი ასაკის ხაზგასმას ემყარება. ასაკთან დაკავშირებული ხუმრობები გვხვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის სხვა წერილებშიც.

ამავე წერილში იუმორითაა გადმოცემული თბილისის ამბებიც – ქალების შუღლი და ერთმანეთის ჯიბრი: „დიდი დამგერებაებია ქალებისა, დიდი აყალ-მაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის თევაები, დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 138). აქ საქმე გვაქვს ლექსიკური სატირის გამოყენებასთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას ატყობინებს, რუსი სამხედრო პირის – ბალაშოვის – დაღუპვის ამბავი მაიკო ორბელიანს რომ შეატყობინე, გწყვევლის და დიდად გლოვობსო: „მაიკო ძალიან გწყვევლის, არ ვიცი, რა მოგიწერია – ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 138) ეს, რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის იუმორისტული ჩანართია და იგი მაიკო ორბელიანსა და ახლობელ ქალებს აჯავრებს გადამეტებული გლოვის გამო.

შემდეგ წერილში ნიკოლოზი გრიგოლს უამბობს, რომ ყაფლან ორბელიანს ვაჟი შეეძინა და მისთვის დიდი ხანური ნათლობის გადახდას აპირებს. მის შესახებ პოეტი ხუმრობს, ხანებმა ნათლობა არ იციანო: „ყაფლანს ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს ხანურად, თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160).

ბარათაშვილის იუმორი გრძელდება პლატონ იოსელიანზე ხუმრობით. მასზე პოეტი წერს: „ჩვენს დიდის პ[ლატონ]ს ძილში კატა დაჲსწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ვეღარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა. ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს, ეს აკლდა ამის ფილოსოფიურს სახეს!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160). როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი გაზვიადებით წარმოადგენს პლატონ იოსელიანის თავს გადამხდარ ამბავს და მის სასაცილო ბაკენბარდებზე დაყრდნობით ქმნის იუმორს. ადამიანის გარეგნულ მახასიათებლებზე დაფუძნებული იუმორი ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

1842 წლის 2 მაისის წერილის მინაწერში ნიკოლოზი მადლობას უხდის ელიზბარ ერისთავს მოკითხვისათვის და წუხს მისი უბედობისთვის, რომ საქმე ჯერ არ გამოდის. ტატო ეხუმრება ბიძას: „ვიცი, როგორც გაჯავრდები! მაგრამ მაგ გაჯავრებულ გულზე გთხოვ მიიღო მოკითხვა შენი მტერ-მოყვარე ქალებისაგან“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 143). ამ ქალებში პოეტი უნდა გულისხმობდეს ნინო ჭავჭავაძესა და მანანა ორბელიანს, რომელთა მიმართ გრიგოლ ორბელიანი არ იყო გულგრილი, ისინი კი მხოლოდ მეგობრობას სჯერდებოდნენ. დისშვილი ბიძისადმი იუმორს სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით ქმნის.

ხუმრობით იწყება 1843 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებული ბარათიც. ბარათაშვილი ბიძას უკვე თამამად ეხუმრება და მას ავარიის მთავარს, ემირ ავარს და ატილას ტახტზე მჯდომარეს უწოდებს, რადგან გრიგოლი სწორედ ასე მოიხსენიებდა ხუმრობით საკუთარ თავს, როცა ავარიის მმართველად დანიშნეს (გაწერელია 1978: 75). ნიკოლოზ ბარათაშვილი ავლენს ძალიან კარგ იუმორის გრძნობას და ეხუმრება ბიძას: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირავარო, ატილლას ტახტზედ მჯდომარეო!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147) როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი აზვიადებს ბიძის მაღალ თანამდებობას, რადგან ეს ახლობელთათვის არაფერს ნიშნავს და ამგვარად ქმნის იუმორს.

წერილიდან ირკვევა ისიც, რომ იუმორი და სატირა უცხო არ არის გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობისთვისაც. მას ნიკოლოზი სწერს: „ვისთანაც

შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 147)

წერილში თხრობა ქალაქის ამბების გადმოცემით გრძელდება. იუმორი ეხება ქალების მეშჩანურ სულისკვეთებას, მაღალ საზოგადოებასთან დაახლოების სურვილს. თბილისში ელჩი მირზა-სალი ჩამოსულა. მთავარმართებელი მას ბალს უმართავს, მაგრამ ჩვენი ნაცნობი ქალები, ვინც შენ გეგულება, იქ არ იქნებიანო, – იწერება ნიკოლოზი. მირზა-სალის ნაცვლად იტალიელი გრაფი ჩიჩერონე რომ ჩამოსულიყო, ქალები მაშინვე ჩამოვიდოდნენო – ხუმრობს ბარათაშვილი. პოეტს დაცინვის ობიექტად გაუხდია ნაცნობი ქალების მაღალ საზოგადოებასთან დაახლოების სურვილი.

ამ წერილში კარგად ჩანს თავად გრიგოლ სვიმონის ძე წერეთლისადმი ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულებაც. პოეტი დასცინის მას, როდესაც წერს: „გრიგოლ წერეთელი ინაზებოდა, არ უნდოდა მილიცის მიღება“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 148). იუმორი ემყარება დასაცინი ობიექტისადმი ქალის თვისების, სინაზის, მიწერას.

გრიგოლ ორბელიანის იუმორის გრძნობას უსვამს ხაზს წერილის კიდევ ერთი მონაკვეთი. ნიკოლოზი ბიძას სწერს: შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გავხსენ და წავიკითხე. ბევრი ვიცინე“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 148). როგორც ჩანს, გრიგოლის იუმორი ნიკოლოზში დიდ მოწონებას იმსახურებს.

ილიას შესახებ ნიკოლოზი იტყობინება, რომ მან პორუჩიკობა მიიღო და 100 თუმნამდე ხელფასი ექნება, მაგრამ „ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული“, – აჯავრებს თანატოლ ბიძას ნიკოლოზ ბარათაშვილი (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 148) ილიას სამეურნეო საქმიანობა წამოუწყია, ამავე დროს ის მამუკა ორბელიანის ქალის შერთვას აპირებდა. სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ნიკოლოზის ენამოსწრებული ხუმრობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სახუმაროდ იხდის გრიგოლის გრძნობებს სოფიო ორბელიანისადმი და წერს: „არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომდვრალიყავ

და მუხრავანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულიყავ?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 148)

ბარათი სრულდება იუმორისტული ფრაზით, რომლითაც ნიკოლოზი ბიძას ისევ პოეზიისაკენ შემობრუნებას სთხოვს, რომ მან განათლებაზე (წერა-კითხვაზეც) ისევე არ აიღოს ხელი, როგორც პოეზიაზე: „სირცხვილია რომ მაგ საშინელებაებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბრძანე, რომ დაწერონ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 149).

1844 წლის 23 მაისით დათარიღებულ ბარათში ნიკოლოზ ბარათაშვილი წერას ირონიული ტონით იწყებს. მართალია, იგი ებოდიშება ბიძას წერილის დაგვიანებისთვის, მაგრამ მობოდიშება თვითირონიული განმარტებით გრძელდება: „სიზარმაცეში, ანუ უნდობლობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას. – დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი: შენ, ჭიანჭველავ, რა საქმე გაქვსო? კიდეც ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ, ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო. – ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 155). საკუთარი თავის დაცინვა და ჭიანჭველად მოხსენიება ყველაზე კარგად გამოხატავს ბარათაშვილის იუმორის არსს. აქ დიფერენცირდება ბარათაშვილი, როგორც პიროვნება, და მისი ბედი, რომელმაც ჭიანჭველაზე მეტად ვერ დააწინაურა ცხოვრებაში. ხოლო, რაც შეეხება ახლობელ ყმაწვილკაცთა დაცინვას, მომდინარეობს მისი მდგომარეობიდან – ისინიც არ არიან განსაკუთრებული უნარების, მაგრამ ბედმა მათ შამილის დასაჭერად წასვლა არგუნა. მათი დამამცირებელი მეტაფორები მომდინარეობს ბარათაშვილის განცდებიდან საკუთარი ხვედრის გამო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დამცინავი ტერმინით, ხახვების ფრანტებად, მოიხსენიებს საომრად წასულ ახალგაზრდებს, რომლებიც თავიანთი აღნაგობითა და ცხოვრების სტილით აქამდე დახვეწილ არისტოკრატიას წარმოადგენდნენ, ახლა კი თავის გამოსაჩენად ბრძოლა მოუნდომებიათ. ამ ტერმინით პოეტი ხაზს უსვამს ამ

ადამიანების შეუსაბამობას საბრძოლო საქმესთან. საკუთარ თავზე კი გულგატეხილი წერს, რომ ჭიანჭველასავით სულ ფუსფუსებს და დაკავებულია. ყველა ვაჟვაცი შამილთან ბრძოლაში თავის გამოსაჩენადაა წასული, თვითონ კი იძულებულია მოსაწყენი დოკუმენტები წეროს და ქალაქის ქალებში ერთადერთ ახალგაზრდა ყმაწვილად დარჩენილს თავი ფართო ოკეანეში ერთადერთ ხომალდად წარმოუდგენია. სწორედ ამ შინაგანი ტკივილითაა გამოწვეული ნიკოლოზ ბარათაშვილის ირონია როგორც ნაცნობი ყმაწვილების, ისე საკუთარი თავის მიმართ.

შემდეგი ხუმრობა ნიკოლოზ ბარათაშვილის დას, კატოს ეკუთვნის, რომელიც გრიგოლს არწმუნებს საქორწილოდ კარგი საჩუქრები გამოუგზავნოს: „ახლა შენ იციო, ეგეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია, თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო“; ნიკოლოზი ამაზე ხუმრობს: „მე კი ეს ვიცი, რომ ერისთიანთ რძალთან არა დაგვეკარგება-რა, კარგს ქიზგას გვაჩუქებენ. – მაინც საჭიროა. – ორმოც წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა“(XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 156).

ირონიული ტონი გრძელდება შემდეგ აბზაცშიც. ირონია ამჯერადაც სამხედრო მოსამსახურეებს მიემართება და ბარათაშვილი ამით საკუთარ გულის წყვეტას გამოხატავს: „ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობრძანდნენ, ყაფლან მაგათზედ იცინის; ასე ამბობს, სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 156). ბარათაშვილის იუმორი იმ ფაქტს ეფუძნება, რომ სამხედრო სამსახურში წასული ნაცნობი ყმაწვილები სინამდვილეში ჭირვეული არისტოკრატები არიან, რომლებსაც ახლა ბრძოლაში სახელის მოხვეჭა მოუნდომებიათ. იგივე სურვილითაა განმსჭვალული თავად ნიკოლოზის პიროვნებაც, მაგრამ მას არ აქვს შესაძლებლობა შეუერთდეს მათ, ამიტომ ირონიული დაცინვით ცდილობს ამაღლდეს ბედის უკუღმართობაზე.

წერილის დასასრულისკენ მოთხრობილია თბილისის ჭორები: ნინო ჭავჭავაძე 9 ივნისს ოდესაში მიდის და შენ მანდ გაჯავრდიო – ეხუმრება ტატო ბიძას. მომავალში ამბებით უფრო „გატენილ წიგნს“ პირდება და მოკითხვების შემდეგ იუმორისტულად ემშვიდობება: „ფეფომ და მაშომ მოგიკითხეს; ამათ შენი ხანობა არად ეპიტნავებათ; გამდიდრდი თუ არაო? ესენი ამას მკითხავენ. – შენ მაგივრად მე ვეტყვი, ვაი შენს

მტერსა-მეთქი.“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 156) როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი ლექსიკურ სატირას მიმართავს. „გატენილი წიგნი“ ჭორებით სავსე წერილს გულისხმობს. ნიკოლოზს სასაცილოდ გაუხდია ის ფაქტი, რომ გრიგოლ ორბელიანთან გაგზავნილი ბარათები ხშირ შემთხვევაში ახლობელთა შესახებ ჭორაობას დამსგავსებია.

გრიგოლ ორბელიანთან მიწერილი ჩვენამდე შემორჩენილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ბარათების ქრონოლოგიური დაკვირვების მიხედვით ცალსახაა, რომ ტატოსთვის ბიძა თანდათან უფრო ახლობელი ადამიანი ხდება, რაც მათ შორის იუმორის ზრდაში აისახება. მკითხველს საშუალება აქვს თვალი მიადევნოს ბიძისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებიდან უახლოეს მეგობრამდე ფორმირების პროცესს, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვე თამამად შეეხუმრება ხოლმე ბიძას და ზოგჯერ ირონიასაც მიმართავს. ბოლო პერიოდის წერილებში ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაგან სამყაროში იმედგაცრუება იმატებს, რაც წერილებშიც აისახება. მსუბუქ იუმორს მწვავე ირონია ცვლის და ტატო ამგვარად ცდილობს ბიძას საკუთარი გულისტკივილი მიახვედროს.

ხუმრობებითაა გაჯერებული ნიკოლოზ ბარათაშვილის მაიკო ორბელიანზე მიწერილი ბარათებიც. 1845 წლის 9 თებერვლის წერილში ვკითხულობთ: „მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოც და ექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევს! ვაი, იმის ბრალი, ვინც ოცა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!..“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160). უცნობია, ვის გულისხმობს ბარათაშვილი ამ 28 წლის ადამიანში, რომლის მიმართაც ამგვარ ირონიას იყენებს, თუმცა ხუმრობა თავის მხრივ უტოპიურია, რადგან იგი ამ დროს თავად მხოლოდ 2 წლით უმცროსია დასაცინ ობიექტზე.

ასაკთან დაკავშირებული ხუმრობა ფიქსირდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაშიც. პოეტს ეკუთვნის სახუმარო ეპიგრამა-ექსპრომტი „ელენეს და მაროს“, რომელშიც ვკითხულობთ:

„მე რად მაყვედრით ფედოროვს, თქვენვე მოგხვდებათ სიძედა,  
არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღას დასცინით ხანზედა;  
თუნდა კნეინა სოფიოს ჰკითხეთ - რამდენის წლისაც ხართ;

მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ!

თვარემ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ,  
გაგთეთრებიათ თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ;  
პაპუნაშვილი, თქვენი ყმა, თქვენი ლალაცა ყოფილა,  
იმისი თქმითა მარიამ ოცდაათისა ყოფილა!“

(აბაშიძე, ინგოროვა 1968: 165).

ლექსი ეძღვნება ელენე ორბელიან-ერისთავსა (1815-1888) და მარიამ ორბელიან-ფალავანდიშვილს (1817-1851).

გარეგნული ნაკლის შესახებ წერილში მწვავე დაცინვაა გამოხატული მომღერლების, საფარასა და ჯაფარას, შედარების დროს. ბარათაშვილი წერს: „ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე ჯოჯოხეთის მაშალა“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 160).

მაიკოსადმი მიწერილ წერილებში გვაქვს ჩვეული იუმორი საერთო ნაცნობებისადმი. ნიკოლოზი ხუმრობს მიხაკო ორბელიანსა და ივანე ორბელიანზე, რომ მათ ბარათაშვილის მოკითხვა კარგა ხანია არ გახსენებიათ: „ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არა მწერს, ივანეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 161). ბარათაშვილი იუმორს აგებს მიხაკო ორბელიანის გარეგნულ თვისებაზე - სიმელოტეზე და მას ქაჩალს (მელოტს) უწოდებს. ხოლო ივანეს ტვინის არ ქონის გამო დასცინის.

უფრო სერიოზულ წყენას გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილი მანანა ორბელიანის მისამართით, რომელსაც მოუკითხველობის გამო აკრიტიკებს და ირონიულად დასძენს, რომ ამ ქალს მათთან მეგობრობას 80 წლის კაცებთან ყოფნა ურჩევნია: „მაგრამ ეს მაკვირვებს; არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკადრულობს? მაგრამ ერთის მხრივ, არც კი უნდა დავემდურო; ახლა ჩვენ ვიდას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩვანში! ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011. 160). ნიკოლოზი ამ მწვავე ირონიაში მანანა ორბელიანისა და 63 წლის მიხეილ ვორონცოვის შესახებ

გავრცელებულ ჭორებს გულისხმობს. იგი თავის თავსა და ლევან ორბელიანს მოიხსენიებს „ტლუ ბიჭებად“, რადგან ადრესატის დაცინვის მიზნით თავად ირგებს დაჩაგრულის პოზას. ეს სატირის ცნობილი ხერხია. ეს ხერხია გამოყენებული მაშინაც, როცა თავს ჭიანჭველას უწოდებს.

წერილის ბოლოს ნიკოლოზი ხუმრობს ეკატერინე ორბელიანის შესახებ, რომელზეც ნაწყენია, რომ წერილებს არ სწერს: „ეგ ხომ წიგნს ვერ მამწერს და ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია, რუსულიც ვერ უსწავლია და ვიცი, რომელს ენაზედ დასწერს?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. I; 2011. 160). ნიკოლოზ ბარათაშვილი ცრუ გამართლებას მოუძებნის კატოს მხრიდან მის დავიწყებას, რომ თითქოს კატოს ყველა ენა დავიწყებია და წერილებს იმიტომ ვერ უგზავნის. ამ იუმორით კი იმის ხაზგასმას ცდილობს, რომ სხვა უფრო სერიოზული მიზეზი ეკატერინეს მხრიდან მიმოწერის დავიწყებისა, არ არსებობს.

მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ 1845 წლის წერილში ნიკოლოზი ლევან მელიქიშვილის ავადმყოფობაზე ხუმრობს: „ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 163). როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის დაცინვა ლევანის ფიზიკურ ნაკლს, მეტყველების დეფექტს, ემყარება.

1845 წლის 10 აგვისტოს კი ნ. ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს ხუმრობით აჯავრებს: „ჩვენს ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავიწყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?.. აი, აკი გითხარ, გაჯავრდები-მეთქი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 164) ამ წერილის დაწერამდე ერთი თვის ადრე აქ დასახელებული ნაცნობი ყმაწვილები რუსეთის არმიაში ბრძოლის ველზე გამოჩენილი მამაცობისთვის წმ. გიორგის IV თანრიგის ორდენებით დაუჯილდოვებიათ. როგორც ჩანს, ბარათაშვილმა ჩვეული ირონიით მოიხსენია ამ ყმაწვილების დაჯილდოება, რამაც მაიკო ორბელიანის განაწყენება გამოიწვია. ბარათაშვილი აგრძელებს მის გაჯავრებას თამაშის ხერხით, თითქოს მათი სახელი დაავიწყდა.

ამის შემდეგ მაიკოს შერიგებას სთხოვს. ჩანს, მაიკო მას სერიოზულად არც გაბუტვია, რადგან ის და კიდევ ერთი ადამიანი ბარათაშვილისთვის ხელსაქმობენ და მას რაღაც საჩუქარს უმზადებენ: „კარგი, შევრიგდეთ! ხელსაქმეს თურმე მიკეთებს,

მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ გეგონოს, მრავლობითად რომ გეუბნები). რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ. მე კი არა გთხოვთ და, თუ კი გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ხელმწიფე იმპერატორმა და, თუ არა და, ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ“. – ხუმრობს პოეტი (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 164) პაპუა ორჯონიკიძე მაშინდელი ღარიბი აზნაური იყო. სწორედ მასთან გათანაბრებით დასცინის ნაცნობ ქალებს წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თავისი საჩუქრის შემდეგ ბარათაშვილი ნაცნობი ქალების საჩუქარზე ხუმრობს. სოფიო ერისთავს უთვლის, რომ ნაჩუქარი ზონარი რა უყო; იმედს გამოთქვამს, რომ ქმარი არ დაუშლის მის ტარებას. სოფიო თარხნიშვილს კი ურჩევს ეს ზონარი მანაც გაიკეთოს, რათა მალე გათხოვდეს. როგორც ვხედავთ, ბარათაშვილს სასაცილოდ გაუხდია ამ ქალების გათხოვების გადამეტებული სურვილი.

ზაქარია ორბელიანთან გაგზავნილ ეპისტოლეში ნიკოლოზი ხუმრობს გრიგოლ ორბელიანის შესახებ: „მიეცი მას თუნდაც ავგუსტოსის ტახტი, იგი მთელ რომის იმპერიას კომიკურ ხუმრობას აქცევდა. – ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის.“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 152). ბარათაშვილი გადაჭარბების ხერხით ქმნის იუმორს, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის გრიგოლ ორბელიანის პიროვნული თვისებების შესახებ.

1844 წლის 10 მაისს ნიკოლოზი ზაქარიას ატყობინებს, რომ ახლობლები: ილია ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, დავით ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ერისთავი და ბაკლანა – ალექსანდრე გიორგის ძე ერისთავი – ყველანი დაღესტნის ომში ჩაერთვნენ და შამილის დასაჭერად წამოვიდნენ: „ჩვენი ყმაწვილი კაცები ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმაწვილებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154). ბაკლანას მოხსენიება ყმაწვილ კაცებში და შემდეგ ამის ხაზგასმა ბარათაშვილის მხრიდან ირონიულია. შემდეგ კი ყველას შესახებ ჩვეული იუმორით წერს: „ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამამავლობით გიჟები არიანო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154) როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი

იუმორის გზით ცდილობს თავი დააღწიოს საკუთარ ტკივილს, რომ თავად ვერ მოახერხა ბრძოლაში მონაწილეობა და სამხედრო კარიერის მოწყობა. მწარე რეალობისგან იუმორით ამაღლების ამგვარი მცდელობები ჩვენ გრიგოლ ორბელიანსა და მაიკო ორბელიანთან მიწერილ წერილებშიც მიმოვიზილეთ. ფაქტია, რომ ეს თემა პოეტისთვის იმდენად მტკივნეულია, მთელი მის ეპისტოლურ დიალოგს ერთგვარ ხაზად გასდევს.

ბარათი იუმორით სრულდება: „შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა. ამისთანა წუწკმა ხანდისხან ასეც იცის“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 155) ბარათაშვილი ამ ფრაზით ზაქარიას მეუღლის, ქეთევან ორბელიანის სიძუნწეზე ხუმრობს. იგი პირდაპირობითა და იუმორით აჯავრებს ნათესავებისა და ახლობლების ამა თუ იმ მანკიერ თვისებას.

წერილის ბოლოში გვხვდება კატოს ხუმრობა: „ისევ შენ, თორემ სხვანი ჩუსუმები არიანო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154) როგორც ჩანს, კატოს ეს ხუმრობა სამაჭანკლო ქორს უნდა ეხებოდეს. კატო ბიძას მიახვედრებს, რომ ამ საქმეში მისი იმედი აქვს. ამიტომ მას თხოვნის სერიოზულობას შეახსენებს. მომდევნო წერილში ამავე ხერხით ცდილობს საჩუქრების მიღებას ნიკოლოზ ბარათაშვილიც: „P.S. ზაქარიავ! ამ შენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დამბაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავით დარჩენილა და ამისთვის კაბინეტში ვერ გამიმართავს“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158). ამ შემთხვევაში იუმორი საჩუქრის მისაღებადაა გამიზნული. და-ძმა ბარათაშვილები ცდილობენ ზაქარია ორბელიანი იუმორით დაარწმუნონ, რომ დისშვილებს საჩუქრები გამოუგზავნოს.

მომდევნო წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილმა ზაქარია ორბელიანს 1844 წლის 18 აგვისტოდან 20 აგვისტომდე მისწერა. ამ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას საყოფაცხოვრებო ამბებს უყვება კატოს გათხოვების შესახებ. ნიკოლოზ ბარათაშვილი იუმორით, ხუმრობით, იხსენებს სასახლეში წარმოთქმულ ყაფლანის სიტყვებს: „ფუЮЮЮ – ეТО ДВОРЕЦ?“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 158). როგორც ჩანს, ყაფლანის იუმორზე ძალიან ბევრი უცინიათ.

ჩვენამდე შემონახულია მიხეულ თუმანიშვილზე მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი წერილი, რომელიც თარიღდება 1838 წლის 6 აგვისტოთი. ბარათაშვილი მეგობარს აჯავრებს, რომ მას არ აინტერესებს, გაიგო თუ არა თუმანიშვილმა, ვინ იგულისხმება „ასტრაში“. მთავარია, რომ ადრესატმა გაუგო ავტორს და ამით კმაყოფილია. თუმცა იგი მინიშნებას აძლევს მეგობარს, რომ ამ უცნობის სანახავად წყნეთში მიემგზავრება, რათა ის იხილოს. დედამისმა სთხოვა, რომ რამდენიმე დღე მათთან გაატაროს: „დღეს საღამოს წყნეთში მივემგზავრები. – რატომ? იმიტომ, რომ ის იქ გახლავთ. დედამისმა მთხოვა რამდენიმე დღე მათთან გავატარო. როგორი იქნება ეს დღეები? ახ? მაშ მოკვდი, ბზ!“ – ხუმრობით აჯავრებს მიხეილს ნიკოლოზი (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 137) ნ. ბარათაშვილის ლექსი „ასტრა“ მიძღვნილი ყოფილა პოეტის ფრანგი მეგობარი ქალის – დელფინა ლაბიელისადმი. ცნობილია, რომ მის დედას საკონდიტრო ჰქონდა წყნეთში გახსნილი. მისი ვინაობა ცნობილი იყო მიხეილ თუმანიშვილისათვისაც, თუმცა მეგობარი მას ამჯერად აჯავრებს და თითქოს საიდუმლოდ უმაღავს ამ ამბავს.

ბაბალე საგინაშვილთან ეპისტოლური დიალოგისას პოეტი ბაბალეს მოკითხვას აბარებს ძალუა ელისაბედთანაც და ხუმრობით ემუქრება, მანამ არ მივწერ, სანამ „ჭორაჭურებით სავსე“ წიგნს არ მომწერსო. როგორც ვხედავთ, ნიკოლოზი იყენებს ლექსიკურ სატირას „ჭორაჭურები“ და ამით ხაზს უსვამს, რომ უცხო ქვეყანაში გადახვეწილისთვის ახლობლებზე „ჭორაობა“ სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნების მანუგეშებელი გზაა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ამავე წერილში ახსენებს ვინმე ბარბარეს, რომელსაც დამცინავად „ფრანტ“ ქალს უწოდებს „მე აქაური რა მოგწერო? აქაური პირველი ფრანტისა ჯორაკის ქალი ბარბარე ბრძანდება“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 166). აღსანიშნავია, რომ ფრანტი ქალი ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი მანდილოსანია, სწორედ ამ თანგადაყოლილობას უსვამს ხაზს წერილის ავტორი ბარბარეს დაცინვის დროს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაბალესადმი მიწერილ წერილშიც არ ივიწყებს მაიკო ორბელიანს, რომელსაც სულელად მოიხსენიებს „მაგ სულელ მაიკოს უთხარ: რა ხანია თავის წიგნის პასუხი გამოუგზავნე.“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა

ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 166). მაიკოსთვის სულელის წოდება ირონიულია, მაგრამ არა სატირული.

ალექსანდრე საგინაშვილს კი ნიკოლოზი ეხუმრება: „რასაკვირველია, რომ შენ მაიორობა არ მოგივა: ყოველ წელიწადს ბორჯომში შეექცევი, ცივს ნიავს არ მიიდენ! – მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგაგდებ დაღისტანში! საწყალს მაიორშობა არ ეღირსა, არ იქნა. – ქალაქიდან განჯა ორასი ვერსია, თუნდ გამიჯავრდეთ, რას შეგეპუებით.“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 166). ამ იუმორისტულ ეპიზოდში ჩანს ეპოქის ტენდენცია – დაწინაურებისკენ სწრაფვა და თავადაზნაურობის მეშჩანური ამპარტავნება.

ნიკოლოზი ხუმრობს საკუთარი მდგომარეობის შესახებაც: „ამით წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა; თუ ღმერთი არ შემეწია, გავსულელდები ამდენს თარაქამებში“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 165) – სწერს იგი ბაბალე საგინაშვილს. თარაქამებში ნიკოლოზი გაუთლელ აზერბაიჯანელებს გულისხმობს.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რამ ბარათაშვილის სატირული ლირიკა დაკარგულია, რადგანაც ის ფოსტის მეშვეობით ეგზავნებოდათ დიდკაცებს, ხელმოუწერლად, პეტრე ბაგრატიონის საოჯახო ბეჭდით. ამ წერილებს გიმნაზიელები ჩუმად უდებდნენ ფოსტალიონს ჩანთაში და ისიც ადრესატებს ურიგებდა. გამოძიებამ იპოვა დამნაშავეები, რის შედეგადაც ბარათაშვილი სასწავლებლიდან გარიცხეს.

## თავი 10. ეპისტოლურ ბარათებში არეკლილი მე-19 საუკუნის საქართველოს მდგომარეობა

ნიკოლოზ ბარათაშვილის საქართველო იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგებს იმკის, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ ჩვენს ქვეყანას დაუდგა. სპარსი, თურქი და კავკასიელი მთიელი დამპყრობლებისგან გამუდმებული თავდასხმებისა და შიდა პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე ქვეყანას სხვა არჩევანი აღარ დარჩენოდა. ქართველმა ხელისუფლებამ ძლიერი ქრისტიანული მოკავშირის ძებნა ვახტანგ VI-ის დროს დაიწყო და თავდაპირველად ევროპას მიაშურა, რის გამოც ევროპაში სამოგზაუროდ სულხან-საბა ორბელიანი მიავლინეს. მრავალ ფაქტორთა გამო, თანამშრომლობითი კავშირების დამყარება ევროპულ ქვეყნებთან ვერ მოხერხდა. ვახტანგი მეორედ მართმადიდებლურ რუსეთში წავიდა, თუმცა ეს ურთიერთობებიც არ გამოდგა საქართველოსათვის შედეგის მომტანი.

ვახტანგის დაწყებული გზა ერეკლე II-მ 1883 წელს რუსეთ-საქართველოს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით დააგვირგვინა. ამ დოკუმენტის მიხედვით, რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შიდა პოლიტიკურ საქმეებში, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთს სულაც არ ამოძრავებდა საქართველოსადმი კეთილშობილური ზრახვები და ამ ტრაქტატის ერთადერთი მიზანი კავკასიის რეგიონში ფეხის მეტად მოკიდება იყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როცა საქართველოს რთული პოლიტიკური რეალობა ედგა. იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის გამოცემული მანიფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო. რუსეთმა აქტიურად დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურება. წესრიგის დასამყარებლად თბილისში დამატებით გამოიგზავნა რუსული ჯარი, რომელსაც თან მოჰყვა მოხელეთა არმია თავიანთი ჩინ-მედლებითა და წოდებებით.

საქართველოს მთავრობა დაიყო ოთხ ექსპედიციად: აღმასრულებელ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სახაზინო დანაყოფებად. ექსპედიციების უფროსებად დანიშნულნი იყვნენ რუსი მოხელეები, რომელთა სახელებსა და წოდებებს ასე ხშირად ვხვდებით ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის როგორც პირად, ისე სამსახურებრივ წერილებში. როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის თანადროულ ხანაში რუსული მმართველობა აქტიურად ახვევს თავს ქართველ

საზოგადოებას რუსული ჩინ-მედლებითა და ხარისხებით გატაცებას. როგორც წერილების ანალიზისას ვნახეთ, ბარათაშვილიც მუდმივად ცდილობს მიაღწიოს რაც შეიძლება მეტ რუსულ ჯილდოს და ამგვარად დაწინაურდეს საზოგადოებაში.

1810 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ბედი გაიზიარა დასავლეთ საქართველომაც, თუმცა სამხედრო-ოკუპაციური რეჟიმი მიუღებელი იყო ქართველი ხალხის თავისუფლების მოყვარე შინაგანი სამყაროსთვის. ამის შედეგი იყო მე-19 საუკუნის დასაწყისში მომხდარი აჯანყებები მთიულეთში, კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. გურიის 1841 წლის აჯანყებას ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილებში. ბარათაშვილი ხაზს უსვამს ბიძის განსაკუთრებულ დიპლომატიურ შესაძლებლობებს გურიის აჯანყების ჩამშვიდებაში. როგორც ცნობილია, ამ აჯანყების ჩახშობაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველი თავადაზნაურობა. ამ სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობრები. ბარათაშვილის წერს, რომ სიამაყით ივსება, როცა ამ საქმეში ქართველების ქებას ისმენს და ბიძას გადასცემს, რომ თავად ორბელიანმა და გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა, (იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის, დისწულმა) რომელსაც ბარათაშვილი წერილში ანდრონიკოვად მოიხსენიებს, ქართველების საბრძოლო უნარებს დიდი სახელი გაუთქვეს: „მჯერა სარდლობა არღუთინსკისა, ს[აგინოვ]ისა და გურამოვისა, რადგანაც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ. შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდი; ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას, შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 159).

რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილთა ხელმძღვანელობით 1825 წლიდან დაიწყო შეთქმულთა ორგანიზაციის გაფორმება. შეთქმულების მონაწილენი იყვნენ: გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ზაალ ავთანდილაშვილი და სხვანი. სამეცნიერო ლიტერატურაში დაუდგენელია რამდენად იყვნენ შეთქმულებაში ჩართულნი თბილისის გიმნაზიის მოწაფეები, რომელთა წრეშიც შედიოდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც.

შეთქმულთა საპროგრამო მოთხოვნა იყო ქართველების გათავისუფლება რუსეთის თვითმპურობელური რეჟიმისაგან. შეიარაღებული აჯანყების დღედ დანიშნული იყო 20 დეკემბერი. ალექსანდრე ორბელიანის ოჯახში უნდა მოეწვიათ ხელისუფალთა წარმომადგენლები და იქ გასწორებოდნენ მათ, მაგრამ 9 დეკემბერს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ძმამ, შეთქმულების მონაწილე იასე ფალავანდიშვილმა, შეთქმულება გასცა.

ხელისუფლებამ „მამულის გამოხსნის შეთქმის“ მონაწილენი ჩამოაშორა საზოგადოებრივ მოძრაობას, გაასამართლა ისინი და ბევრი მათგანი გადაასახლა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიაში. გადასახლებულთა შორის იყვნენ: ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი და სხვანი.

ქართველი მოაზროვნე ფენის გადასახლებამ თბილისის ინტელექტუალური ცხოვრება ჩაკლა. ბარათაშვილის დროინდელ თბილისში არ არსებობდა ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრება. ამგვარ „უსარგებლო“ ცხოვრებას, საზოგადოებას, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბუნების, მისი ნიჭისა და მისწრაფებებისათვის შეუთავსებელი იყო, პოეტი აღწერს 1841 წლის 18 ოქტომბერს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ეპისტოლეში: „ტფილისი ისევ ის ქალაქია უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ის არის, რომ მშვენიერი დარებია“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 159).

უფრო ადრე, 1838 წლის 6 აგვისტოს პოეტი თავის ახლო მეგობარს, მიხეილ თუმანიშვილს, ქალაქის უინტერესო ცხოვრებაზე სწერს: “ნუ გამიჯავრდები დუმილისათვის, ხოლო მტვრისაგან – სულის შემსუთველ თბილისში საყურადღებო არაფერია” (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 159).

შეთქმულთა გაცხადების შემდეგ გაძლიერდა რუსული ცენზურის მარწუხები. გადასახლებულ გრიგოლ ორბელიანთან ბარათაშვილის კომუნიკაციას უკვე სხვაგვარი ელფერი აქვს. 1837 წელს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ტატო ბიძას ატყობინებს, რომ ბარათი დიდი ხანია დაწერილი ჰქონდა, მაგრამ ფოსტას არ ანდო და კერძო პირის ხელით აგზავნის: „ძიავ, ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი

მქონდა. მაგრამ ფოსტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო, იქნება დაკარგულიყო, და მერმე: პ...“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 133). ასო პ პატიმრობას ნიშნავს. როგორც ვხედავთ, ქვეყანაში იმდენად მკაცრი ცენზურული რეჟიმია დამყარებული, რომ ნიკოლოზს ლექსის რამდენიმე სტროფიც კი პატიმრობას უქადის.

ეს ფაქტი მეტყველებს მაშინდელი ხელისუფლების რეპრესიებზე. რა თქმა უნდა, ამ დროს შესაძლებელი იყო ბარათაშვილს ბიძასთან წერილი ფოსტით გაეგზავნა, მაგრამ დიდი შანსი იყო, რომ მას საიდუმლო სამხედრო პოლიცია წაიკითხავდა და ამიტომ ბარათაშვილი წერილებს ნაცნობ-მეგობრებს ატანს. წერილში ჩართულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი, რომელშიც პოეტი პირდაპირ მიუთითებს გრიგოლ ორბელიანის სამშობლოდან გადახვეწის მიზეზს – „ავის ენის გესლს“. ბარათაშვილი ამ სიტყვებში შეთქმულების დამბეზღებლებს გულისხმობს. რუსული ცენზურისთვის ეს ლექსი, ბუნებრივია, მიუღებელი იქნებოდა. ამიტომაც ბარათაშვილი ყოველ მხრივ ფრთხილობს, წერილი ხელში არავის ჩაუვარდეს.

რუსული ცენზურის შიში იკვეთება 1842 წლის 2 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძისადმი გაგზავნილ წერილშიც. ბარათიდან ამოღებულია 21- სიტყვიანი აბზაცი. წერილის დედანი 1873 წელს გრიგოლ ორბელიანს პეტრე უმიკაშვილისთვის გამოსაქვეყნებლად გადაუცია. სწორედ მის ავტოგრაფზე დაყრდნობით დაიბეჭდა ეს წერილი ჟურნალ „ცისკრის“ მესამე ნომერში. აღნიშნული ტექსტია გადაბეჭდილი შემდეგ გამოცემებშიც. პეტრე უმიკაშვილს დედნიდან ამოუღია წერილის მონაკვეთი, რადგან იგი პოლიტიკურად სახიფათო ინფორმაციას შეიცავდა. მას არ გაურისკავს ამ ტექსტის დედნიდან გადმოწერაც კი და იგი გრძელი და მოკლე ხაზებით დაშიფრულად ჩაუნიშნავს. თუმცა, დღეს ამ დაშიფრული ტექსტის წაკითხვა ვერ ხერხდება.

რუსული მარწუხები მძიმედ უჭერდა ქართული ეროვნული კულტურის განვითარებასაც და ჩანასახშივე სპობდა ქართულ კულტურულ საწყისებს. მიუხედავად ამ უდიდესი წნებისა, ქართული მოაზროვნე სული მაინც ახერხებდა შემოქმედებითი ძალების მოკრებასა და გაფართოებას. უკვე 30-იანი წლებიდან ეყრება საფუძველი ქართულ პერიოდულ პრესას. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე თანდათან გამოჩნდება ეროვნული თემატიკის ნაწარმოებები, რომლებიც რუსული

ცენზურის მკაცრ შემოწმებას გადის, რისი კვალიც დავინახეთ კიდეც ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში.

მაშინდელი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების მთავარი ადგილი სალონური და ლიტერატურული წრეებია. იმ პერიოდის ლიტერატურული მოძრაობის მთავარი ძარღვი სწორედ ამგვარი შეკრებებია. ეს კარგად გამოჩნდა 1841 წლის გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში, რომელშიც ვკითხულობთ: „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწევიან მამულეულს ენას, რაოდენიცა ძალუმთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთა არა სძინავთ გონებით“ (აბაშიძე, ინგოროვა 1968: 175). თავად ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ მოძრაობის ცენტრში დგას და მისი მთავარი სულისჩამდგმელია.

გამოცოცხლება ეტყობა ქართულ თეატრალურ ცხოვრებასაც. წარმოდგენები და შეკრებები იმართებოდა ალ. ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა სახლებში. ქართული თეატრის გამოცოცხლების კვალი დავინახეთ წერილებშიც, რომლებშიც გამოჩნდა, რომ 1841 წელს ბარათაშვილმა თარგმნა ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“, ხოლო დიმიტრი ყიფიანმა - შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“.

ასეთი იყო, ზოგადად, ბარათაშვილის დროინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ატმოსფერო. ამ პერიოდის საქართველოს მძიმე პოლიტიკური გარემო აფერხებდა და წლობით აჩერებდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობას. სწორედ ამან მოიტანა ახალი ეტაპი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მრავალი წლის განმავლობაში მუსულმანურ ქვეყნებთან ბრძოლამ, სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და რუსეთის კოლონიად გადაქცევამ ქართულ ლიტერატურაში წარსულის იდეალიზაცია და რომანტიზმის აღმოცენება განაპირობა. ეროვნული ტრაგედიის შეგნება და ამით გამოწვეული სევდა ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი თვისება გახდა. ასეთ უიმედო ატმოსფეროში რომანტიკოსების იდეალი და ოცნება მტერზე გამარჯვება და თავისუფლების მოპოვება იყო.

## თავი 11. რუსული ენის გავლენა ქართულ ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე

რუსეთის მმართველობის დამყარებასთან ერთად საქართველოში თანდათან ქვეითდება ქართული ენის დანიშნულებაც. ქვეყანას მართავენ რუსეთიდან დანიშნული სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც მოითხოვენ, საქართველოში ოფიციალური დოკუმენტების ენა რუსული იყოს. ეს პროცესი კარგად ჩანს როგორც პირად, ასევე ოფიციალურ წერილებში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათები ყურადღებას იქცევს მათში რუსულ-ქართული ენის არევისა და რუსული ენის ფუნქციური მომძლავრების თვალსაზრისით. ამიტომ საინტერესო იქნება ამ მხრივ მათი მთლიანობაში განხილვა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ხასიათის 18 წერილიდან 2 ბარათი მთლიანად რუსულადაა დაწერილი, ხოლო დანარჩენებში გვაქვს დიდი რაოდენობით რუსული სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების ჩართვის შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ რუსული ფრაზები არ არის ჩართული ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების ქალ ადრესატებთან, მაიკო ორბელიანსა და ბაბალე საგინაშვილთან. ეს გვაფიქრებინებს, რომ რუსული ენის მომძლავრება ძირითადად სამხედრო კარიერასთან დაკავშირებულ პიროვნებებში შეიმჩნეოდა, რადგან ამ დროს რუსული იყო ოფიციალური სამუშაო ენა რუს ჩინოვნიკებთან ურთიერთობისთვის, ამიტომ სამხედრო სამსახურში მყოფ თავის ბიძებსა და მეგობრებს: გრიგოლ ორბელიანს, ზაქარია ორბელიანს, მიხეილ თუმანიშვილსა და ალექსანდრე საგინაშვილს პოეტი რუსული ენის დახმარებით ეკონტაქტება, ხოლო ნათესავ-მეგობარ ქალებთან მშობლიურ ენაზე კომუნიკაციას ამჯობინებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიხეილ თუმანიშვილთან გაგზავნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი მთლიანად რუსულ ენაზეა დაწერილი. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ერთად სწავლის პერიოდში ამ ორი მეგობრის საკომუნიკაციო ენა ხშირად რუსული იყო. ამ მონაცემების ანალიზის შედეგად თანამედროვე მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რამდენად დიდი იყო რუსული ენის გავლენა მე-19 საუკუნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე და როგორ თანდათან მცირდებოდა ქართული ენის გამოყენება არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში, არამედ პირადი ხასიათის მიმოწერებშიც კი.

ბარათაშვილიც თავისი ეპოქის შვილია და ვერ იქნებოდა ამგვარი გავლენისაგან თავისუფალი.

მელიტონ ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანთან მიწერილი ბარათიდან ჩანს (1831წ. სექტემბერი), რომ მამისთვის შვილის სწავლაში წარჩინების საზომი მისი რუსულ ენაში გაწაფვაა: „ჩემმა ტატომ კი წიგნი მოგწერა. მერწმუნე, თვითონ დასწერა, არავის უსწავლებია“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 130) მაამ, მელიტონი, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ტატომ ამ რუსულენოვანი წერილის დაწერა დამოუკიდებლად მოახერხა და ამით მის წარჩინებულ მოსწავლეობაზე მიუთითებს.

წერილების უმრავლესობაში ყურადღებას იქცევს მიმართვის ფორმები და ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ საკუთარი სახელისა და გვარის დასახელება. ვხვდებით რუსული ენის ცალსახა გავლენით ბიძის გვარის, ორბელიანის ორბელიანოვად, ხოლო წერილის ბოლოს საკუთარი გვარის ბარათოვად მოხსენიებას. როგორც ჩანს, ნიკოლოზის სოციუმში მიღებულია ქართული გვარების რუსული გვარების დაბოლოებით შეცვლა და ეს წარჩინებულობის გამოხატულებად ითვლება. პატარა ნიკოლოზიც პატივისცემისა და მოკრძალების გამომხატველი სხვა სიტყვების გვერდით ბუნებრივად იყენებს საკუთარი დედის გვარის ამგვარ სახეცვლილ ფორმას და წერილის ბოლოსაც საკუთარ გვარად ბარათოვს მიაწერს. გარუსულებული ვარიანტით ასახელებს ბარათაშვილი საკუთარ სახელსაც: „შენი მარად და მარადის იქითაც ნიკოლაი“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 138).

ბარათაშვილი რუსულენოვანი გვარებით მოიხსენიებს 1841 წლის 18 ოქტომბრის წერილში ბრძოლებში სახელმოხვეჭილ მაშინდელი საქართველოს გმირებს: არღუთინსკი – არღუთაშვილის ნაცვლად, საგინოვი – საგინაშვილის ნაცვლად, გურამოვი – გურამიშვილის ნაცვლად (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 159).

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ არც ერთ წერილში არ არის ჩართული რუსული ფრაზა ან სიტყვა. როგორც ჩანს, რუსული უფრო გავრცელებული საკომუნიკაციო ენა გახლდათ სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურში მყოფი

პირებისთვის, ბავშვობის მეგობრებს შორის კი ურთიერთობის ენა ყოველთვის ქართულია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ზაქარია ორბელიანთან მიწერილი პირველი ბარათი, აპრილის თვით დათარიღებული, რუსულ ენაზეა დაწერილი. გვაქვს მხოლოდ მცირეოდენი ქართული ჩანართები. მეორე წერილი, მაისის თვის, რუსულ-ქართულადაა შესრულებული. ხოლო მესამე, აგვისტოს თვის, ქართულადაა დაწერილი და მასში მხოლოდ სამი რუსული ფრაზაა ჩართული. ამ მონაცემებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იმ პერიოდის საქართველოში რუსული არა მხოლოდ ოფიციალური სამუშაო, არამედ ახლობელთა საკომუნიკაციო ენაც იყო. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ნიკოლოზს, ისევე როგორც ზაქარიას, თავისი სამსახურებრივი მოვალეობების ფარგლებში ძირითადად რუსულ ენაზე უწევდათ წერა და საუბარი, ამიტომ ჩვეულებრივ ფლობდნენ რუსულ ენას.

მიხეილ თუმანიშვილისადმი მიწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი წერილი დაწერილია რუსულად, ამ ენის სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვით. ტექსტში გვაქვს ერთი ფრანგული სიტყვა – aster. ამ სიტყვის მნიშვნელობას ბარათაშვილი თავად განმარტავს და გვთავაზობს მის ქართულ თარგმანს „მთიები“. ორივე სიტყვა, როგორც სათაური, ბარათაშვილს ბრჭყალებში აქვს ჩასმული. წერილში ქართულ ენაზეა დატოვებული ოთხი ფრაზა, რომელთა თარგმნა ბარათაშვილს გაუმართლებლად მიუჩნევია, რადგან ისინი ქართული ხასიათის გამომხატველია: „ძმაო თავყანა; ასეა, ჩემო ბატონო!; თუ არ გაჯავრდები; მაშ, მოკვდი, ბზ!“. ეს სიტყვები ჩართულია რუსულად დაწერილ წინადადებებში ქართული ასოებით.

რაც შეეხება ბარათაშვილის პირადი წერილების დასასრულს, პოეტი პირად ეპისტოლებში ყოველთვის გამოირჩევა გულთბილი ხელმოწერებით. ზოგჯერ ბარათის ბოლოს, ხელის მოწერაში, პოეტი თავის მოფერებით სახელს (ტატოს) იყენებს. რაც შეეხება ოფიციალურ დოკუმენტებს, გვაქვს თანამდებობის აღმნიშვნელი რუსულენოვანი ხელმოწერები: князь Н. Баратов, коллежский князь Н. Баратов, Столоначальник Н. Баратов. ეს ფორმები ზუსტად მიგვანიშნებს როდის, სად, რომელ უწყებაში და რა თანამდებობაზე მუშაობდა ბარათაშვილი.

რუსული ენის მძლავრი გავლენა ჩანს გრიგოლ ორბელიანის წერილებშიც. მომძლავრებულია რუსული ტერმინოლოგია, წერილები იწერება ან სრულად, ან

ნაწილობრივ მაინც რუსულად. აღნუსხულია გრიგოლ ორბელიანის 229 რუსული წერილი. წერილების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრიგოლ ორბელიანის რუსულენოვანი ეპისტოლეები ძირითადად ემთხვევა მწერლის რუსულ არმიაში მოღვაწეობის პერიოდს, 1834-1857 წლებს, და ეს წერილები ოფიციალურ-საქმიანი ხასიათისაა. გვხვდება ისეთი რუსულენოვანი წერილებიც, რომლებიც სულაც არ არის ოფიციალური ხასიათის და ისინი, ქართულად დაწერილი წერილების მსგავსად, ავტორს ახლობლების მოსაკითხად დაუწერია.

რაც შეეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურებრივ დოკუმენტებს, მათი წერის სტილი და ენა გვარწმუნებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა სრულყოფილად იცოდა რუსული ენა. იგი კარგად ერკვეოდა საქმის წარმოებასა და კანონმდებლობაში. ეს მასალები თვალნათლივ გვაჩვენებს რუსული მმართველობის შედეგებს: ქართული ენის ფუნქციურ დაქვეითებასა და რუსული ენის მომძლავრებას. ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში მხოლოდ რუსული ენაა. ვხედავთ რუსეთისგან დანიშნულ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც უხვად არიგებენ რუსულ ჩინ-მედლებს და რუსეთისადმი დამსახურების მიხედვით ანაწილებენ თანამდებობებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის პირადი და სამსახურებრივი ეპისტოლეების ენობრივი ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე-19 საუკუნის საქართველოში ეპისტოლური დიალოგის ენა რუსულ-ქართულია.

## თავი 12. ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ასახული წეს- ჩვეულებები

საქართველო დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანაა. თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების განმავლობაში ქართველმა ხალხმა შეიმუშავა ცხოვრებისა და ურთიერთობის თავისებური სტილი.

ეპისტოლური ჟანრი ძალიან ახლოს დგას ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, ამიტომ, ბუნებრივია, მასში ნათლად აისახება ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ხალხშია გავრცელებული. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები გვაძლევს ძალიან საინტერესო ცნობებს ძველი ქართული ტრადიციული ქორწილის, სტუმარმასპინძლობისა და წმინდა ადგილების მოლოცვის რიტუალების შესახებ.

1844 წლის 15 აპრილით დათარიღებულ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანს თავისი დის, კატოს დანიშვნის ამბავს უყვება. ბარათაშვილი გახარებული და კმაყოფილია მომავალი სიძის პიროვნებითა და მისი ოჯახით. მომავალი სიძის ძმას, დავით ერისთავს, დედოფლის ოჯახისათვის სამაჭანკლო ქორი უთხოვია. ქართული ტრადიციის მიხედვით სამაჭანკლო საჩუქარი მას ეკუთვნის, ვინც ნეფე-დედოფლის შეუღლებაში დიდი წვლილი შეიტანა. როგორც ჩანს, კატოსა და რევაზის შემთხვევაში ეს ადამიანი სწორედ დავით ერისთავი იყო. როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი საკუთარ დაზე ზრუნავს და სურს კატოს ოჯახმა ახალ მოყვრებთან თავი ტრადიციული წესების დაცვით გამოიჩინოს. ძველი ქართული ტრადიციით, სამაჭანკლო ფულადი სახის იყო და მაშინდელი საზოგადოებისთვის არც ისე მცირე თანხას შეადგენდა. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია მე-19 საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ ახსოვთ, თუმცა მას კატოს შემთხვევაში შედარებით სიმბოლური ხასიათი აქვს და პატარძლის ბიძას მხოლოდ ქორს სთხოვენ.

კატოს ქორწილის ამბები გრძელდება ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ მეორე წერილშიც, რომელიც 1844 წლის 10 მაისით თარიღდება. ბარათაშვილი ბიძას ქორწილის თარიღს ატყობინებს და კატოს მოკითხვასა და ხუმრობას გადასცემს: „ისევ შენ, თორემ სხვანი ჩუსუმები არიანო“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154) როგორც ჩანს, კატოს ეს ხუმრობა სამაჭანკლო ქორს უნდა ეხებოდეს. კატო ბიძას მიახვედრებს, რომ ამ საქმეში მისი იმედი აქვს და სხვებს ჩუსუმებად, ანუ უმაქნისებად მიიჩნევს. სამაჭანკლო ქორის შესახებ თხოვნას

უმეორებს ზაქარიას ნიკოლოზ ბარათაშვილიც და დასძენს: „ზაქარიავ, ხომ იცი, ამათ  
მაგისთანები დიდად მიაჩნიათ“ (XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა  
ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011: 154) მინაწერით ცხადი ხდება, რომ სამაჭანკლო  
საჩუქარი იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში არც თუ ისე ჩვეული ამბავია,  
მაგრამ ნიკოლოზი ხაზს უსვამს, რომ სიძის ოჯახი ამ ტრადიციას ყურადღებას აქცევს  
და ნიკოლოზიც ზაქარიას საგანგებოდ აფრთხილებს, რომ თხოვნა სერიოზულად  
მიიღოს.

მე-19 საუკუნის ქართული ქორწილის ტრადიცია კიდევ უფრო ვრცლადაა  
გადმოცემული ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ ნიკოლოზ ბარათაშვილის  
ჩვენამდე შემონახულ მესამე ბარათში, რომელიც 1844 წლის აგვისტოს თვით  
თარიღდება. ამ წერილიდან ვიგებთ, რომ ამ პერიოდის საზოგადოება დიდ  
მნიშვნელობას ანიჭებს მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი ქორწილის გადახდას და ეს  
ოჯახის კარგ მატერიალურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

როგორც მონათხრობიდან ირკვევა, ქორწილი ჯერ დედოფლის ოჯახს  
გადაუხდია, ხოლო მეორე დღეს დედოფალი თავისი მაყრებით სიძის მხარეს  
წაუყვანიათ. გზად მათთვის ერთი დღე და ღამე ეკატერინე ბარათაშვილის მაზლის,  
ლევან ერისთავის, ნახევარმმას თავად ქაიხოსრო ბაგრატის ძე ბაგრატიონ-მუხრანელს  
უმასპინძლებია. მისი მასპინძლობის შესახებ ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ სტუმრებს  
კარგად დახვდა. თანამედროვე მკითხველისთვის ალბათ ცოტა გაუგებარია საკმაოდ  
ხალხმრავალი საქორწინო მაყრის ორი დღით მასპინძლობის გაწევა ქაიხოსრო  
ბაგრატიონის მხრიდან. მაგრამ იმ ეპოქაში, როცა საქართველოს ერთი კუთხიდან  
მეორემდე გადაადგილებას რამდენიმე დღე სჭირდებოდა, ნათესავების ამგვარი  
ხელის გამართვის გარეშე მგზავრობა შეუძლებელი გახდებოდა და ოჯახის ყველა  
ახლო ნათესავი ამას საკუთარ მოვალეობად თვლიდა.

სიძის მამულამდე მისასვლელად მაყარს ახალგორში, ერისთავების საგვარეულო  
რეზიდენციაში შესვენებაც დასჭირვებია. ხოლო როცა სოფელ ოძისში ბიძინა  
ერისთავის სამყოფელში მისულან, იქ სიძის ძმა, ლევან ერისთავი, მაყრებს თავისი  
თავადებით, აზნაურებითა და იმერეთის მგალობლებით გამოგებებია. როგორც  
ვხედავთ, მე-19 საუკუნის საქართველოში ქორწილი მხოლოდ ერთი ოჯახის

დღესასწაული არ არის და იგი მთლიანი საგვარეულოს ჩართულობით იმართება. დღევანდელ ქორწილთან შედარებით კი ბევრად ხალხმრავალი და ხანგრძლივია.

შებინდებისას ახალგორში შესულან. ერისთავების სასახლე ჭრაქებით ყოფილა გაჩახჩახებული, ხოლო მოედანი – მაშხლებით. სტუმრებს მგალობლებით კატოს დედამთილის, მარიამ წულიკიძის, მმა – ეპისკოპოსი სოფრომ წულუკიძე – მიგებებია. ნიკოლოზ ბარათაშვილი ყურადღებას ამახვილებს დეკანოზის გარეგნობაზე, რომელიც საეკლესიო ტანისამოსით ყოფილა შემოსილი და გალავნის კარებშივე ჯვრით მიგებებია სტუმრებს.

ბარათაშვილის თხრობის მანერა გამოხატავს მის აღფრთოვანებას მასპინძლების ამგვარი პატივისცემისა და სანახაობის გამო. ამდენი თოფის სროლას, ხალხის სიმრავლესა და მათ შეძახილებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სტუმრებზე. ყაფლან ორბელიანს კი ერისთავების უდიდესი სასახლის ნახვისას ვერ დაუმალავს გრძნობები. როგორც ჩანს, ამგვარი მასშტაბური ქორწილები არც ისე ჩვეული მოვლენაა, რის გამოც მაყრები აღფრთოვანებას ვერ მალავენ.

წერილიდან ვიგებთ, რომ ქართული ქორწილის რიტუალები გრძელდება მეორე დღესაც. ჩვეულების მიხედვით, პატარძალი მეორე დღეს საწოლიდან არ უნდა ადგეს და კატოც ასე მოქცეულა. იგი მხოლოდ მესამე დღეს ამდგარა.

სხვა ტრადიციებთან ერთად დაცული იყო მზითვის ტრადიციაც, რომელსაც დედოფლის ოჯახი სიძის ოჯახს ძლვნად მიართმევდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი მანანა ორბელიანს იმოწმებს, რომ მიუხედავად ფინანსური გაჭირვებისა, ბარათაშვილების ოჯახს ეკატერინესათვის მდიდრული მზითვი მიუტანია. როგორც ირკვევა, ამ მზითვის შეგროვებაში დიდი წვლილი ბიძებსა და ოჯახის სხვა ახლობლებსაც შეუტანიათ. პატარძლის მზითვებს ოჯახი მთელი სერიოზულობით კრებს და მის გარეშე მე-19 საუკუნის საქართველოში წარჩინებული ქალის გათხოვება წარმოუდგენლადაც კი ეჩვენებათ. ამ საქმეში ჩართულია ოჯახის ყველა ნათესავი.

ისევე როგორც წინა წერილებში, ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ წერილშიც საგანგებოდ აღნიშნავს სიძის ოჯახით კმაყოფილებას. ბარათაშვილი ყურადღებას ამახვილებს ამ ოჯახის შეხმატკბილებულ ურთიერთობასა და სიმდიდრეზე. ეს ის კრიტერიუმებია, რომლებიც, მისი აზრით, მაშინდელ დროში ყველაზე მეტად სანატრელია.

მე-19 საუკუნის საქართველოში შემორჩენილი საქორწინო წეს-ჩვეულებების მიხედვით, დიდი ყურადღება ექცეოდა არა მხოლოდ პატარმლის მზითვს, არამედ იმასაც, თუ რა ძვირფასეულობას აჩუქებდა სიძის ოჯახი და სანათესაო დედოფალს. ამ საკითხზე ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილში ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებს და აღნიშნავს, რომ კატოს ნიშნები მეოთხე დღეს მოართვეს დედამთილმა, მაზლებმა, მულებმა და რძალმა. ამ ძვირფასეულობის შესახებ ბარათაშვილი დასძენს, რომ კარგი ნიშნები იყო. კატოსათვის ოქროთი მოჭედილი ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი უჩუქებია დედამთილის ძმას, არქიელ სოფრომ წულუკიძესაც, რომელიც ეზოში, ჭადრების ქვეშ გაშლილ კარავში დაბინავებულა. მისი კარავში დაბინავება, ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ არქიელი დიდმალი ამალით იყო მობრძანებული.

კატოს ქორწილი 5 დღე და ღამე გაგრძელებულა. ნიკოლოზთან ერთად ყოფილა პოეტის უფროსი მეგობარი და შემდგომ განჯის მაზრის უფროსი მამუკა ორბელიანი. ახალგორიდან ბარათაშვილი და მამუკა ორბელიანი გორში გამგზავრებულან, ელიზბარ ერისთავის სასახლეში, სადაც ამ დროს ესტატეს (პოეტის სიძის ახლო ნათესავის) ნათლობას მართავდნენ. გორიდან ატენში გადასულან. იქ კნიაზი გიორგი იასეს მე ერისთავი დახვედრიათ და შუშურებით (წყალნარევი ღვინოებით) გამასპინძლებია. მთელი ორი კვირა დროსტარებაში გაუტარებიათ.

თანამედროვე მკითხველზე შთაბეჭდილებას ახდენს ის მასშტაბურობა, რომელიც მე-19 საუკუნის ქართული არისტოკრატიის ლხინისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ვხედავთ, ქორწილში ჩართულია მთელი საგვარეულო და ის დღეების განმავლობაში გრძელდება. დიდი ყურადღება ექცევა საქორწინო ძღვენს როგორც დედოფლის, ისე სიძის ოჯახის მხრიდან. მელიტონ ბარათაშვილის ოჯახი უკანასკნელი სახსრებით ცდილობს ამ მხრივ თავი გამოიჩინოს და საზოგადოებაში გაღარიბებული ოჯახის შთაბეჭდილება არ დატოვოს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში ასახულია ქართული ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნის ტრადიციაც. ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანს უყვება, რომ ალებობას ანუ მარიამობის დღესასწაულზე ქსნის ხეობაში სწვევიან კატოს ოჯახს. საუცხოო ჯვარობა გაიმართაო, – აღნიშნავს ნიკოლოზ ბარათაშვილი. ცხენზე შემომსხდარი ქალები, საწვიმრებითა და ქოლგებით, დიდი ამალისა და ოსური სიმღერის თანხლებით, ასულან ალევის მთაზე მოსალოცად. ის

ღამე და მეორე დღე კარგად უმხიარულიათ, მაგრამ წამოსვლის დროს მანანა ავად გამხდარა და მხიარულება ამ ამბავს ცოტა წაუხდენია. წერილით ირკვევა, რომ მე-19 საუკუნის საქართველოში საკმაოდ მასშტაბურად აღინიშნება საეკლესიო დღესასწაულები. ამ საერთო დღესასწაულებზე იკრიბებიან ახლობლები და გარდა რელიგიური მიზნებისა, ეს ღონისძიებები საზოგადოებრივი თავშეყრის საშუალებაცაა.

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიც არა მხოლოდ შემორჩენილია, არამედ ძალზე მოქმედიც ძველი პატრიარქალური საქართველოს ტრადიციები.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგი გვიქმნის წარმოდგენას მე-19 საუკუნის ქართული ეპისტოლური დიალოგის ზოგადი მახასიათებლების შესახებ. წერილების დახმარებით გავეცანით როგორც თავად ბარათაშვილის, ისე მის ორგვლივ მცხოვრები პიროვნებების მსოფლმხედველობასა და ხასიათს, ჩავუღრმავდით საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ისტორიულ მოვლენებს და ამ მოვლენების გავლენას ქართველთა ყოფაზე.

ადრესატების მიხედვით წერილების დალაგებამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო ცალკეულ ადრესატებთან ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგების სპეციფიკური ნიშნები. კერძოდ, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ გრიგოლ ორბელიანს ნიკოლოზ ბარათაშვილი უფროს მეგობრად აღიქვამს, რომლისაგანაც ხშირ შემთხვევაში ხელის გამართვას ელოდება და დიდ იმედგაცრუებასაც გამოხატავს ხოლმე. ბიძასთან მას ყველაზე ხშირი და ვრცელი ეპისტოლური დიალოგი აქვს გამართული და ეს მიმოწერები გრძელდება ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელი ცხოვრების განმავლობაში. ჯერ კიდევ ყმაწვილობიდან ნიკოლოზი იწყებს გრიგოლ ორბელიანისათვის საკუთარი წარმატებებისა და ოცნებების გაზიარებას და სიცოცხლის ბოლომდე არ წყვეტს ბიძა საკუთარი დისშვილის ცხოვრებისეულ გზაზე თვალის დევნებასა და აქტიურ დახმარებას. გრიგოლი მას ცხოვრების ყველა ეტაპზე უცხადებს თანადგომას და ინტერესდება მისით, თუმცა ვერ ახერხებს დისშვილს ცხოვრების მთავარი ნატვრა აუსრულოს და სამხედრო მოსამსახურე გახადოს, რის გამოც ბარათაშვილი მის მიმართ კრიტიკას არ ერიდება.

გარდა თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ცხოვრებისა, გრიგოლ ორბელიანთან ეპისტოლური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა ახლობელთა ამბებია. ბიძა-დისშვილი მუდმივად ეკითხება ერთმანეთს ნაცნობ-ნათესავების ამბავს და აბარებს მოვითხვებს მონატრებულ ადამიანებთან. ხშირია გულლიად ხუმრობა ან საერთო ნაცნობების გაჯავრება.

გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი მესაიდუმლეცაა. ნიკოლოზი მას ანდობს საკუთარი ლექსების პირველ შეფასებას.

ბარათაშვილი განსაკუთრებული ვნებათაღელვით ელოდება ბიძის შეფასებას სამშობლოს თემატიკაზე დაწერილი ლექსების შემთხევაში.

მაიკო ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური დიალოგის მთავარი თემა ახლობელთა შესახებ ცნობები და ბარათაშვილის შინაგანი განცდებია. ეს ის ქალია, რომელთანაც ბარათაშვილს ყველაზე უკეთ გამოსდის საკუთარ სასიყვარულო ურთიერთობებზე საუბარი, სასიყვარულო ლექსების გაზიარება და გულლია მეგობრული მიმოწერა. აქ არ გვხვდება პოლიტიკურ-ისტორიული მოვლენების ერთობლივი გაზრების პროცესი. მაიკო ორბელიანი ნიკოლოზის პირადი გრძნობების კარგი მსმენელია, ხოლო ბარათაშვილი მაიკოს მესაიდუმლეა. მათი თანაგრძნობა ორმხრივია.

ზაქარია ორბელიანთან ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულების მხოლოდ ერთი ეპიზოდი გვაქვს შემონახული, როცა პოეტს ბიძის პიროვნებაში საკუთარი შეგრძნებების ანალოგი უპოვია და მასთან კიდევ უფრო დაახლოვება გადაუწყვეტია. მანამდე მათი ურთიერთობა თითქოს უფრო მეტად ოჯახის სხვა წევრების მეშვეობით მიმდინარეობს. შემორჩენილ ბარათებში მთავარი თემა ბარათაშვილის შინაგანი სამყაროა, რომელსაც ბიძის ცხოვრების ანალოგზე წარმოაჩენს. დიალოგები შესანიშნავ მასალას გვაძლევს მე-19 საუკუნის საქართველოს საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ.

მიხეილ თუმანიშვილი ბარათაშვილის ყრმობის მეგობარია. შემორჩენილ ერთადერთ წერილში კარგად ჩანს თანატოლებს შორის არსებული იუმორი. შემოქმედების გაზიარების სურვილი და საერთო ენა ადრესატსა და ადრესანტს შორის.

ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი წერილები გვიქმნის შთაბეჭდილებას, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილს ნათესავების მიმართ. წყვილთან იგი შედარებით ძნელად პოულობს ვრცელი წერილებისთვის საჭირო საერთო ენას, მაგრამ ნათლად ჩანს პოეზიაში აღბეჭდილი რომანტიკოსი, მელანქოლიური ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე სახე – გულლია, მხიარული და ენამოსწრებული ჭაბუკი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოფიციალურ-საქმიანი წერილები გვიქმნის წარმოდგენას მისი სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ. ვიგებთ, რის კეთება ევალებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილს სამსახურში და რატომ იყო ეს საქმე მისთვის

ესოდენ მოსაწყენი და არასასურველი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაო მისთვის, როგორც შემოქმედი პიროვნებისათვის, სრულიად უინტერესო და სულის შემხუთველი საქმეა, ეპოქის სულისკვეთების გავლენით მაინც მუდმივად ცდილობს დაწინაურდეს.

ეპისტოლეები თვალნათლივ დაგვანახებს რუსული მმართველობის შედეგებს: რუსული ენის მომძლავრებასა და ამის ფონზე ქართული ენის ფუნქციურ დაქვეითებას სახელმწიფო საქმისწარმოების ენიდან მისი საერთოდ გაქრობის დონემდე. ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში მხოლოდ რუსული ენაა. რუსული ენის მომძლავრება პირად ბარათებშიც წარმოჩნდება. ვხედავთ რუსეთისგან დანიშნულ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც უხვად არიგებენ რუსულ ჩინ-მედლებს და რუსეთისადმი დამსახურების მიხედვით ანაწილებენ თანამდებობებს. მიუხედავად საჯარო მოხელეობისადმი ნიკოლოზის უინტერესო დამოკიდებულებისა, ბარათაშვილიც ისწრაფვის ამ თანამდებობებისკენ, რადგან ეს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი საშუალებაა.

როგორც დოკუმენტები ცხადყოფს, ამ დროს სახელმწიფო მმართველობის აპარატებში მყარად იყო დამტკიცებული ფორმალიზმი და ტრაფარეტი. ამ დაწესებულებაში საქმისწარმოება და სასამართლოს წარმოება დამყარებული იყო ფორმალური და შაბლონური წესების შესრულებაზე.

გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების ანალიზით გამოვლინდა ის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლეებს. ორივე მათგანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მკაცრად იცავს წერილების ეტიკეტურ ნაწილებს – დასაწყისსა და დასასრულს. ისინი საკუთარი პირადი ბარათების ადრესატების მიმართ ყოველთვის თავაზიანები არიან და ახლობლებისადმი პატივისცემას გამოხატავენ, ხოლო ოფიციალურ დოკუმენტებში საქმიან, მკაცრ სტილს ინარჩუნებენ.

გრ. ორბელიანის რუსულენოვანი წერილების სპეციფიკა იმითაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ ის წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს იმისა, თუ რა ნიუანსები ახასიათებდა უმაღლესი თანამდებობის პირებთან მიწერილ საქმიან-ოფიციალურ წერილებს. ეს სტილი ტიპურია მთელი ეპოქისათვის, როგორც ჩამოყალიბებულ ჩინოვნიკურ ურთიერთობათა განსაზღვრისათვის.

როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მეტწილად ჭარბობს იუმორისა და მსუბუქი სატირის ნიმუშები. ობიექტის აღწერა-დახასიათებისას ბარათაშვილი განსაკუთრებულად დინჯი და აუღელვებელია. აქ არ იგრძნობა ის ზიზღი და აღშფოთება, რომელიც სატირისთვისაა დამახასიათებელი. პოეტი მიზნად არ ისახავს გამოხატოს აგრესია და უარყოფითად განაწყოს მკითხველი საკუთარი სატირის ობიექტებისადმი.

ეპისტოლური ჟანრი ძალიან ახლოს დგას ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, ამიტომ, ბუნებრივია, მასში ნათლად აისახება ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ხალხშია გავრცელებული. ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები გვაძლევს ძალიან საინტერესო ცნობებს ძველი ქართული ტრადიციული ქორწილის, სტუმარმასპინძლობისა და წმინდა ადგილების მოლოცვის რიტუალების შესახებ.

წერილებში კარგად ჩანს ეპისტოლური დიალოგის მონაწილე მხარეთა დამოკიდებულებები ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების მიმართ. ეპისტოლური კომუნიკაციის ნიმუშები საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ ადამიანების შინაგან სამყაროში, შევაფასოთ მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, გავიგოთ კონკრეტული პიროვნებების სიხარული და ტკივილი. ასეთია ზოგადად მე-19 საუკუნის ეპისტოლური დიალოგის სპეციფიკა და ის ძირითადი თემატიკა, რომელიც ამ ეპოქის ადამიანთა კომუნიკაციის დროს ვლინდება.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2011:** XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა; ტომი I. – ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. რედ: ქ.გიგაშვილი, მ.ნინიძე. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2011 წელი.
2. **XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2013:** XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა; ტომი IV. – გრიგოლ ორბელიანი(ნაწილი III); რედ: ქ.გიგაშვილი, მ.ნინიძე. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2013 წელი.
3. **XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა 2018:** XIX – XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა; ტომი VIII. – გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VII); რედ: ქ.გიგაშვილი, მ.ნინიძე. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2018 წელი.
4. **აბაშიძე, ინგოროვა 1968:** აბაშიძე გრ.; ინგოროვა პ.; – ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“; თბილისი; 1968 წელი.
5. **აბაშიძე 1970:** აბაშიძე კიტა – ეტიუდები XIX საუკუნის ლიტერატურის შესახებ. თბილისი; 1970.
6. **ბალახაშვილი 1967:** ბალახაშვილი ი. – ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება. თბილისი. 1967.
7. **ბესელია, მეიფარიანი, მიქიაშვილი, ჯალაღანია; 2004:** ბესელია ნინო, მეიფარიანი თამარ, მიქიაშვილი ლელა, ჯალაღანია ირინე – ინტერაქტიული სწავლება [რეკომენდაციები პედაგოგიური ტრენინგისათვის]; ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო; თბ. 2004.
8. **გაჩეჩილაძე 1986:** გაჩეჩილაძე გიორგი – სულიერი გამოცდილების სამყაროში. „მერანი“; თბ. 1986.

9. **გაწერელია, ლოლაშვილი 1972:** გაწერელია აკ, ლოლაშვილი ი. – ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1972 წელი.
10. **გაწერელია 1978:** გაწერელია ა. – გრიგოლ ორბელიანის წერილები, ტ. I, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი; 1978 წელი.
11. **გრიშაშვილი 1957:** გრიშაშვილი ი. – ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები. გამომცემლობა „სახელგამი“; თბილისი. 1957 წელი.
12. **დიმიტრიადისი, კამბერელისი 2010:** დიმიტრიადისი გრეგ, კამბერელისი ჯორჯ. – „თეორია განათლებისათვის.“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბ. 2010 წელი.
13. **ევგენიძე 1995:** ევგენიძე ი. – გრიგოლ ორბელიანი (ცხოვრება და მოღვაწეობა); გამომცემლობა „მერიდიანი“; თბილისი; 1995 წელი.
14. **ზექალაშვილი 2006:** ზექალაშვილი რუსუდან – ქართული დიალოგური მეტყველება (მირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები). ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი; 2006 წელი.
15. **კიკნაძე 2003:** კიკნაძე გრ. – ქართული სატირისა და იუმორის განვითარებისთვის; ტომი II; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბილისი. 2003 წელი.
16. **კოდუა 2001:** კოდუა ე. – კულტურის სოციოლოგია. რედ. ლია კაჭარავა. გამომცემლობა „ნეკერი“; თბილისი. 2001 წელი.
17. **მეუნაგია 1954:** მეუნარგია ი. – ქართველი მწერლები; თბილისი; 1954 წელი.
18. **ცერცვაძე 2015:** ცერცვაძე მ. – ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები; გამომცემლობა „არტანუჯი“; თბილისი; 2015 წელი.
19. **ჩხეტია 1945:** ჩხეტია შ. – ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ) სსსრ შინსახკომის საარქივო სამმართველოს გამომცემლობა; თბილისი; 1945 წელი.

20. **შარაბიძე 2019:** შარაბიძე თამარ – ნიკოლოზ ბარათაშვილი. 12 ბიოგრაფია; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2019 წელი.

21. **Dialogue with the other: Rationale and Principles. The Abu Declaration on the Arab position toward Cultural Dialogue and Diversity. 2007:** Dialogue with the other: Rationale and Principles. The Abu Declaration on the Arab position toward Cultural Dialogue and Diversity. Expert Meeting “Towards Mainstream Principles of Cultural Diversity and Intercultural Dialogue in Policies for Sustainable Development”. 21-23 May 2007, UNESCO, Paris.

22. **Holquist 1990:** Holquist Michael – “Dialogism: Bakhtin and His World.” Routledge, 1990.

23. **Speech Genres and other Late Essays 1986:** Speech Genres and other Late Essays, translated by V.W. McGee. Austin: University of Texas Press. 1986.

24. **Problems of Dostoevsky’s Poetics 1981:** Problems of Dostoevsky’s Poetics, translated by C. Emerson. Minneapolis: University of Minnesota Press. 1981.

25. **Бахтин 1979:** Бахтин М.М. “Проблемы поэтики Достоевского”. – М.: Советская Россия, 1979.

26. **Библер 1991:** Библер В.С. М.М.Бахтин или поэтика культуры.- М.: Изд-во Прогресс, Гнозис, 1991.

27. **Джалили 2003:** Джалили Ахмед. Выступление на форуме „диалог между цивилизациями“. Охрид 29 и 30 августа 2003.

28. **Почепцов 2001:** Почепцов Георгий – ТЕОРИЯ КОММУНИКАЦИИ. Ответственный редактор С.Л. "Эльга"; 2001.

29. **Шнайер 2003:** Шнайер А. Выступление на форуме. Региональный форум Диалог между цивилизациями. Охрид, 29 и 30 августа 2003.